F 749
1975

ابطال

1975

5



გამომცემლობა „მერანი“ ● თბილისი

შინაარსი

პროზა

მუზილი. ბრიჯიტა. **მოთხრობა.** **გერმანულიდან**
თარგმნა თენგიზ პატარაიამ 4

ხულიო ტრავიესო. სანამ მგელს მოჰკლავდნენ. **მოთხრობა.**
დასასრული. ესპანურიდან **თარგმნეს ზურაბ აბაშიძემ** **და**
გარსევან ბიჭიაშვილმა 24

ზოია ვოსკრესენსკაია. ბოგბოდარ ზღვაში.
მოთხრობა. **რუსულიდან** **თარგმნა** **ნინო** **თოფჩიშვილმა** 91

არკადი ადამოვი. ორმაგი მარყუჟი. **მოთხრობა.**
დასასრული. **რუსულიდან** **თარგმნა** **ელგუჯა** **მაღრაძემ** 139

პოეზია

დუმიტრუ მ. იონი. ლექსები. **რუმინულიდან** **თარგმნა**
მორის ფოცხიშვილმა 21

ალექსანდრე ტვარდოვსკი. ლექსები. **რუსულიდან**
თარგმნა **ელდარ** **კერძევაძემ** 86

კონსტანტინე **სიმონოვი.** ***(სიკვდილის **შემდეგ...**).
ლექსი. **რუსულიდან** **თარგმნა** **მორის** **ფოცხიშვილმა** 89

ჩინელი **პოეტები.** **ლექსები.** **თარგმნეს**
თედო **ბექიშვილმა** **და** **ჯარჯი** **ფხოველმა** 132

5
(8)
სექტემბერი
ოქტომბერი

მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო
1975

შინაარსი

ჩვენი პუბლიკაციები

ჰუგო შუხარდტის წერილები მოსე ჯანაშვილისადმი
გერმანულიდან თარგმნა ლამარა ხელაძემ 206

პრიტიკა, პუბლიცისტიკა

ანა ახმატოვა. მოგონებები გლოკაზე. **რუსულიდან**
თარგმნა ცეცილია **ბუაჩიძემ** 210

ორი საუბარი
პიკასოს საუბარი ქრისტიან ზერვოსთან. 212
დანიელ ანრი კანვეილეს ჩანაწერებიდან.
თარგმნა ლიანა **ჩხეიძემ** 216

ჯავაჰარლალ ნერუ. უპანიშადები. **თარგმნა**
თამაზ ჩხენკელმა 220

თამარ ცინცაძე. მეტამორფოზა. **შემთხვევითი თუ**
კანონზომიერი 224

სხვადასხვა ამბები 235

ფერადი მძივები 237

ერთხელ... 238

ჩვენი ავტორები 239

ᲛᲔᲖᲘᲚᲘ

ᲒᲠᲘᲯᲘᲐ

ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ

გერმანულიდან თარგმნა **ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲘᲐᲛ**

ცხოვრებაში ისეთი ხანიც დგება, როცა დრო ფეხს აითრევს, თითქოს რაღაცის ერიდება ან სხვა გზით უნდაო წასვლა. აი, ასეთ დროს ადამიანი ხიფათსაც იოლად გადაეყრება.

ერთი სნეული ვაჟი ჰყავდა. წელიწადი ისე გაილია, ბიჭმა არც აქეთ ქნა პირი, არც იქით. ექიმი ურჩევდა, სამკურნალოდ წაიყვანეთო, და ჰომოსაც ვერ გადაეწყვიტა, თან გაჰყოლოდა თუ არა. ფიქრობდა, ქალაქს მოცილებული, ვაითუ ყველაფერს მოვწყდეო, წიგნებს, საქმეს, ცხოვრებას. ამ ჭოჭმანს თვითონ თავკერძოობით ხსნიდა, თუმცა, ვინ იცის, იქნება სულაც მარტო უნდოდა ყოფნა და სხვა არაფერი. აქამდე ერთი დღითაც არ მიუტოვებია ცოლი. ქალი უწინაც ძალზე უყვარდა, უყვარდა ახლაც, მაგრამ, ბავშვის გადამკიდე, ამ სიყვარულს თითქოს ბზარი გაუჩნდა, იმ ქვას დაემგვანა, ნაბზარში რომ წყალი ჩაუდგება და ეს წყალი ერთ მშვენიერ დღეს მთლიანად დაშლის კიდეც. ძალზე უკვირდა ამ ბზარის გაჩენა, უკვირდა მით უფრო, რომ ამ თავისი სიყვარულისათვის თითქოს არასოდეს მოუკლია ზრუნვა. ჰოდა, ვიდრე ცოლ-შვილს გასამგზავრებლად ამზადებდა, ვერაფრით ვერ მოიფიქრა, სად გაეტარებინა კარს მომდგარი ზაფხული. არც მთისკენ მიუწევდა გული, არც ზღვისკენ, ბოლოს ისევ ქალაქში დარჩა. მეორე დღეს ჰომომ წერილი მიიღო. მოცარტ ამადეო ჰოფინგოტი, ამ ერთი წლის წინ მოგზაურობის დროს რომ გაიცნო და სულ მოკლე დროში დაუმეგობრდა კიდეც, ფერზენატალში ეპატიჟებოდა, ექსპედიციას ვაწყობთ, ვენეციური ოქროს ძველისძველი საბადოები გვინდა ავამუშავოთო.

წუთითაც არ შეეჭვებულა, რომ ეს უთუოდ ნაღდი საქმე იქნებოდა, ისიც გაიფიქრა, შეიძლება გულიც გადავაყოლოო, და ტელეგრამები აფრი-

ნა: ერთი მეუღლეს გაუზავნა — მთაში მივდივარ, დაწვრილებით მოგვიანებით მოგწერო, მეორე — ჰოფინგოტს; ამას თანხმობა შეუთვალა — გეოლოგად ვიმუშავებ, შეიძლება წილშიაც შემოვიდეო.

ჰოფინგოტს №-ში შეხვდა, იმ მდიდარ იტალიურ დაბა-ქალაქში, სადაც თუთასა და ვენახს აშენებენ. მისი ხნისა თუ იქნებოდა ჰოფინგოტი, ძალზე მოუსვენარი, ტანსრული და სანდომიანი შავგვრემანი კაცი; სწორედ იმისგან შეიტყო, ექსპედიციას ამერიკელები რომ აფინანსებდნენ. საქმეს კარგი პირი უჩანდა. ამასობაში სხვა ექსპედიცია, სადაც ჰომოსა და ჰოფინგოტთან ერთად კიდევ სამ კაცს ედო წილი, ხეობას უნდა აჰყოლოდა. იყიდეს ცხენები, სამუშაო იარაღი, დაიქირავეს მუშახელი.

სასტუმროში ყოფნას ისევ ჰოფინგოტის ერთ იტალიელ ნაცნობთან არჩია დაბინავება. მისვლისთანავე შეამჩნია, რა საოცრად გრილი და ფაფუკი ლოგინები ეგო წითელი ხის საწოლებზე; შეამჩნია უცნაური ხვიარებით მოხატული შპალერიც, შეიძლება უგემოვნო, თუმცა მაინც თავისებური და უცხო, ნახა ლერწმის სარწეველაც; როცა ამ სარწეველაში ზიხარ, თან შპალერს თვალს არ აცილებ, გეჩვენება, თითქოს ბარდებში ეხვევი. თავდაპირველად ხვიარებს ვერც ხედავ; უცებ ამოიზრდებიან კედლიდან, მერე კი ისევ სადღაც ქრებიან!

გარეთ ისეთი ჰაერი იყო, თითქოს თოვლი და სამხრეთი ერთმანეთში ათქვეფილიყო. შუა მაისი იდგა. საღამოობით დიდ ნათურებს ანთებდნენ. მაღლა, სახლებს შორის გაბმულ მავთულებზე, ეკიდა ნათურები, ეკიდა ისე მაღლა, რომ ქუჩები უფსკრულის დარად მუქ სილურჯეში იძირებოდა. ხანდახან იმ ჩაბნელებულ ფსკერზეც მოგიწევდა გავლა; ზემოთ კი, სადღაც სხვა სივრცეში, თეთრი მზეები ბრიალებდნენ. აქედან მთელი დღის სავალზე ვენახისა და ტყის მეტს თვალს ვერაფერს შეავლებდი. ხან წითელი, ხან ყვითელი, ხანაც მწვანე ფერი იტყუებდა მზერას: აქაური ტყე-ტევრი ხომ ერთ ღერ ფოთოლსაც არ შეელეოდა. ნაზამთრალი თუ ნორჩი ფოთლები საფლავზე დატოვებული გვირგვინივით ერთმანეთში იყო ჩაწნულ-ჩახლართული. წითელი, ცისფერი და ვარდისფერი სახლები როგორც კამათლები, ისე იყო აქა-იქ გაბნეული და თითქოს უხალისოდ აჩვენებდა მთელ სამყაროს სიმეტრიის ახალ კანონებს. ზევით და ზევით ტყე მუქდებოდა და მთასაც ზელვოტი ერქვა. კიდევ უფრო ზევით ალპური ველები იწყებოდა. თოვლის ტალღები მეზობელ მთებამდე მიაცილებდა დაბალ, ციცაბო ფერდობს. აქ უნდა გაევლო ექსპედიციას. როცა აქაურები რძეს ჩამოიტანდნენ ანდა სიმინდის საყიდლად ჩამოვიდოდნენ, ზოგჯერ თითის სიმსხო მთის კრისტალს ან სულაც ამეთვისტოს თვალს წამოიძღვანებდნენ ხოლმე. ნაპრალებში იმდენი თვალი იყო, გეგონებოდა, ყვავილები ხასხასებენო მდელოზე. ეს საოცრად ზღაპრული ადგილები მოწმობდა, რომ ამ სილამაზეს, ისეთივე შორი და უკარება ციალი რომ ახლდა, როგორც ვარსკვლავიან ღამეს, რაღაც სევდიანი ლტოლვის ჟინიც ერთვოდა თან. როცა ხეობას მაღლა აუყვნენ და ექვსი საათისათვის სანკტ-ორზოლას გაუსწორდნენ, ბუჩქებიდან, ლანქერზე გადადგმულ ქვის პატარა ხიდთან, უცებ ათობით ბულბული შეფრთხიალდა ერთდროულად; ნათელი დღე იდგა.

უცნაური კი იყო ის სოფელი, მთის კალთაზე გეგონებოდა მიწებებული; ბილიკი, აქ რომ ამოიყვანა ისინი, ხტუნვა-ხტუნვით არბოდა ლოდიდან ლოდთან. ამ პლატოდან კი ბარისკენ ნაკადულებად ეშვებოდა რამდენიმე მოკლე საცალფეხო ბილიკი. თუკი გზიდან ქვევით ჩაიხედავდი, ჩვეულებრივი გლეხური ხუხულების შემყურეს არც არაფერი გაგიკვირდებოდა, მაგრამ მდელოდან რომ აგეხედა, ადამჟამინდელი სოფელი გეგონებოდა. ქოხები მაღალ ბოძებზე იყო შედგმული. ცოტა მოშორებით, ფერდობის პირას, თლილ, მოგრძო ბოძებზე შეყუნცული ჩეჩმები ტახტრევნიანი გონდოლებივით ქანაობდნენ. შემოგარენიც უჩვეულო იყო. ირგვლივ რკალად შემოვლებოდა მთები. ერთ კალთაზე კუნძულივით ჩანდა პატარა ტყე. უკაცრიელ, მიტოვებულ სამყაროს წააგავდა ის ადგილი. ნაკადულს ისეთი ღრმა კალაპოტი ჰქონდა, გადაჭრილი გეგონებოდა კუნძული. ნაპრალის ერთი კიდე თითქოსდა მეორეს მიყრდნობოდა და იმასთან ერთად ჩაჰკიდებოდა ხეობის გალმა მხარეს, სადაც სოფელი იყო შეფენილი. ჯაგნარს ჯერ თოვლი ეფარა, აქა-იქ თითო-ოროლა შველსაც მოჰკრავდი თვალს. შუაგულ ტყეში, კენწეროებზე როჭოს დაეწყო ტიხტიხი. მდელოზე კი რა ხანია მოყვითალო, ლურჯი და თეთრი ვარსკვლავებივით ციმციმებდნენ ყვავილები. იმოდენა იყო ეს ვარსკვლავები, იფიქრებდი, ველზე უთვალავი ტალერი მოაბნიესო. სოფლის უკან, ასიოდე ნაბიჯს რომ აივლიდი, საცალფეხო ბილიკი პლატოზე აგიყვანდა. დიდი არ ეთქმოდა იმ ადგილს, მაგრამ სახნავ-სათესსაც იტევდა, მდელოსაც, თივის ზვინებსაც და მიმობნეულ სახლებსაც. პლატოს პირზე უძველველ სიმაგრედ იდგა პაწია ეკლესია. მზიან დღეს ეს ადგილი დაბლობიდანაც ჩანდა, თუმცა ზღვას ან მდინარის შესართავს უფრო მიამგვანებდი, თან იმის გარჩევაც გაგიჭირდებოდა, რომელი იყო ოქროსფერი ჰორიზონტი და რომელი ღრუბლის ჩალამული ქულები.

იმათმა ლამაზმა ცხოვრებამაც აქ ჩაიდგა სული. მთელი დღე ალმადალმა დაეხეტებოდნენ. ხან ჩამოშლილ გვირაბს ათვალიერებდნენ, ხან დაბლობისაკენ ჩაცურებულ ბილიკს გადახედავდნენ: ამ ადგილზე უნდა გაეყვანათ ფართო შარაგზა. ჰაერი აქ იმდენად სავსე იყო გაზაფხულის მოლოდინით და თან ისე ნაზი, გაგაბრუებდა კიდეც. არავინ ერიდებოდა ხარჯს. ღმერთებივით ცხოვრობდნენ. სამუშაო ყველას გამოუნახეს. კაცს, ქალს. კაცები ერთი-ორი კვირით მთებში დაგზავნეს, ქალებს საგზლისა და საჭირო იარაღების ზიდვა დაავალეს და ისინიც ფეხდაფეხ დაჰყვებოდნენ. ქვით ამოყვანილი სკოლა საწყობად აქციეს. აქ ინახავდნენ ყველაფერს და ის უსასრულო გზაც აქედან იწყებოდა. დროდადრო საწყობში მამაკაცის მჭახე ხმასაც მოკრავდი ყურს. მოლაქლაქე დედაკაცების ჯგუფიდან ჯერ ერთს გამოიძახებდა, მერე მეორეს და უზარმაზარ, ზურგზე მოგდებულ კალათაში მანამდე უყრიდა და უყრიდა ნაირ-ნაირ ხორაგს, ვიდრე ქალს ფეხები არ მოეკეცებოდა და კისრის ძარღვები არ დაებერებოდა. არც თვალტანად გოგოებს აკლებდნენ ტვირთს. იმათაც იმდენ სათრევს აჰკიდებდნენ, რომ თვალები შუბლზე აუდიოდათ და პირიც ღია რჩებოდათ. შემდეგ ნიშანს მისცემდა და ეს თვინიერი ცხოველები დაკლაკნილ ბილიკს გაუდგებოდნენ. ძვირფასი, იშვიათი ტვირთი ებარათ. პური, ხორცი, ღვინო. ამ ტვირთთან ერთად სამუშაო იარაღებსაც ატანდნენ. არავინ აფრთხილებდა, ხელსაწყოები არ გაგიფუჭდეთო, და ქალები ამ ტვირთსაც სიამოვნებით აიკიდებდნენ

ხოლმე: ჯამაგირის გარდა შეიძლება რაიმე იარაღითაც ეხეირათ. ჰოდა, ვინ დაიშურებდა მოსულებისთვის მადლობის სიტყვას, როცა მარტო იმათი გამოჩენითაც იკურთხა და დაილოცა ყოველივე. მერედა, რა მშვენიერი გრძნობა გიჩნდებოდა! კაციშვილი არ გკითხავდა, ვინ ხარ, სადაური. არავინ იძიებდა, სანდო იყავი თუ არა, კეთილი თუ ბოროტი. არც შენს სილამაზეს დაეძებდა ვინმე. ვინც არ უნდა ყოფილიყავი, შენს წილ სიყვარულს ყველგან იპოვიდი, იპოვიდი თუნდაც იმიტომ, რომ ამ მიწას შენით უწია ლოცვა-კურთხევამ. სიყვარული წინ მიგიძღვებოდა გზაზე და სადაც არ უნდა დაგევანა, ქათქათა ლოგინივით დაგხვდებოდა ყველგან. აქაურს ისეთი სალმიანი ჰქონდა მზერა, უკეთეს საჩუქარს ვერც ინატრებდი. ქალებს ამას თვალებში დაატყობდი, თუმცა ზოგჯერ სხვაგვარადაც ხდებოდა ხოლმე: მდელოზე გავლისას ვინმე ხნიერ გლეხს მოკრავდი თვალს, ცელს რომ ხორცშესხმული სიკვდილივით იქნევდა.

ხალხიც იშვიათი ცხოვრობდა. ჯერ კიდევ საეპისკოპოსო სამკაპის გამგებლობა ყოფილა, როცა გერმანიიდან მოსულან, დასახლებულან და მას მერე იმათი მოდგმა ისე ჩაბუდებულა და ჩამჯდარა აქ, როგორც დიდი ხნის წინათ იტალიურ მიწაზე ალალბედზე მოხვედრილი გერმანული ლოდი. ადათ-წესებიდან ნახევარი თუ შემორჩათ, თუმცა რიგიანად ესეც აღარ ახსოვდათ. ყოველ გაზაფხულს მთით მოვარდნილი ღელე აცლიდათ და აცლიდათ ფეხქვეშ მიწას. აქეთ ისეთ სახლებსაც ნახავდი, ადრე ბორცვზე რომ იყო წამოსკუპული, ახლა კი ხრამის პირზე იდგა. ასე იყო წლიდან წლამდე. თავის ნებაზე იყო ყოველივე მიშვებული. როგორც კი გაიზაფხულებდა, აზვირთებული ნაკადულები წალეკავდნენ გზებს და ნაგავსაც ბლომად მოუზიდავდნენ კარზე. სანდალოზგადასმული უბრალო კარადები ედგათ შინ, კედლებზე საფოსტო ბარათები და იაფფასიანი სურათები ეკიდათ. მაგრამ შეიძლება ისეთ ჯამ-ჭურჭელსაც წაწყდომოდი, მარტინ ლუთერის დროს რომ გამოჰქონდათ სტუმართან. პროტესტანტები იყვნენ; მართალია, რწმენის მეტი არაფერი გააჩნდათ (რომ არ გადაგვარდნენ, ამაშიც რწმენას ემადლიერებოდნენ), მაგრამ დიდად ქველი ქრისტიანები მაინც არ ეთქმოდათ. რაკი ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, ყველა მამაკაცი, მოეკიდებოდა თუ არა ოჯახს და თაფლობის თვეც გაილეოდა, მიატოვებდა სახლ-კარს და ვინ იცის, სად გადაიკარგებოდა. თუკი დაბრუნება ეწერა, იმ ნაშოვნი გროშების გარდა ნაირ-ნაირ საროსკიპოში ნასწავლ უზნეო ჩვევებსაც ჩამოიტანდა, ურწმუნოებასაც დაიჩემებდა, მაგრამ ცივილიზაციის მადლი მაინც არა და არ მოეცხებოდა.

კარგა ხანს შეიქცია ერთმა ამბავმა, ჩამოსვლისთანავე რომ უთხრეს ჰომოს. არც ისე ძველი ამბავი იყო, თხუთმეტიოდე წელი იქნებოდა მას აქეთ. ერთ გლეხს თურმე, სხვებისა არ იყოს, მიუტოვებია სახლ-კარი და ამერიკაში წასულა. როცა დაბრუნდა, ცოლისათვის მიუკითხავს და ერთხანს ცხოვრობდნენ ერთად. უხაროდათ, ამდენი ხნის მერე ისევ ერთად ვართო, და არც არაფერი მოუკლიათ, ვიდრე დანაზოგს წირვა არ გამოუყვანეს. ამერიკიდან კი უნდა მოსვლოდა ფული, მაგრამ არა და არ დაადგა საშველი იმ ფულის გამოგზავნას. გლეხიც ამდგარა, ის თავის გატიალებული კარ-მიდამო ცოლისათვის მიუბარებია, თვითონ კი ლუკმაპურის საშოვნელად წასულა. წასულა და აღარ დაბრუნებულა. რამდენიმე დღე იქნებოდა

გასული, როცა ერთ-ერთ კარ-მიდამოს ამერიკიდან პატრონი დაუბრუნდა. ერთი კი დაუბღვირა ცოლს, როგორ ვერ მიცანიო, მერე ისიც უთხრა, არა უშავს, ამდენი დროა გასული, გადაგავიწყდებოდი, აბა რა იქნებოდაო, თან ის კერძი მოუთხოვია, განშორების ჟამს რომ გამოუტანა ცოლმა. კარგა ხნის მკვდარი ძროხაც მოიკითხა, ბავშვებსაც მამაშვილური სიყვარულით მოეფერა, თუმცა სხვა ცისა კი იყვნენ. იყო ასე განცხრომაში ცოლ-შვილთან ერთად. როცა საჭმელი შემოაკლდათ, ეს გლეხიც წასულა საშოვარზე. ალარც იგი დაბრუნებია ოჯახს. ერთი-ორჯერ კიდევ მომხდარა ასეთი ამბავი. ბოლოს მიმხვდარან, გაიძვერა არის, სხვა გლეხებთან ერთად იქნება ნამყოფი და იმათი ოჯახების ამბავსაც კაკალ-კაკალ გამოიკითხავდაო. მოგვიანებით შეიტყვეს, დაუჭერიათო თურმე. მას მერე ეს გლეხი არსად გამოჩენილა. გაიძვერა კი დაუძახეს, მაგრამ მაინც დასწყდათ გული შინაურებს. რაკი ამდენი ტკბილი ამბავი გაახსენა, ალბათ შინიდანაც მიტომ არ დაითხოვეს. თან იმასაც შიშობდნენ, იქნებ მართალსაც გვეუბნება და, რომ გავისტუმროთ, ვაითუ ქვეყნის სასაცილო შევიქნეთო. არა, ეჭვი თავიდანვე ეპარებოდათ, მაგრამ არც იმდენად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ გლეხისათვის ცხვირწინ მიეკეტათ კარი და გარეთ გაეგდოთ.

ასეთნი იყვნენ ეს დიაცები. ყავისფერ შალის კაბებში დაალაჯებდნენ ალმა-დალმა. კაბის კალთას მტკავლის სიგანეზე დააკერებდნენ წითელ, ლურჯ ან ფორთოხლისფერ არშიას. თავსაფარს ჯვარედინად გადაიჭერდნენ მკერდზე. ჩვეულებრივი, იაფფასიანი ჩითისა ჰქონდათ თავსაფრები. ვერ იტყოდით, რა იყო მიზეზი, შეიძლება ფერები იყო ისე შერჩეული, მაგრამ შეხედავდი თუ არა თავსაფარს, უმალ იმათი წინაპარი დაგიდგებოდა თვალწინ. ახალთახალიც რომ ყოფილიყო თავსაფარი, მაინც წინაპრებისდროინდელი გეგონებოდა. ალბათ მზერა თუ ჰქონდათ ქალებს ასეთი: არაამდროული, თითქოსდა დრო-ჟამს გამოღწეული, მაგრამ ერთი შეხედვაც კმაროდა, რომ ის მიმქრალი წარსული უცებ წარმოგედგინა. ფეხსაცმელიც ისეთი ეცვათ, იფიქრებდი, ნავებში წაუყვიათო ფეხები. ხის ქოშებს ხმაროობდნენ და რაკი აქაური გზები გაუვალი იყო, ქუსლზე ორ ბრტყელ ნალსაც დააკრავდნენ ხოლმე. ცისფერ ან ყავისფერ წინდებს იცვამდნენ და იაპონელი ქალებივით დააბაკუნებდნენ ფეხებს. როცა ვინმეს უცდიდნენ, შუა გზაზე წამოჯდებოდნენ და მუხლისთავებს ზანგებივით ნიკაპთან ამოიტანდნენ. თუ სახედრით აღმართს შეუყვებოდნენ, კაბას კი არ ამოიკეცავდნენ, კაცებივით გადაასხდებოდნენ და ხის ხმელ უნაგირს ტლანქ ბაყვებში მოიქცევდნენ. მუხლისთავებს აქაც უსაშველოდ მაღლა ამოზიდავდნენ და სახედარზე ნება-ნება მიირწეოდნენ.

დაგაბნევდა იმათი დახვედრაც, ზრდილობაც. თუკი ვინმეს სახლს მიადგებოდი და იმ გლეხურ კარზეც დაუკაკუნებდი, „მობრძანდითო“, ისე თავაზიანად გამოგძახებდა, მეფის ასულს რომ ეკადრებოდა. ანდა, ვთქვათ, ვინმეს გამოელაპარაკე, დგახარ შენთვის, რაღაცას უყვები, ქალს კი უცებ შეიძლება რიდითა და კრძალვით ეთხოვა: „თუ ნებას დამრთავთ, თქვენს ლაბადას მე დავიკავებ“. ერთხელ ვიღაც თოთხმეტი წლის ლამაზ გოგოს უთხრა ჰომომ: „ზვინთან გამომყევიო“. ისე უთხრა, სხვათა შორის, რადგან გოგოს ზვინთან მიყვანა უცებ ისეთივე ჩვეულებრივ ამბად ეჩვენა, როგორც ცხოველს ქერის ან სიმინდის ჭამა. ქორფა პირისახეზე წარბიც არ

შეხრია გოგოს. თავზე ამასაც ადამჟამინდელი თავსაფარი ჰქონდა მოხვეული. ერთი კი დაიღუღუნა, სახეც გაუნათდა, იქვე აიწია კაბა, პაწია ნავებში წადგმული ფეხები განზე გადგა და, ჰომოს გაოგნებული სახე რომ არა, იმ თავის მხარზე გადებულ ფოცხიანად დაებერტყებოდა მიწაზე. პირდაპირ თეატრში გეგონებოდა თავი. ერთხელაც ვიღაც გლეხის ქალს ჰკითხა:

— რაო, არ მითხრა, ქალიშვილი ვარო, — და ამ ტანსრულ დიაცს, გერმანელი ქვრივის ქანდაკებას რომ ჰგავდა, ლოყაზეც მოუთათუნა ხელი; ახლაც ისე, ხუმრობით მოუცაცუნა, რადგან მამაკაცის ხუმრობაც კი მამაკაცური უნდა იყოს. ჰომოს ხელი არც მოუცილებია, ისე უპასუხა გლეხის ქალმა:

— რა თქმა უნდა!

ლამის გაშრა, ისე დაიბნა ჰომო.

— ჯერაც ქალიშვილი ხარ?! — მოახერხა ეკითხა, მერე კი გაეცინა. მაშინ ქალმაც გადაიკისკისა.

— მითხარი! — ჩააცივდა კაცი და ისევ მოუთათუნა ხელი. ქალმა ახლა პირდაპირ სახეში მიასუნთქა და სიცილით უთხრა:

— ვიყავი ერთ დროს.

— შენთან რომ მოვიდე, რით დამასაჩუქრებ? — ჰკითხა ისევ.

— რითაც ინებებთ.

— რასაც მოვინდომებ, ყველაფერს მომცემ?

— დიახ.

— მართლა ყველაფერს?

— ყველაფერს, ყველაფერს! — და ეს ისეთი გატაცებით გათამაშებული ვნება იყო, რომ ამ თეატრალურმა სცენამ ზღვის დონიდან ათას ექვსასი მეტრის სიმაღლეზე კაცი შეაცბუნა კიდეც. უცნაური აზრი აეკვიატა: ახალი ცხოვრება, ეშხიც გაცილებით მეტი რომ ჰქონდა და უწინდელთან შედარებით ნათელიც მეტი რომ ადგა, სინამდვილე კი არა, ჰაერში ლივლივით თამაში უნდა იყოსო.

ამასობაში ზაფხული დადგა. როცა პირველი წერილი მიიღო და ავადმყოფი შვილის ხელი იცნო, იმ იდუმალი ბედნიერების გახსენებაზე ჟრუანტელმა დაუარა ჰომოს. რაკი მის ადგილსამყოფელს მიაგნეს, თითქოს გვერდშიც ამოუდგნენ. გაიგეს, სადაც იმყოფებოდა, და აღარც ახსნა იყო რაიმესი საჭირო. ყველაფერი გაიგეს. თეთრი, იისფერი, მწვანე და მოყავისფრო ჩანდა მთა-ბარი. ცხადზე ცხადი გახდა ყოველივე. ფიჭვნარი ნაზი სიმწვანით მოიბურა და სულჩადგმული ზღაპარივით იდგა ზურმუხტოვან ფერდობზე. ხავსი ეხურა ქუდად იისფერ და თეთრ კრისტალებს. შუა ტყეში ქვასთან ისე იქოჩრებოდა ნაკადული, დიდ ვერცხლისფერ სავარცხელს მიამგვანებდი. ცოლის წერილებს აღარ პასუხობდა. ბუნების ათას საიდუმლოში ერთი ის საიდუმლოც უნდა ყოფილიყო, რომ ადამიანები ისედაც ერთმანეთს ეკუთვნიან. ის ნაზი, ალისფერი ყვავილიც ხომ მარტო მისი იყო. ასე ინება განგებამ და ალბათ სასწაულიც ამას ერქვა. ერთი ადგილი ტანზე დაფარული უნდა ეტარებინა და, ვიდრე ცოცხალი იქნებოდა, ჰომოს მეტს არავის არ უნდა ენახა. უცებ ესეც ისეთივე მიმზიდველი და გამოუცნობი ეჩვენა, როგორც რელიგიის იდუმალი სიღრმენი. მხოლოდ ახლა მიხ-

ვდა ჰომო, რა ჩაიდინა, როცა მიატოვა ყველაფერი და საკუთარი ცხოვრების დინებას გაჰყვა. მწვანე წვეროსან ხეებთან მუხლი მოიყარა და ხელები აღაპყრო.

არასოდეს გაუკეთებია ასე. უცებ მოეჩვენა, თავისივე თავი თვითონ მიართვაო სხვას... ხელზე საყვარელი არსების სითბო იგრძნო, ხმაც გაიგონა მისი, თითქოს პირველად ახლა შეეხნენ მის სხეულს, თითქოს სხვისი ხორცი შეესხა. საკუთარ სიცოცხლეზე ხელი აიღო. გულიც დაუმონა თავის სატრფოს, ზღვად მოაწყდა ფიცი, ცრემლი. თუმცა ერთი კია, აწ არაფრით არ დაბრუნდებოდა უკან. ჰომოს აღელვებული სული აყვავებულ მდელოს ჰგავდა, თითქოს ანარეკლი იყო მისი. და თუმცა ჯერაც ფიქრობდა მომავალზე. — გრძნობდა, აქ ამ ფრინტებისა და კესანეების ახლოს, ჯადვრებთან, ნალველა ყვავილებსა და მოყავისფრო-მწვანე მყაუნებთან დალევდა სულს. ჰომო ხავსზე გაიშოტა. „ნეტავ შენც წამყვებოდე", — ჩურჩულებდა თავისთვის და დამძიმებულ სხეულს ეს სიტყვები ისევე მიესალბუნა, როგორც ლიმილი გაქვავებულ სახეს. აქამდე ფიქრობდა, ჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობო და არც არაფერი იყო უჩვეულო, თუკი ათას სხვა სხეულში ერთი ერია ისეთი, სხვებში რომ გამოარჩევდა, — ვისი სევდა, თვალი და ჩინი ყველაფერს ერჩია. როცა ბავშვი წამოიზარდა, ყველა ეს გრძნობა ისე შეერწყა მიწიერ დარდსა და სიხარულს, აი, ხე რომ შეიწოვს წიალისეულ იდუმალებას. უყვარდა ბავშვი, მაგრამ გაჩნდა თუ არა, იმთავითვე ჩაუკლა ყოველი ფიქრი იმქვეყნიურზე. მორწმუნე ვარო, ვერ დაიჩემებდა, მაგრამ იმ წამს თითქოს სული გაუნათდა. გრძნობის ამ ლაქვარდში აზრები მხოლოდ მხრჩოლავი სანთლებივით ბჟუტავდნენ. სიტყვები დაეპატრონა, ახალგაზრდობიდან მოწეული მშვენიერი სიტყვები — მარადიული კავშირი. და როცა ამ სიტყვების აზრს დანებდა, შეყვარებულს ის პატარა ცოდვებიც შეუნდო, წლებმა რომ შეაპარეს. იდგა მარადიული დღე, დღე — პირველი. გაქრა ყველა სხვა ფიქრი, შესაძლებელი ღალატი, გულის აცრუება, რადგან არავინ გაცვლის მარადისობას ათიოდ წუთის თავქარიანობაზე. და ჰომომ მხოლოდ ახლა იგრძნო ეჭვებს გაღწეული სიყვარული, იგრძნო ისე, როგორც ციური წყალობა. განგების ხელიც ახლა დაატყო, და მარტოობაც ამ განგებამ არგუნა. ეს ალარ ჰგავდა მიწიერ განძს და ჰომო ამას ისე ალიქვამდა, როგორც მხოლოდ მისთვის განკუთვნილ ჯადოსნურ სამყაროს, სადაც ოქროებსა და ძვირფას ქვებზე მოურიდებლად დააბიჯებ.

ამ დღიდან მოყოლებული ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მკერდზე მიბჯენილი მუხლი მოაცილეს, ან ძალზე მძიმე ზურგჩანთა ჩამოხსნეს. უცებ ჩაუკვდა სიცოცხლის სურვილი, ტვირთივით რომ ზიდა წლების განმავლობაში. ალარც სიკვდილის შიში ჰქონდა. აქამდე ფიქრობდა, ერთ მშვენიერ დღეს, საღ-სალამათს, უცებ მენიშნება სიკვდილის მოახლოება და ცხოვრების ნექტარსაც ჟინიანად დავეწაფებიო. არა, მსგავსიც არაფერი მოსვლია, უბრალოდ ხელ-ფეხი გაუხსნეს თითქოს, თან რაღაც ნეტარი სიმსუბუქე იგრძნო, საკუთარი არსებობის მეუფედ რომ აქცია.

ქანი თურმე არასწორად გაუბურღავთ, მაგრამ რაც და როგორც არ უნდა მომხდარიყო, ირგვლივ მაინც ოქროს მაძიებელთა ცხოვრება ჩქეფდა. ვილაცამ ღვინო მოიპარა. ესე იგი, საერთო საქმეს ავნო და ბიჭის დასჯასაც ყველა მოიწონებდა. ისიც მოიყვანეს გათოკილი. მოცარტ ამადეო ჰო-

ფინგოტმა განკარგულება გასცა — ბიჭი ხეზე გააკარით, სხვები ჭკუას ისწავლიანო. მაგრამ როცა ასისთავმა თოკი ამოიტანა, ჯერ ცხვირწინ გაუტარ-გამოუტარა ხუმრობით, მერე კი თოკი იქვე ჩამოუკიდა, ყმაწვილი აცახცახდა, იფიქრა, ჩამოხრჩობას მიპირებენო. ქურდობა მაშინ იწყებოდა, როცა ცხენები სურსათს ამოიტანდნენ ან ორიოდე დღით ხელსაწყო-იარაღებს ჩამოზიდავდნენ, თუმცა ვინმეზე ეჭვის მიტანა ჭირდა ხოლმე. ცხენები მდელოზე გროვდებოდნენ, იდგნენ ან იქვე მიწვებოდნენ. ეს კია, მუდამ რაღაც უხილავი ძალით შეჯგუფდებოდნენ მდელოს განაპირას. ეს ყოველივე კი ესთეტიკის რაღაც იდუმალი კანონის თანახმად იმ მწვანე, ცისფერ და ვარდისფერ პატარა სახლებს გაგახსენებდა, ზელვოტის კალთაზე რომ იყო შეფენილი. ზოგჯერ ცხენებს მაღლა ამოიყვანდნენ და რომელიმე წაქცეულ ხეზე მიაბამდნენ. სამი ან ოთხი ცხენი ება ხოლმე ერთად. თუკი ღამით გაუდგებოდი გზას და ასე ხუთის ნახევრისათვის ამ ადგილს ჩაუვლიდი, ცხენები დინჯად გამოგაყოლებდნენ მზერას. ნარიყრაყევზე, როცა ყველაფერს ნათლად ხედავ და მაინც ყველაფერში ეჭვი გეპარება, შენს თავს უცებ ცხოველის უსასრულოდ ზანტ ფიქრებში გამორეულ მკვირცხლ აზრს შეადარებდი. რაკი რამდენიმე კაცს ქურდობაზე წაასწრეს, თან ბევრი საეჭვო ამბავიც მოხდა, რაც ახლომახლო ძაღლები იყო, ყველა იყიდეს. საგზაო ყარაული ჯგროდ ჩამოატარებდა ხოლმე ამ ძაღლებს. თვითეულს ორი ან სამი ძაღლი მოჰყავდა. სულ მალე იმდენი ძაღლი გაჩნდა, დათვლას ვერ აუვიდოდა კაცი. უნებლიეთ კითხვა დაგებადებოდა — რომელი არისო ამ მიწის ნამდვილი ბატონ-პატრონი და რომელი სტუმარიო. ჩვეულებრივ ქოფაკებში, პატარა ავი მაიმუნებივით რომ ვერ პოულობდნენ ადგილს, ჯიშიანი ძაღლებიც გამოერეოდა: მონადირე ან ვენეციური მეძებრები. ხროვა-ხროვად მოგროვდებოდნენ, თითქოს ერთიმეორე საამხანაგოდ ამოირჩიესო, მაგრამ დროდადრო ერთმანეთსაც აფთრებივით ებდღვნებოდნენ. მეტი წილი მშიერი დაძუნძულებდა, ზოგი კი, საჭმელიც რომ მიგეცა, მაინც არ დააკარებდა პირს. ერთმა ფინიამ მზარეულს თითი მოაკვნიტა, როცა იმან ჯამით ხორცი და წვნიანი დაუდგა. დილის ოთხის ნახევარზე უკვე ინათებდა, თუმცა მზე კიდევ კარგა ხანს არ ჩანდა. თუკი საძოვარს ჩაუვლიდი, ნახირსაც დაინახავდი. საქონელი იქვე თვლემდა, მდელოს პირზე. შემოიკეცავდნენ ფეხს, გამოზნექდნენ გავას და უზარმაზარი ნაცრისფერი ქვების დარად დაეყრებოდნენ მიწაზე; გამვლელს ყურადღებასაც არ აქცევდნენ, გატრუნული მიაშტერდებოდნენ იმ ადგილს, სადაც მზე უნდა ამოწვერილიყო, უხალისოდ იცოხნებოდნენ და იმათი ყბების შემყურე იფიქრებდი, ლოცულობენო ალბათ. როცა კი მოგიწევდა აქეთ გავლა, სულ ახლოს იგრძნობდი ბინდბუნდში ჩაფლული ზეარსების სუნთქვას, ხოლო თუკი ზემოდან გადმოხედავდი აქაურობას, გამოჩნდებოდა მდელო და თეთრად მიმობნეული ვიოლინოს რამდენიმე დადუმებული გასაღები. გაზნექილი ხერხემალი, შეკეცილი ფეხები და მომრგვალებული კუდი ქმნიდა ამ გასაღებს. რალა არ ხდებოდა ერთი დღის განმავლობაში. ვიღაცამ ფეხი მოიტეხა და ორმა კაცმა იგი ხელში აყვანილი ჩამოატარა: მერე „ცეცხლიო", — დაიძახეს, შეიქნა ჩოჩქოლი, ზოგი რას ამოეფარა, ზოგი რას: გზა გაყავდათ და უზარმაზარი ლოდი უნდა აეფეთქებინათ. წამოვიდა წვიმაც და ერთი გადავლებით გალუმპა ბალახი. ნაკადულის გაღმა ნაპირზე, ჩირგვნართან, კოცო-

ნი ენთო. ამ ამბებამდე ყველა კოცონთან იყო, დიდი თუ პატარა; ახლა კი ერთადერთი ალვის ანაბარა დარჩა იქაურობა. ყველაფერი მიატოვეს, კოცონიც, ალვაც, ხეზე თავქვე დაკიდებული შავი ბურვაკიც. ბურვაკმა ჯერ მაშინ მორთო ჭყვირილი, როცა თოკით დაექაჩნენ წასაყვანად. ამ ჭყვირილზე კიდევ ორი კაცი გამოქანდა მისკენ, შეძახილებით შეაქეზეს თოკს ჩაბღაუჭებული კაცი. ბოლოს, როცა ყურებზე დაეზიდნენ და წაათრიეს, ლორმა საწყლად დაიწყო ჭყვიტინი. ხან მიწას ფხოჭნიდა, ხან ოთხივე ფეხს ასავსავებდა, მაგრამ ყურის ტკივილი მაინც ხტუნვა-ხტუნვით მიარბენინებდა წინ. ხიდის ბოლოში ვიღაცას წერაქვი მოემარჯვებინა. მიუყვანეს თუ არა, წერაქვის წვეტიანი პირი ბურვაკს შუბლში ჩაასო. უცებ ჩაწყნარდა ყველაფერი. ბურვაკს ორივე წინა ფეხი ერთდროულად მოეკეცა და ხელახლა მაშინღა აჭყვირდა, როცა ყელში დანა გამოუსვეს; მაგრამ მალე ესეც მიწყდა და ბურვაკის ხრიალი ხმამაღალ ხვრინვას თუ მოაგონებდა კაცს. ყოველივე ჰომომ ახლა შეამჩნია, თითქოს არც კი ენახა როდესმე.

საღამოობით მღვდლის პატარა ეზოში იყრიდნენ თავს, სადაც ოთახი ჰქონდათ ნაქირავები. ეს ოთახი კაზინოდ გადააქციეს. მოსულ სტუმარს ხორცსაც დაახვედრებდნენ ხოლმე. მართალია, ხშირად ჰქონიათ ძველი ხორცი, გზაშივე აჰყროლებიათ და მოწამვლითაც ბევრი მოუწამლავს, მაგრამ ჩამობნელდებოდა თუ არა, მაინც ყველა აქეთ მოეშურებოდა. ხელის ფარნებით მოიკვლევდნენ გზას. ხან ფეხი დაუსხლტებოდათ, ხან კოჭი გადაუბრუნდებოდათ და მაინც მოდიოდნენ, რადგან კიდევ მოწამვლა ერჩივნათ მოწყენილობას და სევდას. ისე, ამ სევდასაც ჰქონდა თავისებური ეშხი. ღვინით იქარვებდნენ ნაღველს. ერთი საათის მოსულებიც არ იქნებოდნენ, მღვდლის ოთახი რომ უკვე გადაიქცეოდა ნაღველისა და ცეკვის ღრუბლიან კერად. მოოქროული გრამაფონი ურიკასავით დაგორავდა ლამაზი ვარსკვლავებით მობნეულ მდელოზე. ლაპარაკით აღარაფერს ლაპარაკობდნენ, თუმცა სათქმელს მაინც აგებინებდნენ ერთმანეთს. ან კი რა ჰქონდათ სალაპარაკო? რაზე უნდა ესაუბრათ მეცნიერს, მწარმოებელს, ციხის ყოფილ ზედამხედველს, სამთო ინჟინერსა და გადამდგარ მაიორს? ხელით ანიშნებდნენ, რისი თქმაც უნდოდათ, და შეიძლება სიტყვებიც ეს იყო—დარდის, მოლხენის, ნატვრის გამომხატველი სიტყვები — ვინ იცის, იქნებ ასე ლაპარაკობენ ცხოველები? დროდადრო რაიმე წვრილმანზე წაეკიდებოდნენ ერთიმეორეს. პირადად არავის ეხებოდა ეს წვრილმანი, მაგრამ ისე გაცხარდებოდნენ, უკანასკნელი სიტყვებითაც გამოლანძღავდნენ ერთმანეთს. მეორე დღეს კი, ხან ვისთან ჩავიდოდა შუაკაცი საქმის მოსაგვარებლად და ხან ვისთან. ბოლოს გაირკვეოდა, რომ არავინ შესწრებია იმ ამბავს. დრო ხომ უნდა მოეკლათ, ჰოდა, ამიტომაც წალაპარაკდნენო. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომც არავინ შესწრებოდა იმ დავიდარაბას, მაინც შეუკურთხავდნენ ერთმანეთს — ეგ უტუ ყასაბიო, და ჯავრსაც დიდი ხნით ჩაიდებდნენ გულში.

ერთი სულიერი საწყისი იყო ყველაფრის თავი და ბოლო: ევროპა. საღამო ხანის უსაქმურობას ისეთივე გაურკვეველი ელფერი დაჰკრავდა, როგორც სხვა დროის საქმეს ან შრომას. მოგეძალებოდა სურვილი ქალისა, ოჯახური სიტკბოსი. დროდადრო გრამაფონიც ეხმიანებოდა ამ სურვილს: „როზა, ლოძს გავემგზავროთ“, „სიყვარულის ედემში მოდი“, — ფერუმარი-

ლის ასტრალური სურნელი, აბრეშუმი, შორეული ვარიეტესა და ევროპული სექსუალობის ბურანი. უწმაწურ ანეკდოტებს ბოლო აღარ ჰქონდა და ყველა ერთნაირად იწყებდა: თურმე ერთი ებრაელი მატარებლით მგზავრობდა... მხოლოდ ერთხელ იყო, ვიღაცამ იკითხა, რამდენი ვირთხის კუდი უნდა გადააბა ერთიმეორეს, რომ დედამიწიდან მთვარეს ასწვდესო. ამ სიტყვებს სამარისებური სიჩუმე მოჰყვა. მაიორმა კი გრამაფონზე „ტოსკა“ დადო და, ვიდრე დაუკრავდა, ნაღველნარევი ხმით თქვა: „თავის დროზე სწორედ ჯერალდინ ფარარი უნდა მეთხოვაო“. მერე ოთახში ქალის ხმა გაისმა. უხილავი ხმა უცებ აიჭრა სადღაც მაღლა, მერე დაბრუნდა მთვრალ, აღტაცებულ მამაკაცებთან, მერე ისევ ავარდა მაღლა. წამით რომელიმე ნოტს მიეყინებოდა თითქოს; ისევ წამოვიდოდა თავქვე. ჯერალდინ ფარარს ქვედაკაბა უფრიალებდა. ჯერ მიეტმასნებოდა ტანზე, მერე ჰაერით ამოევსებოდა, ისევ აეკვრებოდა. ეს აღმადაღმა ქროლვა სულ უფრო და უფრო გინთებდა ცეცხლს. ჰომოც გრძნობდა, სწორედ ამის დარი ვნება ახლავსო ალბათ ეჭვებს, მკვლელობას, საქმესა თუ ჯირითს. არა, ვნებაც არ იყო, უფრო ჟინი ეთქმოდა, — ფათერაკებთან შეყრის სურვილი. ან იქნებ სხვა რამ იყო? პირალესილი დანის მოქნევა, ღვთის რისხვა და ცეცხლი, ბოროტი ფერია, ანგელოზის ახირება, ომი?

მოგრძო ბუზიჭერია ქალალდს, ჭერზე რომ იყო აკრული, ბუზი მოწყდა და ჰომოს ცხვირწინ გულაღმა დაეცა მოწამლული. ჭრაქის შუქი მუშამბის მკრთალ ნაკეცებში იღვრებოდა და მწერიც სინათლის ამ გუბეში ჩავარდა. ისეთივე უხალისობა სუფევდა ირგვლივ, აი, ადრე გაზაფხულზე რომ იცის ხოლმე, როცა ნაწვიმარზე ქარი ამოვარდება და ყოველივეს ერთიანად მოატიტვლებს. მწერმა გადაბრუნება სცადა, ერთი-ორჯერ სუსტად გაიბრძოლა. მეორე ბუზი კი, იქვე რომ ციცქნიდა რაღაცას, დროდადრო პირველთან გადაფრინდებოდა ამბის გასაგებად. მწერის ტანჯვას ჰომოც არ აშორებდა თვალს. როცა სიკვდილი მოახლოვდა, მომაკვდავმა ექვსივე პაწია ფეხი ერთმანეთს მიაწყო და სინათლის ლაქაზე ისე განუტევა სული, თითქოს მყუდრო საფლავს მიაგნოო. ვერც კვნესას გაიგონებდი, თვალითაც ძნელად თუ შეამჩნევდი, მაგრამ განა საფლავი არ ეთქმოდა? ამასობაში ვიღაცა ყვებოდა: ერთმა მოცლილმა გამოიანგარიშა, როტშილდების მთელი საგვარეულოც ვერ მოაქუჩებსო საიმისო ფულს, რომ მთვარემდე თუნდაც მესამე კლასის ბილეთი შეიძინოსო. ჰომომ კი თავისთვის ჩაილაპარაკა: „ჰკალ, თან ღმერთისა გწამდეს, გწამდეს და მაინც ჰკალ?!“ მერე კი წკიპურტის წაკვრით ბუზი პირდაპირ სახეში მოახვედრა მაიორს და მომდევნო დღის საღამომდე ისევ გაჩნდა სალაპარაკოც, გასარჩევიც.

იმხანად გრიჯია კარგა ხნის გაცნობილი ჰყავდა. ისიც შესაძლებელია, რომ ქალი მაიორის ნაცნობიც ყოფილიყო. სხვათა შორის, „გრიჯია“[1] თვითონ ჰომომ შეარქვა, სინამდვილეში კი ლენე მარია ლენცი ერქვა და ეს სახელი ისევე ყღერდა, როგორც ზელვოტი, გრონლაიტი ან მალგა მენდანა, ამასთან ამეთვისტოს თვალსა და ყვავილებს გახსენებდა. მაგრამ ჰომომ მაინც „გრიჯია“ აიჩემა. ასე ერქვა ქალის ნაცარა ძროხას. ჰომო უსაშველოდ გააგრძელებდა ხოლმე პირველ მარცვალს, „ჯ“-სთან კი წამით სუნ-

[1] grigia — ნაცრისფერი, ნაცარა (იტალ.).

თქვას შეიკრავდა. როცა თავსაფარწაკრული გრიჯია თავისი მოყავისფრო-მოიისფრო კაბით მდელოს პირზე ჩამოჯდებოდა და ყელსაც მოიღერებდა, შორიდან კოპწია შხამასოკოს მიამსგავსებდა. იჯდა ხოლმე თავისთვის, ჰოლანდიური ფეხსაცმლის წაწვეტებული ჭვინტები უცნაურად დაელრიკებოდა, ხელებს ჭრელ წინსაფარზე დაიწყობდა და საძოვარზე გაშვებულ საქონელს მოკლე-მოკლე ბრძანებებს აძლევდა, უფრო სწორედ, „მოო“-ს ან „ჰოო“-ს გასძახებდა, რაიც ალბათ „მოდი აქ“ ან „გაჩერდიო“ ნიშნავდა. ზოგჯერ ნაცარა ყურსაც არ გაიპარტყუნებდა. აი მაშინ კი მოუვიდოდა გული, ხმას აუწევდა და, „ჰაიტ, შე სამგლეო“, — მიაწყევლიდა. ხოლო თუ კი ძროხა მიჩენილ ზღვარსაც გასცდებოდა, გრიჯია ერთ ამბავს დააწევდა, ქვასავით მოწყვეტით ჩაქანდებოდა მდელოსკენ და მიუახლოვდებოდა თუ არა, ხელში მომარჯვებულ ჯოხს ნაცარას ესროდა. გრიჯიას ერთი ფერდობი ჰქონდა ამოჩემებული, იქიდან გაჰყურებდა მობალახე ძროხას და რაკი ჩარბენ-ამორბენაც ერთი გზით უწევდა, საქანელაც ამიტომ გაგახსენდებოდა. თუმცა ეს კია, გრიჯია ერთხელ ჩაქანდებოდა მხოლოდ, მერე ერთხანს ისევ შეიცდიდა ფერდობზე. ყოველივე ძალზე წააგავდა სამოთხისეულ მიამიტობას და ქალის გამოსაჯავრებლად ჰომო მასაც გრიჯიას უძახდა. კარგა ხანია შეამჩნია თავის თავს, რომ თვალს მოკრავდა თუ არა გრიჯიას, გულისცემაც აუჩქარდებოდა; ასე მაშინ აგიჩქროლდება გული, როცა დაბურულ ნაძვნარში შედგამ ფეხს, ან არადა იმ მწკლარტე სურნელს იყნოსავ, ფოკმოდებულ ნესტიან მიწას რომ აუვა ხოლმე. დიდებული გრძნობაა, მაგრამ რაღაც ხინჯი მაინც ახლავს, ყოველთვის ახლავს, თუმცა მეტს არც არაფერს უნდა მოელოდე და არც გული უნდა დაგწყდეს, ასეთი ბუნებრივი რომ არის ბუნება, ასეთი მიწიერი, ასეთი ტლანქი, შხამიანი და არაადამიანური ყველაფერში, სადაც კი ადამიანი ნებაზე მიუშვებს. ვინ იცის, ეგების ბუნებასთან გრიჯიას ეს მსგავსება იყო მიზეზი, ჰომო რომ დაატყვევა. ალბათ ეს იყო, და კიდევ ის უსასრულო გაოცებაც, რომ გრიჯია მაინც ხორციელ ქალს ჰგავდა. აი ხომ გაგიკვირდება, უსიერ ტყეში ქალიშვილი რომ დაინახო ჩაის ფინჯნით ხელში.

„მობრძანდითო“, — გრიჯიამაც ასე გამოსძახა, როცა ჰომომ პირველად მიუკაკუნა კარზე. ქალი ბუხართან იდგა და ცეცხლზე ქვაბის შედგმას აპირებდა. ვიდრე ხელს გაითავისუფლებდა, სამზარეულოს სკამზე ანიშნა. მერე გაულიმა, ხელები წინსაფარზე შეიმშრალა და სტუმრებს ხელი ჩამოართვა; ლამაზი და ხეშეში ჰქონდა ხელი, ისეთივე ხეშეში, როგორც თხელზე თხელი ზუმფარა ან ბაღში დაყრილი მიწაფხვნილია. სახის თლილ ნაკვთებს ოდნავ დამცინავი იერი დაჰკრავდა. ასე ჩანდა, გვერდიდან რომ შეგეხედა. ტუჩს მოკუმავდა ხოლმე, ნერწყვის გადაყლაპვისას რომ მოკუმავ ისე, თუმცა რომც დაემუწა, მაინც კუპიდონის მშვილდივით ექნებოდა მოზიდული. ჰომოსაც მოსწონდა მისი ტუჩები. მართალია, იმ ნატიფ ტუჩებსაც ემჩნეოდა რაღაც სიჯიუტე, ურჩობა, მაგრამ არც ხალისი აკლდათ და არც უდარდელობა, ყოველივე კი ძალზე უხდებოდა გრიჯიას ველური ფესვებივით დაღრეკილ ფეხსაცმელს. — რაღაც საქმეზე მიაკითხეს. გამომშვიდობებისას გრიჯიას სახეზე ისევ გამოკრთა ღიმილი და ქალმა შეიძლება ხელიც იმაზე მეტ ხანს გაუჩერა მარჯვენაში, ვიდრე საერთოდაა მიღებული. ქალაქში ასეთ რამეებს ყურადღებასაც არ მიაქცევ, მაგრამ აქ,

ამ მარტოობაში, მსგავსი ამბავი შეგძრავს და ისევე გაგაშეთებს, როგორც ხის უცნაური რყევა: უყურებ ხეს, ტოტი კი ისე ირწევა, რომ არც ქარის დანაბერსა ჰგავს და არც აფრენილი ჩიტის კვალად გენიშნება!

მალე ჰომო ქალის საყვარელი გახდა; ეჭვგარეშეა, ყოველივე მისდაუნებურად მოხდა და გულთანაც მიტომ მიიტანა. მეორედ სტუმრობისას გრიჯია გვერდით მიუჯდა. ჰომომ კი, რაკი უნდოდა გაეგო, რის უფლებას მისცემდა ქალი, გრიჯიას მუხლისთავზე დაუსვა ხელი, ხოლო როცა ისიც უთხრა, ამ მიდამოში შენზე ლამაზი არავინ მეგულებაო, ქალმა თავისი ხელი ჰომოს ხელს დაადო და ალბათ ყველაფრის თანხმობაც ამით თქვა. დასტურად ჰომომ აკოცა კიდეც, გრიჯიამ კი ისე გააწლაპუნა ენა, თითქოს ტუჩებზე მოყუდებულ დოქს ძლივს შეელიაო. თავდაპირველად შეაცბუნა ქალის ამ ქცევამ და სულაც არ გაბრაზებულა, როცა გრიჯია სხვა ვერაფერზე დაითანხმა. რისი ბრალი იყო — ვერ მიხვდა. აქაურებისა არაფერი არ ესმოდა, არც ადათ-წესები იცოდა მათი და თავი იმით ინუგეშა, ჩემსას სხვა დროს მივაღწევო. „ზვინშიო", — უთხრა ქალმა გამომშვიდობებისას და, როცა ჰომო უკვე კარებთან იდგა, გრიჯიამ „ნახვანდის"-ო დაადევნა და გაულიმა.

შუა გზაში იყო, როცა ბედნიერად იგრძნო თავი; ისე მოუვიდა, აი, მაგარ სასმელს რომ დალევ და ღვინოც თანდათან მოგეკიდება. საბძელში გრიჯიასთან ერთად შესვლა ისევე ახარებდა, როგორც ბავშვს ძალზე ბავშვური ოინის მოფიქრება. შეაღებ ხის მძიმე კარს, შეხვალ, ისევ მიხურავ, აჭრიალდება ანჯამები და ყოველ გაჭრიალებაზე სულ უფრო და უფრო ქუფრდება წყვდიადი, ვიდრე ამ სიბნელეში ერთმანეთს არ მოძებნით. ჰომოს ქალის კოცნა გაახსენდა, სულ ახლოს ჩაესმა მისი ენის წლაპუნი, მერე კი ვიღაცამ თითქოს ჯადოსნური ჯიღა დაადგა თავზე. თვალწინ დაუდგა მოსალოდნელი და გლეხურ მადიან სმა-ჭამაზე ფიქრი მოეძალა. აქაურებიც დიდხანს, წლაპუნ-წლაპუნით ღეჭავდნენ საჭმელს, ყოველ ლუკმას გემოს ატანდნენ. ცეკვითაც ასე ცეკვავდნენ, — დინჯად, თადარიგიანად, ალბათ ყველაფერში ასეთი თადარიგი იცოდნენ; მათი ცეკვის შემყურეს აღელვებისაგან ძალაც გამოგელეოდა მუხლებში, ისიც მოგეჩვენებოდა, თითქოს მიწაში ჩაგეფლო ფეხი. ცეკვის დროს თვალებს მოხუჭავდნენ, გულგრილ გამომეტყველებას ნიღაბივით აიფარებდნენ პირსახეზე — სალაპარაკო არ გაჩნდესო; ერთს არ ამოიოხრებდნენ, ხოჭოებისა არ იყოს, თავს მოიმკვდარუნებდნენ და მთელ გულისყურს თავის თავს მიაპყრობდნენ. გრიჯიასაც ასე დაემართა; ჯერ ქუსლით გაქექა შემორჩენილი ნაზამთრალი თივეული, მერე მოაქუჩა და უკანასკნელად მაშინ გაულიმა, როცა კაბის კალთა ქალბატონივით აიკაპიწა, გეგონებოდა, წინდის გასწორება უნდაო, სხვა არაფერი.

თითქოსდა ჩვეულებრივი ამბები იყო, მაგრამ ისევე მოგნუსხავდა კაცს, როგორც ცხენების, ნახირისა თუ იმ დაკლული ბურვაკის ნახვა. ჰომოს სისხლი აუვარდებოდა ხოლმე თავში, როცა მორებთან გაჰყვებოდა გრიჯიას, ამ დროს კი ქვის ბილიკზე ბრაგუნ-ბრაგუნით ჩამოივლიდა ვინმე, ქალი წარბსაც არ შეიხრიდა, ასე იფიქრებდი, შორიდანვე ატყობს, მორებთან რომ არავინ იყო მომსვლელი. სიტყვებიც თავისი ჰქონდა გრიჯიას, — თილისმა სიტყვები. ცხვირის მაგიერ „ცვირს" ამბობდა, ფეხის ნაც-

ვლად „ბარძაკს“, „წინფასარი“— წინსაფარს ნიშნავდა. გრიჯიამ ისიც თქვა: „ამდენს ჭორაობენ, ლოგინში კი სუ ცოტა ვიწექით“. ერთ დღეს ჰომო დაემუქრა, აღარ მოვალო. გრიჯიას ჯერ გაეცინა, მერე კი უთხრა: „მე რომ ბედნიერი ვარ!?“ აქ კი დაიბნა ჰომო, ვერ გაარკვია, შეაშინა ამ სიტყვებმა თუ გაახარა. ალბათ გრიჯიამაც შეატყო დაბნეულობა, რადგან ნათქვამს კითხვა მიაყოლა: „ხომ ძაან არა ნანობ?“ ნაქარგს ჰგავდა გრიჯიას სიტყვები, წინსაფარზე ან თავსაფარზე გამოყვანილ ნაქარგს, ან სულაც წინდის ყელზე შემოვლებულ არშიას. სიტყვები მხოლოდ ჰგავდნენ სიტყვებს; ამდენი ხეტიალისაგან მოღლილებმა თითქოს ახალ სამყოფელს მოუსადაგეს თავი, თუმცა მაინც უცხო და იდუმალი სტუმრებივით გამოეფინებოდნენ ხოლმე. ამისთანა სიტყვები ეკერა პირზე გრიჯიას და როცა აკოცებდა, ვერაფრით ვერ იტყოდა ჰომო, მართლა უყვარდა ქალი თუ მხოლოდ სასწაულთან ჰქონდა საქმე; გრიჯიაც საიმისოდ ეჩვენებოდა მოვლენილი, რომ ჰომო და მისი საყვარელი ქალი მარადისობასთან ერთად მიეყვანა. ერთხელ გრიჯიამ პირდაპირ უთხრა: „სუ სხვა რამეებს ფიქრობთ, განა ვერ ვხედავ“. ხოლო როცა ჰომომ რაღაც მიკიბ-მოკიბული უპასუხა, გრიჯიამ ერთი თქვა: „პესიალური სკიუზი იმიზეზეთ“. ჰომო ვერ მიხვდა, ჰკითხა, რას ნიშნავსო, მაგრამ ხმა ვერ ამოაღებინა ქალს და ისევ გრიჯიას რომ არ ამოეღერღა ბოლოს, ჰომო ვერაფერს გამოიცნობდა. ამ ორიოდე საუკუნის უკან ამ მხარეში ფრანგები ყოფილან და ეს სიტყვა თავის დროზე excuse[1] თუ იქნებოდა; მაგრამ იქნებ სხვაც ყოფილიყო, სხვა რაღაც უჩვეულო.

ადამიანი ამას ან გრძნობს ან არა. პრინციპულ კაცად თუ გიცნობენ, ამ თემაზე ლაპარაკს ხუმრობად ჩაგითვლიან, მხოლოდ ხუმრობად, მაგრამ ადამიანი უპრინციპოც ხომ შეიძლება იყოს, არაფრად ჩააგდოს პრინციპები ან სულაც ერთბაშად შემოელიოს ყველა — აი, ჰომოს რომ მოუვიდა ისე. ბუნების უხილავი ძალები ხომ სწორედ იმას დაეუფლებიან, რასაც უპატრონოდ მიტოვებულს ნახავენ. სანაცვლოდ ახალი „მეც“ არ გამოიმეტეს, ჭარბი ბედნიერებისაგან გაამაყებული ან თუნდაც ჩვეულებრივი მიწიური „მე“. უბრალოდ ჩაუსახლდნენ სულის ლამაზ ღიობებში. ჰომო გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას. ჯერჯეროობით ეს იყო და ეს. სადღაც გაწყდა ძველი ცხოვრება და ჰომოსაც შემოდგომის პეპელასავით დღითიდღე ელეოდა ძალა.

ზოგჯერ გრიჯიასაც გაანდობდა გულისნადებს; ისიც თავისებურად გამოჰკითხავდა წვრილმანებს, მისეული მოწიწებით, თავკერძოობის ნატამალიც რომ არ ეტყობოდა. ქალს ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა, რომ შორს, ამ მთების მიღმა ის ადამიანები ცხოვრობდნენ, ვინც ჰომოს გრიჯიაზე მეტად უყვარდა, უყვარდა სულითა და გულით. აი ეს სიყვარული არ უნელდებოდა ჰომოს, პირიქით, სულ უფრო მეტად ეძალებოდა, მაგრამ იგი ვერც ვერაფერში ეხმარებოდა ახლა, ვერც უშლიდა რამეს. ამასთანავე ჩამოსცილდა ყოველივე მიწიერი, — ასეთი კი მხოლოდ მაშინ ხდება სიყვარული, როცა დღეები დათვლილი გაქვს და სიკვდილს ელოდები; და თუმცა ჯერაც ჯანმრთელი იყო, მაინც ისე დაემართა, თითქოს დავრდომილმა ორთავე ყავარჯენი მოისროლა და გზა თავაღერილმა განაგრძო.

---

[1] excuse — ბოდიში (ფრან.).

ლადო გუდიაშვილი



ზღაპარი წითელი რაშისა. 1960 წელი. ფერწერა.

[illegible]



ბრძაზელი ნაზიზროლა. 1978 წელი. პახტელი.

ეკატერინე ბებია ბელი ფიოტრი

როცა თიბვის ალოობამ მოაწია, უფრო შეაწუხა წინათგრძნობამ. ბალახი მოეთიბათ უკვე, გაეხმოთ და ველზე გატანამდე ძნებად უნდა შეეკრათ მხოლოდ. ჰომო იმ მაღლობზე იდგა, მოზიდულ საქანელასავით რომ ეკიდა მოშორებით. ვიღაც გოგო, დაწინწკლულკაბიან თოჯინას რომ ჰგავდა მინის ზარივით გადმომხობილი ცის თაღქვეშ, უსაშველოდ დიდ ძნას კრავდა. ჯერ მუხლები მიაბჯინა, თივა ხელებით ჩაზეპა და მუცლით ვნებიანად გადააწვა ნაკრაულს. როცა ხელები ქვემოდან ამოსდო, ძნიანად გადაწვა გვერდზე და სადამდეც შემოუწვდა, ცალი მკლავი იქ წაატანა. მერე წამოიჩოქა, ჯერ ცალ მუხლზე, შემდეგ მეორეზე. ჰომოს კი რატომღაც ისევ ხოჭო მოაგონდა, ამ გოგოს შემყურეს. ბოლოს თოკით შეკრულ ძნას ზურგი შეუყუდა და მძიმედ წამოდგა. დიდი გამოვიდა ძნა, იმ დაწინწკლულკაბიან პაწია არსებაზე უფრო დიდი. — ან იქნებ მხოლოდ ჰგავდა გრიჯიას?.

როცა გრიჯიას ეძებდა და ზვინების გრძელ რიგს ჩაუყვებოდა, გლეხებს ფერდობის პირას ვაკეზე რომ წამოეყუდებინათ, ქალებსაც იქვე წაწყდებოდა ხოლმე. შეავლებდა თუ არა თვალს, ანაზდად გაშტერდებოდა: ისე იწვნენ ზვინებთან, როგორც მიქელანჯელოს ქანდაკებანი მედიჩების კაპელაში. იდაყვს დაყრდნობილებს თითქოს წყლის დინებისთვის მიენდოთ ტანი. თუკი ჰომოსთან ლაპარაკისას ენაზე ნერწყვი მოადგებოდათ, ისე მარჯვედ გადააფურთხებდნენ, ლამის სიცილი მოგრეოდა კაცს; ზვინიდან სამი თითით ამოაძრობდნენ მწიკვ თივას, დარჩენილ ღრუში ჩააწიტებდნენ და ამ მწიკვითვე დაუცობდნენ თავს... ხოლო თუ ჰომოსავით იყავი გაშინაურებული, იმათი ულაზათო, ტლანქი ღირსება შეგაშინებდა კიდეც: ქალებთან იშვიათად თუ ნახავდა გრიჯიას. როცა ბოლოს მიაგნებდა, ქალი სადმე ნათესებთან დახვდებოდა ჩაჩოქილი და ღიმილსაც უმალ შეაგებებდა. იცოდა, ორი კაბის გარდა არაფერი ეცვა. თლილ დაკოჟრილ თითებში ჩაცურებული ფხვიერი მიწაც ალბათ უკვე კაბის შიგნით ჩაყროდა ქალს, მაგრამ ეს უკვე აღარ იყო მისთვის უჩვეულო, ამასაც შეეგუა. თუმცა ყოველივე ისე იყო არეულ-დარეული, რომ იმ დროს, როცა ნათესებთან ნახა ქალი, იქნებ ჯერ არც ბალახი ჰქონდათ გათიბული, არც ზვინები იდგა.

საბძელები თივით გამოივსო. ძელებს შორის დარჩენილი ღრიჭოებიდან ვერცხლისფერი სინათლე გამოსჭვიოდა, თივა მწვანედ ზიმზიმებდა, ჭიშკართან ოქროსფრად ბრწყინავდა ფილაქანი.

მჟავე სუნი უდიოდა თივას, ისეთივე მჟავე, როგორც ზანგების სასმელს, დაჩეჩქვილი ხილისა და ნერწყვისაგან რომ აყენებენ. აქაც ხომ ველურებთან გიწევდა ცხოვრება. ჰოდა, მარტო ამის გახსენებაც კმაროდა, რომ აფუებულ თივასთან, სიცხეში, კიდევ უფრო მეტად შეგხუთოდა სული.

რით არ ეზიდებოდნენ თივას — ზურგით, ურმით. ზოგს კოჭები უჩანდა მარტო, ისე იყო თივაში ჩამალული. დროდადრო წაიფორხილებდა კიდეც, მაგრამ მაინც აგრძელებდა გზას. ზოგიც ისე იწვა ზვინზე, იფიქრებდი, მამაზეციერის ხელისგულზე ლეკვი ან ცინდალი ნებივრობსო. ხანდახან იმასაც ნახავდი, რომ მომწვანო ღრუბელზე წმინდანივით იდგა ვინმე და ზეცისაკენ მიიოლტვოდა.

ქორწილებისა და ამაღლების დღეები იდგა.

გრიჯიამ კი ერთ მშვენიერ დღეს უთხრა: აღარ გაგრძელდებაო ასე. მიზეზი ვერაფრით ათქმევინა ქალს. მომუწული ტუჩები და შუბლზე დაყო-

ლებული ღარი კარგს არაფერს მოასწავებდა. უწინ მხოლოდ მაშინ დაეტყობოდა ნაოჭი, როცა ჰომოს დაეკითხებოდა, აწ რომელ სათივეში მოვიდეო. იქნება ქვეყნის ყბაში ჩავარდნენ კიდეც — მაგრამ ასე არ უნდა ყოფილიყო, რადგანაც თუ ვინმე შემოხვდებოდა, ისე გაუღიმებდა ჰომოს, კაცი ფიქრობდა, ჯერჯეროობით არავინ გვძრახავსო. გრიჯია არაფერს უხსნიდა, გაურბოდა კიდეც. არა, შეხვედრით მაინც ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ქალმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, არაფრით არ გატეხა სიტყვა და ისევე გაჯიუტდებოდა ხოლმე, როგორც ვინმე ურწმუნო გლეხი.

ის ამბავიც ცუდად ენიშნა ჰომოს, საღამო ხანს რომ შეემთხვა. ღობესთან იდგა და შეხსნილ გამაშებს ხელახლა იკრავდა, როცა ვიღაც გლეხის ქალმა ჩაუარა და მეგობრულად უთხრა: „სუ მოიძრეთ, მალე ხო მაინც ღამეა". გრიჯიას სახლი აქედან ორ ნაბიჯზე იყო და როცა ჰომომ გრიჯიასაც უთხრა ქალის გადაკრული ნათქვამი, იმან ჯერ ნერწყვი გადაყლაპა, მერე კი ქედმაღლურად დააყოლა: „ილაპარაკონ მერე, ვერ აუშლი". — ასე უპასუხა, მაგრამ, ეტყობოდა, ფიქრით სხვაგან იყო. აი მაშინ კი უცებ ჰომოსაც გაახსენდა ის უცნაური ქალი, აცტეკ დედაკაცს რომ ჰგავდა და შავი თმაც მხრებზე რომ ჰქონდა ჩამოშლილი. მოაღწევდნენ თუ არა გრიჯიას ეზოს, ის ქალიც იქვე დაუხვდებოდათ. სამი ლოყებლაჟღაჟა ჩვილი გარს ეხვეოდა. მაგრამ არც ჰომო, არც გრიჯია აინუნშიც არ აგდებდნენ იმათ აქ ყოფნას; გლეხის ქალი ერთადერთი სულიერი იყო, ვისაც არ იცნობდა ჰომო, თავის დროზე თვალშიაც შეეჩხირა, მაგრამ რატომღაც არასოდეს უკითხავს ქალის ვინაობა. თითქოს არც ქალის ჯირკუტანა ბავშვები ჩააგდო რამედ, არც იმისი გამოჩორკნილი სახე. მხოლოდ ახლა მოუვიდა აზრად, რომ შეიძლება სწორედ ის ქალი ყოფილიყო ხიფათისა თუ განსაცდელის მიზეზი. ვინ არის, საიდან გაჩნდაო, — ჰკითხა გრიჯიას, მაგრამ ამან მხრები აიჩეჩა მხოლოდ და გაჯავრებულმა თქვა: „თითონ არ იცის, რაზ პრუტუნებს, სუ ალთა-ბალთას იძახის". მერე თითი შუბლთან სწრაფად მიიტანა, თითქოს ასე დაადასტურებდა თავისი ნათქვამის სისწორეს.

რაკი გრიჯია უარზე იდგა და საბძლებში აღარ მიჰყვებოდა, ჰომომ მაღლა მთებში მოიფიქრა ასვლა. თავდაპირველად ქალმა ამაზეც უარი უთხრა, მაგრამ როცა ჰომომ ბოლოს მაინც დაითანხმა, გრიჯიამ — „კაი, წავიდეთო", — ისე თქვა, რომ ჰომოს ორაზროვანი ეჩვენა მისი ნათქვამი. მშვენიერ დილად დაიქარგა ის დღე; სადღაც შორს დარჩა ადამიანებისა და ღრუბლების ჯარი. გრიჯია ყველა ქოხს არიდებდა თავს და როცა უკაცრიელ, გაშლილ ველზე გავიდნენ, ჩვეული უდარდელობის ნაცვლად შიში და წუხილი დაეტყო. ჰომოს მოთმინება დაეკარგა. იქვე ძველი გვირაბი ეგულებოდა, მუშებს რომ უკვე მიეტოვებინათ, და გრიჯია იქ შეიყვანა. როცა უკანასკნელად მოიხედა, ერთ-ერთი მთის ქიმთან თოვლს მოჰკრა თვალი; ქვემოთ კი, მზის გულზე, პატარა მდელო და შეკრული ძნები დაინახა. მთის ქიმსაც, ოქროსფერ მდელოსაც ლაჟვარდი ცა ეფარა. გრიჯიამ ჰომოს მზერა შეამჩნია და თითქოს ისევ რაღაც გადაუკრაო, ნაზად უთხრა: „დარჩეს ლაშვართად, უფრო ლავაზი იქნება". აღარ გახსენებია ეკითხა, რა იგულისხმა ამ სიტყვებში, რადგან დავიწროებულ სიბნელეში უკვე ხელის ცეცებით მიიკვლევდნენ გზას. წინ გრიჯია მიდიოდა. როცა ბოლოს გვირაბი პატარა დარბაზად იქცა, შეჩერდნენ და ერთმანეთს ჩაეხვივნენ. მიწა მშრა-

ლი ჩანდა. ისინიც ისე დაწვნენ, ჰომოს არც გახსენებია ასანთი გაეკრა და სინათლეზე ენახა, სად წვებოდნენ. რბილი, გამომშრალი მიწის დარად გრიჯია ერთხელაც ჩაეფხვნა ჰომოს. მერე იგრძნო, როგორ გაუმკვრივდა და გაუშეშდა ქალს ნეტარებისაგან სხეული. გვერდიგვერდ იწვნენ ბნელში და ჩუმად გაჰყურებდნენ შორეულ ოთხკუთხედს, სადაც თეთრად ქათქათებდა ნათელი. ჰომოს მოაგონდა, როგორ ამოდიოდნენ აქეთ, როგორ აუარეს გვერდი სოფელს, როგორ მიჰყვებოდნენ ერთმანეთს; თვალწინ დაუდგა გრიჯიას ცისფერი წინდები, მუხლისთავთან შემოვლებული ფორთოხლისფერი არშია, ქალის ფეხსაცმელები. იმის რწევა-რწევით სიარულიც გაახსენდა. მოაგონდა, იქვე გვირაბთან რომ შეჩერდნენ, როგორ მიიხედა უკანასკნელად და როცა ხელახლა დაუდგა თვალწინ პატარა ოქროსფერი მდელო, შემოსასვლელის სინათლეზე უცებ გრიჯიას ქმარს შეასწრო თვალი.

ამ ადამიანზე, სხვებთან ერთად მთებში რომ ჰყავდათ გაგზავნილი, არასოდეს უფიქრია ჰომოს; უყურებდა ახლა იმის წაწვეტებულ სახეს, ბრაკონიერის ეშმაკურ შავ თვალებს და ის ერთადერთი შემთხვევაც უმალ მოაგონდა, როცა ამ კაცის ხმას მოჰკრა ყური; ძველისძველი გვირაბიდან მოესმა მისი ნათქვამი. სხვამ ვერავინ გაბედა იქ შეძრომა, ამან კი ასე დაიძახა: „ამაზე იწროში შევსულვარ, გამოსვლაა ძნელი". „ჰომომ რევოლვერს წაატანა ხელი, მაგრამ იმავე წამს ლენე მარია ლენცის მეუღლე გაუჩინარდა და სიბნელეც უცებ კედელივით ჩამოწვა. ბნელში ძლივს გააღწია გასასვლელთან, გრიჯიაც ტანსაცმელზე ებღაუჭებოდა. მაშინვე მიხვდა ჰომო, რომ გზაზე ჩალობილ ლოდს ძვრასაც ვერ უზამდა. ახლა ისიც იცოდა, ამდენ ხანს რატომ დააცალა იმ კაცმა. ეტყობა, იმასაც დიდი დრო დასჭირდა, ვიდრე კეტს ამოიტანდა და ბერკეტად იხმარდა.

გრიჯიამ ლოდთან ჩაიჩოქა, საცოდავად იხვეწებოდა, თავბედს იწყევლიდა, მაგრამ არც ერთი შველოდა, არც მეორე. გულისამრევი სანახავი იყო. იფიცებოდა, რომ ისეთი არაფერი ჩაუდენია, რომ ასეთ უმსგავსოებას აღარასოდეს ჩაიდენდა. უცებ გოჭივით აჭყვირდა, მერე დამფრთხალი კვიცივით უაზროდ მიასკდა ლოდს. ბოლოს მიხვდა ჰომო, ძალზე ბუნებრივი რომ იყო ქალის საქციელი, მაგრამ თვითონ, განათლებულმა კაცმა, პირველად ვერაფრით დააჯერა თავი, რომ შეიძლება მართლაც მომხდარიყო ამგვარი რამ. ჰომომ ხელები ჯიბეებში ჩაიყო და ქალის მოთქმას კედელს მიყრდნობილი უსმენდა. მოგვიანებით თვითონაც სცნო საკუთარი ბედისწერა; თითქოს სიზმარში დაენახოს, ისე იგრძნო, როგორ თანდათან იკვრებოდა მის ირგვლივ ბედისწერის წრე და სულ მალე საუკუნო ძილისთვის მოახუჭვინებდა თვალს. ნაზად მოხვია ხელი გრიჯიას და გვირაბში შეაბრუნა. მერე გვერდზე მიუწვა და რაღაცის მოლოდინში გაიტრუნა. შეიძლება უწინ ფიქრობდა, რომ აი ასეთ სამუდამო ტყვეობაში სამსალასავით მწარე იქნებოდა სიყვარული, მაგრამ ახლა საერთოდ აღარ ფიქრობდა გრიჯიაზე. თითქოს ჩამოეცალა ქალი, თუმცა ჯერაც გრძნობდა იმისი მხრების სითბოს. ჰომოს საკუთარი ცხოვრებაც გაერიდა, არა, სადღაც იქვე კი ეგულებოდა, მაგრამ არც ისე ახლოს, რომ ხელით შეხებოდა და მოფერებოდა. საათობით იწვნენ გაუნძრევლად, დღეს ღამე ცვლიდა, ღამეს — დღე. შიმშილწყურვილი, ვით მზის უხეირო ნაწილი, უკან ჩამოიტოვეს, სულ უფრო ელეოდათ ძალ-ღონე, დაჰყარეს ხორციც და აღარც ხმას იღებდნენ. ბურანის

ოკეანეში პატარ-პატარა კუნძულებად ამოტივტივდებოდა ხოლმე სიფხიზლე. ერთხელაც, აი ასე წუთით გამოღვიძებული, შეკრთა: გრიჯია წასულიყო. გული ეუბნებოდა, ეს ამბავი ახლახან უნდა მომხდარიყო. ჰომოს გაელიმა; გრიჯიას არაფერი უთქვამს, ისე წავიდა, ალბათ მისი აქ დატოვება მოინდომა და საბუთად ეს თუ მიუტანა ქმარს!.. წამოიწია, მიიხედ-მოიხედა; მხოლოდ ახლა შეამჩნია სუსტი სინათლე, გვირაბის სიღრმეში რომ კრთოდა, და იქით გაღოღდა, მთელი იმ ხნის განმავლობაში თურმე სხვა მხარეს იხედებოდნენ. აღმოაჩიხა კიდეც ის ვიწრო გასაძრომი, გარეთ რომ გაიყვანდა. გრიჯიას, მართალია, თხელი ტან-ფეხი ჰქონდა, მაგრამ ჰომოს რომ გაეჭირვებინა, ისიც გაეტეოდა. ეს იყო ერთადერთი ხსნა. მაგრამ უკვე ძალზე მისუსტებული იყო, შეიძლება გრძნობაც დაჰკარგა იმ წამს, ან იქნებ სურვილი აღარ ჰქონდა დაბრუნებოდა ცხოვრებას.

ქვემოთ კი, ზუსტად ამ დროს, რაკიღა შედეგი არაფერმა არ გამოიღო და მუშაობასაც აზრი არ ჰქონდა, მოცარტ ამადეო ჰოფინგოტმა ბრძანება გასცა, მუშაობა შესწყვიტეთო, და ხალხი დაითხოვა.

ლუმიტრუ მ. ირნი

ლექსები

რუმინულიდან თარგმნა **მორის ფოცხიშვილმა**

მელანქოლიის მელანქოლია

ვზივარ ხის სკამზე
ნახევრად მკვდარი,
ხის სკამზე ვზივარ
და ხეებს ვუმზერ,

გადამიფრინეს
ხისგულა ცაზე
ხისმტრედებმა და
დამასხდნენ გულზე.

ხის ბაღში ხის სახლს
ხის ცრემლი დასდის,
შენ შვილი ჩემი
ხის გეშით გეძებს.

— სადა ხარ! — გიხმობს
ხის თეთრი ლანდი,
შენ ხმას არ იღებ
გასული ხეზე...

ხარ ხის ნაყოფში,
ვით ვაშლის კურკა,
ცრემლის ფულუროს
თმობს ჩემი ბავშვი,

— სადა, ხარ? — ყვირის,
რამეთუ უყვარს...
მაგრამ გაჩნდება
ხის ორი რაში...

და რაღაც მიაქვთ,
როგორც ოცნება,
ხისფერი მზერით
ვჭვრეტ ხისფერ სახედ-

ბჭე იხსნება და
არვინ ცოცხლდება,
გვაქვს დაგებული
ხისფერი მახე...

ვგრძნობ, რაღაც მიდის
და არ ბრუნდება,
რაღაც იყო და
რაღაც გადახმა

და ისმის, ისმის,
ვით ხის გოდება:
— შენ იყავი და
შენ აღარა ხარ!

შენი თმა ტირის

შენი თმა ტირის,
    როდესაც გძინავს,
სდუმს, როცა თვალებს
    გაახელ დილით,
ლოცულობს, თითქოს
    ოქროსფერ ღრუბლებს
აგრძელებს იგი
    უნაზეს თრთოლვით.

შენი თმა ჩუმი
    შრიალით მწყევლის,
როს შენს თვალებში,
    ვით ორ ბუდეში
მძინარე ჩიტებს
    კოცნით ვაღვიძებ.

შენი თმა ტყეა,
    რომელშიც თითებს
გზა ებნევათ და
    გათენებამდე
უჭირთ რატომღაც
    თავის დაღწევა.

შენი თმა ტირის,
    როდესაც
    გძინავს.

დიალოგები

— შენი თითები. მე ვკოცნი თითებს.
— ჩემი თითები. ჩემი ბავშვები.
— გადამიარე თითებით გულზე...
— ცისკარს ჩიტივით ვეთამაშები.

— თურმე ძალიან შორს გიცხოვრია.
— მე ვარ ოცნება, სხვა არაფერი.
— შენ რომ არ იყო, რა მეშველება?
— არ ვიქნები და მაინც გავჩნდები.

— გესმის, ჩემი თმა იზრდება თითქოს.
— ეს ღამე მინდა ფხიზელმა ვტეხო.
— თუ გრძნობ, ძვირფასო, როგორ ვბერდები?
— არა, სიბერე ექოა, ექო...

— მოდი, პეპლები მიფრენენ უკვე.
— კვდებიან, რადგან ბატონობს ბინდი...
— პეპლები ისევ მოფრინდებიან.
— ო, მაგრამ თვითონ ცხოვრება მიდის!

მეტამორფოზა

ვიცოდი, რომ მოვიდოდა, იგი მეძებდა მე.
მზეზე მძინარე იარალს, ვუვლიდი როგორც მზეს.
ვიცოდი, რომ მოვიდოდა, იგი მეძებდა მე.
ჩიბუხში ვფშვნიდი ხმელ ფოთოლს,
ნედლი ფოთოლი მწყენს,
ვიცოდი რომ მოვიდოდა, იგი მეძებდა მე.

ვტიროდი ტყეში დაკარგულ ბავშვებს, მტირალა შველს,
ვიცოდი, რომ მოვიდოდა, იგი მეძებდა მე.
მზის სხივს ვკოცნიდი ისე ვით,
ჩემსკენ გამოწვდილ ხელს,
ვიცოდი რომ მოვიდოდა, იგი მეძებდა მე.
არ დამიკარგავს გონი მე, ვით მოთმინების სვე,
ვიცოდი რომ მოვიდოდა, იგი მეძებდა მე.

ტყავი ბალახად დავტოვე, ტანზე ვისხამდი ტყეს,
ვიცოდი, რომ მოვიდოდა, იგი მეძებდა მე.
ვცურავდი პაპანებაში. გზები ვკვალე და ვვლე.
ვიცოდი, რომ მოვიდოდა, იგი მეძებდა მე.

ღრუბლებზე ჩამოვიძინე, ფიქრი მივანდე ფრთებს.
ვიცოდი, რომ მოვიდოდა, იგი მეძებდა მე.
რაც მეცვა, მელამ ჩაიცვა, ნელა გაუყვა გზებს.
ვიცოდი, რომ მოვიდოდა, იგი მეძებდა მე.
ჩემს თოფს დასწვდა და წავიდა...
ვინ შეუშლიდა ხელს.
ვიცოდი, რომ მიპოვიდა, იგი მეძებდა მე.

როგორც ელვა და ქუხილი, ტყეში შევდივარ მხნედ.

ხულიო ტრავიესო

სანამ მგელს მოჰკლავდნენ

რომანი

ესპანურიდან თარგმნეს **ზურაბ აბაშიძემ, გარსევან ბიჭიაშვილმა**

მირანდა მანქანიდან ჩამოვიდა, ოსკარი შიგ დარჩა. მირანდა განივად მიმავალ ქუჩას გაუყვა. ქუჩას ორსავ მხარეს ალვის ხეები გასდევდა. შორიახლოს სკოლის შენობაც გამოჩნდა. გვერდზე სიცილით და ხტუნვა-ხტუნვით ბავშვებმა ჩაიარეს. მირანდამ საათს დახედა. გაკვეთილების დამთავრების დრო იყო. აქაურობა საიმედოდ ეჩვენა. ვერავინ ვერ იფიქრებდა, რომ სკოლა შეიძლებოდა იატაკქვეშელთა ადგილი ყოფილიყო. სკვერი გადასჭრა და სკოლის სადარბაზოში შევიდა. სადარბაზოში ერთ მხარეს ხოსე მარტის ბიუსტი იდგა, მეორე მხარეს კი ძველი მერხები ელაგა. იქვე ვიღაც დონდლო ქალი იჯდა, სათვალე შუბლზე აეწია.

— ვინ გნებავთ?—ნაზი, ალერსიანი ხმით ჰკითხა ქალმა. ეს ხმა მის გარეგნობას სრულიად არ შეეფერებოდა. „ალბათ დამლაგებელია“, გაიფიქრა მირანდამ. მოგვიანებით კი შეიტყო, რომ ეს ქალი მასწავლებელი ყოფილა. მირანდამ უთხრა, დირექტორის ნახვა მინდაო. მალე დირექტორიც მოვიდა. ოცდათხუთმეტიოდე წლის კაცი იყო. დაღლილი სახე ჰქონდა. მირანდამ უთხრა, თქვენთან ფერნანდომ გამომგზავნაო. მერხებით გაჭედილი ოთხი საკლასო ოთახი გაიარეს. ბოლოს ერთი ციცქნა ოთახში შევიდნენ. მირანდას ათი წყვილი თვალი მიაჩერდა. სადღაც კუთხიდან ფერნანდოს ხმაც მოისმა.

— ეს კაპიტანი გახლავთ.

ოთახში მყოფნი ფეხზე წამოდგნენ. ისინი ყურადღებით მიაჩერდნენ მირანდას. მათ გამოხედვაში მისდამი პატივისცემა იგრძნობოდა. ეტყობოდათ, რომ მისგან ძალზედ მნიშვნელოვან ამბებს ელოდნენ. მირანდამ, ცოტა არ იყოს უხერხულად იგრძნო თავი და გაიღიმა. მერე ჯგუფი შეათვალიერა. სკოლის დირექტორი წლოვანებით აშკარად გამოირჩეოდა მათ შორის: სულ ოცდაოდე წლის ბიჭები იყვნენ. მირანდა, ფერნანდოს გარდა, მისი ძველი მეგობარი რომ იყო, კიდევ ორს იცნობდა. იქ მყოფთაგან მხოლოდ ფერნანდომ (ზონის ხელმძღვანელმა) იცოდა, რომ ამ შეკრებას საერთო ამბოხება მოჰყვებოდა.

დასასრული. დასაწყისი იხ. № 4

ფერნანდომ წინასწარ გააფრთხილა შეკრებილები — მირანდა ძალიან მნიშვნელოვან ამბებს მოგვიტანსო. მანვე გააცნო ჯგუფის წევრები მირანდას. ისიც უთხრა, რომ ყველანი (დირექტორის ჩათვლით) ჩემს ბრძანებებს ემორჩილებიანო. პასუხისმგებლობას მთელ ზონაში ჩვენ ვკისრულობთ, თვითეული მათგანი ბრიგადას ხელმძღვანელობსო.

მირანდა კედელზე ჩამოკიდებულ, პატარა დაფასთან მივიდა. ერთ-ერთი ზონის სქემა დახაზა, თან გარსიასა და ბრავოსაგან მიღებული ბრძანებაც წაიკითხა:

— მთელ ქალაქში უნდა ჩავხერგოთ ქუჩები. ის მაღაზიები, რომლებიც ვაჭრობას არ შესწყვეტენ, თვითნაკეთი ყუმბარებით უნდა ავაფეთქოთ. მერე სახლების სახურავებზე უნდა გავმაგრდეთ და სამხედრო ნაწილებთან შეტაკებისათვის მოვემზადოთ. რაც შეიძლება მეტი უნდა შევკრიბოთ ისეთი ხალხი, ვინც იარაღის ხმარება იცის. ისინი იმ დაწესებულებების დასარბევად უნდა გავგზავნოთ, სადაც დაცვა დგას.

შეკრებილები უხმოდ უსმენდნენ.

— ყოველ წუთს მზად უნდა ვიყოთ. — მირანდამ ყველას სათითაოდ გადახედა. მათ მკაცრი გამომეტყველება გაჰქრობოდათ, შინაგანად დაძაბულიყვნენ. მხოლოდ ფერნანდო და სკოლის დირექტორი ადრინდებურად მშვიდად იყურებოდნენ.

— სახურავებზე როდემდე უნდა დავრჩეთ?

მირანდამ იმ ბიჭს შეხედა. ცხრამეტი წლის თუ იქნებოდა; მაღალი, გამხდარი ბიჭი იყო. ხელი ორატორივით ჰქონდა აღმართული. საულვაშეზე ოდნავ ემჩნეოდა ღინღლი. ალბათ სტუდენტი იყო. მირანდამ თვითონაც დაუსვა ხელმძღვანელობას ეს კითხვა, მაგრამ იქ გარკვეული ვერაფერი უთხრეს. ამ შეკითხვაზე ვერც გარსიამ გასცა პასუხი. ცხადი იყო, რომ სახურავებზე დიდხანს ვერ გასძლებდნენ. როდემდე ეყოფოდათ ტყვია-წამალი?

მირანდა მიხვდა, რომ ეს საკითხი ახლა მას უნდა გადაეჭრა და მთელი პასუხისმგებლობაც თავად ეკისრა.

— ორგანიზაციის ხელმძღვანელობა დროდადრო შესაბამის ბრძანებებს მოგცემთ, — ხმაში აღელვება დაეტყო.

— კი მაგრამ, თქვენთან კავშირი რომ ვერ დავამყაროთ? — იკითხა მეორემ.

— ერთი რამ ცხადია, სახურავზე რაც შეიძლება დიდხანს უნდა გავძლოთ, რათა ჯარის ნაწილებმა სწრაფად ვერ შესძლონ ქალაქში წესრიგის აღდგენა. მთავარია, ყველამ დაინახოს, რომ ჩვენ იარაღით ხელში ვიცავთ ამბოხებას, — მირანდამ თითქოს ახლა მიაგნო პასუხს კითხვაზე, ამდენ ხანს რომ აწვალებდა, — მერე კი, როცა ამბოხება გაფართოვდება, გაირკვევა, რა უნდა გავაკეთოთ. შესაძლოა, რამდენიმე კაცი, ვინც კარგი მსროლელია, სახურავზე დარჩეს ჯარის შესაკავებლად, დანარჩენები კი სხვა დავალებების შესასრულებლად წავიდნენ. გახსოვდეთ, რომ თქვენ მარტონი არა ხართ. თქვენთან ერთად ათასობით ადამიანი იბრძოლებს, — მირანდა გაჩუმდა.

მსმენელებმა ისევ მკაცრი გამომეტყველება მიიღეს.

ის ბიჭი მოჯადოებულივით შესცქეროდა მირანდას.

— ორი რამ უნდა გვახსოვდეს: პირველი — ქუჩები უნდა ჩავხერგოთ, რომ ტანკებმა ვერ გაიარონ...

— ტანკებმა? — ამ სიტყვამ ყველას შიში მოჰგვარა. მირანდა მიხვდა ამას.

— ჰო, შეიძლება მთავრობამ ტანკებიც გამოიყენოს, — თქვა მან, — მაგრამ სახურავებიდან თვითნაკეთი ყუმბარებით ჩვენ ტანკების შეჩერებაც შეგვიძლია. თუ საჭირო იქნება, ცეცხლიც უნდა წავუკიდოთ. ამით შიგ მსხდომთ ვაიძულებთ გარეთ გამოვიდნენ.

— ესპანეთში ასე ვშვრებოდით, — დაუდასტურა დირექტორმაც.

შეკრებილები ცოტათი დამშვიდდნენ.

— მეორე: უნდა ვეცადოთ, ერთ ადგილას დიდხანს არ გავჩერდეთ, ხშირად გადავიდეთ სახურავიდან სახურავზე, — მირანდა დაფას მიეყრდნო. ეტყობოდა, დაიღალა.

— რამდენ იარაღს გამოგვიგზავნით? — ეს პატარა ტანის მულატმა იკითხა.

„ალბათ ესეც სტუდენტია", — გაიფიქრა მირანდამ.

— ბევრის იმედი ნუ გექნებათ. შეიძლება ყველას არც გეყოთ. იარაღი იმას უნდა მივცეთ, ვინც მისი ხმარება იცის, დანარჩენებს თვითნაკეთი ყუმბარები ექნებათ. თუ არადა, თქვენ თვითონ უნდა იშოვოთ იარაღი — ან განაიარაღოთ პოლიციელები ან მოკლულებს აართვათ.

— ტანსაცმელი ერთნაირი გვეცმევა?

— ჯერჯერობით არა. მხოლოდ უფროსებს ექნებათ მკლავზე განმასხვავებელი ნიშანი.

ზარის ხმა მოისმა.

— გაკვეთილები იწყება, — თქვა დირექტორმა.

— კარგი, მეგობრებო, ამით შეკრება, მე მგონი, შეიძლება დავამთავროთ. ხალხი მზად გყავდეთ. ნახვამდის, წარმატებებს გისურვებთ.

ორ-ორნი გამოვიდნენ; მირანდა სულ ბოლოს გამოვიდა ფერნანდოსთან ერთად. სადარბაზოში დირექტორს დაემშვიდობა. მას მოეწონა ეს ოცდაათ წელს გადაცილებული კაცი, ვისაც ეყო იმდენი ძალა და მხნეობა, რომ რევოლუციას მიმხრობოდა.

ბავშვებმა სიცილით ჩაურბინეს გვერდით. ისინი გაკვეთილზე მიიჩქაროდნენ.

— აბა, კარგად იყავი, თავს გაუფრთხილდი! — უთხრა ფერნანდომ და მხარზე მსუბუქად დაჰკრა ხელი.

— სანამ ამბოხება დაიწყებოდეს, ყოველდღე დაგირეკავ მეკავშირესთან, დაახლოებით ამ დროს. ადგილზე იყავი ხოლმე, რომ დავალების დროულად გადმოცემა შევძლო.

ქუჩაში გამოვიდნენ. ფერნანდომ ხელი ჩამოართვა, დაემშვიდობა და მარჯვნივ წავიდა. მირანდამ ქუჩა შეათვალიერა, მერე მარცხნივ გაუხვია. დღეს კიდევ ექვს შეკრებაზე იყო მისასვლელი, სხვა ზონების ხელმძღვანელებთან.

19 მარტი

ათი საათი იყო, როცა ავდექი. მთელი ღამე არ მძინებია და ამიტომ საშინლად ვგრძნობდი თავს. გათენებამდე ვერ ჩავიძინე. მაგიდაზე მდგარმა ძველმა საათმა ექვსის ნახევარი რომ ჩამოჰკრა, მხოლოდ მაშინღა ჩამთვლიმა. მთელი

ლამე მენოკალი მედგა თვალწინ. როცა თვალი გავახილე, ოთახში, ლოგინის გვერდით მდგარ ძველ სავარძელში მარკოსი იჯდა და ტელეფონების წიგნს ფურცლავდა. სახეზე ეტყობოდა, რომ არც მას სძინებია კარგად.

— როგორ ხარ? — მკითხა მან.

— ცუდად, ნაცემივითა ვარ.

— გრიპი გექნება... იმან იცის ეგრე.

თვალები დავხუჭე. ისევ მენოკალის სახე დამიდგა წინ.

— ახალი ხომ არაფერი გაგიგია? — ვკითხე მე.

— არაფერი, ადვოკატმა Habeas corpus წარადგინა, მაგრამ ჯერ არაფერი არ ვიცით. სენატორთან და არქიეპისკოპოსთან გვინდა მოლაპარაკება.

— ვითომ დაგვეხმარებიან?

— რა ვიცი. ორთავენი დაგვპირდნენ, პოლიციასთან გიშუამდგომლებთო, ბატისტასაც შევაწუხებთო, ასე თქვეს.

თავზე ხელი მოვიკიდე, საფეთქლები მისკდებოდა. მარკოსი წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. საწოლთან შეჩერდა, პერანგქვეშ რევოლვერის ტარი დააჩნდა.

— იმედი მაქვს, რომ ჯერ არაფერს არ უზამდნენ, — თქვა მან. .

წამოვდექი, ფეხები ტყვიასავით მქონდა დაძმიმებული. აბაზანაში შევედი და შხაპის ქვეშ დავდექი. ბანაობას რომ მოვრჩი, თავი ცოტა უკეთ ვიგრძენი. ფეხებიც აღარ მტკიოდა. „მენოკალს უეჭველად წარადგენენ სასამართლოზე, — გავიფიქრე, — ჩუმად ვერ მოკლავენ“. სასადილო ოთახში გავედით. მარკოსის დეიდა საუზმეს ამზადებდა. მაღალი, გამხდარი ქალი იყო. წვრილი თითები და დანისპირივით თხელი ტუჩები ჰქონდა.

წინა დღეს ფრატერნიდადის პარკში ექვს საათამდე ველოდეთ ერთ კაცს. მას ბინა უნად ეშოვნა ჩვენთვის. ლოდინისაგან დაღლილმა მარკოსმა უეცრად ვიბორას რაიონში წასვლა გადაწყვიტა. იქ რომელიღაც მიკარგულ ქუჩაზე დეიდამისი ცხოვრობდა. დეიდამ მასთან დამალვის ნება დაგვრთო. მხოლოდ ეს აწუხებდა — ამ ერთი ციცქნა ოთახში როგორ დაეტევითო. საღამოთი შინ მისი ქმარი დაბრუნდა. არც მას უთქვამს უარი ჩვენს დარჩენაზე. მარკოსი გადაკოცნა, მე კი ხელი ჩამომართვა.

სანამ მე, მენოკალზე რაიმე ცნობის წაკითხვის იმედით, გაზეთებს ვათვალიერებდი, დეიდამ საუზმე მოგვიმზადა და სუფრა სამზარეულოში გაგვიშალა. მშვიდად ვისაუზმეთ.

— წავედით! — თქვა მარკოსმა და ადგა.

დეიდამ სუფრა აალაგა. მეზობელ ოთახში გავედით. მარკოსმა დაბალი კარადის უჯრიდან რევოლვერის ოთხი სავაზნე ამოიღო. ორი მე გამომიწოდა. რამდენიმეჯერ ჩადო ვაზნა და ისევ ამოიღო. შეამოწმა, სავაზნის მექანიზმი როგორ აწვდიდა ტყვიას რევოლვერს პირში. დამცველის საიმედოობაც გასინჯა; ტყვიები ბრჭყვიალა კენჭებივით იფანტებოდა თეთრ ლოგინზე. ბოლოს აკრიფა და სავაზნეში ჩააწყო. მე ხმისამოუღებლად შევცქეროდი. მარკოსმა რევოლვერი დატენა და პერანგის ქვეშ, ქამარში გაირჭო.

— დღეს სამ საათზე სანხას სახლში ჩვენი ზონის ოთხი პასუხისმგებელი კაცის შეკრებაა დანიშნული. მე წავალ, შენ კი სჯობს აქ დარჩე, — მითხრა მან.

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე, მარკოსი ოთახიდან გავიდა. გავიგონე,

როგორ გაიხურა ქუჩაში გამავალი კარი... ლოგინზე დავწექი და თვალები დავხუჭე. ისევ მენოკალზე ვფიქრობდი.

* * *

დიახ, ბიჭმა ისევ დაკარგა გრძნობა. პოლკოვნიკმა გვიბრძანა, ქვემოთ, საკანში ჩაგვეყვანა, რომ ცოტა მოსულიერებულიყო და ისევ ეცემათ. შესვენებით ვისარგებლე და შინ წავედი ბავშვებთან. მთელი დღე-ღამე იყო, ისინი არ მენახა. ხუთ საათზე ისევ პოლიციაში მივბრუნდი. ცოტა დამაგვიანდა, რადგან ჯერ იყო და ბავშვების სათამაშოების საყიდლად შევჩერდი, მერე კიდევ, შინ რომ მივედი, ისეთი დაღლილი ვიყავი, რომ ვისადილე თუ არა, იმწამსვე დასაძინებლად დავწექი.

* * *

ირენემ კიბე აირბინა. მეორე სართულზე შეჩერდა, ცოტა სული მოითქვა, ხელით თვალებზე ჩამოშლილი თმა შეისწორა და კარი შეაღო. ტალანში მაღალი, გამხდარი ქალი წინსაფარზე ხელებს იწმენდდა. მარჯვნივ, პატარა ოთახში, უზომოდ დიდ საწოლზე მამაკაცს ეძინა, ლურჯი შარვალი და გრძელსახელოებიანი მაისურა ეცვა. მამაკაცმა მხარი იცვალა. საწოლიდან გადმოკიდებულ ფეხზე დახეული წინდა ეცვა და ცერა თითი უჩანდა. თითი ბოთლის საცობს მიუგავდა. სასადილო ოთახში, ფანჯარასთან, პოლიციელის მუნდირი ეკიდა.

— არ დაბრუნებულა? — იკითხა ირენემ.

ქალმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

ირენე თავის ოთახში გავიდა, ტანსაცმელი აუჩქარებლად გაიხადა და სკამის ზურგზე გადაკიდა.

სამზარეულოდან დედის წუწუნი მოისმა:

— შენ და რიკარდო მომიღებთ მე ბოლოს, სხვა არავინ.

ირენემ საშინაო ტანსაცმელი ჩაიცვა. დედა ისევ წუწუნებდა.

— ორი დღეა, შინ არ მოსულა. ის მაინც ვიცოდე, სად არის. შენა ხარ და, ასე იგვიანებ ყოველდღე. მომკლავთ, ნამდვილად მომკლავთ! — დედა აუჩქარებლად, ნელა ლაპარაკობდა, სიტყვებს მარცვლავდა, გეგონებოდა, მონოლოგს ამბობსო. ირენე სასადილოში გავიდა, მიჩვეული იყო დედის საყვედურებს და ყურადღება აღარ მიაქცია. რაც ის და რიკარდო წამოიზარდნენ, მას მერე სულ ასე იყო. დედა თანდათან მოხუცდა და მონოლოგებს ახლა სულ უფრო დაღლილი ხმით წარმოსთქვამდა.

— სებასტიანი ამბობს, სჯობია, პოლიციის განყოფილებას შევატყობინოთო. — დედა ასე ეძახდა თავის ქმარს. იგი არ ამბობდა: ჩემი ქმარი ან თქვენი მამინაცვალიო, მხოლოდ სახელით იხსენიებდა, თითქოს იმ ათი წლის დავიწყება სურდა, ირენეს მამის სიკვდილის შემდეგ რომ გავიდა. ირენემ ოთახისკენ გაიხედა, სადაც მამინაცვალი იწვა. მას უკვე გაღვიძებოდა და დედა-შვილის საუბარს უსმენდა. მამინაცვალი ოთახიდან გამოვიდა. საკიდიდან ლურჯი პერანგი ჩამოხსნა და ჩაიცვა. ირენემ შეხედა მას, მაგრამ არ მისალმებია. მამინაცვალს გამხდარი სახე ჰქონდა. ჩაცვივნულ თვალებში შიში უკრთოდა.

— ამხანაგებთან იქნება, — თქვა ირენემ.

— აქ რაღაც სხვა ამბავია, — თქვა მამინაცვალმა.

ირენემ მისკენ გაიხედა. მამინაცვალი სამზარეულოში დაფათურობდა.

„კრეტინი პოლიციელი“, — გაიფიქრა ირენემ.

მამინაცვალი სამზარეულოდან გამოვიდა. ხელში მურაბაწასმული პურის ნაჭერი ეკავა. ილუკმებოდა და ისე ლაპარაკობდა.

„კრეტინი პოლიციელი“.

— ახლა სხვა დროა, შენმა ძმამ კი არ იცის, რა საქმეში ეტენება, — მამინაცვალმა პურიანი ხელი ასწია. მურაბის წვეთი ფეხსაცმელზე დაეცა.

— ამხანაგებთან იქნება, — გაიმეორა ირენემ.

მამინაცვალმა ყური არ უგდო მის სიტყვებს.

— ჯანდაბას მაგისი თავი. ყველას საფრთხეში გვაგდებს, დედაშენსაც, შენცა და მეც. თან პოლიციაში მაინც არ ვმსახურობდე.

„უბადრუკი პოლიციელი
და მე, მტირალი, ყვითელი ცხენი...“

ირენეს ახლახან ნასწავლი ლექსი გაახსენდა.

— სებასტიანი მართალს ამბობს, — თქვა დედამ, — რიკარდომ არ იცის, რას სჩადის.

ირენემ მას გადახედა. დედა გაფითრებული იყო, ტუჩები უთრთოდა, გაძვალტყავებული ხელები გულზე დაეკრიფა.

— თქვენ სულ ერთსა და იმავეს გაიძახით. გაიგეთ, რომ რიკარდო უკვე კაცია და თავისი საქმისა თვითონ იცის.

მამინაცვალი ისევ თავისას განაგრძობდა, მურაბა ხელზე ჩამოსდიოდა წურწურით.

— მე ვიცი, რასაც ვამბობ. ნეტა რა ძალა მედგა, წელებზე რისთვის ვიდგამდი ფეხს, რისთვის გასწავლეთ! ისხდებოდით ახლა ორივენი შინ და დედათქვენიც აღარ ინერვიულებდა.

ირენემ დედას გადახედა. ქალი წინსაფარზე იწმენდდა ხელებს.

— დღეს სებასტიანმა რიკარდოს კარადაში პროკლამაციები იპოვნა, — თქვა დედამ.

ირენეს გაუკვირდა. ვერაფრით ვერ იფიქრებდა, რომ მის ძმას, ასეთ წყნარ ჭაბუკს, მედიცინის გარდა არაფერი რომ არ ახსოვდა, პოლიტიკასთან ექნებოდა საქმე.

„უთუოდ რაღაც შეცდომაა“.

— სებასტიანი (ირენეც ასე ეძახდა მამინაცვალს) ალბათ შეცდა, — ისე თქვა, თითქოს მამინაცვალი იქ არ ყოფილიყოს.

— ეგ დოყლაპია ეგა, რაღაც უბედურებას გადაგვყრის, — აღელდა მამინაცვალი, — ვერ შეიგნო, რომ პოლიტიკა ჩვენს დროში ნეხვის ქექვაა და მეტი არაფერი, მაგის საქმე კი სწავლაა.

„კრეტინი პოლიციელი, — ისევ გაიფიქრა ირენემ, — სწავლის ფულს გვიხდის და დედასთან ცხოვრობს ათი წელი. დღისით რჩევა-დარიგებებით გვაბეზრებს თავს, ღამით კი დედასთან მრუშობს.“

— მშია, დღეს არაფერი არ მიჭამია, — თქვა ირენემ.

დედა სკამზე დაჯდა და ხელები წინსაფრის ქვეშ დამალა. ტელეფონის ზა-

რის ხმა გაისმა — მუდარასავით გაბმული და წვრილი. დედა წამოდგა, მაგრამ მამინაცვალმა ყურმილის აღება დააასწრო.

— დიახ, დიახ, ბინაა, — დედა ახლოს მივიდა, — დიახ, მამა ვარ, — ცოტა ხანს ყური მიუგდო, — ახლავე მოვდივარ, — თქვა და ყურმილი დაკიდა.

დედა მამინაცვალს მიაჩერდა. ირენეს დედის სახე მთლად მობერებული ეჩვენა.

— რიკარდო.. რიკარდო დაჭერილია, — თქვა სებასტიანმა და სავარძელში მძიმედ ჩაეშვა.

19 მარტი

დიდხანს ვეგდე ლოგინზე უმოძრაოდ. საკუთარი თავი მძულდა. უდროო დროს მიმუხთლებდა ხოლმე ნერვები და ლაჩრად მაქცევდა. მძულდა საკუთარი სხეულიც, ახლა ლოგინზე რომ იყო გაშოტილი, ისე, თითქოს არაფერი მომხდარიყო, თითქოს ჩემი სიმხდალე არ ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ მენოკალი დაიჭირეს და ახლა, ვინ იცის, როგორ აწამებდნენ. ასე ხომ არ მოხდებოდა, შიში რომ დამეძლია, შიში, როცა კაცი საკუთარი თავის გადარჩენაზე ფიქრობს მხოლოდ. სიცხემ ამიწია. ძვალ-რბილი სულ ერთიანად მტკიოდა. არაფერი არ მიღონია, არც წამალი დამილევია და არც მარკოსის დეიდასთვის დამიძახია. იგი სამზარეულოში ფუსფუსებდა, თან რადიოს უგდებდა ყურს. გულალმა ვიწექი, ჭერს მივჩერებოდი. სხეულის გვემით მინდოდა შური მეძია საკუთარ თავზე იმ სულმოკლეობის გამო.

სიცხით გათანგულს ისევ ჩამეძინა. კარის გაღება და ოთახში ქალის შემოსვლა არც გამიგია. ხელით რომ შემეხო, მაშინლა გავახილე თვალი. როცა გამოვფხიზლდი, სულ ახლოს მარკოსის დეიდა დავინახე, ძალზე ფერმკრთალი და შეშფოთებული იყო.

— რადიომ გადმოსცა, პესო სუპერიორის ქუჩაზე გვამი იპოვნესო.

— გვამი?

— ჰო, ახალგაზრდა მულატი ჩამოუხრჩვიათ.

— რა ჰქვია?

— არ ვიცი, ალბათ ახლა იტყვიან.

გავჩუმდით. სასადილო ოთახიდან რადიოს ხმა მოისმა, დიქტორმა ისევ გაიმეორა გვამის პოვნის ამბავი და გვარიც გამოაცხადა: — ხუან ვალდეს მენოკალი. ოცდარვა წლის მულატი. მისი ვინაობა პირადობის მოწმობით დაადგინეს. მოწმობა ჯიბეში უპოვნეს. — დიქტორი გულგრილად ლაპარაკობდა, მაგრამ მისი ხმა სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში. ამ ხმამ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ დამნაშავე ვიყავი, საზიზღარი ჯაბანი და მეტი არაფერი; ძალი ვიყავი, ძალლთაპირი, გამყიდველი, სიცოცხლის უფლება რომ არა ჰქონდა, თუ დანაშაულს არ გამოისყიდდა.

— თქვენი მეგობარია? — მკითხა დეიდამ.

— ჩვენი მეთაური იყო, — ვუპასუხე.

— ღმერთო ჩემო!

ლოგინიდან ძლივს ავითრიე ტანი. ვერ ვისვენებდი. აუცილებლად უნდა მელონა რაღაც, რომ თავი ასე დამნაშავედ აღარ მეგრძნო. მხოლოდ ათიოდე პოლიციელის მოკვლით თუ შევიმსუბუქებდი დანაშაულს.

— სიცხე ხომ არა გაქვს? — შემეკითხა დეიდა.

— უკვე აღარ მაქვს, — ვთქვი მე.

სანამ რევოლვერს ვტენიდი, გადავწყვიტე, ჯერ იმ შეკრებაზე წავსულიყავი, მარკოსმა რომ მითხრა, მერე კი პოლიციელებზე სანადიროდ.

* * *

„ის არის", — გაიფიქრა მირანდამ და ნაბიჯი წინ გადადგა. ტელეფონის ზარი თანაბარი შუალედებით რეკავდა. ზარის ხმაზე მირანდას თითქოს ელექტროდენმა დაუარა სხეულში. მთლად დაიძაბა. წამით მოეჩვენა, რომ იმ კაცის ხელი, ვინც რეკავდა, მავთულებით ოთახში შემოჰყოლოდა ზარს, რათა იქ მსხდომთა სულში უსიამოვნო განწყობილება დაეთესა.

— კი, მაგრამ ხუთჯერ რატომ არ დარეკა? — თქვა ოსკარმა და ხელი შავ ყურმილს დაადო.

ზარის ხმა რამდენიმე ხნით შეწყდა, მერე ისევ გაიბა რეკვა.

— აიღე! — თქვა მირანდამ და მუხლზე დაჰკრა ხელი.

— ხუთჯერ რომ არ დაურეკია?

— აიღე!

ოსკარმა ყურმილი ისე აიღო, გეგონებოდა, რაღაც უწმინდურ ცხოველს ჰკიდებსო ხელს.

— ალო, გისმენთ!

რამდენიმე წამს ვიღაცის ხმა ყრუდ ისმოდა ყურმილში. ოსკარი უსმენდა და თანხმობის ნიშნად წარამარა უქნევდა თავს.

— კარგი, — თქვა და ყურმილი დადო. — ნიკოლასი იყო, იკითხა, აქ იყავი თუ არა... ახლავე მოვა.

— ხუთჯერ რატომ არ დარეკა?

— არ ვიცი, — თქვა მან და მხრები აიჩეჩა. წიგნების კარადასთან მივიდა, რაღაც წითელყდიანი წიგნი გამოიღო და მერე ოთახის შუაგულში გაჩერდა.

— არ ვიცი, — ისე თქვა, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებაო.

— არ მომწონს, — უთხრა მირანდამ, — მეტი სიფრთხილეა საჭირო.

ოსკარი სკამზე ჩამოჯდა და კითხვა დაიწყო. მირანდა ლოგინზე გულაღმა გაიშოტა. სიგარეტი გააბოლა. მაღლა ასულ კვამლის ბოლქვებს გააყოლა თვალი.

ფიქრებში გაერთო: .. ტელეფონის ზარი, პაემანი, მერე უცებ პოლიცია, ბოლოს, როგორც ყოველთვის, წიხლები, ცემა... ამის ატანა აწი აღარ შეეძლო. რაღაცას აუტეხავდა თავს, ამას კი ვეღარ გაუძლებდა. ისევ და ისევ უსიამოვნო ფიქრები მოეძალა.

სულელი იყო. ნეტავ რა აშინებდა, ყველაფერი საათივით იყო აწყობილი. ანას და ნიკოლასს სავსებით ენდობოდნენ. მათთვის მისამართის მიცემა საშიში არ იყო. ალბათ საცაა მოვიდოდნენ კიდეც და თვითონაც დამშვიდდებოდა.

ზარის ხმა გაისმა. გეგონებოდა, მშვიდ ღამეში ვიღაცამ დაუსტვინაო. მირანდა დაიხარა და სიგარეტი წიგნების კარადაზე მიასრისა. სიგარეტს ბოლი აუვიდა. სანამ კარს გააღებდა, ოსკარმა საჭვრეტელაში გაიხედა: კართან ნიკოლასი და ანა იდგნენ ოფლად გაღვრილები. ოსკარმა მოსულები შინ შემოუშვა და კარი მიხურა. ფანჯარასთან მივიდა, გარეთ გაიხედა და უკანმოუხედავად იკითხა:

— როგორ არის საქმეები?

— დღეს არ მოსულა, მაგრამ შინ ორმა „ძაღლმა“ მიაკითხა, — თქვა ნიკოლასმა და საწოლთან მივიდა. ანა იმ სკამზე ჩამოჯდა, ახლახან ოსკარი რომ იჯდა. ძველმოდური ქვედაკაბა და ბლუზა ეცვა.

— ფრთხილად იყავით, პოლკოვნიკის სახლთან შეიძლება ჯაშუშები იდგნენ, — თქვა მირანდამ და სიგარეტს მოუკიდა.

— გული მიგრძნობს, რომ უეჭველად მოვკლავთ, — თქვა ანამ და ტუჩი მოიკვნიტა. მირანდა მისკენ შებრუნდა. ქალს ხელები მუხლებზე შემოეჭდო. თმა შუაზე ჰქონდა გაყოფილი და გაყოფის ზოლი ნაჭრილობევსავით აჩნდა. მკაცრი მზერა და გაფითრებული ტუჩები სულ არ უხდებოდა მის ბავშვურ სახეს.

„ნამდვილი ფატალისტია, — გაიფიქრა მირანდამ, — ქალები საერთოდ ფატალისტები არიან. ეს კი ალბათ ვნებს საერთო საქმეს“.

— ესე იგი, საქმე ასეა, — ანა წინ გადაიხარა და ხელები პატარა მაგიდაზე დააწყო. ნიკოლასი უსიტყვოდ მისჩერებოდა, — პოლკოვნიკი ჩვეულებისამებრ თერთმეტ საათზე მიდის პოლიციის სამმართველოში და დაახლოებით პირველ საათზე სასადილოდ შინ ბრუნდება. როგორც ეტყობა, კვირაში ორჯერ, სამშაბათსა და ხუთშაბათს, ასე სამი საათისათვის, ვიბორას რაიონში მიდის საყვარელთან. იქ ექვს საათამდე რჩება. მერე სამმართველოში ბრუნდება, ვახშმობს და დილის სამ-ოთხ საათამდე ფეხს არ იცვლის იქიდან. — ანა გაჩუმდა და მირანდას მიაჩერდა თვალებში.

— „ძაღლები“ ამ დროს რას შვრებიან? — იკითხა მირანდამ.

— თან დასდევენ ორი მანქანით, თითო მანქანაში ოთხ-ოთხი კაცია. ჩვეულებრივად ისინი გვიან დგებიან დილით, დაახლოებით ათ საათზე. გათენებამდე მუშაობენ და გვიანობამდე სძინავთ, — თქვა ნიკოლასმა და გაიღიმა.

მირანდამ ნიკოლასი და ანა შეათვალიერა. ნიკოლასს სახეზე ღიმილი დასთამაშებდა. ეტყობოდა, რომ კმაყოფილი იყო წამოწყებული საქმით. ანა გაუნძრევლად იჯდა. ერთ წერტილს მიშტერებოდა.

— ერთი რამ არ მომწონს, — თქვა ნიკოლასმა და მოკლედ შეკრეჭილ წვერზე ხელი ჩამოისვა, — პოლკოვნიკი აქამდე მარტო მიდიოდა შინ, ახლა კი სამი „ძაღლი“ მიჰყვება თან. ერთი მათგანი კი მის ბინაში რჩება ხოლმე.

— ალბათ რაიმე დაყნოსეს, — თქვა ოსკარმა.

— ეგებ უბრალოდ ფრთხილობენ და არაფერიც არ იციან, — მიუგო მირანდამ.

— მაინც სახიფათოა, — თქვა ნიკოლასმა.

— შინ მარტო ერთი კაცი შეჰყვება ხოლმე და ამან არ უნდა შეგვაშინოს.

— კარგი, — თქვა მირანდამ, — დღეს ოთხშაბათია. მომავალ კვირას ვცადოთ მისი მოკვლა, — ხმადაბლა ნათქვამი სიტყვები მკაფიოდ გაისმა ოთახში.

* * *

მე ოლეგარიო ფრომეტა მქვია. დიახ, მეგობარო, მე უკვე საკანში ვიყავი ჩამწყვდეული, როცა ის შემოიყვანეს. ამ საკანს „შავ, უძირო ჭას“ ეძახდნენ. დღისითაც კი უკუნეთი იდგა შიგ. სარკმელი არ ჰქონდა, მხოლოდ საჰაერო ხვრელები ჰქონდა დატანებული, ისიც რკინის გისოსებაკრული. საკანშივე უნ-

და მოგვესაქმებინა. კედელზე სისხლით ალბერტო ბრავოს გვარი ეწერა; ეს ის ალბერტოა, კალოვარიოში რომ იპოვნეს მკვდარი — ენა, ხელები და ფეხები დაეჭრათ მისთვის. ეს წარწერა გამარჯვების შემდეგ ვნახე. იქ სანამ ვიჯექი, ვერაფერს ვარჩევდი. ამბობენ, ალბერტო სამი თვე ჰყავდათო დამწყვდეული. თავისი სახელიც საკუთარი სისხლით დაუწერია. იმაზე მეტი წამება, რაც ალბერტომ გადაიტანა, წარმოუდგენელია. მთელი სხეული დამტვრეული ჰქონდა. ბოლოს, ჯალათები როცა დაიღალნენ, ისე დაასახიჩრეს, წელან რომ გითხარით. ამბობენ, ჯერ თითები დააჭრესო. ალბერტო ვაჟკაცი იყო და ხელი შეუბრუნებია მათთვის. ამის გამო ხელები დაუჭრიათ. ალბერტოს ვინება დაუწყია და რომ არ შეწუხებულიყვნენ — ენაც ამოუჭრიათ. მერე ჩამოახრჩვეს. თუმცა ეს არ აკმარეს და ორი ტყვიაც დაახალეს.

მე „ჭაში“ ორმოცი დღე ვიჯექი. ვერაფერი ვერ დამიმტკიცეს, ამიტომ მაინცდამაინც გამეტებით არ მცემდნენ.

დაახლოებით ხუთ საათზე, როცა მე „ჭის“ კუთხეში ვიყავი მიყუჟული, კარი გაიღო და ორმა პოლიციელმა შიგ ბიჭი შემოათრია. ძირს დააგდეს. ბიჭი გულსაკლავად კვნესოდა. ეტყობოდა, მაგრად გაელახათ. მერე ლაპარაკი დაიწყო. ჩუმად, თავისთვის ლაპარაკობდა. რას ამბობდა, ვერ გავიგე; მგონი, დედას ეძახდა. საკმარისი იყო ერთხელ ეცემათ კაცი და ამ საკანში შეეგდოთ, რომ გიჟს დამგვანებოდა და ბოდვა დაეწყო.

9 მარტი

შინ ველარ დავდექი. მარკოსის დეიდამაც კი ვერ შემაჩერა. ჩემი გაფითრებული პირისახე და ჩაცვივნული თვალები რომ დაინახა, შეეშინდა. სიცხით ვიყავი გათანგული, მაგრამ შინ რა მომასვენებდა. მარკოსს აღარ დავლოდებივარ. სახლის წინ პატარა ბაღი გადავჭერი და ქუჩაში გავედი. ცაზე ლრუბლები იკრიბებოდა. უაზროდ მივდიოდი, ყურადღებას არავის არ ვაქცევდი. თუმცა კი არ მივდიოდი, მივრბოდი. რომელიმე პოლიციელს შეიძლებოდა ეჭვიც აღძვროდა, მაგრამ ეს სულაც არ მაფიქრებდა. სან მიგელის გამზირზე გავედი. მეორე მხარეს გადავედი და უკვე აძრულ № 10 ავტობუსს შევახტი. უკანა სკამზე ჩამოვჯექი. ვიღაცამ მხარზე დამადო ხელი. მივტრიალდი, ჩემს გვერდით გაბრიელი იდგა. მოლუშული მიყურებდა. ისიც ჩამოჯდა.

— იგი მოჰკლეს, — თქვა მან.

— მოჰკლეს, — ვთქვი და გავჩუმდი. ლაპარაკის თავი არ მქონდა. მტანჯველი ფიქრები მაწვალებდა. დიდხანს ვიჯექი ასე ჩუმად. ვიბორას გაჩერება გავიარეთ. სანტა კატალინას გაჩერებაზე ავტობუსში პოლიციის სერჟანტი ამოვიდა. ხარივით მოკლე, სქელი კისერი ჰქონდა, ერთი კი შეგვავლო თვალი და წინა კარისაკენ წავიდა. თავისუფალ სკამზე დაჯდა. ვიგრძენი, როგორი ეჭვით შემომხედა. ბრაზი მომერია. მზერა ავარიდე. ვიფიქრე — ცოტა ახლოს რომ იჯდეს, ნალდად ვესროდი-მეთქი.

ავტობუსი დაიძრა. სერჟანტის თავს ველარ ვხედავდი. ფიქრებში წავედი და სულ გადამავიწყდა იგი. შემდეგ გაჩერებაზე რამდენიმე მგზავრი ჩავიდა და სერჟანტის გვერდით ადგილი გათავისუფლდა.

— ეს ცვედანი რაღაც არ მომწონს, — ჩამჩურჩულა გაბრიელმა, — ვინ იცის, ეგებ ამან მოკლა მენოკალი.

გაბრიელს შევხედე. თვალებმოწკურული და ტუჩებმოკუმული იჯდა. მზერა კარისკენ გავაპარე. რამდენიმე მგზავრი კიდევ ჩავიდა და უეცრად... თვალებს არ დავუჯერე. ნამდვილად ის იყო, ის, ავტობუსში ამოვიდა. გუშინდელს აქეთ ორჯერ ვნახე. ამოსვლისას ჩვენსკენ გამოიხედა. ეტყობა, ვერ დამინახა. წინ წავიდა და სერჟანტის გვერდით დაჯდა. მეოჯახე კაცივით მშვიდი და კეთილი გამომეტყველება ჰქონდა.

— იარაღი გაქვს? — ვკითხე გაბრიელს.

— კი, რატომ მეკითხები?

— ახლა რომ კაცი ამოვიდა, მან დაიჭირა მენოკალი, — ვთქვი და წამოვდექი. რევოლვერი ჩავბღუჯე. გაბრიელიც მომყვა. იმ სკამთან მივედი. სწორი, თეთრი კეფის გარდა ველარაფერს ვხედავდი. გავისროლე. კაცი წელში მოიკაკვა და დავინახე, როგორ შეეღება სისხლით კეფა... და მერე წვეთ-წვეთად ჩამოუვიდა პერანგის საყელოზე.

მანამდე ასეთი რამ არასოდეს გაგვიბედავს. ღამით კი ბევრჯერ დავსხმივართ პოლიციელებს თავს, თუ სადმე მიყრუებულ ადგილას მოვახელთებდით. ახლა კი სულ სხვა იყო... იგი ორად მოკეცილი ეგდო სკამზე. სისხლი ისევ წვეთავდა კეფიდან. ამ კეფაში მენოკალს ვხედავდი, ჩემს ცხოვრებას ვხედავდი. ვიღაც ქალმა დაიკივლა. კიდევ ორჯერ ვისროლე. ჯაშუში სკამიდან ჩამოცურდა. თავი რკინის გამონაშვერს დაჰკრა. ვიგრძენი, რომ ხელები მიკანკალებდა, თან ეს მუქი ფერის ბლანტი სისხლი გულს მირევდა. ჯაშუშის სხეული ჯერ ისევ თრთოდა. ერთი ტყვიაც და აღარასოდეს გაინძრეოდა. გულისრევის შესაჩერებლად ტყვია ტყვიაზე დავახალე. გვამი ძირს გაიშხლართა. ცალი ხელი წინ ჰქონდა გაშვერილი, მეორე მკერდქვეშ მოჰყოლოდა. ირგვლივ მიმოვიხედე. ვიღაც მგზავრმა იყვირა, მას სხვებიც აჰყვნენ. ერთი მგზავრი გასისხლიანებულ ბარძაყზე იჭერდა ხელს. დანარჩენები ავტობუსის უკანა კართან მიყუჟულიყვნენ. სერჟანტი ტომარასავით ეგდო სკამზე. გაბრიელი ხელახლა ტენიდა რევოლვერს.

— წავედით! — თქვა მან და წინ მიბიძგა.

წამით გავშეშდი. ეს წამი უსასრულოდ გრძელი მეჩვენა. სულ მცირე დაყოვნებაც კი შეიძლებოდა სიცოცხლის ფასად დაგვჯდომოდა. მომაკვდავი სერჟანტი, მაინც რევოლვერზე ივლებდა ხელს. შორიდან პოლიციის მანქანის საყვირის ხმა ისმოდა. მე კი ვიდექი და გვამებს დავყურებდი უაზროდ. წინ სისხლის გუბე იდგა და ფეხსაცმელებიც სისხლში მქონდა ამოსვრილი. ცხადი იყო, რომ ამ ორისთვის ყველაფერი დამთავრდა:

— გავიქცეთ! — იყვირა გაბრიელმა და წინა კარს მიაშურა, გასასვლელში ორი გვამი იყო გაჩხერილი, ზედ გადავახტი, სისხლის გუბესაც გადავაბიჯე და კარის სახელურს ისე ჩავებღაუჭე, გეგონებოდა, ამ სახელურზე იყო დამოკიდებული მთელი ჩემი სიცოცხლე.

ავტობუსიდან რომ ჩამოვხტი, სინათლემ თვალი მომჭრა. ამან გონზე მომიყვანა. გზაჯვარედინიდან ჩვენკენ ჩია ტანის ჯარისკაცი გამოემართა. ივი შორიახლო შეჩერდა, ჩვენ მას ვესროლეთ. მე დანამდვილებით ვესროლე. გაბრიელმა ესროლა თუ არა, აღარ მახსოვს.

მერე რაღაც მომხვდა და მუხლთ მოვეკვეთა. ჩავიკეცე. ჯარისკაცი მხედველობიდან დავკარგე. მარცხენა მხარში ტკივილს ვგრძნობდი. მერე სისველეც ვიგრძენი. მეგონა, ვკვდებოდი. ძალიან კი შემეშინდა. თავბრუ დამეხვა. ირგვლივ

ყველაფერი დატრიალდა. რა სურათმა არ გაიელვა ჩემ თვალწინ (ეს სურათები დღემდე არ წაშლილა ჩემი მეხსიერებიდან). უაზროდ წამოვჯექი და თვალებით გაბრიელს დავუწყე ძებნა, მაგრამ მხოლოდ ჩია ჯარისკაცს მოვკარი თვალი, ჯერ კიდევ რომ ისროდა. იგი სულ ახლოს იდგა ჩემთან... მერე, მახსოვს, როგორ მიმიყვანეს შინ. დედამ სისხლი მომწმინდა და ზეწრის ნაგლეჯით მხარი შემიხვია. ტყვიამ, ეტყობა, რბილი გაგლიჯა და მეორე მხარეს გავიდა. ცოტათი რომ მოვსულიერდი, მახსოვს ქუჩაში გამოვედი. შინ დარჩენა სახიფათო იყო. კაცს, შინ რომ მიმიყვანა, შეეძლო პოლიციისათვის შეეტყობინებინა ყოველივე. მარკოსის და სხვა ამხანაგების ნახვა გადავწყვიტე. მომხდარი ამბისა მათ არაფერი არ იცოდნენ. ბოლოს, მახსოვს, დაქირავებული მანქანით როგორ მივედი სამსართულიან სახლთან, სადაც ისინი მეგულებოდნენ. გზად მანქანის მძღოლი ყურადღებით შემომხედავდა ხოლმე გადაფითრებულ პირისახეზე. კიბეზე ნელ-ნელა ავედი. ოთახში რომ შევედი, მახსოვს, რა გაოცებულები შემომცქეროდნენ ყველანი.

— ბატონებო, მენოკალის სისხლი ავიღე!—ვთქვი და სავარძელში ჩავესვენე.

* * *

კიდევ რამდენიმე დღე და ყველაფერი მორჩება. ავად თუ კარგად, ყველაფერი დამთავრდება“, — გაიფიქრა მირანდამ და მარცხენა ხელის გულს მარჯვენა მუშტი შემოჰკრა. მერე მანქანის სკამის ზურგზე მისდო თავი. თვალები მილულა. იგრძნო, რომ რამდენიმე წუთით მაინც უნდა წაეძინა. „ძილის საშუალება მაინც მქონდეს, — გაიფიქრა მან, — მშვიდი ძილის, რომ არაფრისა არ მეშინოდეს. არ მეშინოდეს, რომ კარს შემომიმტვრევენ და მომკლავენ, რომ ჯაშუშები თავზე დამადგებიან და მაწამებენ. საშუალება რომ მქონდეს, სამოცდათორმეტ საათს დავიძინებდი“.

— რატომ კლავენ ხოლმე? — მოულოდნელად ჰკითხა ოსკარმა.

— ვინ?

— პოლიციელები, „ძალლები“, — ოსკარი მონოტონურად ლაპარაკობდა.

— არ ვიცი, ალბათ სიამოვნებთ, კაცის კვლა სიამოვნებთ.

— ჩვენც ხომ ვკლავთ!

მანქანა წითელ შუქნიშანზე შეჩერდა. მირანდამ ირგვლივ მიმოიხედა. ოსკარი მანქანის გასაღებზე დაკიდებულ სათამაშოს აწვალებდა. ქუჩაში არავინ ჩანდა.

— ჩვენი საქმე სულ სხვაა. ჩვენ არ ვკლავთ, ჩვენ მხოლოდ სამაგიეროს ვუზღავთ.

— ეგებ ამას ბრმა სიძულვილის დასაკმაყოფილებლად შვრებიან?

— შეიძლება. კაცის კვლა ალბათ ყველას მოსწონს, ოღონდ უმეტესობა თავს იკავებს, — მირანდა ისევ საზურგეზე მიესვენა.

ოსკარმა საჭე მოატრიალა. მანქანამ მარცხნივ მოუხვია.

— მგონი საბურავი დაეშვა, — თქვა მან.

მირანდამ არ უპასუხა — ქუჩას ათვალიერებდა.

— მე არ მიყვარს კაცის კვლა, — თქვა ოსკარმა, — წამებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

— ერთხელ მოკლავ კაცს, ორჯერ... მერე აღარც წამება შეგზარავს.

— არ მჯერა. მე... ჩვენ, ვერასდროს ვერ ვაწამებდით. მოკვლა კიდევ ჰო, მაგრამ წამება... არა!

— მწამებლებს ვერ აწამებდი? შენ ვინც გაწამებს, მას ვერ აწამებდი?

— წამება მხეცებს შეუძლიათ.

— მხეცები მსხვერპლს არასოდეს არ აწამებენ, ამას მხოლოდ ადამიანები სჩადიან.

— სხეულის ფიზიკურ ტკივილზე როდი ვლაპარაკობ. არაადამიანურია ის დამცირება, კაცი კაცს რომ აყენებს ცემის დროს. მე ვერასოდეს ვერ გავლახავდი უმწეო ადამიანს.

— ისინი ალბათ სხვების დამცირებაში პოულობენ საკუთარი ცხოვრების აზრს.

— შეიძლება... მარცხენა საბურავი დაეშვა. სადმე გარაჟში უნდა გავაბერინოთ.

— აგერ, იქ არის გარაჟი! — მირანდამ თითი გადამკვეთ ქუჩაზე მდგარ ექვსართულიან სახლისკენ გაიშვირა.

ოსკარმა ერთსართულიან სახლთან გააჩერა მანქანა. სახლს წინ პატარა ბაღი ჰქონდა. სახლიდან ქალი გამოვიდა. ცოტა ხანს შეშინებულმა უცქირა მათ და მერე სწრაფად შებრუნდა შინ.

— აგერ, ამ სახლში, მეოთხე სართულზე, — მირანდამ მოპირდაპირე მხარეს მდგარ სახლზე მიუთითა, — ერთი კაცი ცხოვრობს. სატელეფონო კომპანიაში მუშაობს. ჩვენ თანაგვიგრძნობს. ამ ას პესოს ბიჭებს მისცემ და ეტყვი, რომ აქედან გადავიდნენ. ეს ბინა „ჩამწვარია“, და მით უმეტეს ხუთი კაცის დასამალად სულ არ ვარგა.

— სად უნდა გადავიდნენ?

— ვექილის სახლში. დღის თორმეტი საათის შემდეგ მათ იქ ელოდებიან. ერთად ნუ მივლენ, ცალ-ცალკე მივიდნენ.

ოსკარმა მანქანის კარი გააღო.

— ახალი ბინიდან ნურსად წავლენ, — უთხრა მირანდამ, — იყვნენ იქ და ჩემს ბრძანებას დაელოდონ.

ოსკარმა მანქანის კარი მიხურა. ნელა წავიდა სახლისკენ. საკუთარი ფეხსაცმელების ჭვინტებს უყურებდა. წელზე, უკან, პარაბელუმის სიცივეს გრძნობდა. „იარაღის გვერდზე ტარება ალბათ, უფრო მოსახერხებელია, — გაიფიქრა მან, — მაგრამ სამაგიეროდ ასე ადვილად ვერ შეამჩნევენ“. ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა. კუთხეში, პატარა დუქნიდან, ვიღაც ვაჟი გამოვიდა და თავხედურად მიაჩერდა მას. ოსკარმა წინ ჩაუარა. ვაჟი თვალს არ აშორებდა. სახლამდე ოციოდე მეტრიღა იყო დარჩენილი. ოსკარმა ნაბიჯს აუჩქარა. კეფაზე დაჟინებულ მზერას გრძნობდა. ირგვლივ არავინ იყო. შესასვლელს შეხედა. იარაღი აწუხებდა. შეიძლება ამოვარდნოდა კიდეც. „მივალ და გავისწორებ“, — გაიფიქრა და სადარბაზოში შევიდა. რამდენიმე საფეხური ნელა აიარა. მეორე სართულზე შეჩერდა. რევოლვერი გაისწორა და ისევ კიბეს აუყვა, თან მირანდას ნათქვამზე ფიქრობდა. საფეხურები საშინლად ჭუჭყიანი იყო. უკვე მეოთხე სართულზე ადიოდა, რომ უეცრად მაღლიდან ხმა მოესმა.

— ამიდი!

მაღლა აიხედა. მეოთხე სართულის ბაქანზე პოლიციელი იდგა და ავტომატს უმიზნებდა.

ა პ რ ი ლ ი

პირველი კვირა.

მთელი დღეები არაფერს ვაკეთებ. ჭრილობამ ორი კვირით ამ ყვითელკედლებიან ოთახში გამომამწყვდია. ძველთაძველი, ძვირფას ყდაში ჩასმული კალენდარი ოთახის ერთადერთი მორთულობაა. ამ ოთახში საოცარი სიმშვიდე სუფევს. დრო წყლის წვეთებივით მისხლტება ხელიდან. ვერაფერს ვერ ვაკეთებ. ერთადერთი ის შემიძლია, რომ ზღვისაკენ მიმავალი ვიწრო ქუჩა ვათვალიერო. ასეც ვიქცევი: უძილო ღამეების დროს სარკმელთან ვზივარ და „ძალლების“ მოლოდინში ბნელ ქუჩას გავცქერი. დღიურს ვწერ; ეს არის და ეს. ამ ბოლო დროს განცდილისა და ნანახის ჩაწერას ყოველდღე ვერ ვახერხებდი. ახლა ვიხსენებ ზოგიერთ ამბავს. დღიურს ტუტოს მოკვლის დღიდან ვწერ. ამ სახლში მარკოსმა სრულიად ძალაგამოცლილი მომიყვანა. სახლის პატრონის — მოხუცი პოლკოვნიკის ქალიშვილი „წინააღმდეგობის მოძრაობაშია“ ჩაბმული. სანამ დამჭრიდნენ, დღიურში თითქმის არაფერი ჩამიწერია. აქტიური, დაძაბული მუშაობის გამო დროს ვეღარ ვპოულობდი. ალბათ ნერვიულობის ბრალიც იყო. თან ახლობელი ადამიანებიც სულ გამომეცალნენ ხელიდან; ყოველივე ამან ხელი შემიშალა, ერთი წლის წინათ დაწყებული დღიური გამეგრძელებინა. მაგრამ აქ თუ კიდევ მომიხდა წოლა, ალბათ გამოტოვებულ ამბებსაც ჩავიწერ. ჭრილობა ადრინდელივით აღარ მაწუხებს. პირველ დღეებში სიცხეც მქონდა და ექიმი იძულებული იყო ყოველდღე ვენახე.

ვიცი, ამიერიდან ექიმი აღარ მოვა. შინაურები მომხედავენ, უიმისოდ ქვეყანას თითქოს მთლად მოვწყდი. ჩაჟამებული სარკმლისა და მარკოსის გარდა, დროდადრო რომ შემოივლის ხოლმე, გარე სამყაროსთან მხოლოდ მოხუცი პოლკოვნიკი და მისი ქალიშვილი სილვია მაკავშირებს. პოლკოვნიკი კარგა შებერებული იყო, როცა ეს გოგო შეეძინა. არც სიმდიდრე აკლდა იმ დროს. დილაობით მოსამსახურე ქალს საუზმე შემოაქვს ხოლმე ჩემთან. სილვიას მძღოლისა არ იყოს, იგიც სავსებით სანდოა. მისი წასვლის შემდეგ თვით პოლკოვნიკი შემოდის, სარკმელთან მდგარ სავარძელში ჯდება და ჯანმრთელობის ამბავს მეკითხება. მერე მაჩადოსა და ბატისტაზე მესაუბრება; მთავრობის ძველ და ახალ პოლიტიკას ერთმანეთს ადარებს და მისი დამხობის გეგმებს ადგენს. პოლკოვნიკს ეტყობა პოლიტიკა ძალზე აღელვებს. მე ჩუმად ვუსმენ, რძიან ყავას ვსვამ და თავს ვუქნევ. პოლკოვნიკი საუბრის დროს თოვლივით თეთრ თმაზე ისვამს ხოლმე ხელს. ამ ხნის კაცს ძალზე ახალგაზრდული აზრები უტრიალებს თავში. იგი სარკმელში იცქირება და ისე ლაპარაკობს, თითქოს მოგონებებს ელაციცებოდეს. საუზმეს ვამთავრებ თუ არა, პოლკოვნიკიც დგება. სამუშაო მაქვსო, იმიზეზებს და მიდის.

სადილად მარტო ვარ ხოლმე. ვჭამ და თან ხუან მენოკალზე და ტუტოზე ვფიქრობ. მომაკვდავი ტუტო რაღაცას ბუტბუტებდა, მაგრამ არაფერი არ გამიგია. მაგონდება, როგორ მივაკალი ავტობუსში მენოკალის მკვლელი. ვჭამ და ვფიქრობ. მერე ექვს საათამდე მძინავს. საღამოობით სასაუბროდ ან პოლკოვნიკი შემოდის ან კიდევ მისი ქალიშვილი. სილვიას ლაპარაკს ყურს ვუგდებ, ფიქრით კი სხვა რამეზე ვფიქრობ. სილვია ვაჟკაცობას მიქებს. სარკმელში ვიყურები. მერე თვალებს ვხუჭავ და ისევ ვფიქრობ. სულ იოლად შეიძლებოდა, მენოკალივით ახლა მეც მიწაში ვწოლილიყავ.

გუსტავო

ტენიენტე რეის ქუჩაზე შეუხვია და ძველი ჰავანასაკენ გაუყვა გზას. ინსტიტუტიდან მოდიოდა. ბერნასას ქუჩის კუთხეში ავტობუსებს, ეტყობა, ავარია მოსვლოდათ და ახლა საჩხუბრად გამზადებულ უზარმაზარ ცხოველებს ჰგავდნენ. მათ გარშემო ხალხი შეჯგუფებულიყო. გუსტავომ გვერდი აუარა და გზა განაგრძო. წინ, კარგა შორს, იმავე მიმართულებით მიმავალი მანოლიტო და არტურო შეამჩნია. არტუროს ნახვის გუნებაზე არ იყო, მანოლიტოს ტარტარის მოსმენის თავი ხომ სულ არ ჰქონდა. ამიტომ ადგა და მარჯვნივ შეუხვია, ვილიეგარის ქუჩაზე. ორი კვარტალი გაიარა. მერე ისევ მარჯვნივ გაუხვია და ზღვისკენ წავიდა. ვიწრო ქუჩაში ვიღაც მოხუცი ყვავილების ქოთნებით და ბალახებით სავსე ურიკას მიაგორებდა.

მოხუცმა ურიკა ცოტა ხნით აგუაკატეს კუთხეში შეაჩერა. ურიკაზე ცოტაოდენი ალბააკას ბალახი, გლადიოლუსი, ქრიზანთემები, თეთრი შროშანები და ვარდები ეწყო. მოხუცს ყვავილები წყლიან ქილებში ჩაედო, მაგრამ მაინც დამჭკნარიყო. მყიდველი არსად ჩანდა. გუსტავო მოხუცს დააკვირდა: გახეული პერანგიდან გაძვალტყავებული სხეული მოუჩანდა. თითებით რკინის სახელურს ჩასჭიდებოდა და ნელა მიაგორებდა ურიკას. მზე უმოწყალოდ აცხუნებდა, მოხუცს ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. „საწყალს ალბათ ძალიან უჭირს“ — გაიფიქრა გუსტავომ. სიბრალულის გრძნობა აღეძრა მოხუცისადმი. რა ექნა, რით დახმარებოდა გაჭირვებულ კაცს? ორი ნაბიჯი გადადგა და შეჩერდა. ურიკას თრევაში მიეხმაროს? ნაცნობი ვინმე დაინახავს და გასცინებს. თან ვინ იცის, ეგებ საეჭვოდაც კი მოეჩვენოთ. მოწყალება მისცეს? რომ იუკადრისოს? ბოლოს და ბოლოს ეს კაცი მათხოვარი ხომ არ იყო! ყვავილები იყიდოს? ჯიბეში ორი პესო ედო. მისთვის ეს არაფერი იყო, მოხუცისათვის კი ნამდვილად დიდი თანხა იქნებოდა. ქუჩა გადასჭრა და ურიკას მიუახლოვდა. შეჩერდა. „სისულელეაო“, — გაიფიქრა. რა შავ ქვად უნდოდა ეს თაიგული, მაშინ როცა სულ სხვა საქმეზე მიეჩქარებოდა. ერთ ხანს მოხუცი მზით გახურებულ რკინის სახელურს უსვამდა ხელს, მერე გზა განაგრძო. გუსტავო ჩამორჩა.

„ნამდვილი ფუნა ვარ, — გაიფიქრა მან, — უნდა მეყიდა ყვავილები“. ისევ გადმოსჭრა ქუჩა. ყველაფერი აღიზიანებდა: დირექტორი, პოლიციელები, მოხუცი თავისი ურიკათი. მეტის მოთმენა აღარ შეეძლო, რაღაც უნდა ეღონა. თავის დროზე თითქოს მამამისიც არ იყო უმოქმედოდ, რაც კი შეეძლო, გააკეთა. ახლა კი ერთი უჟმური და იმედგაცრუებული მოხუცი იყო. გუსტავოს არ სურდა, მამას დამგვანებოდა. ასე გულხელდაკრეფილი ჯდომა იმის იმედით, ეგებ რამე მოხდესო, აუტანელი იყო. მეტი გაბედულობა უნდა გამოეჩინა, თორემ მერე იმას ეტყოდნენ, უჭკუო და მხდალი იყავიო. იმასაც კი ვერ მიხვდი, იმ დროს რა უნდა გექნაო. ეგებ სილაც კი გაეწნათ. პატიებით კი ამ დაბნეულობას და გაუბედაობას ნაღდად არ აპატიებდნენ. არადა გრძნობდა, რომ ბევრი რამ შეეძლო. ჯერ დირექტორისთვის უნდა მოევლო. აუტანელი ქალი იყო. სასწავლებელში ტერორისტული რეჟიმი ჰქონდა დამყარებული. მის წინააღმდეგ უნდა ემოქმედა. ქუჩაშიც აუტანელი მდგომარეობა შექმნილიყო — ყოველ ნაბიჯზე პოლიციელები იდგნენ, თან ისე კადნიერად ათვალიერებდნენ გამვლელ-გამომვლელს, თითქოს რომ არ ჰკლავენ, იმას ამადლიანო. ამას ვინ ჩივის, ვია კუბას არხით

ქვეყნის ორ ნაწილად გაყოფას აპირებდნენ. ამის უფლება არავის არ ჰქონდა. მთავრობაში ბანდიტებისა და კაცისმკვლელების ჯგუფი იყო მოკალათებული. გუსტავო ურიკას მიყვებოდა. კუთხესთან შეუხვია. შორიახლოს ის სახლი იყო, სადაც რობერტო ელოდა მას. მოხუცი შეჩერდა; ყომყანობდა. ეტყობა, ვერ გადაეწყვიტა, უკან დაბრუნებულიყო, თუ კიდევ განეგრძო გზა. ქუჩაში პოლიციის მანქანა იყო უშნოდ გაჩხერილი და მოძრაობას აფერხებდა. მანქანასთან ავტომატიანი პოლიციელები შეჯგუფებულიყვნენ, სახლის შესასვლელს ღობავდნენ. № 256 სწორედ ის სახლი იყო, სადაც რობერტოს უნდა შეხვედროდა. ერთ-ერთი პოლიციელი მოხუცს მიუახლოვდა და უბრძანა, შეჩერდიო, მეორე პოლიციელი გუსტავოს დააშტერდა. შეჩერება არ ივარგებდა, დაეჭვდებოდნენ.

ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა. სახლის შესასვლელისთვის თვალი არ მოუცილებია. შენობიდან პოლიციელები გამოვიდნენ, თან ვიღაც ვაჟები გამოიყვანეს. გუსტავო დააკვირდა. მათ შორის რობერტო არ იყო. ორ პოლიციელს ქუჩაშიაც დაეჭირა ვიღაც ახალგაზრდა კაცი. მას თავი ჩაეკიდა. მანქანასთან ცოტათი გაუძალიანდა პოლიციელებს. მაშინ ერთმა მათგანმა ავტომატის კონდახი ჩასცხო საფეთქელში. ვაჟი უგონოდ ჩაიკეცა, წარბი გაუსკდა და სისხლი თქრიალით წამოუვიდა. პოლიციელებმა იგი ასწიეს და მანქანაში შეტენეს. გუსტავომ თვალი აარიდა. მურალიაზე მარცხნივ შეუხვია. კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და რომელიღაც სადარბაზოს კიბეზე ჩამოჯდა. ვიღაც ქალმა ჩაიარა, დააკვირდა და თანაგრძნობით ჰკითხა: შეუძლოდ ხომ არ ხართო? გუსტავომ არ უპასუხა.

* * *

იქ ერთი მეგობარი გამიგიჟდა და იძულებული შეიქნენ, საგიჟეში გაეგზავნათ. ახლაც იქ არის. ისეთი სიმწარე აგემეს, რომ კიდევ კარგად გადარჩა. ბოქსეადორმა და სერჟანტმა ცოლი და ქალიშვილი გაუუპატიურეს თვალწინ. ქალიშვილი ცამეტი წლისა იყო. იყო-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ მალე გარდაიცვალა — დაორსულდა და მუცელს გადაჰყვა.

მას მერე, რაც იმ ძაღლიშვილმა ბიჩომ ჯაშუშობა დაიწყო, იქაურობა დაპატიმრებულებით გაივსო. რა ძალა ყოფნიდათ ამდენი ხალხის გასალახავად! საღამოს ცხრაზე იწყებდნენ და დილის ოთხამდე არ ჩერდებოდნენ. საშინელი საყურებელი იყო. თან პატიმრების ყვირილსაც ვერ ვიტანდი. მინდოდა მეც დამეყვირა: „არამზადებო, ცვედნებო, გეყოფათ ხალხის ცემა! მაგრამ რა აზრი ჰქონდა. ერთხელ მართლა ველარ შევიკავე თავი. ქალი გალახეს, მერე კი ბოთლზე დასვეს. საწყალი ყვიროდა: „არა, ოღონდ მაგას ნუ იზამთ, ღორებო, მხეცებო!..“ მაგრამ ვინ შეისმინა. ყველაზე ბოროტები გუაჰირო და ბოქსეადორი იყვნენ. თუმცა არც ბიჩო ჩამოუვარდებოდა მათ. როგორც კი უგუნებობას შემატყობდა, მუშტს მომიტანდა ცხვირთან: ჰა, ბებერო, როგორა ხარო, მომაძახებდა. ადამიანები კი არა, მგლები იყვნენ, სისხლის დანახვაზე მხეცებივით ხელდებოდნენ.

II

მსხვერპლადმიტანილი

ირენე

თვალგაშტერებული იყურებოდა. ვერაფერს ვერ ხედავდა. ოთახის შუაგულში, ტახტზე, ვიღაცის გვამი ესვენა სუდარაგადაფარებული. ვეებერთელა ნათურა ზედ დაჰნათოდა და სუდარიდან ანარეკლი შუქი ოთახს ეფინებოდა. ირენეს გვერდით სამოქალაქო ტანსამცელში გამოწყობილი მამინაცვალი იდგა. თეთრხალათიანი ექიმი გვამს მიუახლოვდა და მათაც ანიშნა, ახლოს მოდითო. ხელით ოდნავ გადასწია სუდარა. მამინაცვალი დაბნეული ადევნებდა თვალს მის მოძრაობას. ირენე ტახტის კიდეზე უსვამდა ხელს, ცივი რკინა ხვდებოდა თითებში. მერე ექიმმა ერთბაშად გადახადა გვამს სუდარა და იკითხა: — ის არის? მიცვალებულს თვალი გასიებოდა. კისერზე იისფერი ზოლი გასდევდა.

— ის არის? — ისევ იკითხა თეთრხალათიანმა კაცმა და განზე გადგა.

ირენე მოწყვეტით დაემხო გვამს, მკერდზე ორი ნატყვიარი რომ აჩნდა. იგი აქვითინდა, თავი მკვდარ ძმას მკერდზე დაადო. ზურგიდან მამინაცვლის ხმა მოესმა:

— ის არის, ჩემი შვილი, რიკარდო.

ექიმი ირენეს მიუახლოვდა და შეეცადა წამოეყენებინა იგი, მაგრამ ირენე მიცვალებულს ებღაუჭებოდა. მამინაცვალიც ცდილობდა დაემშვიდებინა ქალი. ქალიშვილს თავზე გადაუსვა ხელი. ბოლოს ექიმმა ირენე გვერდზე გამოიყვანა და სკამზე დასვა. ირენემ სახეზე ხელები აიფარა. მამინაცვალი ერთხანს გაოგნებული იდგა, არ იცოდა, რა ექნა. ბოლოს ირენესთან მივიდა. მიცვალებულს ნათურის შუქი გასიებულ თვალზე და ჩალურჯებულ კისერზე ეცემოდა. ექიმმა ისევ სუდარაში გაახვია იგი და იკითხა:

— რა სთქვით, რა ერქვა მას?

მამინაცვალმა უპასუხა:

— რიკარდო მარკესი, — იგი გვამს თვალს არ აცილებდა.

— თქვენ რა გვარი ხართ?

— სებასტიანე როკე.

— აკი მამა ვარო, თქვით!

— მამინაცვალი ვარ. ეს გოგოც გერია ჩემი.

— რას აკეთებდა სიკვდილამდე?

— ვინ?

ექიმმა თავით მიცვალებულისაკენ ანიშნა.

— სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო, მეორე კურსის.

— წლოვანება? — ექიმმა უბის წიგნაკში ჩაიწერა მამინაცვლის პასუხი.

— ოცდაოთხი წლის.

— მისამართი?

დერეფნიდან რაღაც ხმაური მოისმა. ეტყობოდა, გვამებს მიათრევდნენ სა-

კაცეებით. მამინაცვალმა მისამართი უთხრა: ექიმმა ჩაიწერა. ჩაწერის დროს უკმაყოფილოდ კუმავდა ტუჩებს და თავს აქნევდა.

— თქვენი საქმიანობა?

— პოლიცია... პოლიციელი.

მამინაცვალი თავდახრილი იდგა. ექიმი ჯერ მას უყურებდა, მერე გვამს შეხედა. ირენე ადგა. აღარ ტიროდა. ცხედარს მიუახლოვდა, სუდარა გადახადა და სახეზე დააშტერდა. ზურგს უკან მამინაცვლის ჩურჩული მოესმა.

— რისგან მოკვდა? უფრო სწორედ როგორ მოკვდა?

ექიმმა ფანქარი უბის წიგნაკში ჩადო და წიგნაკი თეთრი ხალათის ჯიბეში შეინახა.

„ეს პოლიციელი ნამდვილი იდიოტია, თუმცა ეს ორი მცნება თითქმის განუყოფელია“.

— პასო სუპერიორის ქვევით ნახეს; ტყავის თასმა კისერში ჰქონდა წაჭერილი, — თითქოს უპატაკაო, ისე უპასუხა მან. — გულში აქვს ტყვია მოხვედრილი.

ირენე წელში გაიმართა. თმა ჩამოშლოდა პირისახეზე. წითელი ბლუზა ამოჩაჩვოდა.

ექიმმა კი, თითქოს სიტყვებს არჩევსო, ისე უთხრა:

— სიკვდილის შემდეგ არის ჩამოხრჩობილი.

ირენე ისეთმა გრძნობამ შეიპყრო, რომ უნდოდა ეყვირა: მკვლელებო, არამზადებოო. უნდოდა, რომ ამ სიტყვებით გავარდნილიყო ოთახიდან და პირველივე შემხვედრი პოლიციელი გამოესალმებინა ამ წუთისოფელს.

თეთრხალათიანი კაცი გულგრილად ელაპარაკებოდა მამინაცვალს.

— პოლიციის განოფილებაში უნდა მიხვიდეთ და შეატყობინოთ მკვლელობის ამბავი.

— ჰო, უნდა წავიდე, ჩემს განყოფილებაშიც უნდა შევატყობინო, ვინ იცის, რა მოხდება.

ირენემ მას ზიზღით შეხედა: „საცოდავი, შიშისაგან დალეული პოლიციელი. შური უნდა ვიძიო. სანამ სულ არ ამოვწყვეტავ პოლიციელებს, ვერ მოვისვენებ“.

2 აპრილი.

ნელა ვლაპარაკობდი. ჩემი სულელური მდგომარეობის გამოსახატავად შესაფერ სიტყვებს ვეძებდი. ზუსტად მინდოდა გადმომეცა ყოველი წვრილმანი, იმ დღისა, მენოკალი რომ დაიჭირეს: მისი უკანასკნელი სიტყვები და გაღიმებული პირისახე; იგი გამარჯვების შემდეგდროინდელ გეგმებზე მელაპარაკებოდა. ერთიანი და სრული რომ ყოფილიყო მოგონება, ბევრჯერ მომიხდა გონების თვალით წარსულში დაბრუნება.

ედუარდო

ქალი აღელვებული ლაპარაკობს, ერთი აზრიდან მეორეზე ხტება. სავარძელში მჯდარი ედუარდო მის ფეხებს დასცქერის. ქალის უკან, ნესტისაგან და-

ლაქავებულ კედელზე, მოოქროვილ ჩარჩოში, მწუხარე ქრისტეს გამოსახულებაა. ქრისტეს ხელები ცისკენ აღუპყრია.

— გევედრები, გევედრები! — ამბობს ქალი და ხელებს მლოცველივით იკრეფს გულზე. აქეთ-იქით აწყდება ოთახში, თან ლაპარაკობს.

ედუარდო თვალს არ აცილებს.

„ეს ქალი, — ფიქრობს ედუარდო, — ასე ნაადრევად რომ დაბერებულა, დედაჩემია. ადრე გიშერივით შავსა და მოელვარე თვალებში ახლა მწუხარება ჩასდგომია. უფერული, დამჭკნარი ტუჩები ნერვიულად უცახცახებს. თვალებსაც ისე ახამხამებს, თითქოს სინათლე აწუხებსო“.

— ხომ გითხარი, კი-მეთქი, — ამბობს ედუარდო და ხელებს ჯიბეში იწყობს.

— უნდა დაიფიცო! — ეუბნება დედა და ედუარდოს წინ ჩერდება.

ტუჩები უფრო მეტად უცახცახებს. ახლა იგი თითქმის ბნედიანს ჰგავს. საღამოვდება. ოთახში ნათურა ანთია. ავეჯის ჩრდილები ირგვლივ ეფინება. ედუარდო ყურადღებით აკვირდება დედას. მის თვალებში სულიერ სიცარიელესა და ძრწოლვას ხედავს.

— მე ამას ვერ ავიტან, ერთადერთი შვილი მყავხარ, — სასოწარკვეთილი ეუბნება დედა.

ამ ოთახში, ჩრდილები რომ ირევიან, ედუარდოს მხოლოდ დედის ხმა ესმის.

— კი-მეთქი, ხომ გითხარი, დედა! — ედუარდოს სიტყვა უწყდება. გრძნობს, რომ სათქმელი არა აქვს.

ქალი მის გვერდით ჯდება. ხელებით მხარზე ებღაუჭება, მისი თეთრი თმა ნათურის შუქზე ბზინავს.

— შენ რომ მოგკლან, მე რაღა ვქნა, რა მეშველება, — ედუარდო მხარზე დედის ხელების შეხებას გრძნობს, — მარტო როგორ უნდა ვიყო. შვილო. შენ სიკვდილს ღმერთმა ნუ მომასწროს, — ხმა უსუსტდება და უცებ ქვითინით ეცემა ედუარდოს ფეხებთან. — დაიფიცე, რომ არსად, არაფერში არ გაერევი!

— დედა, დედა! — ედუარდო ცდილობს, წამოაყენოს იგი... ხელებს დედის ცრემლები უსველებს.

10 აპრილი

ელექტროკომპანიის აფეთქებას რაც შეეხება, ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის დაკარგული. მარკოსმა მენოკალის სიკვდილის შემდეგ ხელმძღვანელობასთან გაწყვეტილი კავშირის აღდგენა შესძლო. დინამიტის ჩადების ადგილსა და დროს ისინი შეგვატყობინებენ. ერთი გაჭირვებაა მხოლოდდ — დინამიტი არ გვაქვს. ასაფეთქებელი მასალა ერთ მშიშარას ჰქონდა ჩაბარებული, ის კი მენოკალის სიკვდილის შემდეგ უკვალოდ გაქრა. ბრავო დაპირდა მარკოსს, ერთ კაცს შეგახვედრებ, დინამიტის შოვნა რომ შეუძლიაო.

— ახლა უკვე მალე დაიწყება აჯანყება, — ამბობს მარკოსი და იღიმება. მე კი მაინც დადარდიანებული ვარ.

— აი, ნახავ, ელექტროკომპანიას ავაფეთქებთ და მერე საერთო ამბოხებაც მოჰყვება მაგას, — ამბობს იგი და მე უფრო ცუდ გუნებაზე ვდგები.

გარეთ ასეთი ამბები ხდება, მე კი ამ ოთახში უნდა ვიყო გამომწყვდეული. ეს ფიქრები და მოგონებები სიცოცხლეს მიმწარებს.

* * *

ოსკარს თითქოს რაღაც ჩაწყდა მკერდში, სუნთქვა შეუგუბდა. ავტომატის ლულისათვის თვალი არ მოუცილებია, ისე აიარა საფეხურები. ბაქანზე შეჩერდა და ღრმად ჩაისუნთქა. ხელები უკანკალებდა. ლურჯფორმიანმა კაცმა ხელით ანიშნა, მომიახლოვდიო. ოსკარი ნახევრად გამოღებულ კართან მივიდა. კარის წინ პოლიციელი იდგა. ხელები გაუოფლიანდა. პოლიციელი გვერდზე გადგა. ოსკარმა იატაკზე სისხლის გუბე შეამჩნია. გუბეში პოლიციელს ჩაედგა ფეხი.

სისხლი კარიდან მოჟონავდა. პოლიციელმა ფეხი მოინაცვლა. იმ ადგილას იატაკზე მუქი ლაქა დარჩა. ოსკარს კინაღამ გული აერია. მარცხენა ხელი ისე უკანკალებდა, რომ ველარ გააჩერა. პოლიციელს შეხედა. იგი ზიზღით და უნდობლად უცქეროდა მას. პოლიციელმა ავტომატი მარჯვენა ხელში დაიჭირა, მარცხენათი კი ჩხრეკა დაუწყო.

— სად მიდიხარ? — იკითხა პოლიციელმა.

ოსკარმა შიში დასძლია. მირანდა გაახსენდა.

— აქ რომ ცხოვრობს, იმ სენიორის სამსახურიდან ვარ. რაღაც დამავალეს, გადაეცი.

პოლიციელმა ეჭვით შეხედა, მაგრამ ისე ბოროტად აღარ უელავდა თვალები.

— დარეკე! — უთხრა მან და ავტომატით ზარის ღილაკი აჩვენა.

ოსკარი კარს მიუახლოვდა, ზარის დასარეკად ძალა აღარ ჰყოფნიდა.

— დარეკე! — გაიმეორა პოლიციელმა.

ოსკარმა, როგორც იქნა, დარეკა. შიგნიდან ხმაური მოისმა, მაგრამ კარი არავინ გააღო. პოლიციელმა კარს ავტომატის კონდახი დაჰკრა. კარი ნახევრად შეიღო. შესასვლელში მოხუცი ქალი გამოჩნდა. მის უკან თხუთმეტიოდე წლის გოგონა სავარძელს ეფარებოდა — ალბათ შინა მოსამსახურე იყო. ქალს ხელები ისე აეწია, თითქოს ტყვედ ბარდებაო. მთლად კანკალებდა. ოსკარსაც ააკანკალა. შეეცადა, ხმაში არ დასტყობოდა შიში.

— სენიორა... სენიორა, მე ელექტროკომპანიაში ვმუშაობ. იმის გასაგებად გამომგზავნეს, თუ რატომ არ მოვიდა დღეს თქვენი ქმარი. რამე ხომ არ უჭირს?

ოსკარი პასუხს დაელოდა. თუ ქალი მას გასცემდა, იძულებული გახდებოდა იარაღით თავს დასხმოდა პოლიციელს. ისე არ დავნებდებიო, — გაიფიქრა მან.

ქალმა ჯერ მას შეხედა გაკვირვებით, მერე პოლიციელს. გოგონა ისევ ეფარებოდა სავარძლის ზურგს, თითქოს სავარძელი ქვის საიმედო კედელი ყოფილიყოს. მოხუცი ქალი მთლად ცახცახებდა.

— არაფერი არ უჭირს, კარგად არის, შინ არის... კარგად არის, ძალიან კარგად.

— გმადლობთ, სენიორა, გმადლობთ, — ჩაიბურტყუნა ოსკარმა. იგრძნო, რომ მუხლი ეკვეთებოდა.

ქალმა კარი მოიჯახუნა. პოლიციელმა ავტომატი დაუშვა, გვერდზე გადგა და ოსკარს გზა მისცა. ოსკარი შებრუნდა. კიბეზე ნელა დაეშვა. ისევ შიშმა აიტანა, პოლიციელმა პერანგქვეშ დამალული რევოლვერი არ შემამჩნიოსო. მაგრამ ბედად იგი აღარ უყურებდა. ორი სართული რომ ჩაიარა, დაბლიდან

ხმები შემოესმა, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ორი კაცი ამოდიოდა კიბეზე.

— ეს ვინღა არის? — იკითხა ერთ-ერთმა და ოსკარზე მიუთითა.

— ახლავე გავიგებთ, — უპასუხა მეორემ.

გუსტავო

გუსტავო და რობერტო სადგურის პარკში სხედან. კაშკაშა მზემ რომ არ შეაწუხოს, რობერტოს თვალები დაუხუჭავს. პარკში ხალხი მიდი-მოდის. ხელში ჩემოდნები და სამგზავრო ჩანთები უჭირავთ. ისინი ქუჩაზე გადადიან და მერე სადგურის ვეება შესასვლელში იკარგებიან. გეგონება, უზარმაზარი ცხოველის ხახაში ინთქმებიანო. რობერტო ცხვირსახოცით იწმენდს ოფლს. გუსტავო სადღაც შორს იცქირება.

— მხეცები არიან, ნამდვილი მხეცები, — ამბობს და მუშტს ნელა ირტყამს ნიკაპზე.

რობერტო თავის ძველ, მუდამ მტვრიან ფეხსაცმელებს დასცქერის.

— დამიჯერე, რასაც ვამბობ. სხვებიც ამასვე ფიქრობენ. აღარ შეიძლება, რომ ძველებურად გაგრძელდეს ყველაფერი. ხომ ხედავ, მონაკადას ყაზარმებს თავს დაესხნენ. გოიკურიას მონაწილენი — ფიდელი და ეჩევერია — აწი აღარ შეჩერდებიან, — ამბობს რობერტო და თან მზეზე თვალებს ჭუტავს.

— მთავრობაში მკვლელები და ბანდიტები არიან, სხვა რაღაც უნდა ვიღონოთ, — ამბობს გუსტავო.

— იღონეს და კიდევაც იღონებენ.

— ვინ? ფიდელი?

— ფიდელმა თქვა, აჯანყებას წელს უეჭველად დავიწყებო.

— კი, მაგრამ საამისოდ რომ არაფერი არ კეთდება ჰავანაში?

რობერტო იჭმუხნება, თითქოს მზემ შეაწუხაო. მერე სკამზე ადგილს ინაცვლებს.

— ხალხი ემზადება, ირაზმება, თითქმის ყველა სასწავლებელში შეიქმნა მოძრაობის ცენტრი. ისინი მოქმედებენ, — რბილად, დამარცვლით ამბობს რობერტო, — გინდა ჩვენთან მუშაობა?

გუსტავო სდუმს და ფიქრობს: ფარულ ორგანიზაციაში მუშაობა უბრალო საქმე არ არის. შეიძლება შეიარაღებულ თავდასხმაშიც მიიღოს მონაწლეობა, არადა, საამისოდ არც იარაღი აქვს და არც გამოცდილება. გოიკურიაში უიარაღო ხალხი დახოცეს. ბატისტამ ათი ათასი შაშხანა შეისყიდა... ფიდელი ორმოცდათექვსმეტში აჯანყებას მოაწყობს... მერე რა იქნება?.. გუსტავოს ეტყობა, რომ ყოყმანობს.

— კარგი — ამბობს და თვალებში შესცქერის რობერტოს. — შეგიძლიათ ჩემი იმედი იქონიოთ, ოღონდ ერთი პირობით: არც ერთ თავდასხმაში არ მივიღებ მონაწილეობას, ავტომატს თუ არ მომცემთ.

რობერტოს ეღიმება.

— ნუ ჩქარობ, ჯერ ინსტიტუტში შეასრულებ პატარ-პატარა დავალებებს, მერე კი ვნახოთ, — რობერტო ისევ ჭუტავს თვალებს.

— კარგი, როდის მომცემთ დავალებას?

— ამ დღეებში გნახავ და გეტყვი.

* * *

დღეში ორჯერ პატიმრებისათვის საჭმელი მიმქონდა. საუზმეს არ ვაჭმევდით. პოლკოვნიკი ამბობდა, გასუქდებიანო. დიახ, მე გალიციელს მეძახიან, თუმცა კუბაში ვარ დაბადებული. რაც მართალია, მართალია, საჭმელი ძალიან ცუდი იყო. ქუჩის კუთხეში რომ რესტორანია, იქიდან მოგვქონდა ნარჩენები. ამას განგებ ვაკეთებდით, იმ ბანდიტ პოლკოვნიკს ჰქონდა ნაბრძანები. ჰოდა, პატიმრებს სხვა რა გზა ჰქონდათ, ეს ნარჩენები უნდა ეჭამათ. წიხლებით ნაცემი კაცი ერთი კვირა უჭმელი ვერ გაძლებს.

იგი დაახლოებით ხუთ საათზე მოიყვანეს. თითქმის უგონოდ იყო. მე საჭმელი მივუტანე, მაგრამ არ შეჭამა. რისთვის შევჭამოო, — მკითხა, — იმისთვის, რომ ნახევარ საათში ცემით უკანვე ამომანთხევინონო? ის მეტად აღარ მინახავს. ათი საათი იქნებოდა, რომ წაიყვანეს. არ ვიცი სად, რადგან მე სარდაფში ვიყავი და მაღლა რა ხდებოდა, არ გამიგია.

12 აპრილი

საუზმე დავამთავრე და ფანჯარაში ვიყურებოდი, როცა მოხუცი პოლკოვნიკი შემოვიდა. დღეს ცოტა შეაგვიანდა. ერთხანს ფეხზე იდგა, მერე სავარძელში ჩაჯდა და მანაც ფანჯარაში დაიწყო ყურება. ასე ჩუმად ვიყავით რამდენიმე ხანს. პოლკოვნიკი შფოთავდა, მძიმედ სუნთქავდა, ეტყობოდა, რაღაც აწუხებდა.

— ეს სისულელეა, უაზრობაა! — ამოღერღა ბოლოს.

— რა? — ვკითხე მე.

— ყველაფერი! — თქვა მან.

— ყველაფერი?

— დიახ, ბატისტას წინააღმდეგ ასეთნაირი ბრძოლა. თქვენ მსხვერპლად ეწირებით, მას კი ვერაფერს ავნებთ, — ხელი პიჯაკის ჯიბეში ჩაიყო.

გაზეთს შევხედე, ხელში რომ ეჭირა.

— ეს მხოლოდ თვითმკვლელობაა და სხვა არაფერი, — მან გაზეთი გაშალა. პირველ გვერდზე ფოტოსურათი იყო დაბეჭდილი: მანქანის გვერდით სამი გვამი ეგდო.

— უკვე გავიგე რადიოთი, — ვთქვი მე.

— ეს ხომ უაზრობაა, სისულელეა, პოლიციის მანქანას უიარაღოდ დაესხა თავს. ორი რევოლვერი რა ჩასათვლელია. პოლიციელებს ხომ ავტომატები აქვთ მანქანაში, — თქვა და გაზეთი დაკეცა. ერთ-ერთი მოკლულის გვამიც შუაზე მოიკეცა.

— ალბათ მოულოდნელად უნდოდათ თავდასხმა. ეტყობა, ბედმა არ გაულიმათ.

— რა მოულოდნელობაზე მელაპარაკებით! განა შეიძლება ორი რევოლვერის იმედით ავტომატებით შეიარაღებულ პოლიციელებზე თავდასხმა? ეს თქვენც კარგად იცით, — მოხუცი პოლკოვნიკი ყოველთვის „თქვენობით“ მომმართავდა ხოლმე. საერთოდ, დიდი პატივისცემით მეპყრობოდა. ამის გამო გულში მუდამ მისი მადლობელი ვიყავი.

— ხომ შეიძლებოდა ყველაფერი კარგად დამთავრებულიყო?

— ასე ყველას სათითაოდ მოგიღებენ ბოლოს.

— ქუჩაში სროლის გარდა რა დაგვრჩენია? — ცოტა არ იყოს აღელვებულმა ვთქვი. არ ვიცი რატომ, მაგრამ ერთი ფოტოსურათი გამახსენდა, ფრანკ პაისის დაკრძალვის მომენტი რომ იყო აღბეჭდილი ზედ.

— კი, მაგრამ სროლა ისეც შეიძლება, რომ სხვა მოკლა, შენ კი არაფერი დაგიშავდეს, — სკოლის მასწავლებელივით თქვა მან.

— არ გეთანხმებით, პოლკოვნიკო! სროლა აუცილებელია და იმიტომ ვისვრით, ხოლო ეს შემთხვევა მხოლოდ უბედობის ბრალია, — ვუთხარი მე.

პოლკოვნიკი გაჩუმდა. არ ვიცი, რატომ სდუმდა ხოლმე ასეთი დიდი წარსულის მქონე კაცი, როცა მე ვლაპარაკობდი. დაჭრილი რომ ვიყავი, ალბათ გმირი ვეგონე.

— თქვენი ქალიშვილიც მუშაობს ორგანიზაციაში, — ვუთხარი მე.

— ჰოდა, ძალიანაც მიჰქარავს! — შემაწყვეტინა მან. პირველად ვხედავდი ასე აღელვებულს.

— სხვა გამოსავალი არა გვაქვს, — ქუჩაში სროლა და ქუჩაში სიკვდილი. სხვა არაფერი არ დაგვრჩენია.

— ჯარშიც შეიძლება მოკავშირეების პოვნა, — თქვა და ფანჯარაში გაიხედა.

ბატისტას წინააღმდეგ მოწყობილი სამხედრო შეთქმულება მომაგონდა. ამ შეთქმულებაში პოლკოვნიკიც მონაწილეობდა.

— ვერც სამხედროები და ვერც მაღალი წოდების ხალხი ვერ მიემხრობა რევოლუციას, — გამახსენდა მენოკალის თუ მარკოსის ნათქვამი. მოხუცი სავარძელში შეინძრა. მე სასწრაფოდ დავუმატე: — თქვენისთანების გამოკლებით, რა თქმა უნდა.

— ტყვია რომ მიზანში ხვდებოდეს, რევოლუციას უფრო მეტი ხალხი მიემხრობოდა, — თქვა მან.

— თქვენ ხომ უმაგისოდაც ემხრობით.

— მე სულ სხვა ვარ. ჩემი ქალიშვილია ამ საქმეში ჩაბმული და ამიტომ განზე ვერ დავდგები, — თქვა და თმაზე ხელი გადაისვა.

— თქვენ სხვანაირი კაცი ხართ. სამწუხაროდ, თქვენ ცოტანი გგვანან, უმეტესობა ღორები არიან, — ვუთხარი და თვითონვე არ მესიამოვნა ეს კადნიერი შედარება.

— თქვენ ძალიან ახალგაზრდები ხართ და ზოგჯერ წინდაუხედავად იქცევით. სროლას მაშინ აქვს აზრი, როცა ტყვია მიზანში ხვდება.

— მართალია, ყოველთვის კარგად ვერ ვწონით ჩვენ საქციელს, მაგრამ ლამაზად კი ვკვდებით. ასე არ არის?.. თანაც არავინ არ გვეხმარება, — გუნებაწამხდარმა ჩავილაპარაკე.

— იქნებ ეგრეც იყოს, — პოლკოვნიკი სავარძლიდან წამოდგა, — მაგრამ ცხოვრებას მაინც არასწორად აფასებთ. ახალგაზრდობაში მეც ასე ვიქცეოდი. ახლა უკვე სხვანაირად ვფიქრობ. მე ჯერ ბატისტას ვესროდი და მერე პოლიციის მანქანას...

— შეიძლება.

— კარგი, აბა ნახვამდის, განაგრძეთ ჭამა, — მითხრა და სწრაფად გავიდა.

ჭამა უკვე დამთავრებული მქონდა. ფანჯარაში გავიხედე — ნავსადგურში გემი შემოდიოდა.

* * *

ოთახში ბოლთას სცემდა. ხელები უკან ჰქონდა დაწყობილი. ერთხელ კიდევ გაიარა და მერე სარკმელში გაიხედა. დანარჩენები მას მისჩერებოდნენ. მაგიდაზე მდგარმა ფაიფურის საათმა ცხრაჯერ დარეკა.

— მისი მოკვლა არ შეიძლება, — თქვა მირანდამ და შეჩერდა.

— არა მგონია, ოსკარი დაჭერილი იყოს, — მიუგო ნიკოლასმა, — აქამდე რაიმეს შევიტყობდით... მე დავინახე, როგორ შევიდა შენობაში.

ანამ სიგარეტის წვერი სავარძლის სახელურს დაჰკრა რამდენჯერმე. მერე მოუკიდა.

— ჩემმა მეზობელმა, — თქვა მან, — ავტომატის სროლის ხმა გაიგონა. მერე დაინახა, როგორ აათრიეს პოლიციელებმა სახლის სახურავზე ორი ბიჭი. ისინი დაჭრილები იყვნენ. პოლიციელებმა ის ბიჭები ქუჩაში გადმოყარეს, მაგრამ ეს თქვენ მოსვლამდე ორი საათით ადრე მოხდა.

— ისინი კალვარიოს ბიჭები იყვნენ. ხვალ ბინა უნდა გამოეცვალათ, — თქვა მირანდამ.

ანა ბოლთას სცემდა, სარკმელთან მივიდა, მერე უკანვე დაბრუნდა.

— ოსკარის დაჭერა პოლკოვნიკის მოკვლას ხელს არ შეუშლის.

— აქამდე წამებით მოჰკლავდნენ, — თქვა მირანდამ.

— რამე უნდა ვიღონოთ, ეგებ სხვაგან გადაგზავნონ, — თქვა ნიკოლასმა და გასაღები ხელში აათამაშა.

— პოლკოვნიკი ასე იოლად ვერ შეელევა ოსკარს, ალბათ უკვე მისი ვინაობაც გაიგეს.

— არა მჯერა, — თქვა ანამ, — ოსკარმა იცის, როგორ მოიქცეს. მით უმეტეს, რომ პოლიციელები შენ დაგეძებენ და არა მას.

მირანდა სარკმელთან შეჩერდა. ეტყობოდა ნერვიულობდა.

— ის, ვინც არ უწამებიათ, ვერ გაიგებს, რა არის წამება. იმათ ხელში რომ ჩავარდე და არაფერი თქვა, თითქმის შეუძლებელია,—ჩაილაპარაკა მან.

ანა სავარძელთან შეჩერდა.

— უარესიც ხდება, მაგრამ, ალბათ, ბოლოს და ბოლოს ყველაფერი მოგვარდება.

ყველანი გაჩუმდნენ. ფიქრებს მიეცნენ. ნეტა ოსკარის მაგივრად ვინმე სხვა იყოს დაჭერილი... თუმცა სხვას რაღას ვერჩით, გაიფიქრა ანამ და თავი დაუჯერა, არა, ოსკარს არაფერი არ მოუვაო.

— მთავარია, პოლკოვნიკი მოვკლათ. ოსკარი რომ ჩავარდა, ამაში ბრალი არავის არ მიუძღვის. სხვებიც ჩავარდნილან, — თქვა მან.

— პოლკოვნიკის სიკვდილი ოსკარის სიცოცხლის საზღაური ვერ იქნება,— უპასუხა მირანდამ.

— დარწმუნებული ვარ, — ხელების ფშვნეტით თქვა ანამ, — ახლა ოსკარისთვის რომ გვეკითხა, უეჭველად იტყოდა, მოკალითო.

— საკუთარი სიცოცხლის გაწირვა ყოველთვის უფრო იოლია, ვიდრე სხვისი, — თქვა მირანდამ და თვალი მოავლო იქ მყოფთ. ანა კვლავ ბოლთას სცემდა, მერე ისევ სავარძელთან შეჩერდა. გაირინდა. მხოლოდ თითები უთრთოდა.

— მარტო ოსკარის გამო კი არა, თვითეული ჩვენთაგანის, ყველა დაღუპულის სიცოცხლის გამო უნდა ვიძიოთ შური.

— მკვდრებს აღარაფერი ეშველებათ, ოსკარი კი ცოცხალია და პოლკოვნიკის მოკვლით შეიძლება ისიც სასიკვდილოდ გავწიროთ.

— კი, მაგრამ პოლკოვნიკს თუ მოვკლავთ, სამაგიეროდ რაღა მაინცდამაინც ოსკარი უნდა მოკლან, შეიძლება ვინმე სხვა პატიმარი დახვრიტონ, — თქვა ნიკოლასმა და სავარძლის სახელურზე თითები აათამაშა.

მირანდამ ნიკოლასი და ანა სათითაოდ შეათვალიერა: აღელვებულები ჩანდნენ. მოუთმენლად ელოდნენ მის პასუხს.

— ჩემი აზრი უკვე მოგახსენეთ, — თქვა მან, — ოსკარი რამდენიმე საათში თუ არ გამოჩნდა, პოლკოვნიკს აღარ მოვკლავთ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი მთავარი მიზანია, აჯანყებას მომზადებულები შევხვდეთ. პოლკოვნიკს კი, როცა გავიმარჯვებთ, მაშინაც მოვუვლით.

ანამ ნერვიულად გააქნია თავი.

— არ გეთანხმები, არ გეთანხმები!.. პოლკოვნიკის სიკვდილი ამბოხებას დააჩქარებს. შენ არ გაქვს უფლება, ხელი შეუშალო იმას, რისთვისაც ამდენი ხანია ვემზადებით.

მირანდამ პასუხი არ გასცა. სიგარეტი გააბოლა.

— ბრავო ხელმძღვანელია და მას უნდა შევუთანხმდეთ. თუმცა ნებაც რომ არ დაგვრთოს, ჩვენ მაინც ჩვენსას გავიტანთ! — ანა აღელვებული იყო და საუბრის დროს ხელებს აქნევდა, — ვის აქვს უფლება შურისძიება აგვიკრძალოს?

მირანდა ნიკოლასს მიუბრუნდა. შეატყო, რომ იგი ყოყმანობდა და ჯიქურ დაუსვა კითხვა:

— აბა გვითხარი, რას იზამდი, მეგობრებმა რომ ასე გაგწირონ! — დაიყვირა და მუშტი მეორე ხელის გულს შემოჰკრა.

ნიკოლასი სდუმდა. რა ეპასუხა, არ იცოდა. ახლა ოსკარის ადგილზე ყოფნა ერჩივნა, თუნდაც რომ ეწამებინათ. ასეთი არჩევანის წინაშე იგი არასდროს მდგარა. უარი რომ ეთქვა, ანა მაინც არ დაიშლიდა თავისას. არადა, ეგებ მაინცდამაინც ოსკარი არ მოეკლათ.

— ანა მართალია! — თქვა მან და სარკმელში გაიხედა.

ირენე

კედლების გასწვრივ ლითონის სკამებია ჩამწკრივებული. ჭერზე, შუაგულში, დიდი ნათურა ჰკიდია და ოთახს თეთრი, ცივი შუქი ეფინება. ოთახში სანთლებით შემოჯარული შავი კუბო დგას. სანთლები ცისკენ აპყრობილ ხელებს ჰგავს. იქვე სკამზე ქალი მოკუნტულა საცოდავად და ტირის. ერთიანად ცახცახებს. გარშემო ხალხი ეხვევა — მის დამშვიდებას ცდილობენ. კუბოს წინ სავარძელში ირენე ზის. იდაყვები მუხლებზე უდევს, ნიკაპით ხელებს დაყრდნობია — კუბოს თავსახურს უმზერს გაშტერებული. არავის არ აქცევს ყურადღებას. ყვავილებისა და გვირგვინების ჩრდილები კუბოზე ეცემა და მერე იატაკზე იწელება.

დიდ ოთახში ხალხის ლაპარაკი ისმის. ხმების გაურკვეველი გუგუნი ხან მატულობს და ხან უეცრად წყდება, თითქოს ვიღაც დირიჟორობსო. ოთახში მყოფთ წამით გაუნათდებათ დამწუხრებული სახეები და ისევ სევდა ჩაუდგებათ თვალებში. ირენე კუბოს ერთი წუთით აცილებს მზერას და ხალხს ათვალი-

ერებს. რამდენიმე ნათესავსა და ამხანაგს ხედავს. სხვა ყველანი უცნობები არიან; უმეტესად ახალგაზრდები მოსულან. დედა აღარ ტირის; თითქმის ორად მოკეცილი ზის სკამზე. მამინაცვალი მხარზე თანაგრძნობით უთათუნებს ხელს, მის დამშვიდებას ცდილობს.

დედასთან ვიღაცას ჭიქით წყალი მოაქვს. იგი სვამს, შემოდის გუსტავო, ირენე მის შესახვედრად დგება. გუსტავო ორივე ხელს უწვდის ქალს.

— ძალიან ვწუხვარ! — ამბობს იგი და ჩუმდება. ირენე და გუსტავო სხდებიან.

— დაკრძალვა როდის არის? — კითხულობს ვაჟი.

— ხვალ სამ საათზე.

გუსტავო სდუმს, ცოტა ხნის მერე ისევ კითხულობს:

— როგორ მოხდა?

— პასო სუპერიორში იპოვნეს. ჯერ საშინლად უწამებიათ... მერე მოუკლავთ! — ჩურჩულებს ირენე. ტირილს ძლივს იკავებს. — უნივერსიტეტის საიდუმლო ჯგუფში მუშაობდა, — განაგრძობს იგი. სახე გაფითრებული აქვს.

— ვინ მოკლა?

— პოლკოვნიკმა... თვითონ პოლკოვნიკმა. ჯერ მოკლა და მერე მკვდარი ჩამოახრჩო. ამხანაგებს ერთ-ერთმა პატიმარმა უთხრა. პირდაპირ დაუჯერებელია, კაცი ასეთი მხეცი როგორ უნდა იყოს? — ირენე ჩუმდება. ნერვიულობისაგან ხელებს მუშტავს. უნდა, რომ იყვიროს, ეცეს ვინმეს, გამეტებით სცემოს.

„აი, ახლა იტირებს," ფიქრობს გუსტავო, მაგრამ ირენე არ ტირის, იატაკს ჩაშტერებია და სდუმს.

გუსტავო უხმოდ შესცქერის. დასამშვიდებლად სიტყვაც ვერ უპოვნია.

„ასეთი სადისტები როგორ არიან, — ფიქრობს ვაჟი, — თუმცა მათ კაცის კვლა ალბათ ისევე სიამოვნებთ, როგორც ქალთან ალერსი. წამება რომ სიამოვნებდეთ, კიდევ გასაგებია, მაგრამ მოკვლა?! ან კიდევ, სიკვდილის მერე ჩამოხრჩობა რალაა?!"

— სიკვდილი არსებობის ერთ-ერთი ფორმაა, — ამბობს გუსტავო. ირენე მას უსმენს. ვაჟის სიტყვები მისთვის გაუგებარია.

— ეგ სულ ლამაზი სიტყვებია. ჩემი ძმა მკვდარია, მისი მკვლელები კი ცოცხლები არიან, — ამბობს იგი.

გუსტავო პასუხს აყოვნებს. მერე თითქმის ჩურჩულით ეუბნება:

— იცი, რა, ინსტიტუტში რევოლუციური ჯგუფია შექმნილი. ისინი მზად არიან შენი ძმის სისხლი აიღონ. შენ შეგიძლია მათ გამოადგე.

გუსტავო

ალერსით გადაუსვა ხელი პატარა ოთხკუთხედ ფუთას. შიგ ათასი ცალი პროკლამაცია იყო გახვეული. ბოლო ზარის შემდეგ, სტუდენტები კიბეზე რომ გამოეფინებოდნენ, სწორედ იმ დროს უნდა გადმოეყარა მეოთხე სართულიდან. ამ დილით რობერტომ მოულოდნელად ეს დავალება მისცა, თან გააფრთხილა, შეეცადე პროკლამაციები ჰაერში კარგად გაიშალოსო. იოლი და უხიფათო საქმეა, გაიფიქრა მან. ეს პირველი დავალება იყო.

საათს დახედა: ისარი ექვსის ნახევარს უჩვენებდა. ზარი ექვსზე ირეკებოდა. ქალალდების შეკვრა გვერდით დაიდო. სიგარეტს მოუკიდა. ცენტრალური პარკი ხალხით იყო სავსე. ზოგი სამსახურიდან შინ მიდიოდა, ზოგი ვიღაცას ელოდებოდა, ზოგიც უსაქმურად იჯდა და გამვლელ-გამომვლელს ათვალიერებდა. გადაწყვიტა, პროკლამაციები მუყაოს კოლოფში ჩაეწყო, ზემოდან კი ნამცხვარი წაეფარებინა. ასე ჯობდა. ეჭვს არ აღუძრავდა არავის. შესასვლელში თუ გაჩხრეკდნენ, ხელებს მაღლა ასწევდა და კოლოფს, ცხადია, ყურადღებას არავინ მიაქცევდა.

— ბოდიში, სიგარეტი ხომ არ გაქვთ? — მიმართა მას გვერდით მჯდომმა მოხუცმა ზანგმა.

გუსტავომ კოლოფი მიაწოდა, ზანგმა ერთი ცალი ამოიღო და კოლოფი უკანვე დაუბრუნა.

— ულრმესი მადლობა! — უთხრა მან და გააბოლა.

— არაფრის!

სიფრთხილისათვის გუსტავომ პატარა ყუთი მოხუცის მხარეს დასდო სკამზე. უცხოს შეიძლება ეფიქრა, ეს შეკვრა ზანგის არისო. მოხუცებზე კი ეჭვი არ მიჰქონდათ. ისე, აქ ჯდომას ბევრად ჯობდა სახლიდან ექვსის ნახევარზე გამოსულიყო და პირდაპირ ინსტიტუტში მისულიყო, თუმცა ახლა გვიან იყო ამაზე ფიქრი.

„ჯგუფის შექმნა აუცილებელია, — უთხრა მას რობერტომ, როცა პროკლამაციები გადასცა, — მაგრამ ჯგუფში უალრესად სანდო ხალხი უნდა მივიღოთ“.

დირექტორის მოძულენი და მოწინააღმდეგენი ბევრნი არ იყვნენ, სამაგიეროდ ისინი პოლიტიკით იყვნენ გატაცებულნი და მათგან შეიძლებოდა ჯგუფის შექმნა.

რობელიოს იმედი ვერ ექნებოდათ, — იგი ძალიან წინდაუხედავად იქცეოდა, ეს კი საქმისთვის საზიანო იყო. თუმცა შეიძლება ცდებოდა კიდეც. ისინი პირველი კურსიდან მოყოლებული მეგობრობდნენ, მაგრამ საქმეში მეგობრობამ ხელი არ უნდა შეგიშალოს. რასაც აკეთებ, კარგად უნდა გააკეთო. სიფრთხილეს თავი არ ასტკივა, არადა, მეგობარს რომ არ ენდობოდა, ესეც აწუხებდა. გადაწყვიტა კიდევ ეფიქრა ამ საკითხზე. რაც შეეხება ედუარდოს, იგი პოლიტიკას თავს არიდებდა, თითქოს ეშინიაო, მაგრამ მასთან მოლაპარაკება მაინც ღირდა. ექვსს ათი წუთი აკლდა. წასვლის დრო იყო, მას კი არ უნდოდა წასვლა. სიამოვნებით დარჩებოდა მოხუცი ზანგის გვერდით, განცხრომით რომ აბოლებდა სიგარეტს. მშვენივრად გრძნობდა აქ თავს. ცნობების დაფას უყურებდა. დაფაზე საცაა აინთებოდა ელექტროწარწერები და ფეხბურთის ამბებს გააგებინებდა. წამოდგა და პრადოს მიმართულებით წავიდა. გზაჯვარედინზე მწვანე შუქის ანთებას დაელოდა და მერე გზა განაგრძო. კინოთეატრ „პერეს“ წინ პატარა რიგი იდგა. ნახევრად ღია კარიდან გრილი ჰაერი გამოდიოდა. კედელზე ვეებერთელა აფიშა იყო გაკრული — ახალი სუპერფილმი გადიოდა: მუხლმოდრეკილი, თითქმის მთლად შიშველი ქალი ფეხებზე ეხვეოდა კოვბოის, კოვბოი კი გამვლელებს იარაღს უღერებდა. აფიშას წითელი ფონი ჰქონდა. მაღლა დიდ ასოებით ეწერა: „დღეს“. კინოში რომ შესულიყო და პროკლამაციები იქ გადაეყარა?! „ბოლო ზარის შემდეგ მეოთხე სართულიდან“.

პროკლამაციების გადაყრის დროს რომ დაეჭირათ, დირექტორი ნეტა თუ დაუძახებდა პოლიციას! ალბათ კი.

მალალი, სქელი პოლიციელი ბილეთს ყიდულობდა. გუსტავოს საფეთქელგაბვრეტილი კაცი მოაგონდა. ისევ ფიქრს მიეცა. ვინმეს ყუმბარა რომ შეეგდო ფილმის ჩვენების დროს, ალბათ ყველანი აფეთქდებოდნენ, ყველანი, ვინც ამ ძნელბედობის დროს კინოში ერთობოდნენ. დედამისიც? იგი ხომ მამასთან ერთად აპირებდა კინოში წასვლას.

„ბოლო ზარის შემდეგ“.

პირველი დავალების შესრულება აკრთობდა.

„პოლიციაში რომ მცემონ“? — გაუელვა და ისევ უსიამოვნო ფიქრები მოეძალა: საფეთქელში რომ დაჰკრან ავტომატის კონდახი?!

აფიშას ჩაუარა და კაფეტერია „ლა კამარაში“ შევიდა. კუთხეში ედუარდო მიმჯდარიყო და ნაყინს ჭამდა. სწრაფად მივიდა მასთან. შეკვრა მაგიდაზე დადო და ჩაილაპარაკა:

— შენი დახმარება მჭირდება.

ედუარდომ გაკვირვებით შეათვალიერა ჯერ პაკეტი და მერე გუსტავო.

— რა დახმარება? — იკითხა მან.

— ინსტიტუტში ეს ქაღალდები უნდა გადმომაყრევინო როგორმე. შენც კარგად იცი, ჩვენი დირექტორი კარგი სული რომ არ არის, მთავრობაშიც სულ ავაზაკები არიან თავმოყრილნი.

ედუარდოს კოვზიანი ხელი ჰაერში გაუშეშდა. მერე კოვზი თეფშზე დადო. ქაღალდების შეკვრა გულდასმით შეათვალიერა.

— ამას კი, არ ვიფიქრებდი, — თქვა მან.

— თანახმა ხარ?

— როდის?

— ბოლო ზარის შემდეგ, ექვს საათზე.

— არ შემიძლია... დღეს არ შემიძლია, — მიუგო და ხელები მუხლებზე დაიდო.

— რატომ?

— დღეს პაემანი მაქვს.

— კარგი, ბატონო, — დამცინავად ჩაიღიმა გუსტავომ და დახლთან მივიდა. მთელი კოლოფი ნამცხვარი იყიდა, მერე საპირფარეშოში შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა, პროკლამაციების შეკვრა აღარ ეჭირა ხელში. ედუარდოს ისე ჩაუარა გვერდით, რომ ზედაც არ შეუხედავს.

— ჩაო, — დაუძახა ედუარდომ.

— გნახავ მერე, — ცივად უპასუხა გუსტავომ.

მისი გასვლის შემდეგ ედუარდოც წამოდგა, ფული გადაიხადა და ქუჩაში გავიდა. შორიახლოს მიმავალ გუსტავოს მოჰკრა თვალი და უკან გაჰყვა. გუსტავო სულუეტას ქუჩაზე რომ გადადიოდა, დაუძახა, მაგრამ მან ვერ გაიგონა, ანდა შესაძლოა განგებ წაუყრუა კიდეც. ავტობუსებს შორის გაიკვლია გზა და ინსტიტუტის კიბეებზე ნელა ავიდა. მარცხენა ხელში ნამცხვრის კოლოფი ეკავა, თან დროდადრო ნამცხვრით პირს იტკბარუნებდა. შესასვლელ კართან შეჩერდა და ორივე ხელი ასწია. კარისკაცმა ტანზე ხელი მოუფათურა, საგულდაგულოდ გაჩხრიკა. ედუარდომ ერთხელ კიდევ დაუძახა, მაგრამ გუსტავო უკვე შევიდა შენობაში. ედუარდომ ვეება ხის საათს შეხედა — ექვსს ორი წუთი აკლდა.

16 აპრილი

ყოველდღე ველოდი ამას და ბოლოს მოსახდენი მოხდა. ზუსტად სამ საათზე მოხუცი პოლკოვნიკის სახლში პოლიცია მოვიდა. მათ დაპატიმრებული სილვია მოიყვანეს — ეს პირველი შემთხვევა იყო. ადრე სილვია ადვილად უსხლტებოდა ხოლმე პოლიციას ხელიდან. რაღაც ბედად, დაპატიმრების პირველივე წუთიდან სილვიას მფარველი გამოუჩნდა. ეს იყო მათი ოჯახის ძველი მეგობარი, უმაღლესი სასამართლოს საკმაოდ გავლენიანი პირი. იგი გვერდიდან არ მოცილებია სილვიას, და ქალიშვილი პოლიციის ძალადობისა და უხეშობისაგან დაიხსნა. სილვია რამდენიმე დღეში მაიამი ბიჩში უნდა წასულიყო. ამით იგი ცოტა ხნით მაინც ჩამოშორდებოდა რევოლუციურ საქმიანობას, მაგრამ სამწუხაროდ მანამდე გაება. პოლიცია რომ მოვიდა, შინ არ ვიყავი. მარკოსთან ერთად ქუჩაში ვსეირნობდი. უკან აღარ მიმესვლებოდა და სილვიასთან დატოვებულ ორიოდე საკუთარ ნივთს საბოლოოდ გამოვემშვიდობე. თან ბედს ვუმადლოდი, რომ პოლიციას ასე იოლად დავუსხლტი ხელიდან. სილვიას თანამზრახველთა ჯგუფი გაქრა. თვითონ სილვია ახლა მაიამი ბიჩშია. მოხუცი პოლკოვნიკის ადგილსამყოფელი აღარ ვიცი. ეს ამბავი მათმა მოსამსახურე ქალმა მითხრა — იგი დიდი ხნის შემდეგ შემთხვევით შემხვდა ქუჩაში. ჩემს დანახვაზე ისე შეშინდა და აღელდა, რომ მეტი ვერაფრის თქმა ველარ შესძლო. ისევ ცუდ დღეში ჩავვარდი. ჯერ მთლად არ ვიყავი გამოჯანმრთელებული, საიმედო ბინის მოძებნა კი ძალზედ ჭირდა.

მარკოსს პოლკოვნიკის სახლიდან ცოტა მოშორებით დავცილდი. შინ რომ მივედი, მაშინ შევიტყვე სილვიასა და პოლიციის ამბავი; ასე რომ მარკოსის ნახვა იმავე დღეს ველარ შევძელი. იძულებული გავხდი მისი ნახვა შემდეგი დღისათვის გადამედო.

ირენე

ედუარდო და ირენე ხელიხელჩაკიდებულნი ნელი ნაბიჯით მიუყვებიან სანაპიროს. ერთ მხარეს ვედადოს რაიონის უზარმაზარი შენობებია, მეორე მხარეს — ზღვა.

ჩამავალი მზე სისხლის უზარმაზარ წვეთს ჰგავს.

— სწავლას თავი უნდა დავანებო, — ამბობს ირენე, — აღარ მინდა.

ედუარდო ჩერდება. გაკვირვებული უყურებს.

— შეხუთე კურსზე სწავლის მიტოვება არ გამიგია. ეგ ხომ სისულელეა!

— მე კი გამიგია, რიკარდოს სიკვდილის შემდეგ სწავლა აღარ შემიძლია,— ამბობს ირენე და სწრაფი ნაბიჯით განაგრძობს გზას. ედუარდო ცდილობს არ ჩამორჩეს.

— სწორად არ იქცევი, რიკარდო მაგას ნამდვილად არ მოგიწონებდა! — ირენეს თითქოს საღლაც შორიდან ესმის ედუარდოს ხმა. მისი სიტყვები უაზრო ბგერებად ეჩვენება. ირენე ისე ლაპარაკობს, თითქოს ხმამაღლა ფიქრობსო:

— მე რომ მხარში ამოვდგომოდი, ეგებ დღეს ცოცხალიც ყოფილიყო.

ჯებირებზე ბავშვები დარბიან. ედუარდო გაოცებული უყურებს ირენეს.

— არ მესმის, რას ამბობ.

— შენ არასოდეს არაფერი არ გესმის. უნდა დავხმარებოდი, მასთან ერთად უნდა მემუშავა...

— შენ?

— მე?! — ირენე დაბოღმილი უყურებს ვაჟს და თავში ერთი აზრი უტრიალებს: „ეშინია. დედა, რა მხდალი ყოფილა!..“

— ეს სისულელეა. შენ რას უშველიდი!

— ვინ იცის, შეიძლება, — ამბობს ირენე და ზღვას გასცქერის. ერთხანს უხმოდ მიყვებიან სანაპიროს.

— ვერ გამიგია, რატომ უნდა დაანებო თავი სწავლას, — ედუარდო თავისას არ იშლის.

— კუბაში დღეს სწავლა აღარ შეიძლება.

— იცი რა, მოდი, შეერთებულ შტატებში წავიდეთ და იქ ვისწავლოთ. მამინაცვალი სტიპენდიას მოგვიხერხებს და მერე დავქორწინდებით, — ვაჟი იმედით შესცქერის ქალს.

ირენე თვალს უსწორებს და ფიქრობს: „ღმერთო ჩემო, ეს კაცი მიყვარდა?“

— არა, ედი, არა, — მოგუდული, ყრუ ხმით ამბობს ქალი, — მე აქ დავრჩები.

— კი, მაგრამ...

— მე აქ ვიქნები, სანამ ძმის მკვლელებზე შურს არ ვიძიებ,—ირენეს გულში ახლა შურისძიების, ტკივილისა და ზიზღის გრძნობა ერთმანეთს ებრძვის.

ედუარდო ისევ ჩერდება. ირენეს ხელებს ხელებში იმწყვდევს, ილიმება და თან ბუტბუტებს:

— ეს ხომ უაზრობაა! ჩვენ... მე?

— ჩვენ? რა ჩვენ? არ მესმის... — მცირე ყოყმანის შემდეგ კი უმატებს,— ჩვენ ერთად შეგვიძლია შური ვიძიოთ. შენ შეგიძლია დამეხმარო ამ საქმეში.

ირენე ხელებს ითავისუფლებს. ზღვიდან მონაბერი ნიავი თმას უწეწავს, ტუჩებმოკუმული და თვალებანთებული თვალებში შესცქერის ვაჟს. მთელი ტანი მშვილდივით აქვს დაძაბული.

— რომანის გმირივით ლაპარაკობ, შენი ძმა მკვდარია და...

— შურისმაძიებლები მოიძებნებიან. სულ ცოტა თავმოყვარეობა და ღირსების გრძნობაა საჭირო, რომ ამ მკვლელების წინააღმდეგ აღსდგე, — სინანულით ამბობს ირენე.

შუა ტროტუარზე გაუნძრევლად დგანან. მანქანიდან ვიღაცეები ეხუმრებიან. მათკენ წყვილი მოდის — ხელიხელგადაჯვეული ქალი და პოლიციელი, ირენე ზიზღით უყურებს მათ.

— ჩვენ ახლა უნდა ვისწავლოთ, მერე დავქორწინდეთ, სხვა ყველაფერი სისულელეა, — ამბობს ედუარდო და ხელზე ეფერება ირენეს.

წყვილი მათ უახლოვდება, პოლიციელს ქალისთვის წელზე მოუხვევია ხელი და რაღაცას ელაპარაკება. ქალი იცინის. ირენე და ედუარდო შუა ტროტუარზე გაჩხერილან, ამიტომ ისინი იძულებული არიან მანქანის სავალ გზაზე გადავიდნენ.

— მკვლელებო! — პოლიციელის გასაგონად ამბობს ირენე.

ედუარდო გაკვირვებული უყურებს მას. მერე მზერა პოლიციელზე გადაქვს. ის ქალთან ალერსით არის გართული. ირენეს ნათქვამი ეტყობა, არ გაუგონია. ირენე ღიმილით ეკითხება ვაჟს:

— გეშინია?

— არა, არ მეშინია. მინდა ვისწავლო, ინჟინერი გამოვიდე... ახლა მეტი არაფერი არ მაინტერესებს. შენი ძმა მკვდარია და, რაც არ უნდა მოვიმოქმედოთ, მაინც ვერ გავაცოცხლებთ, — ხმაზე ეტყობა, რომ ძლივს გადაწყვიტა ამის თქმა.

— გეშინია!

— ვისწავლო მინდა.

ირენე რამდენიმე ნაბიჯით შორდება ვაჟს.

„მას ეშინია, ისევე, როგორც მის მამინაცვალს, იმ უბადრუკ პოლიციელს, შვილის მკვლელებთან ერთად რომ ცხოვრობს და შურისძიებაზე არც კი ფიქრობს“.

მზის სხივები სახეზე ელამუნება ქალს.

— მე კი სწავლა არ მსურს, — თითქმის ყვირის ირენე და ხელები თავისთავად ემუშტება. ჯებირებთან მიდის. მერე უკან ბრუნდება და ქუჩის მეორე პირეს გადარბის.

ედუარდომ თვალი გააყოლა მას. ნიავზე აფრიალებული წითელი ქვედაკაბა ერთხანს კიდევ სჩანდა, მერე მანქანებს შორის დაიკარგა.

* * *

10 თებერვალს დღისით დამაპატიმრეს. პოლიციაში მიმიყვანეს თუ არა, წიხლებით შემდგნენ. საღამოს პოლკოვნიკის კაბინეტში შემიყვანეს. იქ ამ დროს ფლაკო ჰყავდათ. კაბინეტში სხვა პატიმარიც შემოიყვანეს. პოლკოვნიკს, ეტყობა, მათი დაპირისპირება სურდა (სხვათა შორის, ფლაკო გამოუშვეს, მაგრამ გამოვიდა თუ არა, მაშინვე თავი მოიკლა). ცუდი ამხანაგი არ იყო, მაგრამ, რას იზამ, ნებისყოფამ ულალატა, ტანჯვას ვერ გაუძლო და გატყდა.

როცა ის პატიმარი შემოიყვანეს, მის დანახვაზე თმა ყალყზე დამიდგა. მკვდარს ჰგავდა. პოლკოვნიკმა მას უთხრა: „აბა, საინტერესოა, ახლა რაღას იტყვი, როცა ორი ამხანაგი დაგადგება პირზე“. ფლაკო მაშინვე შეეცადა, დაეყოლიებინა პატიმარი. იგი მივარდა მას და ხვეწნა დაუწყო:

— გეხვეწები, თქვი, პოლკოვნიკმა ისედაც იცის. მე უკვე ყველაფერი მოვუყევი. შენზეც დავპირდი, არაფერს დამალავს-მეთქი. თუ არ იტყვი, სუყველას დაგვხოცავენ. მეტი აღარ შემიძლია... აქ დედაჩემი ჰყავთ დამწყვდეული. ჯოხით სცემეს. ამის ატანა აღარ შემიძლია. მისი გულისთვის ყველაფერი ვთქვი. მანამდე სიტყვა ვერ მათქმევინეს, მაგრამ დედის წამებას ველარ გავუძელი. დედა დედაა. პოლკოვნიკი დამპირდა, დედაშენს აღარ ვაწამებთო. ჩვენც მოგვეშვებიან, თუ ყველაფერს იტყვი. თუ ღმერთი გწამს, ილაპარაკე, დედაჩემის გულისათვის, გთხოვ!

პატიმარი არ ტყდებოდა:

— მე არაფერი არ ვიცი, რაც ვიცოდი უკვე...

მოულოდნელად დაჰკრეს ყურის ძირში და ისევ გამოჟონა შედედებულმა სისხლმა.

პოლკოვნიკმა პირსახოცი წაუჭირა ყელზე. პატიმარს სული შეეხუთა. დაიხრჩობოდა კიდეც, პოლკოვნიკს რომ უცებ ხელი არ შეეშვა. მერე ისევ და

ისევ წაუჭირა, სანამ პატიმარმა გრძნობა არ დაკარგა. ჭახჭახა შუქმა, თავზე რომ დაანათეს, — და პირში ჩალვრილი სისხლის გემომ გამოაფხიზლა.

— არაფერს არ ვიტყვი.

რეზინის ხელკეტი ჯერ მარჯვენა, ხოლო შემდეგ მარცხენა ფერდში ჩაარტყეს. სახეში საფანტი მოხვდა და იკივლა.

— რას მიშვრებით?

ათიოდე ნაბიჯის დაშორებით ჭორფლიანი იდგა, ხელში სანადირო თოფი ეჭირა და სიცილით კვდებოდა.

— უყურეთ, რა მიზანი მაქვს, ერთს არ ვაცდენ!

ბეჭუკომ თოფი გამოგლიჯა ხელიდან.

— ჭორფლიანო, შენზე კარგად თუ არ ვისვრი, აგერ ნახავ! უყურე, როგორ მოვარტყა მკლავში!

— თქვი, შე კახპის შვილო, სად არის იარაღი? სად გაქვთ რევოლვერები? ილაპარაკე, შე ცვედანო, შენი დედა... სად არის შენი უფროსი? ვინ დადო ყუმბარა გაჩერებაზე? სად არის ბრავო? თქვი, შე ცვედანო! ვინ არის ბრავოს მეკავშირე? აბა, ესეც შენ და კარგად დაიმახსოვრე!.

— არ ვიცი, არაფერი არ ვიცი, ნუ მკლავთ!..

— თქვი, შე ცვედანო!

— არ ვიცი, ნუ მირტყამთ! ვაი დედა, დავბრმავდი, ველარაფერს ვხედავ!..

— ურტყით, ისე ურტყით, რომ მართლა დაბრმავდეს ეგ ნეხვი!..

— ყურებში ნუ მირტყამთ!..

— ერთი სიგარა მომაწოდეთ, უკან უნდა შევურჭო. მოიცა, ჯერ კარგად მოვუკიდო. პერანგი გახადეთ; გაიხადე, შე ცვედანო! ასე... აბა, ჯერ ერთი ზურგზე მიაწვით, რომ ცოტა შეხურდეს ეს დამპალი. კიდევ, კიდევ... ახლა ვნახოთ, ილაპარაკებს თუ არა!

17 აპრილი

მზის სხივი ჩემს სხეულზე წყლის წვეთივით ჩაცურდა. მესამეხარისხოვან სასტუმროში მეძინა. თვალები მოვიფშვნიტე და უბადრუკი ოთახი მოვათვალიერე. სარკმლიდან შემოჭრილი სინათლე მაგიდაზე უაზრო ფიგურებს ხატავდა. დაღლილ-დაქანცულს დილის ხუთ საათზე ჩამეძინა. ახლა კი მზე უკვე საკმაოდ მაღლა იყო და მაგრადაც აცხუნებდა. ათი საათი იქნებოდა. ხუთი საათი მძინებია, მაგრამ მაინც ნაცემი ძაღლივით ვიყავი.

ამ ოთახში დარჩენა სახიფათო იყო. ასეთ სასტუმროებს პოლიცია განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა. აქ ეძებდნენ ხოლმე რევოლუციონერებს. არც ის იყო გამორიცხული, რომ სახლის პატრონს თვითონ დავებეზღებინე პოლიციაში. შეიძლება, უკვე შეატყობინა კიდეც და ახლა „ძაღლების“ მოსვლასღა ელოდებოდა. შევეცადე, დავწყნარებულიყავი. წამოვდექი. ფანჯარასთან მივედი და გარეთ გავიხედე. სადგურში უძრავად გაჩერებული მატარებლები კამეჩებს ჰგავდნენ. მეპატრონეს პოლიციისთვის რომ შეეტყობინებინა, „ძაღლები“ აქამდე უკვე მოვიდოდნენ. უკანვე შევბრუნდი და ერთადერთ სკამზე ჩამოვჯექი. ნელ-ნელა დავმშვიდდი. „უპირველეს ყოვლისა, მარკოსს უნდა დავუკავშირდე“, — გავიფიქრე და წამოვდექი. ხელ-პირი სწრაფად დავიბანე.

თერთმეტ საათზე სასტუმროდან გამოვედი.

ირენე

მას სძულდა იგი: მხდალი იყო, ლაჩარი, პოლიციის ხსენებაზე რომ აკანკალებდა. აღარასოდეს აღარ შეხვდება მას. ვაჟმა ველარ გაუგო რა ტრიალებდა ძმის სიკვდილით აფორიაქებული ქალის სულში. არც შურისძიებაში სურდა დახმარება. ეგოისტი იყო ედუარდო. ერთი კია, რომ მას უყვარდა ირენე და მისი ცოლად შერთვა სურდა. ეგებ ბედნიერებიც კი ყოფილიყვნენ, — ფიქრობს ირენე და ქარი თმას უწეწავს. მზეს უშვერს სახეს და თვალებს ჭუტავს.

ედუარდო

ნელა, მძიმედ მიაბიჯებს სანაპიროზე. ზღვიდან დროდადრო წვიმიანი ნიავი ქრის და სახეს უნამავს. ქუჩა სველია და მძღოლებს მანქანები ფრთხილად მიჰავთ, თან ცდილობენ წყლის გუბეებს გვერდი აუარონ. ტროტუარზე ალაგ-ალაგ ნაფოტები და წყალმცენარები ყრია — დიდი ღელვის დროს ზღვას გამოურიყავს ჯებირებს აქეთ. ედუარდოს გვერდით შეყვარებული ქალ-ვაჟი მიაბიჯებს. თავზე ერთი საწვიმარი გადაუფარებიათ. ედუარდო მათ უყურებს. ქარი დროდადრო საწვიმარს გლეჯს მათ ხელიდან და ისინი გულიანად იცინიან. გოგოს ვაჟისთვის წელზე შემოუხვევია ხელი. ედუარდო ისევ ირენეზე ფიქრობს. აღარასოდეს აღარ იქნებიან ერთად. „უნდა გავმაგრდე.“ — თავს არწმუნებს ედუარდო და ოხრავს. „ირენეს რომ სდომოდა, დავქორწინდებოდით“. ხელისგულით სახეს იმშრალებს. შეშინდა ედუარდო, უნდა დათანხმებოდა ქალიშვილის თხოვნას, დახმარება უნდა შეეთავაზებინა, მაგრამ არ შეეძლო და რა ექნა. „არა, მე ამ გზით არ უნდა ვიარო“, — ისევ არწმუნებს საკუთარ თავს. ტანში აჟრიალებს. ახლა უკვე თქეში მოდის. ედუარდო დედას დაპირდა, ამ საქმეებში არ გავერევიო. ასე რომ მოქცეულიყო, ირენეს დაჰკარგავდა. არადა, რა ექნა, დედასთვის ანგარიში უნდა გაეწია. კი, მაგრამ თვითონ რალას ფიქრობს? — საკუთარ თავს ეკითხება ედუარდო, — დედას აქვს იმის უფლება, რომ კალთაზე გამოიკეროს შვილი?

დედის შიში ხელ-ფეხს უბორკავდა. ან ეგებ, მის კალთას ამოფარებულს, საკუთარი სიმხდალის დამალვა სურდა. არა, უეჭველად ნახავს ირენეს და პატიებას სთხოვს. „უკვე გვიან არის, ძალიან გვიან!“—იმეორებს ვიღაც მის არსებაში. ქუჩის მეორე მხარეს გადადის და ერთი სახლის სადარბაზოს აფარებს თავს. წვიმის წვეთები ბრინჯაოს მარცვლებივით უკაკუნებს ასფალტზე. ედუარდო ცხვირს აცემინებს.

* * *

— ყველაფერი მზად არის, — თქვა მირანდამ, ფერნანდოს მაჯის საათი გაუწოდა და საკუთარ საათს დახედა.

— შევამოწმოთ საათები. ახლა ცხრა საათია. სამი დღის შემდეგ ცხრა საათზე დაიწყება....

— ან დამთავრდება, — ღიმილით თქვა ფერნანდომ.

— მთავარია დაიწყოს, მერე ვნახავთ, როგორც დამთავრდება, — უპასუხა მირანდამ და საათი მომართა.

მცირე ხანს ჩუმად იყვნენ. ვიბორაში, სანმიგელის ქუჩაზე მდებარე პარკში ისხდნენ გრძელ სკამზე. ფერნანდოს ერთი კაცი დაპირდა, ათ ავტომატს მოგყიდიო და ახლა ამ კაცს ელოდებოდნენ.

პარკი თითქმის ცარიელი იყო. მხოლოდ ისინი ისხდნენ სკამზე და შორეულ კუთხეში კიდევ ორი მოახლე ქალი დაასეირნებდა ბავშვებს. ფერნანდო ქუჩაში მიმავალ მანქანებს აყოლებდა მზერას.

— ოსკარის რა ისმის? — იკითხა მან.

— არაფერი, — უპასუხა მირანდამ.

— ნიკოლასისა და...

— მათთან დაკავშირება ვერ შევძელი. უკვე ორი დღეა, აღარ გამოჩენილან. ჰოლკოვნიკი უნდა მოეკლათ.

— ხალხი და იარაღი?

— ნიკოლასს ჰყავს ხალხი. ავტომატი წაიღეს და კიდევ რამდენიმე რევოლვერი.

— ხელყუმბარები?

— აქვთ.

— მაგათ თუ გულში რამე ჩაიდეს, ხელს ვეღარ ააღებინებ!

მირანდა დაიხარა და კენჭი აიღო.

— ახლა მათ ვეღარ დავუკავშირდები.

მეკავშირე ნიკოლასის გარდა ოსკარიც იყო.

— ახლა რა უნდა ჰქნა?

მირანდა ჩაფიქრდა. ისევ აიღო კენჭი, მერე ფერნანდოს მოუტრიალდა, კვლავ მაქანების ცქერით რომ ერთობოდა.

— ორგანიზაციიდან უნდა გავრიცხოთ ისინი, — თქვა და კენჭი ისე ისროლა, რომ მანქანებამდე უწია.

— ისინი დიდი ხანია იბრძვიან და ერთი შეცდომის გამო მათი ორგანიზაციიდან გარიცხვის უფლება არავის არ აქვს, — ფერნანდო სკამის ზურგს მიეყრდნო.

მირანდა ფეხზე წამოხტა.

— რას ამბობ! — ხელების ქნევით იყვირა მან, — მაშ ორგანიზაციის ბრძანებებს არ უნდა დავემორჩილოთ? ან ეგებ ამხანაგების სასიკვდილოდ გაწირვა არაფერია?! იქნებ ამას ფიქრობ?

ფერნანდო ისევ მოიხარა წელში:

— ისინი ძველი და ნაცადი ამხანაგები არიან-მეთქი; სხვა არაფერი არ მითქვამს.

მირანდა აღელვებული სცემდა ბოლთას. სიბრაზემ მოიცვა მთელი მისი არსება. ყველაფერი აღიზიანებდა — საკუთარი თავიცა და ეს უაზრო გამოუვალი მდგომარეობაც, რადგან იგი იძულებული იყო ძველი მეგობრების ბედი გადაეწყვიტა, არადა, რაღაც უნდა მოეფიქრებინა.

— მოკლედ ასეა: ჯერ ორგანიზაციის ინტერესები, ჯერ გამარჯვება, ამხანაგების სიცოცხლეზე ზრუნვა, მერე კი საკუთარი სიძულვილი და აქედან გამომდინარე შურისძიება, — თქვა მან და ფეხი ქვას წაჰკრა.

— რა სიძულვილი?

— ანას პოლკოვნიკი ჭირივით სძაგს, — ხმას დაუწია მირანდამ; — იგი მარტო ამ სიძულვილით ცოცხლობს, ასე არ შეიძლება.

— რა ვიცი... მე მგონი, სხვა რამ უკეთესი თუ არ გამოძრავებს, მარტო სიძულვილითაც შეიძლება სიცოცხლე, მაგასაც აქვს თავისი ეშხი, — თქვა ფერნანდომ. იგი ისევ სკამის ზურგს მიეყრდნო.

მირანდა დაჯდა. საათს დახედა, ათის ნახევარი იყო. მოახლე გოგოები წასულიყვნენ. პარკში მხოლოდ ისინიღა იყვნენ.

— არა მგონია, პოლკოვნიკის მოკვლაზე იყოს დამოკიდებული ოსკარის სიცოცხლე, — თქვა ფერნანდომ, — იმ ძაღლს მოკლავენ თუ არა, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ოსკარის გადარჩენა მაინც ძალიან ძნელია.

მირანდაც სკამის ზურგს მიეყრდნო, ფეხები გაჭიმა, სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და გააბოლა. ზემოთ, აღმართში, სან მიგელის ქუჩაზე მიმავალი ავტობუსები აქედან ბუზებს ჰგავდნენ. დეკემბრის მზემ, როგორც იქნა, გამოაჭყიტა და მისმა სითბომ მირანდას ძილი მოჰგვარა. მოთენთილობა იგრძნო. ლოდინი უკვე ეზარებოდა, მით უმეტეს, რომ ავტომატების გამყიდველი კაცი ეგებ არც კი მოსულიყო. ძალიან საეჭვოდ ეჩვენებოდა, რომ ოსკარს პოლიციიდან ცოცხალს გამოუშვებდნენ. გინდაც ვერ ეცნოთ, შეიძლება მაინც მოეკლათ იგი. ამდენად, პოლკოვნიკის მოკვლა ახლა, ცოტა არ იყოს, მიზანშეწონილადაც ეჩვენებოდა. იმ ძაღლის მოკვლა ამბების საერთო მსვლელობას დააჩქარებდა. თან ეგებ ოსკარი უკვე აღარც კი იყო ცოცხალი.

„მაგრამ ეგებ ცოცხალი არის“, — ისევ გაიფიქრა და ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ სწორი გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული. ისინი ყველანი საიდუმლო გასამხედროებული ორგანიზაციის წევრები იყვნენ და ამიტომ წესრიგის დარღვევის გამო უნდა გარიცხულიყვნენ. ოსკარის სიცოცხლე რომელიმე პოლკოვნიკის მოკვლაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო, მით უმეტეს, რომ იმ ღორის მოკვლას გამარჯვების შემდეგაც მოასწრებდნენ... ან ეგებ საქმისათვის პოლკოვნიკის მოკვლაც სჯობდა, — ისევ დაეჭვდა მირანდა. სჯობდა, რომ ასეთი არჩევნის წინაშე არ მდგარიყო. თვალები მილულა. ხუთი წლის წინანდელი უდარდელი სტუდენტური ცხოვრება მოენატრა, როცა ისინი ოთხნი იყვნენ. მაგრამ რაც იყო, იმას ველარ მოაბრუნებ, — გულდაწყვეტით გაიფიქრა მან, — ეჰ, საწყალი ჩემი ძმაკაცი!

— აგერ ის კაცი, — თქვა ფერნანდომ და მათკენ მიმავალ ჩია ტანის კაცზე მიუთითა.

იგი სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა მათ, გულთბილად მიესალმა ფერნანდოს და მერე მირანდასკენ მიტრიალდა.

— ეს ის ამხანაგია, მე რომ გეუბნებოდი, — თქვა ფერნანდომ.

მირანდამ ხელი ჩამოართვა მოსულს. იგი ორმოცს მიღწეული იქნებოდა. წვეტიანი, მელოტი თავი, სქელი ტუჩები და კეხიანი ცხვირი ჰქონდა, ცხვირზე სათვალე წამოეკოსებინა. „ნეტა ქორვაჭარია? — გაიფიქრა მირანდამ, — მისთვის ალბათ სულ ერთია, ფულს როგორ იშოვნის. ეგებ „სამი A“-ს ორგანიზაციიდან არის ეს ნაძირალა. ალბათ ბრძოლის მიტოვება განიზრახა და ამ საშიში ნივთების მოცილება სურს“. ფერნანდომ „სამი A“-ს წევრად გააცნო იგი მირანდას. მოსულმა დაიჩემა, გარიგება უეჭველად ხელმძღვანელთან უნდა მოვახდინოო. სანდო კაცი არ ჩანდა. მირანდამ გაიფიქრა, მასთან საქმის დაჭერა არ ივარგებსო.

კაცი იღიმებოდა; დაკვირვებით ათვალიერებდა მირანდას, თქმით კი არაფერს არ ამბობდა. მზის სხივები სათვალეში ოქროსფრად ირეკლებოდა. მირანდამ გადაწყვიტა „შენობით“ მიემართა მოსულისთვის — იგი მეტის ღირსი არ იყო.

— ფერნანდომ მითხრა, რომ შენ სამარჯვების შოვნაც შეგიძლია.

მათ გვერდით ქალ-ვაჟმა ჩაიარა და მირანდა ცოტა ხნით დადუმდა. მოსული ისევ იღიმებოდა. მირანდას არ მოსწონდა ეს გაუთავებელი ღიმილი.

— შემიძლია, — თქვა მელოტმა, — მაგრამ მხოლოდ უფროსთან მსურს ლაპარაკი.

„პოლიციელი ხომ არ არის? — ისევ დაეჭვდა მირანდა, — ეგებ ხალხიც ჩაგვისაფრა სადმე“. მიმოიხედა, არავინ ჩანდა, მაგრამ ვინ იცის, იქნებ მეზობლად მდგარ სახლში იყვნენ ჩასაფრებულები და ახლა მხოლოდ ამ კაცის ნიშანსლა ელოდებოდნენ. თუმცა შეიძლება თვითონ ცდებოდა და ტყუილად სწამებდა ამ კაცს ჯაშუშობას.

— მე ვარ უფროსი.

სათვალიანმა გაიღიმა და ხელი ჯიბისკენ წაიღო. მირანდამ უნებურად მოისინჯა იარაღი და ფერნანდოს გადახედა. უცნობმა ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო.

— რამდენს თხოულობ იარაღისათვის? — მირანდას უნდოდა სწრაფად დაემთავრებინა ვაჭრობა.

— არაფერს.

— არაფერს?! აბა რა გინდა?

სათვალიანმა ნელა გააბოლა.

— მე ოთხკაციანი ჯგუფის წევრი ვარ. ჩვენ „სამ A“-ში ყოფნა აღარ გვინდა. იარაღს უფასოდ გაძლევთ, ოღონდ ერთის პირობით...

— რა პირობით?

— იმ საქმეში, რისთვისაც თქვენ ეს იარაღი გჭირდებათ, ორმა ჩვენთაგანმაც უნდა მიიღოს მონაწილეობა. რამე დიდ საქმეში გვინდა ჩავებათ. ასეთი საქმე „სამ A“-ში არა გვაქვს, ამიტომ გაძლევთ იარაღს.

„მახეს გვიგებენ ნამდვილად, — გაიფიქრა მირანდამ, — უნდათ, რომ დაგვტყუონ, რას ვაპირებთ. ახლა ალბათ ამიტომ იკავებენ თავს, თორემ, როგორც კი ჩვენს განზრახვას გაიგებენ, ყველას ერთად დაგვიჭერენ. ეშმაკური ჩანაფიქრია, არადა, ავტომატების შოვნაც რომ აუცილებელია! დიდ დაწესებულებებს ისე ვერ დაესხმებიან თავს. ეშმაკმა დალახვროს, რას გაიგებ, ტყუის თუ არა ეს კაცი?!“

— თქვენგან ვინ წამოვა?

— მე და კიდევ ერთი ამხანაგი.

ახლა მთავარი იყო იარაღის ხელში ჩაგდება, ამ კაცის გაცურებას კი ყოველთვის შესძლებდნენ.

— იარაღს როდის მოგვცემთ?

— როცა გინდათ.

— კეთილი, შეგატყობინებთ და ჩვენთან ერთად წამოხვალთ დავალების შესასრულებლად. იარაღის ხმარება იცით ალბათ.

სათვალიანი აღარ იღიმებოდა. მოკლედ მოსჭრა:

— კი.

— იარაღი ხვალ დაგვჭირდება.

22 აპრილი

თითქმის ნახევარი საათი ვიჯექით მეცხრამეტე და მეოთხე ქუჩების გადაკვეთაზე მდგარ კაფეტერიაში. იმ კაცს ველოდებოდით, ელექტროკომპანიის ასაფეთქებლად ნაღმი რომ უნდა ეშოვნა. მარკოსმა მისი სახელი, ტელეფონის ნომერი და მისამართი იცოდა (ბრავოსგან ჰქონდა გაგებული). შეხვედრა დღის სამ საათზე გვქონდა დანიშნული, ახლა კი ოთხს ოცი წუთი აკლდა. ოფიციანტი უკვე ეჭვით გვათვალიერებდა. მარკოსმა მკერდზე დაიკრიფა ხელები და ქუჩაში გაიხედა. მერე პატარა წიგნაკი გამომიწოდა. წიგნაკი ტელეფონების ნომრებით ჰქონდა აჭრელებული. თითით ერთ-ერთი ნომერი მაჩვენა; ეს მისი მეკავშირის ტელეფონი იყო.

— ჩემი სახელით დაურეკე და ჰკითხე, იმ კაცს რამე ხომ არ დაემართა.

აუჩქარებლად მივედი კაფეს მეორე ბოლოში მდგარ ტელეფონთან. ავკრიფე ნომერი. ამ ნომერზე მერეც ისე ხშირად ვრეკავდი, რომ დღემდე ჩამრჩა მეხსიერებაში — F-32-52. ნომრის მიხედვით მივხვდი, რომ ბინა ვედადოს რაიონში იყო, კაფეტერიიდან სულ ახლოს.

ქალმა მიპასუხა (ისეთი დაღლილი ხმა ჰქონდა, რომ ალბათ ავადმყოფი იყო). ასე მითხრა: ნაღმის მომტანი ბოდიშს იხდის, რომ მოსვლა ვერ შესძლო და გთხოვათ, ხვალ თერთმეტ საათზე შემხვდითო. ქალს მადლობა ვუთხარი და ყურმილი დავდე.

მაგიდასთან დავბრუნდი. მარკოსს ქალის ნათქვამი გადავეცი.

— კი, ბატონო, — თქვა მარკოსმა და მაგიდაზე რამდენიმე მონეტა დააგდო. გარეთ გამოვედით. მეოთხე ქუჩას გავუყევით მეჩვიდმეტე ქუჩის მიმართულებით. კუთხეში ავტობუსების გაჩერებასთან შევჩერდით. უამრავი ხალხი იდგა რიგში, მათ შორის ერთი პოლიციელიც.

— შენ წადი, — მითხრა მარკოსმა, — დღეს რვა საათზე გაბრიელთან ერთად მივდივარ ერთ საქმეზე. მერე დაგირეკავ.

— მეც წამოვალ.

— არა... არ არის აუცილებელი.

ავტობუსი მოვიდა.

— გნახავ! — დამიძახა და ავტობუსისკენ წავიდა. სანამ ავტობუსი თვალს არ მიეფარა, არ გავნძრეულვარ. მერე შინ წავედი. ისევ მარტო დავრჩი.

* * *

იმ ოთახის კართან ვმორიგეობდი, სადაც იგი შეიყვანეს. პირისახე შესიებული ჰქონდა. ჩამოჯდა და თავისთვის დაიწყო ლაპარაკი. მერე ხელით მანიშნა, მომიახლოვდიო. ეტყობოდა, რაღაცის თქმა სურდა. ახლოს მივედი.

— მეტის ატანა აღარ შემიძლია. თუ ღმერთი გწამს, გაფიცებ შვილებს, მიშველე რამე! გავიქცევი და მესროლე, ოღონდ ისე, რომ მაშინვე მოვკვდე, — მითხრა მან.

ბიჭის ნათქვამი სერჟანტს მოვახსენე. ეს ჩემი მოვალეობა იყო. სერჟანტი თავზე დაადგა და უყვირა:

— მაშ, გაქცევა გინდა, რომ გესროლონ, არა? აბა, მიდი, გაიქეცი, შე ცვედანო, გაიქეცი, რომ მიგასიკვდილო ერთი! აჰა, ესეც შენ, კარგად რომ დაგამახსოვრდეს! ფუ, სულ დამსვარა ამ ფუნამ! შენ ერთი ტილო მომიტანე, თორემ ნარწყევით ფეხსაცმელები დამისვარა. ცოტა წყალიც გამოაყოლე, გონზე მოვიყვანო!

ირენე

გალიანოს ქუჩაზე რომ გადადიოდა, ვიღაცამ დაუსტვინა და მერე ქათინაურიც უთხრა. სან რაფაელის ქუჩაზე ვიტრინაში საკუთარ გამოსახულებას მოჰკრა თვალი. მხარზე წითელი ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული. ნაბიჯს უმატა. ცოტა ზემოთ, ქუჩის კუთხეში ორი ქალი იდგა და გამვლელ მამაკაცებს გამომწვევად ათვალიერებდა. „კახპები არიან“, — გაიფიქრა ირენემ; ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა, მათი ყურება არ უნდოდა. რცხვენოდა, მაგრამ უნებურად მაინც მათკენ გაურბოდა მზერა. ერთი მათგანი ვიღაც მამაკაცს ჩამოეკიდა მკლავზე და კუთხეს მიეფარა. მეორე ჯერ კიდევ იქ იდგა. ვინმეს მეც კახპა არ ვეგონოო, — გაიფიქრა ირენემ და ნაბიჯი შეანელა. სარგადაყლაპულივით მიდიოდა. სან რაფაელის ქუჩის ორივე მხარეს ვიტრინები იყო ყოველ ნაბიჯზე, გეგონებოდა, სარკეებიანი გვირაბიაო. ამისტადისა და სან რაფაელის კუთხე ცარიელი იყო, მხოლოდ რამდენიმე კაცი იდგა კინოთეატრ „დუპლექსის“ შესასვლელთან. რიგში ბავშვიანი ქალებიც ერივნენ. სჯობს „პერეში“ წავიდე, აქ ბავშვები არიან“, — გაიფიქრა ირენემ და ისევ უმატა ნაბიჯს. საკუთარი ფეხსაცმელების რიტმულ კაკუნს ყურს უგდებდა — ასე ეგონა, კაკუნი მთელს ქუჩას ესმოდა. მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი არ უნდა ჩამეცვაო, — გაიფიქრა მან. ჩანთა თეძოს უხეხავდა. ვიღაც მამაკაცი „დუპლექსში“ შევიდა. ედუარდო? — არა, შეცდა. ედუარდო გაცილებით მაღალი იყო. ის რომ ახლა აქ, მის გვერდით ყოფილიყო, ასე აღარ იღელვებდა. ნუთუ მაინც უყვარდა ედუარდო?!

პრადოზე გამოვიდა და მარჯვნივ შეუხვია. შიშს აღარ გრძნობდა, აღარც ღელავდა. ოდნავ მაინც იყო დაძაბული. ყველაფერი დაავიწყდა: ედუარდოც, გუსტავოც, ძმაც, მხოლოდ ჩანთაზე ფიქრობდა, თეძოს რომ უხეხავდა. გადასასვლელზე მწვანე შუქნიშანს დაელოდა და კინოთეატრ „პერესაკენ“ წავიდა.

სალაროსთან უამრავი ხალხი იდგა. ირენე რიგში ჩადგა. ხალხი კიდევ მოემატა. ბოლოს, როგორც იქნა, მივიდა სალაროსთან. მინის მიღმა მოლარე დაინახა — შავი სათვალე ეკეთა, თითებს მარწუხებივით ათამაშებდა, მალიმალ ხევდა ბილეთებს და რიგში მდგომთ აწვდიდა. ირენემ მოლარეს მზერა იგრძნო. ხელი უნებურად ჩანთას მოუჭირა.

— კინოთეატრი სავსეა, მხოლოდ წინა რიგებიღა დარჩა, — უთხრა მას მოლარემ. ირენემ არ უპასუხა. ფული გადაიხადა და ბილეთი გამოართვა. ჩანთა მაგრად ჰქონდა ჩაბღუჯული. „საათის მექანიზმი არ ხმაურობს. ისარი ცხრაზეა დაყენებული, დაიმახსოვრე — ცხრაზე“. ირენე მშვიდად მივიდა კარამდე და ბილეთი კონტროლიორს გაუწოდა. შეჩერდა, კარს ზემოთ დაკიდებულ საათს შეხედა. ცხრას თხუთმეტი წუთი აკლდა. შეეცადა მშვიდად ყოფილიყო.

* * *

— კი, ბატონო! — თქვა მირანდამ და გულხელი დაიკრიფა.

— კიდევ ერთხელ გავიმეოროთ ყველაფერი.

დაბალ მაგიდაზე ქალაქის რუკა იყო გაშლილი. ზედ სხვადასხვა ფერის წრეები შემოეხაზათ. მაგიდასთან, ტყავის სავარძელში, ფერნანდო იჯდა და რუქას დასცქეროდა.

— ამ რაიონში უნდა დავბანაკდეთ, — თქვა მირანდამ და წითელ ოთხკუთხედზე მიუთითა, — ორასი კაცი ვართ, აქედან სამოცი — შეიარაღებულია. სამინისტროებს და დიდ დაწესებულებებს უნდა დავესხათ თავს.

— პოლიციის განყოფილებასაც დავუშენთ ცეცხლს?

— სამაგისოდ იარაღი არ გვეყოფა. სამინისტროები და დაწესებულებები ქუჩის პირას არის და ადვილი ასაღებია. ჯგუფების ხელმძღვანელები უკვე მზად არიან, მხოლოდ ტორესი არ გაგვიფრთხილებია. დღესვე უნდა დაუკავშირდე მას.

— გასაგებია. მეორე და მესამე ჯგუფს ლუისი და პერესი გაუძღვებიან, მაგრამ მეოთხეში ვინ იქნება?

— შენ და შენი ხალხი.

მირანდამ ფერნანდოს გადახედა. ფერნანდო ისე მშვიდად იყო, ქალმა გაიფიქრა: რა უდარდელი კაციაო.

— ეს მომწონს. შენთან ერთად ვინ იქნება?

— სკოლის დირექტორი.

— ცოლ-შვილი თუ ჰყავს?

— კი.

— ეგებ სხვა წამოგყოლოდა, თუნდაც რეისი.

— არა, თვითონ უკეთ იცის თავისი საქმე.

— შვილები რომ ჰყავს?

— ყველას გვყავს ვიღაც; ეგ ერთი, და მეორეც, მისი თქმისა არ იყოს, სახელის მოხვეჭის ან ვაჟკაცური სიკვდილის უფლება სუყველას აქვს.

— კარგი, ბატონო, ყველას გვეყოფა, წაიღოს მისი წილი სახელი.

ფერნანდომ წითელ ოთხკუთხედში ოთხი ლურჯი რგოლი ჩახატა; ეს რგოლები სამინისტროებს აღნიშნავდა. თვითეულის წინ ორი გრძელთოფიანი პოლიციელი დააყენა, ძველი იარაღის ადგილსამყოფელიც მიუთითა.

— ტყვეებს რა ვუყოთ?

— მე რომ მკითხო, ადგილზევე მივახვრეტდი, მაგრამ ნაბრძანები გვაქვს, სადმე დავამწყვდიოთ, — მირანდამ ღრმად ჩაისუნთქა, — ქუჩებში როგორ უნდა ვიმოქმედოთ, მე მგონი, ყველამ ვიცით. ერთი რამ არის დასაზუსტებელი: სამინისტროებს ვინც აიღებს, შიგ უნდა დარჩეს, უიარაღონიც იქვე უნდა იყვნენ, რომ იარაღი ჩაიგდონ ხელში და სახურავებზე გამაგრდნენ. შენ სხვა ზონის უფროსებთან ერთად საამისოდ ხალხი უნდა გამოჰყო, რას იტყვი ამაზე? — მირანდა გაჩუმდა და სიგარეტს მოუკიდა.

ფერნანდომ შუბლი შეიჭმუხნა და თითები გაატკაცუნა: — სამინისტროებში დარჩენა სიგიჟეა. ამ შენობების დაცვა ძალიან ძნელია, უამრავი კარი აქვს. უმჯობესია, სხვაგან წავიდეთ.

მირანდამ მხარზე ხელი მოიკიდა. ხელი ოფლიანი ჰქონდა. მერე ფერნანდოს შეხედა და უთხრა:

— სამინისტროები კარგი საყრდენი პუნქტია. უფრო მაღალი შენობები არ არის ამ რაიონში. ყოველი კუთხე-კუნჭული კარგად ჩანს მათი სახურავებიდან.

ფერნანდომ შეაწყვეტინა.

— ჟბოხება დაცვით არ უნდა დავიწყოთ. უნდა შევუტიოთ. სხვანაირად ვერც გავძლებთ, მაშინვე გაგვანადგურებენ.

მირანდა ზედიზედ არტყამდა ნაფაზებს, თითქოს სწრაფად უნდა ჩაათავოსო სიგარეტი. ხელი წამდაუწუმ პირთან მიჰქონდა.

— ჯერ შეტევა, შემდეგ გამაგრება და თავდაცვა. ხალხის გამოსვლას უნდა დაველოდოთ. სხვა გზა არ არის. ეს ბრძანებაა, — თქვა და იმდენი ბოლი გამოუშვა პირიდან, რომ თვითონაც აღარ ჩანდა.

— კარგი, ბატონო. პოლიციის განყოფილებას რა ვუყოთ?

— ხუანჩოს ხალხი მოუვლის. ჯერ ცეცხლს დაუშენენ, მერე კი ისინიც სახურავზე გამაგრდებიან. პოლიციელები ალბათ შეეცდებიან შენობიდან გამოვიდნენ და სწორედ ამ დროს მათ სახურავიდან დაუწყებენ სროლას.

— პოლიციის განყოფილების სხვენზე ორი ორმოცდაათკალიბრიანი ტყვიამფრქვევი დგას, ასე რომ იქვე ახლოს სახურავებზე გამაგრება შეუძლებელი იქნება.

— სხვა გზა არა გვაქვს. ძნელი იქნება, მაგრამ, ასევა თუ ისე, უნდა შევძლოთ.

ფერნანდომ თავი დახარა, რუქას დახედა და საათი დაქოქა.

— კარგი, — თქვა მან, — ხუანჩო ალბათ გაიგებს, რა ძნელ და აუცილებელ საქმეზე მიდის.

— მაინცდამაინც პოლიციის შენობის ახლო-მახლო გამაგრება არ არის საჭირო. შეიძლება ერთი კვარტალის მოშორებითაც ჩასაფრდეთ. მთავარია, რომ ქუჩაში გამოსულ პოლიციელებს თავისუფალი მოქმედების საშუალება არ მისცეთ.

— მთავარი შტაბი, სახელოსნოების წინ რომ სახლია, იქ იქნება. ახალი ბრძანებები იქ შეგიძლიათ შეიტყოთ.

მირანდამ შუბლი მოისრისა. მერე ნიკაპზე მოისვა ხელი.

— მე მგონი, ბევრი რამ დამოკიდებულია... ერთი სიტყვით, ყველაფერი ჩემთვისაც არ არის გარკვეული, მაგრამ, — ფერნანდოს მიუახლოვდა და მხარზე ხელი დაადო, — მაგრამ ეს ერთადერთი შესაძლებლობა გვაქვს და არ შეიძლება, არ გამოვიყენოთ.

ფერნანდომ გაიღიმა.

— იარაღი ყველას დაურიგეს? — იკითხა მან.

— გუშინ დავიწყეთ. ის კაცი რას იზამს, „სამი A-ს“ ორგანიზაციიდან რომ მივიღეთ?

— შენთან ერთად წამოვა სამინისტროზე თავდასასხმელად, ხვალ ტყვიამფრქვევებს მოგვიტანს.

შორიდან სროლის ხმა მოისმა, კანტიკუნტად ისროდნენ — ალბათ რევოლვერებს. იმავე წამს ავტომატი გაბმით აკაკანდა. რევოლვერების სროლის ხმა მიწყდა. მირანდა და ფერნანდო სარკმელთან მივიდნენ. მცირე ხნის შემდეგ ისევ გაისმა ავტომატის ხმა, ამჯერად სულ ახლოდან. ქუჩის კუთხეში პოლი-

ციის ორი მანქანა გამოჩნდა, პოლიციელები მანქანებით ჩახერგილ ქუჩაში ძლივს მიიკვლევდნენ გზას. მათ მეზობელ ქუჩაზე შეუხვიეს. სროლის ხმა თითქმის მიწყდა.

— უნდა გვენახა, — თქვა ფერნანდომ, სარკმელს მოცილდა და რევოლვერს გადაუსვა ხელი, — ეგებ ჩვენი ხალხი იყო.

— უაზრობაა, — მირანდა მაგიდასთან მდგარ სავარძელში ჩაჯდა, — ვერაფერით ვერ ვუშველიდით.

სროლის ხმა აღარ ისმოდა. უსიამოვნო სიჩუმე ჩამოვარდა.

— რამდენადაც ვიცი, ჩვენები ამ უბანში არ მოქმედებენ.

— ისინი? — იკითხა ფერნანდომ.

ცხადი იყო, ვისაც გულისხმობდა. საუბრისას მათი სახელები არ უხსენებიათ, მაგრამ ორთავეს სულ თვალწინ ედგა ისინი.

მირანდა მიტრიალდა. ნიკოლასზე და ანაზე ლაპარაკიც კი არ სურდა. მაინც თქვა:

— ისინი არ იქნებოდნენ, პოლკოვნიკის საყვარელი ვიპორაში ცხოვრობს.

— ისევ იმ აზრის ხარ?

„რა სისულელეს მეუბნება. — გაიფიქრა მირანდამ, — დილით თითქოს მოვათავეთ ამაზე ლაპარაკი“.

— შენ გგონია, ამბოხების დაწყების მერე ოსკარს აღარ მოკლავენ, არა? ვინ იცის, ეგებ უკვე მოკლეს კიდეც.

— არ მჯერა, იმ დროს პატიმრებისათვის ვერ მოიცლიან.

ქუჩიდან ისევ საყვირების ხმა მოისმა. ამჯერად მანქანები უკან ბრუნდებოდნენ.

— ალბათ დაჭერილები მოჰყავთ, — თქვა ფერნანდომ.

მირანდა დუმდა.

— რომ დავმარცხდეთ? — იკითხა ფერნანდომ.

— არ დავმარცხდებით.

— ამბოხება რომ აზვირთდება, მუშები გაფიცვას მერე დაიწყებენ?

ძალიან ბევრ კითხვებს იძლეოდა ფერნანდო. ჯერ იყო და ოსკარზე ლაპარაკით შეუჭამა ტვინი, მერე ანაზე, ნიკოლასსა და „სამი A“-ს წარმომადგენელზე დააყარა კითხვები. ახლა მუშების გაფიცვაც გაიხსენა, — მირანდა გრძნობდა, რომ ნერვები ეშლებოდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და დამშვიდდა. ხელმძღვანელი იყო და ასე უნდა მოქცეულიყო.

— შენ რა სემინარიელივით ლაპარაკობ, — უთხრა ფერნანდოს.

— მინდა ვიცოდე, ნაღდ სიკვდილზე მიმავალს ვინ მეყოლება გვერდით და, საერთოდ, რისი გამკეთებლები ვართ, — აღელვებით თქვა ფერნანდომ.

მირანდა მიხვდა, რომ მისგან, როგორც უფროსისგან, გამხნევებას ელოდნენ. გამარჯვებაში თვითონაც არ იყო მთლად დარწმუნებული, მაგრამ ახლა ყოველგვარი ეჭვი ძირშივე უნდა მოესპო. გამარჯვებაში დაეჭვება დამარცხებას უდრიდა.

— ეგ საკითხავიც კი არ არის. ცხადია, მუშები დაგვეხმარებიან. ამას გარდა, თუ ღმერთმა ხელი მოგვიმართა, შეიძლება ჯარის ნაწილებიც გადმოვიდნენ ჩვენს მხარეს.

— არა მჯერა. ყველა ჯარისკაცი კახპის გაგდებულია.

მირანდა სარკმელთან იდგა და მოპირდაპირე ტროტუარზე მიმავალთ ათვალიერებდა. ცა შავი ღრუბლებით დაიფარა. ოთახში ჩამობნელდა.

— ყველა ერთნაირი როდია, — თავისთვის ჩაილაპარაკა მან, თავში კი სხვა აზრმა გაუელვა, — „მართლა ერთნაირები რომ აღმოჩნდნენ?“

— ეს ჯარი კი არა, მკვლელების ბანდაა.

— სხვა გზა არა გვაქვს, ზოგ მათგანს უნდა ვენდოთ, სხვა ზონის მუშებსაც უნდა ვენდოთ... გლეხების იმედიც უნდა ვიქონიოთ.

— შიშში ნუ ჩამომართმევ, მაგრამ, რომ დავმარცხდეთ, მერე?

— „მერე“ აღარ გვექნება.

23 აპრილი

დილის ათი საათი იქნებოდა, როცა მარკოსმა შინ დამირეკა. ისე აღელვებული ლაპარაკობდა, რომ მივხვდი, რაღაც მნიშვნელოვანი მოხდა.

— გაბრიელი გუშინ ავად გახდა, — მითხრა მან, — გაიგე?

— კი, — ვუპასუხე, — სად?

— სამუშაოზე, გუშინ საღამოს. კარგად გესმის?.. ტელეფონში რაღაც ხმაურობს, — ისეთი აჩქარებით თქვა მან, თითქოს საუბრის მალე დამთავრება უნდაო. — კარგად დამიგდე ყური, — ხმაზე ეტყობოდა, რომ რაღაც აწუხებდა, — მე ორიოდე საქმის მოსაგვარებლად გაბრიელის ნაცნობებთან მივდივარ, მერე კი, დაახლოებით შვიდი საათისთვის, შენთან მოვალ და მოვილაპარაკოთ, რა ვქნათ. შინ დამხვდი, არსად წახვიდე. ნურაფრის გეშინია, გაბრიელმა შენი მისამართი არ იცის.

ჩემის აზრით, ასეთი რამეების ტელეფონში ლაპარაკი წინდაუხედაობა იყო.

— **გელოდები, — ვუთხარი მე.**

მარკოსმა ყურმილი დაკიდა. სასადილო ოთახში გავედი და სარკმელთან მდგარ სავარძელში ჩავჯექი. ულრუბლო ცას მივაშტერდი და ფიქრებში ჩავიძირე: „ამ ბოლო დროს უკვე მერამდენედ ჩავვარდით!“ ქამრიდან რევოლვერი ამოვიღე და სავაზნე გავსინჯე. მერე იარაღი ისევ ქამარში გავირჭე. თვალები მივლულე.

* * *

არა, მე არ მიწამებია. ბოქსეადორი, გუაჰირო, ბეჰუკო, ჭორფლებიანი და კიდევ ერთი პოლიციელი აწამებდა მას. მე იგი მხოლოდ ვნახე ღამით. მიბრძანეს, პოლკოვნიკის კაბინეტში მიმეყვანა. მეც მივიყვანე და მათთან დავტოვე. ასე პირველი საათი იქნებოდა. რა ბრძანეთ? მერე რა მოხდა? მერე მე დერეფანში კაბინეტის კართან დავრჩი. შიგნიდან ყვირილი გავიგონე. ეტყობა, იმ ბიჭმა წამებას ვერ გაუძლო და გააფრინა. სულ იმას ყვიროდა, ცვედნებო, კახპის შვილებო, ბარემ მომკალით და გაათავეთ, მოდით, მირტყითო. ცოტა ხნის შემდეგ ჭორფლიანი გამოვიდა გარეთ და მიბრძანა, ბიჭის დასაბმელად თოკი მოიტანეო. ნახევარ საათში ის ბიჭიც გამოიყვანეს. მაგარი ნაცემი იყო. მართალი გითხრათ, სად წაიყვანეს, არ ვიცი. ის ბიჭი აღარ მინახავს და საერთოდ მეტი არაფერი არ ვიცი.

ელექტროდენით თუ აწამებდითო, მეკითხებით, არა? კი ასეთი რამ გამიგონია. მაგრამ გეფიცებით, მე არაფერ შუაში არა ვარ. სერჟანტმა კი მიმატანინა გენერატორი, მაგრამ მე ამჯერადაც დერეფანში დავრჩი. შიგ ისევ ისინი იყვნენ. კარგა ხნის, შემდეგ, მახსოვს, ჭორფლიანი მიყვებოდა: ბოქსიადორმა ისეთი სთხლიშა, რომ ცხვირი გაუტეხაო. ბიჭი ძირს რომ დაცემულა, მუცელში წიხლი ჩაურტყამთ, მერე პოლკოვნიკი მისულა და გულწასულ ბიჭისათვის ლაჯებშუა დენი მიუერთებია. ბიჭს ეტყობა, ჩაესვარა. მიბრძანეს, აბაზანაში წაიყვანეო. პირიდან და ცხვირიდან სისხლი სდიოდა. ტანსაცმელი კინალამ დამისვარა. პოლკოვნიკი ოთახიდან გამოვიდა და მითხრა:

— ფუ, რა სუნია. ამ დამპალმა ჩაისვარა. ახლა კი ავალაპარაკებთ. რამე ტილო წამოიღე იატაკის გასაწმენდად. გამაგრილებელი სასმელიც მოიტანე, თორემ ისე დავიღალე, თითქოს მიწა მეთოხნოს. ჩემს ცოლს შეატყობინეთ, რომ ამალამ დასაძინებლად აღარ მივალ შინ. დილით დამელოდოს თერთმეტი საათისთვის, ბავშვებს წავიყვან დღესასწაულზე.

ჰო, ჭორფლიანმა კიდევ ის მითხრა: **რომ გენახა, ბიჩო, რა სახედარივით ტყუპტყუპად ურტყამდა წიხლებს, სიცილით მოკვდებოდი.** სულ ეს არის. სინდისს ვფიცავ, მართალს ვამბობ, იმ ბიჭისთვის ხელიც არ დამიკარებია. ეგ კი არა, აბაზანაში დავბანე, სისხლი მოვწმინდე და დასვრილი შარვლის მაგივრად სხვა შარვალი მივეცი.

23 აპრილი

ჩვენი შეხვედრა არ მოხერხდა. მთელი საღამო შინ ველოდებოდი ოცდამეჩვიდმეტე ქუჩაზე. ამ სახლში, ორი ბინა რომ გამოვიცვალე, მერე გადმოვედი. პირველი ბინა ვაპორის ქუჩაზე მქონდა. სახლის პატრონები ისე იყვნენ დაშინებულები, რომ ბოლოს მთხოვეს, ბინა დაგვიცალეო; მეორე ბინა პარაგას რაიონში ვიქირავე, ატუეის ქუჩაზე. პატარა ოთახი მეჭირა ერთ ძველ სახლში. იქიდან საკუთარი სურვილით წამოვედი. მეზობლები არ მომწონდა. ყველა ჯაშუში მეგონა. ახლა აქ ვცხოვრობ. სახლის პატრონი ხანში შესული ქალია. მას ისაბელიტა ჰქვია. იგი დედასავით მივლის, ალბათ საკუთარ შვილს ვაგონებ. ადრე მისი შვილი კაპიტანი ყოფილა. ისლა დე პნოსზე მომხდარ სამხედრო შეთქმულებაში მონაწილეობდა თურმე. შეთქმულება ჩავარდნილა და ისიც დაუჭერიათ.

მოსაღამოვდა. ღია ფანჯარასთან ვიჯექი. ოთახში საგნებს ძლივსღა ვარჩევდი. შევყურებდი ისაბელიტას ჭაღარა თავს. მარცხენა ხელზე ოქროს ბეჭედი უბრწყინავდა. იგი შვილის ამბავს მიყვებოდა. თურმე სხვა შეთქმულებს გაუციათ მისი ვაჟი. მისი ჩუმი ხმა ჩრდილებში ირეოდა და ძლივს აღწევდა ჩემამდე. მე ისევ მარკოსზე ვფიქრობდი. ვერ გამეგო, ამდენ ხანს რატომ იგვიანებდა. ქალი ისევ იმას ყვებოდა, როგორ დასაჯეს მისი შვილი (მას არ უტანჯიაო, ამბობდა იგი). მერე მე მარკოსზე ვუამბე, ჩემს თავზეც, ყველა ჩვენთაგანზე. ვუამბე, რა მძიმე ცხოვრება მხვდა წილად. „ნუთუ მუდამ ასე იქნება“, — ვწუხდით ორივენი.

ისაბელიტა დადუმდა. გარედან ჭრიჭინას ხმა მოისმა. ეს ხმა ავის მომასწავებლად მეჩვენა. ქალმა სიგარეტს მოუკიდა. ასანთის შუქზე დავინახე, რომ ალერსიანად იღიმებოდა. ამან დედა მომაგონა.

— არა, ასე დიდ ხანს აღარ გაგრძელდება, ღმერთი გადმოგვხედავს,—თქვა მან, — მანამდე კი თქვენ ფრთხილად უნდა იყოთ.

ამ ქალისადმი უსაზღვრო სიყვარულით განვიმსჭვალე, მადლობის თქმა და მოფერება მომინდა.

— კარგი, ბატონო, — ვთქვი მე, — ახლა კი ჯობია დავწვე.

ახალ, სუფთა საბანში გავეხვიე. ერთი აზრი მოსვენებას არ მაძლევდა: რატომ არ მოვიდა მარკოსი.

* * *

იგი შუადამისას გაალვიძეს. პოლკოვნიკის კაბინეტში შეიყვანეს ნახევრად მძინარე. კონდიციონერიდან გრილი ჰაერი უბერავდა და მას რატომღაც მორგის მაცივარი გაახსენდა. ერთ მხარეს ბოქსიადორი და გუაჰირო იდგნენ, მეორე მხარეს — ჭორფლიანი, უკან კი სერჟანტი და ბეჰუკო. წინ, მაგიდასთან პოლკოვნიკი იჯდა. ბიჩოს ხელში რეზინის ხელკეტი ეჭირა. ეს კი დაპატიმრებულს კარგს არაფერს უქადდა.

* * *

— კიდევ ერთხელ გავიმეოროთ ყველაფერი, — ამბობს ნიკოლასი და ცარიელ ქუჩას აკვირდება.

— სამი საათისთვის საყვარელთან მიდის. მისი ბინა ბანკის გვერდზეა. პოლკოვნიკი მუდამ ორი მანქანით მიბრძანდება იქ, თითოში ოთხი კაცი ზის. ერთი მანქანა კუთხესთან ჩერდება, მეორე კი, პოლკოვნიკისა — შენობის წინ. პოლკოვნიკს თან ერთი „ძაღლი“ მიჰყვება, დანარჩენები კი მანქანაში ელოდებიან.

— კარგი, — ამბობს ნიკოლასი, — მერე?

— სამს ოცი წუთი რომ დააკლდება, შენ და ჰექტორი ბანკში შეხვალთ. მინის კარს უკან ტელეფონებია, იქ მიხვალთ და რეკვას დაიწყებთ. მე ამ დროს ქუჩაში ვისეირნებ და თუ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა, შეგატყობინებთ. სამს რომ თხუთმეტი დააკლდება, ხუან ალბერტო და კუკო ელექტროკომპანიის მანქანით მოვლენ და ყასიდად კაბელის შეკეთებას დაიწყებენ. მანქანაში ორი ტყვიამფრქვევი ექნებათ. პოლკოვნიკი მცველთან ერთად მანქანიდან გადმოვა თუ არა, გამოხვალთ და ესვრით. ბიჭები კი მანქანაში დარჩენილებს ტყვიამფრქვევის ცეცხლს დააყრიან, — ანა თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობს, გეგონება, სახარებას იზეპირებსო. სათქმელს ამთავრებს და თავს ხრის. თითებით ტუჩებს ისრესს.

დამუხრუჭების ხმა ისმის. მათ წინ, სანტა კატარინას და პარაგას ქუჩების გადაკვეთაზე, ავტობუსი ჩერდება. მგზავრები ჩამოდიან.

კინოთეატრ „ალამედას“ წინ ნიკოლასი და ანა დგანან. ავტობუსიდან ჩამოსულ მგზავრებს ყურადღებით ათვალიერებენ. მგზავრები სხვადასხვა მხარეს მიდიან. ნიკოლასს ბამბის თეთრი ქსოვილის კოსტუმი აცვია. თეთრ გახამებულ პერანგზე ლურჯი ჰალსტუხი უკეთია. სარკის მინებიანი სათვალე მზის

კაშკაშა შუქისგან იცავს მას. ანას შავი შარვალი და თეთრი პერანგი აცვია. ხელში ტყავის სქელი, შავი ჩანთა უჭირავს.

— პირველია, — ამბობს ნიკოლასი და საათს უყურებს;

— მე მას ზუსტად დავუნიშნე დრო და ადგილი, — ამბობს ანა და ჩანთა მეორე ხელში გადააქვს.

— როდის ნახე? — ნერვიულობს ნიკოლასი.

— გუშინ, საღამოს რვა საათზე, რენატოს სახლში. — ამბობს ანა და ისევ ქუჩას ათვალიერებს.

შორს, ათი ოქტომბრის ქუჩის კუთხიდან ავტობუსი გამოჰყოფს ცხვირს და მალე მათ წინ ჩერდება. უამრავი ხალხი ჩამოდის, მაგრამ ჰექტორი არ ჩანს.

— არც ამ ავტობუსს მოჰყვა, — ამბობს ანა. „იქნებ რამე შეემთხვა", — ფიქრობს იგი.

ნიკოლასი კინოთეატრის კიბეებზე ადის.

— წავალ, დავრეკავ, — ამბობს იგი. მაღლა, კაფეტერიის შესასვლელთან მდგარ ტელეფონთან მიდის და რეკავს. ლაპარაკის დროს მზის სხივები მისი სათვალის მინებზე ირეკლება. ნიკოლასი რაღაცას ლაპარაკობს, თავს უარყოფის ნიშნად აქნევს და თითებს აპარატზე ათამაშებს. ბოლოს ყურმილს ჰკიდებს და და სწრაფად ბრუნდება ანასთან.

— ბიჭები უკვე გამოვიდნენ; ჰექტორისა არაფერი არ იციან. გუშინ ღამე არ დაბრუნებულა, — ნიკოლასი ხმადაბლა ლაპარაკობს, ჩქარ-ჩქარა, — თერთმეტ საათზე შინ წასულა. ცოლისა და ქალიშვილების სანახავად. უთქვამს, ხვალ პირველ საათზე ამ ადგილას მოვალო... ნუთუ შეეშინდა?

— ჰექტორი მშიშარა არასდროს არ ყოფილა, — ანა მაგრად ჰხვევს ხელებს ჩანთას, თითქოს ამით თავის სიტყვებს დამაჯერებლობა უნდა მისცესო, — მოვუცადოთ, სამის ნახევრამდე მაინც აქ უნდა ვიყოთ. თუ ორ საათამდე არ მოვა, უიმისოდ ვიმოქმედებთ. მე შევცვლი.

ნიკოლასი მარცხენა ხელით სათვალეს იხსნის, მარჯვენა ხელი ისე აქვს დამუშტული, თითქოს საჩხუბრად ემზადებაო.

— დაუშვებელია, — ამბობს და მის ხმაში ერთდროულად შეშფოთება და მოახლოებული უბედურებით გამოწვეული ტკივილი იგრძნობა, — დაუშვებელია, ამის ნებას არ მოგცემ.

— რევოლვერის ხმარება ვიცი... ავტომატის არა; ავტომატით ამდენს ვერ გავბედავდი. — ანა მოკლედ და გარკვევით ლაპარაკობს. მისი სიდინჯე ნიკოლასს აღიზიანებს.

— ხუანი... ბიჭები... სამივეს შეუძლია მისი შეცვლა... სამივეს.

— ყოველ მათგანს თავისი დავალება აქვს, თანაც უკვე გვიან არის, მანქანის საძებნელად წავიდოდნენ უკვე, — ამბობს ანა და მაჯის საათს დასცქერის: ორის ოცი წუთია.

— ჰექტორი მოვა, — ამბობს ნიკოლასი. ეტყობა, თვითონაც არ სჯერა თავისი ნათქვამი და ანას დასტურს ელის, — მოვუცადოთ!

ანა უარის ნიშნად თავს აქნევს და იმ მხარეს იხედება, საიდანაც ავტობუსები მოდიან.

— იქნებ ტაქსით მოვიდეს, — ჩურჩულით ამბობს იგი.

ნიკოლასი სათვალეს იკეთებს. თუ მოსვლა იყო, აქამდე მოვიდოდა ჰექტორი. რაღაც უნდა იღონოს. ან თავდასხმა უნდა გადადოს სხვა დროისათვის

(მაგრამ რაღა შეაჩერებს შურის საძიებლად გამზადებულ ამხანაგებს), ანდა მან მარტომ უნდა იკისროს ის, რაც ჰექტორთან ერთად უნდა გაეკეთებინა. ეს თავისთავად საეჭვოდ ხდის საქმის წარმატებას. ან არადა, ანასთვის უნდა მიეცა უფლება, — ჰექტორის მაგივრობა გაეწია. ეს კი ყველაზე უარესი იყო.

„მარტო მოვკლავ პოლკოვნიკს, ანას კი არ მივცემ ამის უფლებას, არა!“

ნიკოლასი კინოთეატრის კედელს ეყუდება, ქათქათა პიჯაკი ესვრება, საათს დასცქერის, რაღაცის თქმას აპირებს. ზურგს უკან ხმაური ესმით და ორივენი შემობრუნდებიან. კიბეებიდან მათ ჰექტორი უყურებს.

— ბოლოს და ბოლოს მოხვე... — ნიკოლასს ჰექტორის დანახვაზე სიტყვა უწყდება.

ორივენი მის შესახვედრად გარბიან. ჰექტორი რამდენიმე ნაბიჯს დგას, კიბეზე ჩამოდის. თმები გაჩეჩილი აქვს. მარჯვენა საფეთქელზე წითელი ზოლი ემჩნევა, ქუთუთოები ისე დასიებია, თვალი არ უჩანს.

— რა მოგივიდა? — ჩურჩულებს ანა. ჰექტორი ხმას არ იღებს. კიბის სახელურს ისე ებღაუჭება, თითქოს დავარდნის ეშინიაო.

— მაპატიეთ... მაპატიეთ, — მისუსტებული ხმით ამბობს და პირისახე ემანჭება, ეტყობა, ლაპარაკი უჭირს.

— არ გაინძრეთ, — ეროს დაკვრასავით ისმის ხმა.

ანა მაღლა იყურება. კიბის თავში ახალგაზრდა ვაჟი დგას, ძალზედ ახალგაზრდა — მისი დანახვისთანავე ეს აზრი გაუელვებს ანას თავში. ვაჟი მათ რევოლვერს უმიზნებს. მერე ანა უფრო გრძნობს, ვიდრე ხედავს, როგორ გადახტა ნიკოლასი. იგი კოჭლობით მირბის ტროტუართან მდგარი მანქანისკენ. კიბის თავში ახლა უკვე ავტომატის ლულა ჩანს და იქიდან გამოვარდნილ ცეცხლს ხედავს“. ვერ დამიჭერენ, ვერ დამიჭერენ!“ ფიქრობს ანა და კიბეზე ჩარბის. მუხლებით ეცემა საფეხურებზე. ნიკოლასი მანქანას მიჰკვრია, ხელში რევოლვერი უჭირავს და დროდადრო ისვრის. ანა ხედავს, რომ ჰექტორი სანტა კატალინას ქუჩისაკენ გარბის. იმასაც ხედავს, როგორ სწევს იგი რევოლვერიან ხელს, მაღლა და მერე მოცელილივით ეცემა. უცებ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვება, სულ რაღაც ორი-სამი წამი, ანას კი ეს წამები უსასრულოდ ეჩვენება. პოლიციელები ფრთხილად ჩამოდიან კიბეზე. ნიკოლასი მანქანას ეფარება. პიჯაკი სისხლით დასვრია. ძლივს ითქვამს სულს. ანა კედელს ეყრდნობა. ნიკოლასისკენ უნდა გაიქცეს, მაგრამ ფეხები არ ემორჩილება. „ალბათ დაჭრილი ვარ“, — ფიქრობს იგი, მაგრამ ტკივილს ვერ გრძნობს. საკუთარ ხელებს დასცქერის. ჩანთა ისევ ხელში უჭირავს. უცებ მოისაზრებს, რომ ჩანთაში ყუმბარები აქვს. ერთ ყუმბარას იღებს, დამცველს ხსნის, რამდენიმე წამი ხელში აჩერებს და მერე კიბისაკენ გადაისვრის. აფეთქების ხმას ელოდება. მაღლიდან ავტომატის კაკანი ისმის. შეიარაღებული პოლიციელები ნიკოლასს ზურგიდან ეპარებიან. ანა მისკენ მირბის.

— დაწექი... დაწექი, — უყვირის ნიკოლასი და მიწას ეკვრება.

— უკნიდან გეპარებიან, — უყვირის ანა, მაგრამ ნიკოლასი აღარ ინძრევა, პიჯაკზე წითელ მონეტასავით აჩნდება ნატყვიარი, მაშინ ანა მეორე ყუმბარას იღებს და დამცველს უჭერს თითებს. „ცოცხალი არ დავნებდები!“ მკლავში ძლიერ დარტყმას გრძნობს, ეცემა. ყუმბარა ხელიდან უვარდება. ნიკოლასს თავზე რამდენიმე კაცი ადგას, მათ შორის ყველაზე მაღალი ავტომატის ლულას ადებს შუბლზე. „ცვედანო“, — ყრუ ხმით ამბობს ნიკოლასი და ავტომატის

კაკანი ფარავს მის ხმას. ანა ხელებს ეყრდნობა, წამოდგომას ცდილობს, მაგრამ მუხლები სტკივა.

— მკვლელებო! — ყვირის იგი ჩაჩოქილი, — მკვლელებო! — ზურგიდან პოლიციელი ეპარება და თავში ავტომატის კონდახს ურტყამს. ანა გრძნობას კარგავს.

აპრილი — მეოთხე კვირა

მთელი ამ კვირის მანძილზე მარკოსი არ გამოჩენილა. გაბრიელის ამბავიც არ ვიცით. რაც ის დაიჭირეს, ცუდად წაგვივიდა საქმე. მას ბევრი ჩვენი ამხანაგი მიაყოლეს. ვინც ჯერ არ დაუპატიმრებიათ, შიშისაგან თაგვებივით იმალებიან. მეც ჩემს თაეშესაფარში ვზივარ და გარეთ არც ვიხედები (რატომ, ვერ გეტყვით). ჩემი ადგილსამყოფელი, საბედნიეროდ, მხოლოდ მარკოსმა იცის.

გუსტავი

იღიმება და პირისახეს ცხვირსახოცით იმშრალებს. სიცხისაგან ასფალტი ალაგ-ალაგ გამდნარა. გამვლელები ჩრდილს ეტანებიან. ასფალტიდან ავარდნილი ბული სხეულს სწვავთ. გუსტავო ნეპტუნის ქუჩაზე მდებარე პატარა ბარში ზის. ქუჩას ათვალიერებს და იღიმება. ბარის პატრონი ორგანიზაციის წევრია. გვერდით რობერტო უზის. თხელი, მაღალი ჭიქიდან ლუდს წრუპავს. ბარის კედელზე დაკიდული საათის ისრები ორ საათს უჩვენებს. ქუჩაში ნახევრად ცარიელი ავტობუსი მიდის.

— როგორ მოხდა? — კითხულობს რობერტო და ლუდის კათხას დახლზე დგამს, — ყუმბარა ვინ ჩადო?

— ირენემ.

— ინსტიტუტში რომ სწავლობს?

— სწავლობდა, ერთი წლის წინ დაანება თავი.

— შენთან ერთად დაუნებებია.

— ჰო, მე რომ გამრიცხეს მაშინ...

რობერტო ისევ ლუდს წრუპავს, ტუჩებზე თეთრი ქაფი რჩება.

— მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა.

— ბევრი, — ექოსავით იმეორებს გუსტავო, — ბევრი ამხანაგი დავკარგეთ, უკვე ინსტიტუტმაც გაიღო მსხვერპლი.

ბარში ვიღაცები შემოდიან და ლუდს თხოულობენ. გუსტავო მათ ათვალიერებს.

— სამაგიეროდ ჩვენი ორგანიზაცია ახლა ბევრად ძლიერია. ის აღარ ვართ, რაც ორმოცდათექვსმეტში ვიყავით, — ამბობს რობერტო.

ახლად შემოსულები ლუდს სვამენ და იცინიან. ოფიციანტი მათ თეფშზე დადებულ კამათლებს უწვდის. ახლად შემოსულები კამათლებს აგორებენ.

— თუ ჭკუით ვიმოქმედებთ, ბატისტა დიდხანს ვერ გაძლებს, — ამბობს რობერტო და ისიც კამათლებს ადევნებს თვალს. — ბრავო ახლა უკვე გენერალური ამბოხებისათვის მზადებას გვთხოვს.

— დროა უკვე.

— სხვა რამის გამოც მინდოდა შენი ნახვა, — რობერტო კათხაში დარჩენილ ლუდს სვამს, — უფროსი სოფელში მაგზავნის დავალებით. მისი აზრით, ქალაქში ჩემი დარჩენა აღარ შეიძლება, რადგან პოლიცია მეძებს.

გუსტავო სიგარეტის ნამწვავს ქუჩაში ისვრის და გაკვირვებული შესცქერის რობერტოს.

— კი მაგრამ ჩვენ ჯგუფს რას უშვრები?

— შენ უნდა შემცვალო, — რობერტო, წყნარად ლაპარაკობს, — ბრავოს ველაპარაკე უკვე. იგი თანახმაა, დღეიდან ჩვენს ჯგუფს შენ გაუძღვები.

* * *

დიახ, მე ის ცნობილი გუაჰირო ვარ. სინამდვილეში ხოსე რობლე მქვია. ვერ გამიგია, კიდევ რა გსურთ ჩემგან. უკვე სამჯერ დამკითხეთ და ისევ დასაკითხად მიგყავართ. რა საჭიროა ყოველივე ეს, როცა შეგიძლიათ დამხვრიტოთ და ამით გაათავოთ. ბედმა მიმტყუნა და ავტომატში ტყვიები უდროოდ გამითავდა, თორემ მილიციელებს ცოცხალი არ დავნებდებოდი.

სიკვდილი მაქვს მისჯილი, ამიტომ ყველაფერს ვიტყვი, რაც კი ვიცი. რაღა მნიშვნელობა აქვს. მინდა იცოდეთ, რომ მარტო მე არ ვკლავდი. ჩემთან ერთად ისინიც იყვნენ, ახლა წმინდანებად რომ მოაქვთ თავი. წამებაში მართალია ვმონაწილეობდი, მაგრამ ეს იყო და ეს, საქმეს ისინი აბოლოებდნენ.

მე პოლკოვნიკის პირადი მცველი ვიყავი. იმ საღამოს მიწათმფლობელ ალვარესის სახლში ვიყავით წვეულებაზე. მისმა ქალიშვილმა შტატებში უნივერსიტეტი დაამთავრა და იმას აღნიშნავდნენ. ასე თორმეტი საათისთვის რადიომ გადმოსცა, რომ ვიღაც უცნობებმა პერსეგიდორას ტყვია დაუშინესო. ეს ამბავი პოლკოვნიკს მოვახსენე. მან მაშინვე მიატოვა წვეულება და სამმართველოში წავიდა. გზად სულ იმუქრებოდა: ტყავს გავაძრობო, მე მათ ვუჩვენებ, ჩემთან ხუმრობა და თამაში როგორ უნდაო. ასეთი გაბრაზებული მხოლოდ ერთხელ მყავდა ნანახი, როცა სამმართველოს პოლიციელებს დაუშინეს ტყვია. იმ დღეს ქუჩებში ოთხმოცი გვამი დატოვა. მარტო სამმართველოში ოცდაორი კაცი დასაჯა. მაშინ იყო სწორედ, მაიორის შვილი რომ მოკლა შეცდომით. საწყალი, ჩხუბის გამო იყო დაჭერილი.

გზაში სულ იმუქრებოდა: „ტყავს გავაძრობ ამ დეგენერატებს, ვასწავლი მათ ჭკუას. რას იტყვის გენერალი, როცა გაიგებს, რომ კურდღლებივით მიხოცავენ პოლიციელებს. ცხადია, დედაჩემს სულში ჩააფურთხებს. აუცილებლად უნდა ვიპოვო დამნაშავეები. ხომ უნდა ვაჩვენო გენერალს, რომ კიდევ შემიძლია რაღაც. ამ ბიჭს ნაღდად ეცოდინება, ვინ ისროლა. დღესაც თუ არ ალაპარაკდა, ამ კახპის შვილს მივაკლავ და ის იქნება.

ირენე

ვაჟს უყურებს. ვაჟი ხელს უწვდის და თავის სახელს ეუბნება — ნიკოლას სანტანა. ირენე ცდილობს გამოიცნოს, ეს ნამდვილი სახელია თუ შერქმეული.

ჯგუფის უფროსი მათ ერთმანეთს აცნობს და მაშინვე მიდის. მოულოდნე-

ლად მსხვილი წვეთები ეცემა ციდან. წვიმას იწყებს. ქუჩაში მიმავალი ხალხი სადარბაზოებს ეფარება. ისინიც ერთ-ერთ სადარბაზოში შედიან. ნიკოლასი ცხვირსახოცს უწვდის ირენეს. იგი ართმევს ცხვირსახოცს და სახეს იმშრალებს. მცირე ხანს ასე დგანან ერთმანეთთან ახლოს. წვიმა მატულობს, უკვე თქეში მოდის. ქუჩაში გუბეები დგება.

— ეტყობა, დიდხანს იწვიმებს, — ამბობს ნიკოლასი და იღიმება.

— ეტყობა.

— ხუთ საათზე შეკრება მაქვს.

ირენე არაფერს არ პასუხობს, წვიმის ცქერით არის გართული.

— ალბათ, ერთად მოგვიწევს მუშაობა, — ამბობს ვაჟი და ისევ იღიმება.

— ჰო, — პასუხობს ირენე.

ნიკოლასი ჩუმდება. ქუჩას გასცქერის. წვიმა უფრო და უფრო მატულობს. ნიაღვარი ტროტუარამდე უწევს.

— ვატყობ, ლაპარაკი მაინცდამაინც არ გიყვართ, — მოწყენით ამბობს ნიკოლასი.

ირენე პირველად ულიმის გაცნობის შემდეგ.

— მაპატიეთ... ძალზე დაღლილი ვარ. წვიმას ვუყურებდი და სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი, რა ლამაზია წვიმა... ხანდახან მინდა წვიმაში ვირბინო ყვირილითა და სიცილით, — ირენე ჩუმდება, ნიკოლასს უყურებს და გულიანად იცინის.

— მეც მიყვარს წვიმა.

— პატარაობისას სოფელში ვცხოვრობდი. გაწვიმდებოდა თუ არა, მე და ჩემი ძმა გარეთ გამოვდიოდით და წვიმაში ვსველდებოდით. ჩემი ძმა ყიჟინით გარბოდა, მე უკან მივდევდი. მერე დედა გამოდიოდა მოსასხამით და, მამას ვეტყვიო, გვემუქრებოდა. მამა კი გვიან ბრუნდებოდა და თან არც გვიჯავრდებოდა — მასაც უყვარდა წვიმაში ხეტიალი.

— შეც სიამოვნებით ვიხეტიალებდი წვიმაში.

ირენე იცინის და მისი სიცილი წვიმის ხმას ფარავს.

— მოგატყუე, შენ კი მართალი გეგონა. მე ესტრელიას ჩიხში დავიბადე და იქვე გავიზარდე. სოფელში კი არასდროს არ ვყოფილვარ, — ირენე ისევ იცინის. ნიკოლასი დაფიქრებული შესცქერის მას.

— გიჟი არ გეგონო, — ირენე აღარ იღიმება, — ხანდახან რაიმე სამხიარულო თუ არ მოვიგონე, ასე მგონია, გული გამისკდება. ნუ მომაქცევ ყურადღებას, გიჟი კი მართლა არ გეგონო.

ნიკოლასი იღიმება. ირინე დაფიქრებულია. წვიმამ იკლო. ქუჩაში ვიღაც ქოლგიანი ქალი გამოდის და ნიაღვარში გასვლას ცდილობს.

— ეგ არაფერია, ეგრე მეც ხშირად მემართება.

ქუჩაში მიმავალი მანქანა ქოლგიან ქალს წყალს აშხეფებს. ქალმა ლანძღვა დაადევნა მანქანას.

— რევოლუციას რატომ მიემხრე? — ეკითხება ნიკოლასი.

— ჩემი ძმა... მოჰკლეს, — ძლივს ამბობს ირენე.

ნიკოლასი უხერხულად იშმუშნება.

— ეშმაკმა იცის რატომ, ჩვენთან სახლში ყველანი ბატისტას მოწინააღმდეგენი იყვნენ.

ირენეს ხელზე რამდენიმე წვეთი ეცემა. ქუჩაში ავტობუსი მიდის.

— თითქმის გადაიღო, — ამბობს ირენე, — თუ გავიქცევით, შეიძლება, ავტობუსს დავეწიოთ, არც ისე შორსაა ჩვენგან.

— არა, — ამბობს ნიკოლასი და ფეხებზე იყურება, — ვერ გამოვიქცევი.

— რა გჭირს? — გაკვირვებული ეკითხება ირენე.

— ფეხი მაქვს დაშავებული... ბრძოლა მსხვერპლსაც ითხოვს.

— რა მოგივიდა?

— დამჭრეს, — ამბობს ნიკოლასი და ნაღვლიანად იღიმება.

ირენე დაკვირვებით უყურებს მას. ნიკოლასი თვალს უკრავს. ღრუბლებში მზე გამოიხედავს და ვაჟის ღონიერ მხრებს ანათებს. „ყოჩაღი ბიჭი ჩანს, — ფიქრობს ირენე, — შეიძლება, შურისძიებაში დამეხმაროს“.

ქუჩის კუთხეში გაჩერებული ავტობუსი გზას განაგრძობს. წვიმამ გადაიღო, ცაზე ისევ მზე კაშკაშებს. სადარბაზოებს შეფარებული ხალხი ქუჩაში გამოეფინა.

— წავიდეთ, — ამბობს ნიკოლასი და ქუჩაში გამოდის. ირენე მას მიჰყვება. ხელს ხელზე ჰკიდებს, ფრთხილად მიდიან. ცდილობენ გუბეებში არ ჩადგან ფეხი. ნიკოლასი ოდნავ კოჭლობს.

15 მაისი

მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე პარკში რუბიოს შევხვდი. ამ პარკში ხანდახან მენოკალთან ერთად ვიკრიბებოდით ხოლმე. რუბიო აღელვებული ჩანდა. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ასე მითხრა: რომ მომკლან, ჰავანიდან მაინც არ წავალო.

— აქედან მხოლოდ მკვდარს თუ წამიღებენ, — თქვა და გაღიმება სცადა, მაგრამ საცოდავად დაეღრიჯა გაძვალტყავებული პირისახე.

შექმნილი მდგომარეობა ავწონ-დავწონეთ, რა შეგვეძლო, ისიცა ვთქვით. მარკოსისა და გაბრიელის გარდა თხუთმეტი ამხანაგი იყო დაჭერილი. ხუთი კაცი სადღაც გაქრა. ეტყობა, ისინი ან ჰავანაში ან სადმე ქალაქგარეთ მიიმალნენ. ხელზე გვქონდა ორი ავტომატი და ექვსი რევოლვერი. დანარჩენ ათ ამხანაგს კიდევ ხუთი რევოლვერი და ერთი ავტომატი ჰქონდა.

— რა უნდა ვქნათ? — იკითხა რუბიომ.

პარკის წინ მდებარე ეკლესიიდან, ძველებურ გემს რომ ჰგავდა, მორწმუნეებმა იწყეს დენა. წირვა დამთავრდა.

— ახლა სხვა გზა უნდა გამოვნახოთ, — ვთქვი და ხელის თითებზე დავიხედე. გრძელი, ჩაჟანგებული ფრჩხილები მქონდა.

— კარგი, — მიპასუხა რუბიომ და მრევლს დააკვირდა, — ბრავოს როგორ დავუკავშირდეთ?

— მარკოსთან ერთად ეს კავშირიც გაწყდა, მაგრამ ერთი კაცის საშუალებით შევეცდები აღვადგინო, — ვთქვი და ის კაცი გამახსენდა, დინამიტი რომ უნდა მოეტანა, — დღესვე დავურეკავ.

— კარგი, — ღიმილით თქვა რუბიომ, ამჯერად გულიანად გაიღიმა, — შენ ეგ საქმე მოაგვარე, მე კი იმ ხალხს ვნახავ, ვინც ჯერ კიდევ ციხეში არ არის, არ დაუჭერიათ.

ირენე

სასტუმრო ოთახიდან მას მომღიმარი ვექილი უყურებს, სავარძელში მჯდარი ირენე ნიკოლასის მარჯვენა ხელს დასჩერებია. ნიკოლასიც სავარძელში ზის და ვექილის მიერ შედგენილ ქაღალდს ხელს აწერს, მერე ცოტა ხანს დასცქერის და ირენეს უწვდის. მათ უკან იოლანდა დგას მშობლებთან ერთად. გუსტავოც და ფერნანდოც იქვე არიან: ამ ამბავს ესწრებიან. ირენე ისე აწერს ხელს, რომ ზედაც არ უყურებს ქაღალდს. მერე ვექილს შეხედავს. ნიკოლასი იღიმება, ირენე კი ძალზედ დაფიქრებული სჩანს.

— კარგი, — ამბობს ვექილი, — ახლა მხოლოდ მოწმეთა ხელის მოწერაღა აკლია.

ჯერ იოლანდა მიდის მაგიდასთან და ხელს აწერს, შემდეგ — გუსტავო. ბოლოს ვექილი ქაღალდს იღებს და საზეიმო ხმით ამბობს:

— დღეიდან თქვენ ცოლ-ქმარი ხართ.

— გაუმარჯოს ახლად დაქორწინებულებს! — წყნარად ამბობს იოლანდა და ტაშს უკრავს.

ნიკოლასი და ირენე დგებიან, ვექილი კმაყოფილად იღიმება. ოთახში ნახევრად ბნელა. ფანჯარაზე მძიმე ფარდებია ჩამოშვებული. ნესტის სუნი დგას, გარეთ წვიმს.

— ეხლა კი აკოცეთ ერთმანეთს! — ამბობს ფერნანდო და ხელებს მაღლა სწევს.

ნიკოლასიც მაღლა სწევს ხელს, თითქოს ფიცს სდებსო.

— ზვევნა-კოცნა და თაფლობის თვე გამარჯვების შემდეგ, — ყველანი იცინიან.

— ღმერთი იყოს თქვენი შემწე, — ამბობს იოლანდას დედა და გულში იკრავს ირენეს.

— ჩემო გოგო! ასეთი პატარა ხარ და უკვე გათხოვდი. ჯერ ხომ სულ ბავშვი ხარ... ჩემთვის, რა თქმა უნდა, — ამბობს იგი და ორივე ლოყაზე ჰკოცნის.

— დედა! — საყვედურით ამბობს იოლანდა და თვითონაც კოცნის ირენეს. იოლანდას მამა ნიკოლასს ხელს ართმევს.

— მართალია, საქორწინო მოგზაურობა ვერ გამოგივიდათ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ჩემი ბიჭის სოფლიდან ჩამოსვლამდე ერთი თხუთმეტი დღით აქ შეგიძლიათ დარჩეთ.

— ვიცით, უღრმესი მადლობა, — ამბობს ნიკოლასი და იღიმება. დერეფანში მოხუცი ქალი მოდის. მას ლანგარით მოაქვს სასმელით სავსე ჭიქები. იგი წყნარად უახლოვდება მათ და ჭიქებს ურიგებს. ვექილი ხელს მაღლა სწევს.

— აბა, ჩემო კარგებო, ბედნიერებას გისურვებთ, თქვენი ცუდი არ გამეგონოს.

გუსტავო ნიკოლასთან მიდის და ხელს ჰკიდებს:

— აბა, დროა, ახლა უნდა წავიდეთ.

ნიკოლასი გვერდით ოთახში გადის. იქიდან რევოლვერის ჩხაკუნის ხმა ისმის, ცოტა ხანში ისევ სასტუმრო ოთახში ბრუნდება. ირენესთან მიდის და კოცნის. მერე კარებთან მომლოდინე გუსტავოსა და ფერნანდოსკენ გაემართება. კარებს აღებენ და სათითაოდ გადიან ქუჩაში. ქუჩიდან ცივი ქარი იჭრება ოთახში.

„ღმერთო ჩემო“, — ჩურჩულებს იოლანდას დედა. ირენეს ედუარდო ახსენდება, მერე კი თავისი ძმა. „აქ ჩემთან ერთად რომ ყოფილიყო...“ — ნატრობს ირენე.

17 მაისის დილა.

ვიღაც ქალმა მოგუდული ხმით მიპასუხა, ჩემი თხოვნა ჩაიწერა და მითხრა: ოც წუთში კიდევ დარეკეო. „გმადლობთ“, ვუთხარი მე და ყურმილი დავკიდე. კედელზე ჩამოკიდებული ხის საათი თორმეტს უჩვენებდა. დავჯექი და ფეხები ოთახის შუაში მდგარ პატარა მაგიდაზე შევაწყე. რატომღაც არ მომწონს ეს კაცი. ქვეწარმავალივით სლიკინა მეჩვენება. პირველის ოც წუთზე ყურმილი ისევ ავიღე და მარკოსის ნასწავლები ნომერი ავკრიფე. ისევ ქალმა მიპასუხა.

— დღეს სამ საათზე ლოპეს სერანოს კაფეტერიაში, — ისეთი ხმით თქვა მან, თითქოს სავაჭრო, საქმიან გარიგებაზე მიწვევდა, — იგი მომზადებულ ქაღალდებს შავი ჩემოდნით მოიტანს, თქვენ კი გაზეთი „El MUNDO“ იყიდეთ, შიგ საინტერესო ცნობებია დაბეჭდილი. — მივხვდი, რომ ამ საგნებით უნდა გვეცნო ერთმანეთი.

— კარგი, — ვთქვი და ყურმილი დავდე.

ისაბელიტა სამზარეულოდან გამოვიდა და გამიღიმა.

— აბა, წამოდი, — ალერსიანად მითხრა მან, — ჭამე.

— მოვდივარ, — ვუპასუხე და სამზარეულოში ხათრის გულისათვის წავყევი, მადა არ მქონდა და ჭამა არ მინდოდა.

* * *

— აქ დაჯექი, — რაც შეიძლება ტკბილად ეუბნება პოლკოვნიკი, — მომისმინე, ბიჭიკო, ჩვენ ხათრიანად მოგექეცით, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ გათამამდე. პირდაპირ გეტყვი, რომ ცოტა თავში აგივარდა; მისმინე, შენ ჭკვიანი ბიჭი ჩანხარ და უნდა მიხვდე, რომ „იმ კაცს“ თქვენ ვერასდროს ვერ ჩამოაგდებთ. ჰოდა, მითხარი ერთი, ყუმბარებს რომ ისვრით და მთავრობის ერთგულ ხალხს ხოცავთ, ამით რას აღწევთ, თქვე ნეხვიჭამიებო? არაფერს. ბოლოს და ბოლოს ამით მხოლოდ ერი ზარალობს, ამ ერს ხომ თქვენც ეკუთვნით. თქვენ შეგიძლიათ ეკამათოთ „იმ კაცს“, მაგრამ სისულელეების ჩადენა აუცილებელი როდია. „ის კაცი“ ძალიან გამგებია და თუ მაინცდამაინც მისი ჩამოგდება გინდათ, არჩევნებზე გამოხატეთ თქვენი ნება-სურვილი. მე მინდა მოგეხმარო, რადგან ჭკვიანი ბიჭი ჩანხარ. აი, აქ — მან ხელი საწერი მაგიდის უჯრაში ჩაჰყო, — ეფრეიტორის სამხრეები, რევოლვერი და სამასი პესოა, ახლავე გადაწყვიტე... თუ პოლიციელობა არ გსურს, მაინც მოგცემ სამას პესოს, გიშოვნი პასპორტს და საზღვარგარეთ გაგიშვებ, ოღონდ ცოტა შენც უნდა დაგვეხმარო, უნდა გვითხრა, სად არის შენი უფროსი და, რაც მთავარია, ვინ ესროლა პოლიციის მანქანას. ერთი-ორი სიტყვა და... თავისუფალი ხარ.

— შენი დედის სული... — აღარ დაამთავრებინეს, თავში მუშტი ჩასცხეს.

წაბარბაცდა. ხელებით დაეცა იატაკზე. მერე მკერდში ამოჰკრეს წიხლი და გულიმა გადავარდა. ცემის მოლოდინში ჭერს მიაშტერდა.

— უჰ, შე ცვედანო, ასე არა? აბა ეხლა განახებთ სეირს!..

სერჟანტმა კისერში ჩაავლო ხელი და წამოაყენა. მუცელში ურისავით მოხვდა მუშტი.

— კახპის გაგდებულო!

მოულოდნელად იგი ხელიდან დაუსხლტა მათ, კედელს მიეყრდნო, სერჟანტს მთელი ძალით მოუქნია მუშტი. სერჟანტმა აიცდინა, მოქნეული მუშტი საათს მოხვდა.

— უჰ, შე დამპალო, მოგკლავ, იცოდე. რა ძვირფასი საათი გამიტეხე!..

ერთდროულად რვა ხელი სწვდა. მუშტი თვალებს შუა მოხვდა, სისხლმა პერანგი შეუღება. წიხლებით შესდგნენ ზედ. ბიჩო მუცელზე დაახტა. „რომ გენახა, რა ბაყაყივით დახტოდა, სიცილით ჩაბჟირდებოდი“.

— აბა, ახლა ვნახოთ ერთი, რა ბიჭიც ხარ, — დაიყვირა პოლკოვნიკმა, — ნენე, გენერატორი მოიტანე.

ცოტა ხანს შეეშვნენ.

— შარვალი ჩაიხადე!

— შენს ცოლს თუ მომიყვან კი!

ფეხსაცმლის ჭვინტმა ტუჩი გაუხეთქა.

— ჭორფლიანო, ბაწარი მოიტანე!

შარვალი და საცვალი ჩახადეს. წელს ქვემოთ გატიტვლებული ხელ-ფეხ შეკრული, ოთახის შუაგულში დააწვინეს. ნათურის შუქი თვალებს უბრმავებდა.

— ვაიი... თქვე ცვედნებო!..

ნენე ისევ დაიღუნა. გენერატორიდან გამოსული ორი მავთული ბიჭს ლაჯებშუა ჰქონდა მიერთებული.

— ჩართე, ჩართე, ახლა ავალაპარაკებთ. მაშ მაგარი ბიჭი ხარ, არა, ესეც შენ!.. — თავში წიხლი მოხვდა. თვალთ დაუბნელდა.

— გეყოფათ, მეტი აღარ შემიძლია. ყველაფერს გეტყვით, გეყოფათ!

— მოიცა, ნენე, მგონი ჭკუაზე მოვიდა, — თქვა პოლკოვნიკმა, ხელ-ფეხი შეუხსნეს და წამოსვეს.

— აბა, თქვი, თორემ გენერატორი მზად გვაქვს!

— არა, საკმარისია. ყველაფერს ვიტყვი, სადაც გინდათ, იქ წაგიყვანთ და პოლიციის მანქანას ვინც ესროლა, იმათაც გაჩვენებთ, ოღონდ თავი დამანებეთ!

— აბა, სად არიან შენი უფროსი და ბრავო?

— მისამართი არ ვიცი, მაგრამ შემიძლია წაგიყვანოთ, ისინი ნაქირავებ ბინაში არიან.

— კარგი, ახლავე წავალთ. ჩინო, ხალხი მოამზადეთ, — იყვირა პოლკოვნიკმა.

17 მაისი

კაფეტერიის ცარიელ მაგიდებს შორის გავიარე, შავ ჩემოდნიან კაცს ვეძებდი. კაფეში მხოლოდ ერთი მოხუცი იჯდა, კუთხეში მიყუჟულიყო და ბოთ-

ლიდან აუჩქარებლად წრუპავდა სასმელს. დახლს უკან ოფიციანტი ჭიქებს სწრაფად წმენდდა. სარკმელთან მდგარ მაგიდას მივუჯექი. აქედან ქუჩაც კარგად ჩანდა და შემოსასვლელიც. ვცდილობდი, იმ კაცის გარეგნობა წარმომედგინა, ვისაც უნდა შევხვედროდი, მაგრამ მალე შევეშვი ამ ფუჭ საქმიანობას; მარტო იმ ქალის ხმა მქონდა მოსმენილი და უცნობი კაცის გარეგნობას როგორ წარმოვიდგენდი, ეს შეუძლებელი იყო.

— შოკოლადის გლასე, — შევუკვეთე მე. ჩემი ხმის გაგონებაზე მოხუცმა თავი ასწია, სელაპივით გაზინთული თვალებით გადმომხედა და მერე ისევ ბოთლს მიუბრუნდა. ავდექი, გაზეთების მაგიდასთან მივედი, ხუთი სენტავო დავდე, „EL MUNDO“ ავიღე და ისევ ჩემს ადგილზე დავბრუნდი. ოფიციანტმა გლასე მომიტანა, ნელა დავუწყე წრუპვა. ვგრძნობდი, როგორ გადადიოდა ყელში. შემოსასვლელში ფეხის ხმა გაისმა. ყურები ვცქვიტე.

შავებში ჩაცმული მსუქანი ქალი შემოვიდა. თვალი მოავლო იქაურობას და მერე მოხუცის მეზობლად დაჯდა. დავაკვირდი. ფანჯარაში შემოჭრილი მზის სხივები დანაოჭებულ პირისახეზე ეცემოდა, გაოფლიანებული იყო და მძიმედ სუნთქავდა. „ეგებ ეს გასიებული თოჯინა ის ქალია, — გავიფიქრე მე, — ალბათ იმის სათქმელად მოვიდა, რომ შეხვედრა არ შედგებოდა“.

— გამარჯობა, — მომესმა ზურგიდან. ხმა მეცნო, მაგრამ უცებ ვერ მივხვდი, ვინ იყო. დიდ ხანია ეს ხმა აღარ გამეგონა. მთელი ტანით შევტრიალდი და გაოცებისაგან თვალები დავაჭყიტე.

— გუსტავო! — შევძახე და ხელებგაშლილი წამოვხტი ადგილიდან.

— ეს შენ ხარ? — თქვა გუსტავომ.

თვალი შევავლე მას. მარჯვენა ხელში პატარა შავი ჩემოდანი ეკავა. „გუსტავო, შავ ჩემოდნიანი კაცი, დინამიტის მომტანი და ბრავოსთან დამაკავშირებელი?!“ — ვიმეორებდი ჩემთვის. ის კი ამ დროს მეხვეოდა და ხელებს მეგობრულად მიტყაპუნებდა მხრებზე.

უხმოდ დავსხედით, ერთმანეთს ვუღიმოდით და ყურადღებას არ ვაქცევდით შავებში ჩაცმულ ქალს და მოხუცს; ჩვენი შეხვედრით გაოცებულნი ყურადღებით გვათვალიერებდნენ. გუსტავო ძალიან შეცვლილიყო, გამაღლებული და დავაჟკაცებული მეჩვენა. „მგონი ცოტა გასუქებულა კიდეც“, — გავიფიქრე.

— თითქმის ორი წელია, რაც არ მინახიხარ, — მხიარულად მითხრა მან, — რას შვრებოდი მთელი ამ ხნის განმავლობაში?

ვიგრძენი, რომ უცხო ადამიანები ყურადღებით გვისმენდნენ და ამიტომ თითქმის ჩურჩულით მოვუყევი ჩემი საქმიანობის ამბავი. იმ დროიდან, რაც მან ინსტიტუტი მიატოვა, მისი ამბავი აღარ გამიგონია. ორივენი გავჩუმდით. მოხუცი კაცი წავიდა. შაოსანი ქალი კი ისევ გვიყურებდა.

— მარკოსი სადაა? — თქვა მან და თვალებით მისი ნამდვილი სახელი მკითხა.

— როხელიო, — ვთქვი ნელა, — იგი თხუთმეტი დღის წინ გაუჩინარდა.

ტუჩებზე ღიმილი შეაშრა. პირისახე დაეძაბა. ჩაფიქრდა და ოცადორი წლისას კი არა, ბევრად დიდს დაემგვანა.

შენ რაღას შვრები? — მხოლოდ ესღა ვკითხე.

— ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვები, — ღიმილით მითხრა მან.

შაოსანმა ქალმა ფული გადაიხადა და გავიდა. დახლს უკან მდგარი ოფიციანტი მოწიწებით გვიყურებდა.

— ანტონიო! — დაუძახა მას გუსტავომ, — ლუდი მოგვიტანე. — მერე მე მომიბრუნდა, — ჩვენი კაცია, ერთად ვმუშაობთ.

— ეს ყველაფერი კარგი, — თქვა გუსტავომ, როცა ლუდი მოგვიტანეს, — ჩემი ნახვა რად გინდოდა?

— დაფანტული ვართ, გვინდა ისევ დავუკავშირდეთ ორგანიზაციას.

ხელები ჯიბეებში ჩავიწყე.

— ჩემთან იმუშავე, სურვილი თუ გაქვს, — მტკიცედ თქვა მან, — მე მჭირდება ხალხი.

მაშინვე არ მიპასუხია, ლუდის ბოთლს დავაშტერდი. გუსტავო ყურადღებით მიყურებდა, სიგარეტს მოუკიდა და გააბოლა.

— შენთან იქნება თუ სხვასთან, რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, ვიმუშაო, ისე კი შენთან უკეთესია, რაც არ უნდა იყოს, მეგობარი ხარ... ბიჭებს ხვალ მოველაპარაკები.

— საიმედო კაცი მჭირდება, რომ გვერდში ამომიდგეს... იარაღის ხმარება იცი?

— თავი დავუქნიე.

— კარგი, ვნახოთ... შენთვის ერთი სიურპრიზი მაქვს.

გუსტავო წამოდგა. მეც ავდექი. პატარა ქაღალდზე მისამართი დაწერა და მომაწოდა.

— ხვალ ამ მისამართით ჩემს სანახავად მოდი ორ საათზე, ლოუტონის რაიონშია.

ქაღალდი ავიღე, მისამართი, წავიკითხე. მერე კარგად დავჭმუჭნე და თითებით დავაგორგოლავე.

— გუსტავო ვიკითხო? — ვთქვი და დაჭმუჭნული ქაღალდი ფანჯარაში გადავაგდე.

— არა, არა, — სწრაფად თქვა გუსტავომ, — იკითხე...

— ვიცი, მივხვდი, — ვუთხარი მე, — მირანდას ვიკითხავ.

ᲘᲠᲔᲜᲔ

ლინეაზე, მდინარესა და ზღვას შუა მდებარე პასკოს ქუჩის კუთხეში, რესტორანი „პოტინი“ დგას.

ირენე რესტორნის კუთხეში ზის. აქ სინათლე ძლივს აღწევს. წინ ლამბაქი უდევს და ნაყინს შეექცევა. მაგიდებს შორის ვაჟი მიიკვლევს გზას და ირენეს უახლოვდება. ირენე მაშინღა ამჩნევს ვაჟს, როცა იგი მის გვერდით ჩერდება.

— გამარჯობა, ირენე, — ამბობს ვაჟი და ირენეს ხელს უწვდის, თეთრ და ნაზ ხელს.

„ეს მისი ხელია“, — ფიქრობს ირენე. ვაჟი დიდხანს უჭერს ხელს ირენეს თითებზე და იღიმება.

— როგორა ხარ, ედუარდო? — ეკითხება ირენე და ხელებს ითავისუფლებს.

ედუარდო ჯდება, იდაყვებით თეთრ სუფრას ეყრდნობა.

— დიდი ხანია, ერთმანეთი არ გვინახავს, — ამბობს იგი და ტუჩებს კუმავს.

— თითქმის ორი წელია, — ამბობს ირენე, თან ქუჩისკენ იხედება. ნაყინის ჭამას თავს ანებებს. კოვზი გამოხრულ ძვალივით აგდია თეფშზე.

— ორმოცდათხუთმეტიდან მოყოლებული.

თეთრებში გამოწკეპილი ოფიციანტი მაგიდას უახლოვდება. იგი ზიზღით უცქერის ედუარდოს გამდნარ პერანგს, შარვლიდან რომ ამოჩაჩვია.

— რა მოვატანინოთ შენთვის? — ეკითხება ირენე და ოდნავ იხრება მისკენ.

— ნაღების გლასე და სენდვიჩი, — ამბობს ედუარდო.

ოფიციანტი იწერს შეკვეთას და მიდის. ედუარდოს შია. ეს რას ეყოფა, კიდევ შეჭამდა რამეს, მაგრამ ჯიბეში მხოლოდ ერთი პესო აქვს.

— ორი წელი დიდი დროა, — ამბობს ედუარდო და ხელებს მუხლებზე იწყობს.

„საკმარისი დროა ადამიანის გადასავიწყებლად და იმისათვის, რომ მკვდრის ძვლები მტვრად იქცეს", — ფიქრობს ირენე, ხმამაღლა კი ამბობს:

— ორი წელი დიდი დროა, განსაკუთრებით რევოლუციის დროს.

ოფიციანტს საჭმელი მოაქვს. ირენე კვლავ ნაყინის ჭამას იწყებს.

— ჩემი ამბავი არ გსმენია? — ეკითხება ედუარდო და სახეში უყურებს. გრძნობს, საჭიროა ისეთი სიტყვების მოძებნა, რაც მათ კვლავ დააახლოვებს.

ირენე გარეთ იხედება. ღამეა. ქუჩას ლამპიონები ანათებს.

„საკუთარ თავსაც კი ვერ უმხელ იმ ფიქრებს, რაც მუდამ თან გდევს", — ფიქრობს იგი.

— არა. მხოლოდ ამ რამდენიმე საათის წინ მითხრა გუსტავომ, როცა შენთან შესახვედრად მოდიოდა, რომ შენც ჩვენთან ყოფილხარ.

ირენე, თვალებს ჭუტავს. მისი თვალები შავ წერტილებს ჰგავს.

— რაც შენ ინსტიტუტი და სახლი მიატოვე, შენზე არავინ არაფერი იცის... არც იოლანდამ, არც როხელიომ, არც გუსტავომ, არავინ... შენზე ბევრს ვფიქრობდი... ახლაც მუდამ ვფიქრობ, — ამბობს ედუარდო და მაგიდის ქვეშ თითებს იფშვნეტს.

— ჰო... — ისე უგულოდ ამბობს ირენე, ცხადი ხდება, რომ წარსულის გახსენება არ სურს.

— შენ ალბათ ფიქრობ, რომ მე მშიშარა ვარ, — ედუარდო ხმადაბლა ლაპარაკობს. ხმა თითქოს გულის სიღრმიდან ამოსდის. ხელებს ერთიმეორეს უჭერს. მაგიდას დასცქერის, — ეგებ მართლაც ასეა, მაგრამ ცოტა რამ მეც გავაკეთე. შენი გულისათვის ორგანიზაციის წევრი გავხდი. მუდამ შენზე ვფიქრობ. შენ კი ალბათ მაინც მშიშარა გგონივარ იმ საქციელის გამო, — ხმა უკანკალებს.

ირენე ხელებს ედუარდოსაკენ იწვდის, მაგრამ იმავ წამს უკან მიაქვს. ცოტა ხანს სდუმს, მერე ლაპარაკს იწყებს, მშვიდად, ყოველგვარი მღელვარების გარეშე.

— მთავარი ის არის, რომ შენ ჩვენთან ერთად ხარ, რევოლუციის მხარეზე... რაც იყო, იყო, — ჩაფიქრებით ამბობს და ქუჩისკენ იცქირება. „ნუთუ მშიშარა იყო ედუარდო, როცა თავის დროზე არ გაჰყვა მათ?"

— არა, არა, ასე არ არის. წარსული მძიმე ლოდივით გვაწევს და არასდროს არ მოგვასვენებს... ამიტომაც გადამიყვარე შენ, მაგრამ მე ისევ მიყვარხარ, — აღელვებით ამბობს ედუარდო და მაგიდას მაგრად ჰკიდებს ხელს.

შორიდან ზედიზედ ორი ძლიერი აფეთქების ხმა ისმის. რესტორანში

მყოფნი შეშინებული აწყდებიან ფანჯრებს. გვერდით მაგიდასთან მჯდომი ხმამაღლა ითხოვს ანგარიშს.

— რაც იყო, იმას აღარაფერი ეშველება, — ისე სწრაფად ლაპარაკობს ირენე, თითქოს საუბრის დამთავრება უნდაო, — ახლა მე სხვა მიყვარს.

ედუარდო გაკვირვებული უყურებს მას, არაფერს არ ამბობს. ხელებს ისევ მაგიდის ქვეშ მალავს.

— გუსტავომ მითხრა, რომ რაღაც საქმე აქვს შენთან მოსაგვარებელი, — ამბობს ირენე.

— ჰო,... მაპატიე, — ცივად ამბობს ედუარდო, — ხვალ დილის ცხრა საათზე ბელასკოაინის რაიონში უნდა მივიდეთ ერთ მაღაზიაში. ორ ავტომატს დაგვპირდნენ. ავტომატები კოსტუმის ყუთში იქნება ჩადებული. ჩვენ რეინასა და ბელასკოაინის კუთხესთან შევხვდებით, ცხრას რომ თხუთმეტი წუთი დააკლდება.

— კარგი, — ამბობს ირენე და ორივენი ჩუმდებიან.

კუთხიდან ოფიციანტი უყურებს მათ. მაგიდები ცარიელდება და რესტორნის ტერასაზე რამდენიმე კაცილა ზის.

— შენ, შენ სად იყავი მთელი ამხნის განმავლობაში? — ღიმილით ეკითხება ირენე. იგი დამშვიდებული სახით შესცქერის ვაჟს.

— გუსტავოს არ უთქვამს?

— გუსტავო ძალიან გულჩათხრობილი გახდა. ინსტიტუტში რომ იყო, ისეთი აღარ არის... არაფერი არ უთქვამს, მხოლოდ ის მითხრა, რომ ახლა ჩვენთან მუშაობს და უსათუოდ უნდა ვნახოო.

— ეს გრძელი ამბავია, თან საინტერესოც ბევრი არაფერია. სხვა დროს მოგიყვები, — ამბობს და ოფიციანტს უძახის. ოფიციანტი მათთან მივიდა, ედუარდომ ფული გადაიხადა და ადგა. სამუშაოს დამთავრების დროა. რესტორნის წინ ტროტუარი ხალხით ივსება. რესტორნის კიბეზე ირენე წამით ყოვნდება და ედუარდოს ღიმილით ეკითხება:

— ადრე ედუარდო სალგადო გერქვა, ახლაც ასე გეძახიან?

— არა, — ამბობს ედუარდო, — ახლა ოსკარი მქვია.

* * *

... ჰოდა, პოლკოვნიკმა პატიმარი ბიჭი და პოლიციელები ექვსი მანქანით წაიყვანა. მე პოლკოვნიკის მძღოლი ვიყავი და მისი მანქანა მიმყავდა. ბიჭის გვერდით ბიჩო იჯდა. კვარტალს ალყა შემოვარტყით. ბიჭს თან პოლკოვნიკი და ათი პოლიციელი აჰყვა სადარბაზოში. სახლი ჩაბნელებული იყო. მეთერთმეტე სართულზე ავედით. პოლკოვნიკმა იკითხა: „რომელი ბინაა?“ იმან უპასუხა: „ეს“. მაშინ ყველამ იმ კარს მივაშურეთ. ბიჭს აქეთ-იქიდან პოლიციელები ედგნენ. უცებ ბიჭი ადგილიდან მოწყდა, თან იყვირა:

— არ შემიძლია, არ ვიტყვი... დედი, მომიტევე.

ჩვენ ჯერ ვერ მივხვდით, რა ხდებოდა, დავიბენით. ის კი კიბეს მივარდა და ძირს გადაეშვა. თერთმეტი სართული! „დედა, მაპატიე...“

— დაიჭირეთ, გარბის! დაბლა დაუხვდით. მისდიეთ, თორემ გაიქცევა. ჩქარა! — ყვიროდა პოლკოვნიკი.

დაბლა რომ ჩავირბინეთ, გულაღმა ეგდო, არ ინძრეოდა. ეტყობოდა, თავის ქალა ჰქონდა ჩალეწილი. მკლავიც მოსტეხოდა: ძვალი კანს გარეთ ჰქონდა გამოჩრილი. მაღლიდან გადმომხტარი სხვებიც მინახავს. ცოცხალი არც ერთი არ გადარჩენილა.

— ესროლე, ბიჭო, ესროლე, თორემ სასწრაფო დახმარება მოუსწრებს. მოკალი ეგ დამპალი, ხომ ხედავ, კიდევ ცოცხალია!

ირეინე

სიცივე ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი. ირგვლივ ისეთი სიბნელე იყო, თითქოს თვალები ნაჭრით აეხვიათ მისთვის ან არადა, ღრმა, შავ ორმოში ჩაეგდოთ. მარცხენა ფეხი სტკიოდა. ყურები უწყიოდა. ხელი საფეთქელზე მოისვა — ზედ სისხლი ჰქონდა შემხმარი. ფეხი გაატოკა, მუხლში ტკივილმა დაუარა, თუმცა მოძრაობა მაინც შეეძლო. ხელი ძირს მოაფათურა და ტანში გააჟრჟოლა. გაურანდავ ხის იატაკზე იწვა, მერე ხელი უნებურად შიშველ მკერდზე მოუხვდა, თეძოზეც მოისვა, ბარძაყებზეც — იგი დედიშობილა ეგდო ხის ოღროჩოღრო იატაკზე.

ხიჭვიანი ფიცარი უმოწყალოდ კაწრავდა ტანს. ფეხი გაანძრია. მუხლი ისევ ასტკივდა. გაირინდა. სიბნელეს მიაშტერდა. შეეცადა გამოეცნო თავისი ადგილსამყოფელი. მიმოიხედა, ცოტა მოშორებით სინათლის მკრთალი ზოლები შეამჩნია იატაკზე. მიხვდა, რომ იქ კარი იყო. გამოერკვა. ქუჩაში მომხდარი ამბავი გაახსენდა. მოაგონდა, როგორ გარბოდა ჰექტორი და მერე როგორ დაეცა. იგი მოღალატე გამოდგა, მაგრამ თვითონ ირეინე როგორღა ჩავარდა ტყვედ? ნიკოლასის თეთრი, სისხლით მოსვრილი პიჯაკი დაუდგა თვალწინ. „ნიკოლასი მკვდარია“, გაიფიქრა მან და ხმამაღლა გაიმეორა ნაფიქრი:—ნიკოლასი მკვდარია. ეს წარმოუდგენელი რამ იყო. ტირილი მოუნდა, მაგრამ თავი შეიკავა. ხუანი და სხვებიც, თქმა არ უნდა, დაჭერილები იქნებიან; ყველაფერი წყალში ჩაიყარა. „ვერასოდეს ვერ მოვკლავთ „მგელს“, — გაიფიქრა მან, — ვერასოდეს“. ერთბაშად ცხოვრებამაც აზრი დაჰკარგა, ყველაფერი დამთავრდა მისთვის. სიცოცხლე მარტო იმიტომ, რომ მზისთვის ეცქირა, აღარ სურდა. ერჩივნა ქუჩაში მომკვდარიყო, ნიკოლასთან ერთად, მაგრამ ასეა თუ ისე, იგი ახლა ამ ბნელ ორმოში ეგდო დედიშობილა და ერთადერთი, რაც შეეძლო, ეს იყო ღირსეული სიკვდილი. „სიკვდილი ყველას შეუძლია, მაგრამ ყველა როდი კვდება ღირსეულად! — გაიფიქრა მან, — ღირსება ერთადერთია, რაც დაჩაგრულებს დარჩათ“. მუხლი ისევ ასტკივდა. ტუჩები დაემანჭა, ლამის იყვირა სიმწრისაგან. ალბათ მუხლი ჰქონდა გატეხილი ან სახსარი ამოვარდნილი. ფეხი გაჭიმული ედო იატაკზე. ნელა მოისვა ხელი თეძოზე და შიშველ მუცელზე. უცბ ეჭვმა გაჰკენწლა: რატომ იყო შიშველი? — ო, ღმერთო ჩემო, — წამოიძახა მან. ტკივილისაგან ისე იყო დასუსტებული, რომ აქამდე ამაზე არც უფიქრია. რატომ იყო შიშველი? ვინ გახადა? ენით აუწერელი ზიზღის გრძნობა დაეუფლა. „გამაუპატიურეს, — გაიფიქრა, — დაჭრილი და უგონოდ მყოფი გამაუპატიურეს“. შიშისაგან თავზარი დაეცა. „ეგებ არაფერი მომხდარა. შეუძლებელია, ასეთი საზიზღრები იყვნენ. ეჭვმა აიტანა, ხელი ბარძაყებს შორის მოისვა, თითქოს რაღაც დამადასტურებელ კვალს ეძებსო. „ეგებ ჯერ არაფერი მომხდა-

რა და ჩემს გონზე მოსვლას ელოდებიან, — შეშინებულმა თავდაცვის მიზნით ხელი აიფარა, — ცოცხალი თავით არ დავნებდები". ლამის გული წასვლოდა. ორივე ხელი სახეზე აიფარა და ატირდა.

შორიდან ფეხის ხმა მოესმა ჯერ ყრუდ, მერე და მერე უფრო მკაფიოდ. გაინაბა. წამოჯდომა სცადა. კართან ბოქლომისა და ჯაჭვის ხმა გაისმა. სინათლის ვიწრო ზოლი გაგანიერდა. კარი გაიღო. ვიღაც შემოვიდა. ღია ყავისფერი წვრილჭვინტიანი ტეხასური ჩექმები ეცვა. შემოსული ცოტა ხანს კარებში შეჩერდა, თითქოს სიბნელეს უნდა თვალი შეაჩვიოსო.

— გაიღვიძა გოგონამ? — სიცილით თქვა მან.

ყავისფერი ჩექმები ირენეს მიუახლოვდა. ირენემ ინსტინქტურად უკან დაიხია.

შემოსულმა ჩექმიანი ფეხი მხარზე წაჰკრა.

— აბა, წავედით.

ირენე მოიკუნტა.

ჩექმები მოუთმენლად სცემდნენ ბოლთას. კარიდან შემოსულ სინათლეზე ახლა ცხადად ჩანდა მათი პატრონი.

— სად? — იკითხა ირინემ და კვლავ შიშმა შეიპყრო.

„ნუთუ არ ეყოფა ძალა და ნებისყოფა, რომ სიკვდილს ღირსეულად შეხვდეს? — საკუთარ თავს ჩაეკითხა და ჩექმებს იქით გაიხედა. მთავარია, ღირსება არ დაკარგოს, თავი არ დაიმციროს მათ წინაშე."

ცალი ჩექმა შექანდა და ირენეს მუცელში მოხვდა. ამჯერად უფრო მტკივნეულად. ირენემ წამოიყვირა. მერე კედელს მიეყრდნო და ნელ-ნელა, როგორც იქნა, წამოიწია. ჩექმებიანი გაუძღვა მას. ირენე კოჭლობით მიჰყვა უკან. კარებთან წამით შეჩერდა. ნათურის ძლიერმა შუქმა თვალი მოსჭრა. ჩექმებიანი მოტრიალდა და მსუნაგი თვალი შეავლო შიშველ ქალს. გრძელი, ვიწრო დერეფანი გაიარეს. ორთავე მხარეს თითქმის ყოველ ფეხის ნაბიჯზე კარი იყო.— მუხლის ტკივილი სულ უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა, მაგრამ ირენე მაინც ცდილობდა, წინ მიმავალს არ ჩამორჩენოდა. ბოლოს ერთ კარს მიადგნენ. ჩექმებიანმა ფეხის კვრით შეაღო იგი და ირენეს შიგ უხეშად უბიძგა. ოთხკარიან ოთახში ვიღაცეები ისხდნენ, სიგარეტს ეწეოდნენ და საუბრობდნენ. ერთ-ერთ მათგანს ხელში მათრახი ეკავა. მათრახის წვერი იატაკამდე უწევდა. ახალგაზრდები იყვნენ, კმაყოფილი გამომეტყველება ჰქონდათ სახეზე აღბეჭდილი. ზოგი მთლად უწვერული იყო. ოცდახუთ წელზე უხნესი არც ერთი არ იქნებოდა. ირენეს გაუკვირდა, ნუთუ ესენი არიან პოლკოვნიკის „ძაღლები", მასავით ახალგაზრდები. მისგან განსხვავებით ისინი მკვლელები იყვნენ. მათრახიანმა ახალგაზრდამ ირენეს შეხედა: ოცი წლის თუ იქნებოდა — მისი ტოლი. ირენემ კუთხეში ის ვაჟი შენიშნა, ქუჩაში რომ ესროლა მას და ჰექტორს. ყოველი მათგანი მკვლელი იყო: რიკარდიტოს, ედის, ნიკოლასის მკვლელი. ტუჩები მაგრად მოკუმა. ვაჟებმა ლაპარაკი შეწყვიტეს და ვნებამორეული მიაშტერდნენ შიშველ ქალს. ქალმა ზიზღით გადახედა მათ. ხელებით მკერდის და ბარძაყების დაფარვას ცდილობდა. ფეხები უკანკალებდა. გული ამოვარდნაზე ჰქონდა.

— ეს არის ის კახპა? — იკითხა ერთ-ერთმა. მეორემ შარვალი ჩაიხსნა, სანახევროდ გაშიშვლდა და სიცილით უთხრა ირენეს: „შენთვის მაქვს გამზადებული, იცოდე". მათრახიანი ქალს მიუახლოვდა, მათრახის ტარით სცადა ქა-

ლისთვის ბარძაყებზე აფარებული ხელი გაეწევინებინა, თან მიამიტურად იღიმებოდა. ირენე გამწარდა.

— შე კახპის გაგდებულო, — ხმადაბლა თქვა მან.

ვაჟმა მათრახი მოუღერა.

— მოეშვი. ეგ პოლკოვნიკის საკბილოა, — თქვა ერთ-ერთმა და ირენეს მინის კარისკენ უბიძგა. კარი გაიღო. ორმა პოლიციელმა გონებადაკარგული ხუანი გამოათრია.

„როდის უნდა მიეზღოთ სამაგიერო, — გაიფიქრა ირენემ, — როდის?“

ჩექმებიანმა ხელი უბიძგა ირენეს და იქ შეაგდო, საიდანაც ხუანი გამოათრიეს. ოთახში კონდიციონერი მუშაობდა. გრილოდა, ირენეს გააჟრჟოლა. მის უკან კარი მიიხურა. რენემ მიმოიხედა. იგი კაბინეტში იმყოფებოდა. საწერ მაგიდას პოლკოვნიკი უჯდა და ღრმად ჩამჯდარი ჭროლა თვალებით მას შესცქეროდა. დიდი მოტვლეპილი თავი და სათუთად მოვლილი ხელები ჰქონდა.

— როგორც იქნა, დაგიჭირე, ირენე მარკეს, — თქვა მან.

— მე ანა ფერნანდესი ვარ.

პოლკოვნიკმა გაიღიმა.

— დაჯექი, — თქვა მან წყნარად და სავარძელზე მიუთითა. სავარძელი შუა ოთახში იდგა, საწერი მაგიდის წინ.

ირენე დაჯდა. მთლად მოიკუნტა. კანკალმა აიტანა.

— გცივა? — სხვათა შორის იკითხა პოლკოვნიკმა. ირენემ არ უპასუხა.

— თუ გინდა, აგერ სკამზე საბანი დევს და აიღე, — ხელით სკამზე გადაფარებულ თეთრ საბანზე მიუთითა. ირენე არ განძრეულა. იგი ოთახს ათვალიერებდა. საწერი მაგიდის გვერდით, პატარა მაგიდაზე, მიმღები იდგა. მიმღებით პოლკოვნიკი პოლიციელების მოხსენებებს ისმენდა. მარჯვნივ, კედელზე, ავტომატი ეკიდა. სავაზნე გამოცლილი ჰქონდა. ირენე ავტომატს მიაჩერდა. საწერი მაგიდის უკან, კედელზე, ჩუქურთმებიან ჩარჩოში ჩასმული ორი სურათი ეკიდა: ბატისტასი და ხოსე მარტის .საწერ მაგიდაზე ბლომად ეყარა ქაღალდები. იქვე იდო პრიალა სახელურიანი მათრახი. მარცხნივ საბანგადაფარებული სკამი იდგა, მის გვერდით კი კვადრატული მაგიდა აკვარიუმით. შიგ ნაირფერი თევზები ცურავდნენ.

პოლკოვნიკი წამოდგა, სკამთან მივიდა, საბანი აიღო და ირენეს მოახურა. მერე ისევ თავის ადგილას დაჯდა. ირენემ უკეთ იგრძნო თავი. ცოტა გათბა და მუხლიც ისე ძალიან აღარ აწუხებდა. აკვარიუმში მოცურავე თევზებს დაამტერდა. ზოგი მათგანი ღია ყავისფერი იყო, გრძელი, ლამაზი ბოლო ჰქონდა. ყოველ მოძრაობაზე ბოლოებიც ირხეოდა. სხვები ლურჯები იყვნენ, პატარა ფარფლებით, თევზები ცურავდნენ. ზოგჯერ მინას მიეკვრებოდნენ და ირინდებოდნენ ხოლმე.

შორიდან რაღაც ხმები მოისმა. ირენე დაიძაბა. მან რენატოსა და ხუანის ხმები იცნო. „დაიწყო“, — გაიფიქრა მან. აკვარიუმისთვის მზერა არ მოუცილებია. „მხოლოდ ტანჯვა აღამაღლებს ადამიანს“, — გაიფიქრა მან. „ამბობენ, სიკვდილის წინ ადამიანს მთელი სიცოცხლე თვალწინ დაუდგებაო.“ ბავშვობა მოაგონდა, სოფლის ქოხში გატარებული ბავშვობა. ძმასთან ერთად წვიმაში სირბილი, ჰავანაში ჩამოსვლა, ინსტიტუტში სწავლა, პირველი სიყვარული.

პოლკოვნიკმა ირენეს დაჟინებულ მზერას თვალი გააყოლა და გაიღიმა.

— მოგწონს?! — თქვა, მერე წამოდგა, ნელა მივიდა მაგიდასთან და სამელნე

აიღო, — მოგწონს? — ისევ იკითხა და პირისახე ბოღმისაგან მოელრიცა. მელანი სწრაფად ჩაასხა აკვარიუმში. წყალი შავად შეიღება. თევზები ჯერ აწრიალდნენ, მერე კი სათითაოდ დაეშვნენ ფსკერზე.

— უჰ, შე ქუჩის კახპავ! — დაიღრიალა პოლკოვნიკმა.

ირენემ ტუჩები მოკუმა და თვალებში შეხედა. ძმა გაახსენდა, შემდეგ ედუარდო და ნიკოლასი. „არა უშავს, ოდესმე ამ „მგელსაც“ მოჰკლავენ“.

პოლკოვნიკმა სამელნე ესროლა. სამელნე მხარში მოხვდა ირენეს. საბანი შავად შეიღება. ირენე არ განძრეულა. იგი ფართოდ გახელილი თვალებით კვლავ აკვარიუმს უყურებდა. მის ფსკერზე სასიკვდილოდ განწირული თევზები ფართხალებდნენ. პოლკოვნიკი ქალს მიუახლოვდა. ხელები დამუშტული ჰქონდა, პირისახე სიბრაზისაგან გვერდზე მოქცეოდა. თვალებს ავის მომასწავებლად ჭუტავდა.

— მაშ, მე მეძებდი, არა, შე დამპალო? აგერ ვარ, — თქვა და სილა გააწნა.

ირენე მოიკუნტა და პოლკოვნიკის ჩექმებს მიაჩერდა. ჯალათი მის წინ იდგა. მოულოდნელად ირენემ თავი ასწია და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სახეში შეაფურთხა მას. სანამ პოლკოვნიკი მათრახს ურტყამდა ირენესა და სანამ ვონებას დაკარგავდა იგი, სულ ედუარდოზე ფიქრობდა.

* * *

„ბრალდებულო ხერმან გომეს, მეტსახელად ბიჩო, ბრალად გედება ედუარდო სალგადოს მოკვლა. ამიტომ ტრიბუნალმა მოგისაჯა...“

... მე იქვე, გვერდით ვიდექი. ცოტა არ იყოს, შემეცოდა კიდეც, ასეთ საზარელ მდგომარეობაში რომ ვნახე. სროლის ხმამ კინაღამ დამაყრუა. ერთი ტყვია მკერდში მოარტყეს, მეორე თვალში. ეს იმიტომ, რომ მეტი აღარ წამომდგარიყო. ხერმანმა ზედ ყურთან დამიცალა ტყვია. ამის გულისთვის წავეჩხუბე კიდეც. ბოლოს გამოირკვა, რომ იმ ბინაში, სადაც მან მიგვიყვანა, მირანდა საერთოდ არ იყო, იქ ვიღაც ამერიკელი ცხოვრობდა.

„... სიკვდილი!“ ჰავანა, 1959 წლის 10 იანვარი.

გუსტავო

ფანჯრიდან შემოჭრილი სინათლის სხივი კედელზე ჭიკარტებით მიმაგრებულ პლაკატს ანათებს. პლაკატზე ბეჭდური ასოებით სწერია: „ერთდროულად ოთხ კაცზე მეტი ნუ მოსწევთ“ და კიდევ, „ფეხსაცმელები გაიხადეთ“. ამ ერთი ციცქნა ოთახში თხუთმეტი კაცი შეკრებილა. ზოგი პირდაპირ იატაკზე ზის, ზოგიც დაბალ სკამზე ჩამომჯდარა. ყავას სვამენ და ჩურჩულით საუბრობენ. ზოგი ჟურნალ-გაზეთებს ათვალიერებს. ფეხზე ყველას გაუხდია. გუსტავო კუთხეში მიმჯდარა. მუხლებშუა უდევს თოფი და ჩვრით წმენდავს. იქვე პატარა მაგიდაზე ტელეფონი დგას. შორიახლოს ფერნანდოა ჩაცუცქული და გუსტავოს საქმიანობას თვალს ადევნებს. დროდადრო ტელეფონს უყურებს. ოთახის მეორე მხარეს, კედელთან, ვიღაც კაცი წევს. ეტყობა, ძინავს, თვალებზე სარკეებიანი სათვალე უკეთია, ხელები გულზე აქვს დაკრეფილი. სარკმელთან, სკამზე

სკოლის დირექტორი ზის და ჩანთიდან ამოღებულ სურათებს ათვალიერებს.

— თითქმის ყველაფერი მზად გვაქვს, — ამბობს ფერნანდო. გუსტავო თავს უქნევს თანხმობის ნიშნად და ჩახმახის წმენდას განაგრძობს.

— ირენესა და ნიკოლასის ამბავი ხომ არაფერი იცი? — კითხულობს ფერნანდო და თოფისაკენ იწვდის ხელს.

გუსტავო მხრებს იჩეჩავს. ცოტა ხნით ჩერდება.

— არაფერი, არც როხელიოსა და ედუარდოს ამბავი ვიცით, უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ... ეჰ, რა მოუვიდა ამ ოხერს! — ჩახმახზე ბრაზობს გუსტავო და ჩვარს ძალუმად უსვამს.

— მაგრამ ხედავ, გაწმენდა როგორ მოუხდა, — ღიმილით ამბობს ფერნანდო.

— კარგი ვქენი, რომ გავწმინდე, — ეთანხმება გუსტავო და თოფს ალერსით უსვამს ხელს.

სათვალიანი კაცი იღვიძებს, დგება და გუსტავოსთან მიდის.

— მაშ, მალე ვიწყებთ, არა? — ცოტა არ იყოს აღელვებით ამბობს და მაჯის საათს უყურებს.

— მალე, — პასუხობს გუსტავო. ისიც საათს დასცქერის.

სათვალიანი ისევ თავის ადგილზე ბრუნდება, ჯდება და თვალებს ხუჭავს. ვიღაც ხუმრობს და ყველანი ხმადაბლა იცინიან.

ფერნანდო შეკრებილებს ათვალიერებს, მერე ტელეფონს შეხედავს და მხრებს იჩეჩავს. უცებ ტელეფონი წკრიალს იწყებს: სამი ზარი, პაუზა, ორი ზარი და ისევ პაუზა, მერე კი გაბმულად იწყებს რეკვას. ყველანი ჩუმდებიან და ტელეფონის აპარატს უყურებენ. ტელეფონის აპარატი შავად ბრწყინავს. ფერნანდო ყურმილს იღებს, უსმენს, მერე მოკლედ პასუხობს:

— კარგი, გამოვდივართ, — ყურმილს უკანვე სდებს.

გუსტავო ცნობისმოყვარეობით აჩერდება თვალებში.

— ბრავო იყო... შეგვიძლია დავიწყოთ, — ამბობს ფერნანდო და ბავშვივით გულუბრყვილოდ იღიმება.

გუსტავოც იღიმება, მერე უცებ დინჯდება. ყველანი ფეხზე დგებიან და ფეხსაცმელებს იცვამენ. ფერნანდო კარადის კარს აღებს და შიგ ჩამწკრივებულ შაშხანებს ჯგუფის წევრებს ურიგებს. სწრაფად ინაწილებენ იარაღს.

— სხვა ჯგუფები რას შვრებიან? — კითხულობს გუსტავო.

— ისინიც გამოდიან უკვე, — გახარებული ამბობს ფერნანდო.

ყველანი გუსტავოს მისჩერებიან. ვისაც გრძელი თოფი შეხვდა, ხელში შუბივით უჭირავს. გუსტავო ჯგუფის წევრებს ათვალიერებს. ტუჩები მოკუმული აქვს.

— კეთილი და პატიოსანი, — ამბობს და ისევ ჩუმდება. „ასეთ დროს, როცა ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯს ვდგამთ, ალბათ უფრო საზეიმო სიტყვა უნდა მეთქვა“, — ფიქრობს იგი.

ყველანი დაძაბული შესცქერიან. ზოგი იღიმება, უმეტესობას კი ხანჯალივით ბასრი გამოხედვა აქვს.

— წავედით... — ამბობს გუსტავო და კარისკენ მიდის. სათითაოდ გადიან. კედლიდან ჩამოვარდნილი პლაკატი იატაკზე გდია.

ალექსანდრე ტვარდოვსკი

ლექსები

რუსულიდან თარგმნა **ელდარ კერძევაძემ**

სიტყვა სიტყვის შესახებ

როცა ითხოვენ დიდი საქმენი —
თქვას საკუთარი სიტყვა პოეტმა,
ნუ ამბობ, თითქოს შენი სათქმელის
სადარი სიტყვა არ იპოვება.
მართალი სიტყვა ყველაფერს იტევს,
იტევს ეპოქის სულს და ხასიათს,
მაგრამ ყალბსა და გაცვეთილ სიტყვებს
რალა წონა აქვს,
ან რა ფასი აქვს.
სიტყვა — მახვილი
და სიტყვა—ცეცხლი,
ებრძვის სიბნელეს,
სივრცეს ანათებს
და ვინც ამ სიტყვას
სხვა სიტყვით შეცვლის
არის გამცემი და მოღალატე.
აი, ამიტომ, მშობელო მიწავ,
არ ჩქარობს სული ლექსად ანთებას.
იქნებ სათქმელი ისევ ვერ გითხრა,
შენს დიდ საქმეებს რომ ეკადრება.
სიტყვამრავალი არ მწამს პოეტი,—
ყალბი გრძნობებით გულს რომ იოსებს,
ვცდილობ გაშორო მიეთ-მოეთი,
სიტყვა ყალბი და სიტყვა რიოში.

არ ვარ ზარმაცი,
არც მინდა სხვათა
მსგავსად
ვიმღერო თავგამოდებით,
მრცხვენია ვიდგე შენს კალენდართან
სახელდახელოდ შეთხზულ ოდებით.
მაგ საყვედურის არა ვარ ღირსი,
თითქოს შენს წინსვლას ვერ ვხედავ,
ვერ ვგრძნობ,
ზოგჯერ სიტყვები,
— მე კარგად ვიცი, —
რა საშიშია და უსარგებლო.
ვიცი რა გზებიც გამოვიარეთ,
ვიცი მსოფლიო რით გავაოცეთ,
რად გვინდა ყალბი სიტყვის ჟღრიალი,
რომ აღაშფოთებს მკვდრებსა და ცოცხლებს.
ფუყე სიტყვით ხალხს ნუ გავაბრუებთ,
არა, ჩვენ ამის უფლება არ გვაქვს,
მავანთა მიერ საქმე ზღაპრული
მოთხრობილია მოსაწყენ ზღაპრად.
სიტყვაა ჩემი ცხოვრების არსი,
ხან სიხარული, ხან მწუხარება,
მოვითხოვ კანონს, რომელიც მკაცრად
შეზღუდავს სიტყვის ფუჭად ხმარებას,
რომ სიტყვას სისხლი შენი ერთვოდეს,
რომ გამოჭედოს მადლმა გონების,
რომ არ ფლანგავდნენ ზოგიერთები,
ვით დანატოვარ მამის ქონებას.
არ შეგვეშალოს ფუტკარში ბუზი
და ქატო ფქვილი ნუ გვეგონება,
რომ ძალა ჰქონდეს მას მტკიცე კურსის
და არა ფასი ყალბი ბონების.
სიტყვა არც მტვერი და არც ქაფია,
არც ციდანაა ჩამოცვენილი,
არა და არა, — სიტყვაც საქმეა,
როგორც ამბობდა ხშირად ლენინი.

* * *

წლები გადიან, წლები გადიან,
ეს მერამდენე წელიწადია,
რაც მესიზმრება მე ეს სიზმარი:

თითქოს ომიდან დაბრუნებული
ინსტიტუტისკენ ისევ ვიჩქარი,
ვარ დალლილი და გაწამებული,—
ვფიქრობ, ამ საგნებს, როდის ვისწავლი...
გამელვიძება და მიხარია,
რომ ყველაფერი ეს სიზმარია,
მერე კი... მერე სევდით ვივსები
და მენატრება ისევ სიზმარი.

* * *

ვიცი მცირედიც არ მიდევს ბრალი,
რომ ვერ დაბრუნდა ბევრი ომიდან
და გამარჯვების ვერ შეხვდა მაისს.
ახლა მთავარი ის როდი არის,—
შემეძლო შველა თუ არ შემეძლო,
არა, ეს არა, და მაინც, მაინც...

* * *

შეჩერდი! სიტყვა ვერ აღასრულე —
ვერ შესძელ ნამდვილ ლექსის დაწერა,
და წარმატების ჟინი მაცდური
ვერ დაიოკე ვერც შენ ამჯერად.
თავისუფალი არ იყავ ბედით, —
სახელისათვის შენაც იბრძოდი,
გსურდა დიდება გყოლოდა გვერდით
როგორც გამგები, ერთგული ცოლი.
შორს, სააქაო და საიქიო,
მიეთ-მოეთი, ტაში, დიდება,
ოღონდ დავწერო ერთი სტრიქონი
გულს რომ ცეცხლივით წაეკიდება.
ოღონდ სხივივით მძლე და ახალი
ამოციმციმდეს სიტყვა კვირტივით,
სხვათა თვალისგან დაუნახავი,
იმგვარი, მეც რომ გამიკვირდება.
შემაკრთოს ჩემმა ნაპოვნმა აზრმა,
როგორც დაკარგვის შიშმა და ელდამ
და იმ ტკივილმა, რაც ამ აზრს ახლავს
და რაც დრო გადის, მატულობს მეტად.

ქონსტანტინე სიმონოვი

ლექსი

რუსულიდან თარგმნა მორის ფოცხიშვილმა

* * *

სიკვდილის შემდეგ
თვით სამოთხეში
თავი რომ მიკრას მოწყალე ღმერთმა,
„რაც გსურს, ინებე,
თან გაიყოლე!“ —
არსთა განმრიგეს ჩემთვის რომ ეთქვა,

ვიტყოდი: არ მსურს
სამოთხის მზე და
ხატ-ანგელოსთა ალერსი წმინდა,
ცოდვილ მიწაზე
ვინც მხარში მედგა,
სასუფეველშიც მალხენდეს მინდა!

თავქარიანი, ცეცხლის გამჩენი,
ენამწარე და სიტყვარიოში,
სააქაოში ჩემი მტანჯველი,
მწამს, არ მომაწყენს
საიქიოშიც.

იმ ქვეყნად ალბათ ცოტა იქნება
მისებრ თამამი,
ანცი, თავნება,
ვთხოვ და წამოვა, არც დაფიქრდება
ჩემთვის სიკვდილიც
არ ენანება...

მსურს სამოთხეში თრთოლვით ცხოვრება,
კვლავ მსურს, ვეწამო დიდი სიშორით,
მივდივარ, მიმაქვს ეს განშორება,
წავიღებ, რასაც გზა-გზა ვიშოვი.

ო, თან წავიღებ საშიშროებას,
განსაცდელს, რითაც მე ვარ მდიდარი,
რომ აქ შენს თბილ და ფხიზელ გონებას
არ დაეუფლოს ვიღაც სიმხდალით.

რა ვქნა, წავიყვან ერთგულ მეგობარს,
ლხინშიც გვჭირდება ძმა-მეგობარი,
მტერსაც წავიყვან, რომ გულდედლობას
არ შეეჩვიოს სული მშფოთვარი.

ვერც ჩემს სიყვარულს,
ვერც დარდს,
ვერც ტკივილს,
ბულბულთა სტვენას, სითბოს, სინაზეს,
სხივი რა არის, უბრალო სხივი
ვერ მივატოვებ დედამიწაზე.

სიკვდილი რაა, სუყველა კვდება,
სიკვდილსაც არ ვთმობ,
ვითხოვ, ვიბრძოლებ,
აქ სიცოცხლეში რაც მერგო ბედად,
იქ, სამოთხეში თან გავიყოლებ!

თუმც ამ სიხარბეს, სულწასულობას,
არ მაპატიებს მამა-უფალი,
უფალს არ უყვარს ალბათ ხუმრობა,
ალბათ არც აზრი თავისუფალი.

ალბათ გაწყრება და ჩემს სიცოცხლეს
უკან მომიგდებს, მჯერა, ხვალ ან ზეგ
და იმ ქვეყნიდან, მინდა იცოდე,
მე დავბრუნდები ამ ქვეყანაზე

ზოია პოსკრებენსკაია

გოგონა გოგოქარ ზღვაში

მოთხრობა

რუსულიდან თარგმნა **ნინო თოფჩიშვილმა**

ადექი, ადექი, მეგობარო!

ურსკის სადგურის ბაქანი ხალხით აივსო.

ბაქანთან წასასვლელად გამზადებული მატარებელი იდგა. პიონერებს ცხვირები ფანჯრის მინებზე მიეჭყლიტათ და მოუთმენლად შესცქეროდნენ მალლა ჩამოკიდებულ საათს: ამქვეყნად ყველაზე უფრო დამტანჯველი მატარებლის გასვლამდე დარჩენილი ბოლო წუთებია. მშობლები ცდილობდნენ ერთმანეთის ხმა დაეფარათ და შვილებისათვის უკანასკნელი დარიგება მიეცათ... მაგრამ ვაგონების ფანჯრები დაკეტილი იყო და ყმაწვილები მხიარულად აქნევდნენ ხელებს: „არაფერი გვესმისო...“ ამიტომ ბაქანზე მოზღვავებულმა დედებმა და მამებმა ჩურჩული დაიწყეს და ათასნაირი ნიშნებით გადასცემდნენ შვილებს სათქმელს.

ანტოშკა ხედავდა, რომ დედა საჩვენებელი თითით რაღაცას წვრილად წერდა ჰაერში. გოგონა თავს უქნევდა: „მოგწერ, ყოველდღე მოგწერ, რამდენჯერ უნდა შეგპირდე!“ მამამ კი თავი ჩაღუნა და ისე მოუსვა ხელები, თითქოს ხალხის ზღვაში მხარულით მიცურავსო, შემდეგ კი მუქარით დაუქნია თითი. ესეც გასაგები იყო: „შორს არ გაცურო და წყალში დიდხანს არ იჯდეო“. ანტოშკამ ამოიოხრა... როგორ არ რცხვენია მამას, როგორ იქცევა, გარშემო ხომ ხალხია! გოგონამ ბაქანს თვალი მოავლო და მხიარულად გაიცინა. მშობლები ერთმანეთს ყურადღებას არ აქცევდნენ, ყველა თავის შვილს მისჩერებოდა, ყველა მიმიკოს მსახიობად ქცეულიყო. აგერ რომელიღაც ბაბუამ ხელი ცხვირზე მოიჭირა, თითებით ყურები დაიცო, თვალები მოხუჭა, ხალხში ჩაჯდა, მერე ისევ ამოყვინთა, თავის ქნევას მოჰყვა, ხელისგული ყურზე აიფარა და ცალ ფეხზე დაიწყო ხტუნვა. აბა რომელმა ბავშვმა არ იცის, რომ როცა ყურში წყალი ჩაუვა თავი უნდა დახაროს და იხტუნოს. აგერ ვიღაც ჩასუქებული დეიდა კბი-

ლებს თითით იწმენდდა, არც გახსენებია, რომ ხელთათმანები ეცვა; მეორე ვითომ ხილს კრეფდა, ალბათ ჭერამს, და პირში იყრიდა, მერე ხელი მუცელზე მიიჭირა და დაიმანჭა — მკვახე ჭერამი არ ჭამოო. სასაცილონი არიან ეს მშობლები, ერთი შორიდან დაანახვათ თავიანთი თავი, როგორ იქცევიან! სჯობდა გამომშვიდობებისას კომკავშირული ემღერათ, თავიანთი ახალგაზრდობა გაეხსენებინათ... იმ დღეს ღრუბლიანი ამინდი იდგა და გაწვიმდა კიდეც. იქნებ ახლა მაინც ჩასულიყვნენ მშობლები გვირაბში. მაგრამ არა — გაიხსნა ქოლგები, თითოს ოთხი-ხუთი კაცი ამოეფარა, ხელები კი ისევ და ისევ დაუღალავად წერდნენ ჰაერში, იმუქრებოდნენ, ვიღაცას ეხვეოდნენ, ეფერებოდნენ...

როგორც იქნა დიდი ხნის ნანატრი ლოკომოტივის ხმა გაისმა. მატარებელი მძიმედ დაიძრა. აღფრთოვანებული პიონერები ხელების ქნევას მოჰყვნენ, დედებმა ჩანთებიდან სწრაფად ამოიღეს ცხვირსახოცები, თვალები მოიწმინდეს, თან ნაღვლიანად იქნევდნენ ხელებს... მატარებელმა სვლას უმატა. დედები და მამები ბაქანზე დარჩნენ.. ახლა კი შეიძლებოდა ფანჯარას მოშორებოდნენ, ირგვლივ მიმოეხედათ, ადგილები დაეკავებინათ და მეზობლები გაეცნოთ.

ანტოშკას ზედა საწოლი ჰქონდა, მოპირდაპირე მხარეს ქერათმიანი, თვალციმციმა გოგონა დაბინავდა.

— ნატაშა, — ხელი გამოუწოდა მან...

— ანტოშკა!

ქერათმიანმა დაიფრუტუნა.

— უი, რა სასაცილოა! რატომ გქვია ანტოშკა?

— მე ანტონინა, ტონია მქვია, მაგრამ მამას უნდოდა, ბიჭი ვყოფილიყავი და ანტოშკა დამარქვა. მეც შევეჩვიე ამ სახელს.

გოგონები ნახევარ საათში დამეგობრდნენ, ხოლო ღამით, როცა ჭერში ლურჯი ნათურა აინთო, ერთ საწოლზე მოკალათდნენ და დიდხანს ჩურჩულებდნენ — ერთმანეთის კარგად გაცნობას ჩქარობდნენ, სხაპასხუპით ჰყვებოდნენ სკოლის ამბებს.

პიონერული მატარებელი მზის ჩასვლისას მივიდა ბოლო სადგურზე. მთელი ორი დღე დახუთულსა და გახურებულ ვაგონებში გამოკეტილი, სიმღერისაგან ხმა ჩახლეჩილი და კამათისაგან ძალაგამოლეული ყმაწვილები ვაგონებიდან გამოცვივდნენ და ფუტკრის ნაყარივით შეესიენ თავიანთ პიონერხელმძღვანელებს. მერე მწყობრში ჩადგნენ და ჯერ ისევ ხასხასა, გაუხუნარ ველზე გაიბაწრნენ.

ბანაკში მაშინ მიღასლასდნენ, როცა მზემ ველის კიდეზე ჩაიმუხლა და მთელ ჰორიზონტს ფართოდ მოჰფინა თავისი ალისფერი კალთა.

უფროსმა პიონერხელმძღვანელმა გასცა ბრძანება „თავისუფლად!“ და მყისვე ყველას დაავიწყდა დაღლილობა.

ანტოშკა უფროსებთან ერთად კარვებისკენ გაიქცა. მას თავის სიცოცხლეში პირველად უნდა ეცხოვრა კარავში.

დილით ანტოშკა სიცივემ გააღვიძა. მეზობლად ნატაშას ეძინა, თავზე საბანი წაეფარებინა და შიშველი ფეხები გარეთ გამოეყო. ანტოშკამ ნატაშა შეანჯღრია, იფიქრა, გავაღვიძებო, მაგრამ ის გულმოსული ისროდა წიხლებს და რაღაცას ბუტბუტებდა. ანტოშკას შეეშინდა, პიონერხელმძღვანელი არ გავაღვიძოო, სწრაფად გადაიცვა სარაფანი, საბანი ლაბადასავით წამოიხურა და კარვიდან გასხლტა.

მზეს თითქოს იმ ღამით საიდუმლო გზებით გამოევლო ზღვის ქვეშეთი და ახლა მორევიდან თავის დაღწევას ცდილობდა.

ანტოშკას აღტაცებისაგან სუნთქვა შეეკრა. იქვე მის ფეხთით გაწოლილიყო ზღვა, მშვიდი, როგორც მაგრად გადაჭიმული რუხი ცისფერი ატლასი, აქაიქ რომ ნაოჭდებოდა ოდნავ. ზღვას ასეთივე ფერის ცის გუმბათი გადმომხობოდა.

ეძინა ველს, ეძინა ბანაკს.

უცებ ანტოშკამ ბიჭი შეამჩნია. მას ხელში ბუკი ეჭირა და ბილიკზე ისე გარბოდა, რომ კენჭებს ჩხარუნი გაუდიოდა. ბიჭი დილის ცვარისაგან შეეერცხლილ ტრიბუნაზე ავიდა. ის იყო ბუკი მაღლა უნდა აეწია, რომ უცებ გაშეშდა, — ისიც დაატყვევა ზღვის სილამაზემ. მერე საათს დახედა, დაფიონისკენ შებრუნდა, გასძახა: „ადექი, ადექი, მეგობარო!“ და ბუკი ძირს დაუშვა. ირგვლივ მიმოიხედა. ანტოშკა უფრო მაგრად გაეხვია საბანში და გარგარის ხეს მიეყრდნო. მზემ სხივების მარაო გაშალა. „ადექი, ადექი, მეგობარო!“ — მიუმღერა ბიჭმა ზღვას და ზღვაც გაბრწყინდა, ახმაურდა და ციცაბო ნაპირი ვეება ტალღით ალოკა.

სახლებიდან და კარვებიდან პიონერები გამოიფანტნენ. აჟრიამულდნენ ბავშვები და ჩიტები...

ახლა ანტოშკა ყოველ დილას გამოდიოდა კარვიდან, რომ პირისპირ შეხვედროდა ალიონს, რომ პირველს მოესმინა, როგორ აღვიძებდა მებუკე მზეს, ზღვასა და ველს, როგორ აღვიძებდა მთელ ქვეყანას. ნატაშას კი სწორედ გათენებისას დააცხრებოდა ხოლმე ძილქუში.

გოგონებმა თქვეს, მებუკეს ვიტია ჰქვიაო.

მებუკე ვიტიამ იცოდა, რომ მერვე კარავთან ყოველ დილით ნახავდა ნაცრისფერ საბანში გახვეულ გოგონას, ნახავდა როგორ ციაგებდა მის ნაწნავებში მზის პირველი ნაპერწკლები და ახლა მისი ბუკი უფრო ხშირად მიმართავდა მერვე კარავს, ელაპარაკებოდა იმ გოგოს და მხოლოდ მას უმღეროდა რაღაცას.

ბუკის შემდეგ ხაზზე ხუთასი პიონერი დგებოდა. ანტოშკაც იმ ხმაურიანი და მხიარული ჯაჭვის ერთი პატარა რგოლი იყო, უცებ რომ ჩაყუჩდებოდა დროშის აღმართვის მოლოდინში. ანტოშკას მუდამ აღტაცების გრძნობა იპყრობდა, როცა ცოცხალი, მთრთოლვარე ალისფერი დროშა რხევით მიიწევდა მაღლა-მაღლა თეთრ ანძაზე. მაშინ „მეს“ ნაცვლად იყო „ჩვენ“ — ერთი მთლიანი კოლექტივი.

საღამოს კი გოგონა ცდილობდა მებუკეს შეხვედროდა, მაგრამ ვიტიას ასავალ-დასავალი ვერავინ უთხრა. არც ზღვის პირას იყო, არც ღია აივანზე, სადაც საღამოობით უფროსი ბიჭები ჭადრაკში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ერთხელ ანტოშკა საცეკვაო მოედანზე წავიდა, თუმცა არც ცეკვა იცოდა და რცხვენოდა კიდეც, და ნახა, რომ ვიტია პიონერთა ორკესტრში კლარნეტზე უკრავდა. ანტოშკამ გადაწყვიტა სწრაფად ესწავლა ცეკვა და ყველაზე კარგად ეცეკვა. ისე რომ მეკლარნეტე ვიტიას მხოლოდ მისთვის დაეკრა.

საღამოობით, სეირნობიდან დაბრუნებული ანტოშკა თავის პატარა კარადაში მუდამ რაღაცას პოულობდა. ხან მზესუმზირას თავს, მზის ენების მსგავსი ფურცლები ჯერაც რომ არ გასცვენოდა, ხან მთელ მუჭა თითქმის შემწიფებულ გარგარს.

ანტოშკა ვიტიას პირისპირ შეხვდა ზღვაში, ტივტივას ახლოს. მისმა მზე-

მოკიდებულმა სახემ, გაკრიალებულ სპილენძის ქვაბს რომ ჰგავდა, გოგონას ახლოს ამოყვინთა. „გავცუროთ!“ — გამომწვევად მიაძახა ანტოშკამ, ტივტივას გასცდა და გაშლილ ზღვას მისცა თავი, თითქოს მისი გადაცურვა სურდა. ვიტია წინ გაიჭრა და გზა გადაუღობა. „დაბრუნდი! — მკაცრად დაუყვირა მან, — იქით აღარ გაგიშვებ!“ ანტოშკამ ჩაყვინთა და როცა ზედაპირზე ამოყვინთა, დაინახა, რომ ვიტია კარგა შორს ჩამოეტოვებინა. „ძალიან გთხოვ, უკან დაბრუნდი. რაღაც უნდა გითხრა, საქმე მაქვს შენთან. დაბრუნდი!“ ეძახდა გამწარებული ბიჭი. ანტოშკამ დაუჯერა. „რა უნდა გეთქვა?“ — ჰკითხა მან. „ამოდი წყლიდან და გეტყვი“. „აბა, რა უნდა გეთქვა?“ — ჰკითხა ნაპირზე გამოსულმა ანტოშკამ და თან ნაწნავი ჩამოიწურა. „უნდა მეთქვა, რომ გიჟი ხარ!“

ანტოშკა რაზმის საბჭოზე დაამუშავეს და ორი დღით აუკრძალეს ზღვასთან მისვლა. მან ვაჟკაცურად გადაიტანა სასჯელი.

წასვლის წინა დღეს ანტოშკამ თავის ბალიშზე რვეულის ფურცელში გახვეული ღიღილოები ნახა. ფურცელზე დიდრონი ბეჭდური ასოებით ეწერა. „მაპატიე!“ მეტი არაფერი. ანტოშკა ვერ მიხვდა, რა უნდა ეპატიებინა ვიტიასთვის. რატომღაც ამ სიტყვამ გული აუჩუყა და დიდხანს უნუგეშოდ ტიროდა. ნატაშასაც კი ვერ გაუმხილა ამ ცრემლების მიზეზი. თავის სიცოცხლეში პირველად ახლა არ გაანდო მეგობარს თავისი საიდუმლო და კარადაზე დადებული საჩუქრის მიტანაც სხვა ბიჭს გადააბრალა, რომ გოგოებს ვიტიაზე არ აეღოთ ეჭვი...

და აი დადგა უკანასკნელი შეკრების დღე. მებუკე ბუკს უკრავდა.

რაზმები გამწკრივდნენ. უმცროსები უკვე სადგურზე წაეყვანათ. მერვე რაზმი ავტობუსებისკენ გაემართა.

ხიდზე მებუკე იდგა. ხანგამოშვებით ბუკს ზეასწევდა და გასძახოდა: „მშვიდობით, მშვიდობით, მეგობარო!“

ანტოშკა ხელმარჯვნივ მიდიოდა. ო, როგორ უნდოდა მებუკე მეორე მხარეს გადასულიყო, რომ პირისპირ არ შეხვედროდა. მაგრამ ვიტკა ადგილიდან არ იძროდა. ბუკი დაუშვა. თვალებით ვიღაცას ეძებდა. ანტოშკამ კინაღამ მხარი არ გაჰკრა.

— მშვიდობით, მებუკევ, — ჩურჩულით უთხრა ბიჭს.

— ნახვამდის, — ასევე ჩუმად უპასუხა ვიტკამ, შემდეგ თავი მაღლა ასწია, ბუკი ტუჩებზე მიიდო და აახმიანა: — „მშვიდობით, მშვიდობით, მეგობარო!“

ერთი წლის შემდეგ

რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ! მთელი წელიწადი.

ანტოშკამ ამოიოხრა, იდაყვქვეშ ბალიში ამოიდო და მოხერხებულად მოიკალათა ფანჯრის რაფაზე.

და რამდენ ხანსაც არ უნდა იწვეს ანტოშკა რაფაზე, რამდენიც არ უნდა იცქიროს გარეთ — ვერ მოესწრება, რომ უცებ შუა ქუჩაში გამოჩნდეს წითელი ალმებით დამშვენებული ავტობუსების ქარავანი და სმენას მისწვდეს პიონერთა მხიარული სიმღერის ხმა. მილიციონერი არ აქნევს ჯოხს, არ ანიშნებს მსუბუქ მანქანებს, ტროტუართან ახლოს იარეთო, ღიმილით არ გააყოლებს თვალს მინებზე ცხვირმიჭყლეტილ ბავშვებს.

მსგავსს ვერაფერს მოესწრება, იმიტომ, რომ აქ არც მილიციონერია, არც

პიონერული მატარებელი, არც პიონერთა ბანაკი და არც თვით პიონერები. ეს უცხო ქვეყანაა, მას შვედეთს ეძახიან.

ანტოშკა ჩაჯდა და ხელები მუხლებზე შემოიჭდო. ჩინებულია! უამბობ მეგობრებს და არც დაგიჯერებენ: ამოდენა ქალაქში ერთადერთი სასახლეა და ისიც მეფისაა, ამ ქვეყნის ბავშვებს წარმოდგენაც არა აქვთ, რა საოცრად ჟღერს სიმღერები პიონერულ კოცონთან, რომლის ნაპერწკლები ხის კენწეროებამდე აღწევს. არ უგემიათ ნაკვერჩხალში შემწვარი კარტოფილი, არასოდეს სმენიათ პიონრული ბუკის ხმა, ბავშვებს ყოველ დილით რომ აღვიძებს: „ადექი, ადექი, მეგობარო!“

მოსკოვში კი ახლა ცხრავე სადგურიდან მორაკრაკე ნაკადულებივით მიედინებიან პიონერული რაზმები. ისინი ქვეყნის ყველაზე თვალწარმტაც ადგილებში მიჰყავთ მატარებლებს. ყველა რკინიგზაზე, ყველა ქალაქიდან მოდიან, მოიჩქარიან პიონერული მატარებლები და მემანქანეც ძველი ჩვეულებისამებრ უსტვენს სემაფორთან: „ადექი, ადექი, მეგობარო!“

ანტოშკამ კინალამ არ წამოიტირა — ისე მოუნდა ბავშვებთან ყოფნა. და უცებ დაკარგულ ბედნიერებად წარმოუდგა პიონერული რაზმი და ბანაკი აზოვის ზღვაზე. რატომ ადრე არ ესმოდა, რომ ეს სასწაული იყო. როგორ შეეძლო გახარებოდა, როცა გაიგო, რომ მამას შვედეთში გზავნიდნენ საბუშაოდ და იგი მშობლებთან ერთად საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა...

ისინი 1940 წლის მარტში გაფრინდნენ. ანტოშკას მოსკოვი თოვლით გაბრწყინვებული დაამახსოვრდა. შვედეთამდე ექვსი საათის საფრენი იყო. გადაუფრინეს ყინულის მარწუხებში მოქცეულ, ნაცრისფერ ბალტიის ზღვას. მოტორები გუგუნებდნენ და ანტოშკას ეჩვენებოდა, თითქოს ისინიც მღეროდნენ: „მშვიდობით, მშვიდობით, მეგობარო!“

სტოკჰოლმში ანტოშკა გაფართოებული თვალებით აკვირდებოდა მისთვის ახალ სამყაროს. ლამაზი ქალაქი იყო. საითაც არ უნდა წასულიყავით, ზღვასთან გახვიდოდით: ქალაქი კუნძულებზე იდგა, კუნძულები ერთმანეთს ხიდებით უკავშირდებოდა. იყო ისეთი ხიდი, ზედ გავლა, ფული რომ ღირდა. ანტოშკა ამ ხიდზე ნელა, ძალიან ნელა მიაბიჯებდა და თან უკვირდა — როგორ შეიძლებოდა იგი ერთი კაცის საკუთრება ყოფილიყო. გოგონას რატომღაც ეგონა, რომ პატრონს ხიდი ღამღამობით უშველებელ ფარდულში შეჰქონდა და ფარდულს დიდ ბოქლომს ადებდა.

და შეუმჩნევლად დამკვიდრდა ახალი სიტყვა: „პრივატული“, ესე იგი კერძო, არასახელმწიფო. ანტოშკასთვის ეს სიტყვა იგივე იყო, რაც „უსამართლო“.

კერძო პარკები, სტადიონები, თეატრები, სკოლები, საავადმყოფოები, ტყეები და სავალი გზებიც კი. განა ეს სამართალი იყო?

ამ ქვეყანაში ნამდვილი ცოცხალი მეფეც კი იყო. მას სახელით და მამის სახელით კი არ ახსენებდნენ — საერთოდ შვედეთში მამის სახელით არავის მიმართავენ, — უბრალოდ გუსტავ მეხუთეს ეძახდნენ. იყვნენ უფლისწული და მეფის ასული. მეფეებზე ანტოშკა მხოლოდ ზღაპრებში კითხულობდა, კარგად იცნობდა ჭადრაკის მეფესა და დედოფალს, მაგრამ არასოდეს უფიქრია, რომ ცოცხალ მეფეს ნახავდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ანტოშკა დედასთან ერთად სეირნობდა დიურგორდენის პარკში, სადაც შვედეთის ბინადარი ყველა ფრინველი და ცხოველია თავმოყრილი. ბილიკზე შემოხვდათ მაღალი მოხუცი, მას ნაცრისფერი კოსტიუმი

ეცვა და იღლიაში ჩოგბურთის ჩოგანი ჰქონდა ამოჩრილი. ანტოშკა გაოცდა, ისეთი მაღალი და გამხდარი იყო მოხუცი. მას გვერდით მოჰყვებოდა სპორტულ კოსტიუმსა და კაუჩუკისძირიან ფეხსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი.

— შეხედე, შვედეთის მეფე და მეფის ასული, — ჩასჩურჩულა დედამ ანტოშკას.

პირველად ანტოშკამ გაიფიქრა, დედა ხუმრობსო. როგორ? უმანტიო და უგვირგვინო მეფე? მეფის ასული ქუდსა და კაუჩუკისძირიან ფეხსაცმელში? არც არავინ ყვიროდა: „მეფეს გაუმარჯოსო“, არც არავინ ემხობოდა პირქვე. ანტოშკას იმედი გაუცრუვდა.

ნამდვილი მეფე და... ჩოგბურთის ჩოგანი. ნამდვილი პრინცესა და... კაუჩუკისძირიანი ფეხსაცმელი.

— ეს თანამედროვე მეფეა, — აუხსნა ელიზავეტა კარპოვნამ, — ახლა მოდაში აღარაა ქუჩაში გვირგვინისა და მანტიის ტარება.

ამ ქვეყანაში ყველაფერი უჩვეულო და საოცარი ჩანდა, ქუჩაში მოსიარულენიც კი. იმის მაგიერ, რომ მარჯვენა მხარეს ევლოთ, მანქანები მარცხენა მხარეს დადიოდნენ. მარტო ანტოშკას კი არა, მამასაც და დედასაც ხშირად ერეოდათ მარჯვენა და მარცხენა მხარე.

მამასთან ხშირად მოდიოდნენ სტუმრად საბჭოთა ინჟინრები, შვედეთის ქარხნებში მანქანების მოწყობილობას რომ იღებდნენ. ისინიც საოცარ ამბებს ყვებოდნენ. თურმე თვით მუშებს შორისაც იყვნენ ფაშისტები. პატიოსანი მუშები ცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა უკეთ შეესრულებინათ საბჭოთა დაკვეთები, ფაშისტები კი მავნებლობაზე ფიქრობდნენ, ნადნობში ქვიშას ყრიდნენ, რომ ჩარხები მალე გაფუჭებულიყო. მეპატრონეს, საბჭოთა შემკვეთებისაგან დიდ მოგებას რომ იღებდა, თითქოს პატიოსანი მუშებისათვის უნდა დაეჭირა მხარი, მაგრამ ის ფაშისტებს ელოლიავებოდა. ისინი რომ ქარხნიდან დაეთხოვა, მაშინ მარტოდმარტო დარჩებოდა რევოლუციონერი მუშების პირისპირ, ეს კი მისთვის უფრო საშიში იყო. თურმე კაპიტალისტები სულაც არ ყოფილან მსუქნები და ლიპიანები. თითქმის ყველანი სპორტს მისდევდნენ, ბევრი მათგანი ოცნებობდა მსოფლიოში ფაშიზმის გამარჯვებაზე. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვისაც სძულდათ ჰიტლერი და უნდოდათ, რომ ომში ინგლისს გაემარჯვნა.

ამ უცხო ქვეყანაში ყველაფერი ძალზე რთული იყო.!

ანტოშკა რაფაზე იწვა და დაბლა, ქუჩაში იყურებოდა. კარგი იყო მხოლოდ პირველი თვეები. ახლა კი საშინლად უნდოდა, შინ დაბრუნება. დადგა ზაფხული, ანტოშკა კი ოთახში იჯდა და შვედური ენის გრამატიკის წესებს სწავლობდა. დედა სამზარეულოში ქვაბებს აჩხარუნებდა და თან რომელიღაც ნაღვლიან შვედურ სიმღერას ღიღინებდა.

ელიზავეტა კარპოვნასაც მობეზრდა აქაურობა. ის ექიმი იყო, აქ კი ჩამოვიდა როგორც თავისი ქმრის მეუღლე და უსაქმობისაგან თავი რომ დაეღწია, საბჭოთა სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებლობა დაიწყო. დედა-შვილმა გადაწყვიტა ერთად შეესწავლათ შვედური ენა. ახლა ყველას არდადეგები ჰქონდა. ანტოშკა კი ყოველდღე მეცადინეობდა.

ანტოშკამ ლოყიდან ცრემლი მოიწმინდა, მძიმედ ამოიოხრა, ცხვირი გრამატიკის წიგნში ჩაჰყო, გულდასმით დაიწყო კითხვა და უცებ თავი ვერ შეიკავა, სიცილი წასკდა.

— ანტოშკა, რა მოგივიდა? — გამოხედა სამზარეულოდან ელიზავეტა კარპოვნამ. — რას კითხულობ?

— დედიკო, ერთი მოუსმინე, როგორი ყოფილა ჩვენი მოსკოვი! შენ არც იცი. სიცილით მოკვდები! — ანტოშკა კითხულობდა და თან სიცილისაგან იგუდებოდა: — „მოსკოვის ცენტრალურ ნაწილს, კრემლი ჰქვია. კრემლის კოშკები ვარსკვლავებითა და ნახევარმთვარეებით არის მორთული. აი, ქუჩაში მიდის ვაჭარი, თითზე ძვირფასი ბეჭედი უბრწყინავს. მას ჩამოძონძილი ბოშა ქალი აედევნა, ვაჭარს ბეჭედი უნდა მოპაროს. მაგრამ აგერ ვაჭრის მხსნელი გამოჩნდა“.

გოგონა დივანზე გაგორდა, ფეხების ქნევა დაიწყო, დედამაც ველარ შეიკავა სიცილი, მაგრამ მკაცრად უთხრა:

— ანტოშკა, მანჭვას თავი დაანებე, ფანჯრები ღიაა, ასეთი ხმამაღალი სიცილი უზრდელობაა.

ანტოშკა დივანზე წამოჯდა, ცრემლები მოიწმინდა და ასევე მკაცრად უპასუხა:

— აბა, შვედ ბავშვებს რომ ჩასჩიჩინებდნენ, კრემლის კოშკებზე ნახევარმთვარეებიაო, მოსკოვში ვაჭრები და ჩამოძონძილი ბოშა ბიჭები დადიანო, ეს არის ზრდილობა? სჯობდა მათთვის ეამბნათ ჩვენს პიონერთა სასახლეზე, საბავშვო თეატრებზე.

— ჰო, — დაეთანხმა დედა, — აქ ძალიან ცუდად იცნობენ ჩვენს ქვეყანას...

— მე მგონია, არც უყვართ.

— ეს იმიტომ, რომ არ იცნობენ. გიყვარს მხოლოდ ის, რასაც კარგად იცნობ.

— ო, დედა! — კისერზე შემოეხვია ანტოშკა. — როგორ მინდა შინ, ბავშვებთან, პიონერბანაკში, სკოლაში. არ მინდა შვედურის სწავლა. ინგლისურიც მეყოფა. პირობას გაძლევ მხოლოდ ხუთებზე ვისწავლი და თითით საჩვენებელი, სანიმუშო შვილი ვიქნები, ყოველდღე დავიბან კისერს... რა მოსაწყენია აქაურობა... დედიკო, შენ დარჩი მამასთან, მე კი გამიშვი: ხარკოვში დეიდა ლუდასთან წავალ. სიტყვას გაძლევ, ყოველდღე მოგწერ წერილს.

— ანტოშკა, მეც ძალიან მიჭირს აქ ყოფნა. მალე ალბათ ექიმის სახელის ტარების უფლებასაც დავკარგავ. რომ იცოდე, როგორ მომენატრა ჩემი საავადმყოფო, თეთრი ხალათი, მოსკოვი, თეატრები..

საბჭოთა ტანჯერი

ანტოშკას მამა — ანატოლი ვასილევიჩი — არც დიპლომატია და არც ჟურნალისტი, ის კომერსანტია, ნავთობპროდუქტებით ვაჭრობს. და ანტოშკას სულ უკვირს, რატომ აირჩია მამამისმა, ამ ლამაზმა, მხიარულმა და ჭკვიანმა კაცმა ასეთი მოსაწყენი პროფესია.

რა არის ნავთი? უბრალო მყრალი სითხეა და მეტი არაფერი. ოდესღაც რაღაც სარგებლობა მოჰქონდა — როცა ელექტრონი არ იყო და ბინებში ნავთის ლამპები ენთო. ახლა კი ნავთი მხოლოდ აგარაკებზე მიაქვთ ნავთქურებისათვის და ესეც უსიამოვნების მეტი არაფერია. ჯერ მატარებელში არ შეგატანინებენ, მერე ჩაიტან, იხმარ და მთელი ქვაბები გაიმჭვარტლება. სახლში არც ბენ-

ზინია მაინცდამაინც მოსახმარი. მარტო მამას თუ დასჭირდება სანთებელასათვის. ახლა დალაქავებულ ტანსაცმელსაც აღარ წმენდენ ბენზინით. სხვა, უფრო საიმედო საშუალებები არის. საპოხი ზეთი კი დედას მხოლოდ საკერავი მანქანისათვის სჭირდება და ერთი პაწაწინა საზეთი რამდენიმე წელიწადს ჰყოფნის.

განა რომელიმე პოეტს აზრად მოსვლია ხოტბა შეესხა ბენზინის, მაზუთის, ნავთის ლამპისათვის. წერენ ჭრაქებზე, კვარზე, კოცონზე. ძალიან ბევრი წიგნია დაწერილი დიპლომატებზე, მათ გამჭრიახ ჭკუაზე, მოხერხებულობასა და შორსმჭვრეტელობაზე, არის თავშესაქცევი წიგნები მზვერავებზე. მაგრამ, აბა, თუ გინახავთ თუნდაც ერთი წიგნი საბჭოთა კომერსანტებზე? ასეთი წიგნები არ არსებობს, რადგან არავის არ აინტერესებს წაიკითხოს, როგორ ვაჭრობენ რალაც ნავთით.

ასე ფიქრობდა ანტოშკა.

მამა კი თავის ქალიშვილს არწმუნებდა, რომ მისი პროფესია საინტერესო და რომანტიულიც კი იყო. მამას უყვარს თავისი საქმე. მისი საწერი მაგიდა ყოველთვის ათასნაირი სტატისტიკური ცნობარებით, დიაგრამებით, სხვადასხვა ენაზე დაბეჭდილი ეკონომიური გაზეთებით იყო სავსე. დაწესებულებაში მის სამუშაო ოთახში, როგორც გენერალურ შტაბში, შვედეთის უზარმაზარი რუკა ეკიდა. ზედ წითელი ვარსკვლავებით იყო აღნიშნული საბჭოთა ნავთობპროდუქტებით მოვაჭრე ბენზინის კოლონები და ბენზინსასხმელი სადგურები. სტენდებზე მიმაგრებულ სინჯარებში სხვადასხვანაირი ზეთის, ბენზინისა და ლიგროინის ნიმუშები ესხა.

... ანტოშკას სააბაზანოდან მამამისის ელექტროსამართებლის ზუზუნი ესმოდა. მამა წვერს იპარსავდა და თან ძველ კომკავშირულ სიმღერას „ჩვენ ვართ მჭედლები“ ღიღინებდა.

— ლიზიკო! — დაიძახა მამამ სააბაზანოდან. — ჩქარა გაამზადე საუზმე, ტანკერის მისაღებად მივდივარ.

— იქნება ჩვენც წაგვიყვანო? — ჰკითხა ელიზავეტა კარპოვნამ. — დღეს მე და ანტოშკა თავისუფლები ვართ, ამინდიც შესანიშნავია. ხელს არ შეგიშლით.

— რა გაეწყობა, — მიუგო მამამ, — კარგი აზრია, მაგრამ განა ღირს ანტოშკას გაღვიძება, მას ხომ ძილი უყვარს. დაე, ეძინოს. მე და შენ წავიდეთ;

ანტოშკა კივილით წამოიჭრა საწოლიდან. ჩაცმას და პირის დაბანას დიდი დრო არ უნდოდა. მერე ოთხფად დაიწნა თმა, ბოლოში ბაფთა გაიკეთა, თხელი ლურჯი სვიტრი გადაიცვა და სარკეში ჩაიხედა. ფერმკრთალი, გამხდარი და ულამაზო იყო. მართალია გრძელ წამწამებსა და მერცხლის ფრთებივით შავსა და ხშირ წარბებს ვერ დაუწუნებდით, თვალებსაც არა უშავდა — კატასავით ნაცრისფერი, ჭროღა თვალები ჰქონდა, მაგრამ მარჯვენა ყური განზე გაშვეროდა — კიდევ კარგი, თმა ჰფარავდა. ეჰ, დედასავით ლამაზი რომ ყოფილიყო!

„რით გავილამაზო თავი?“ — გაიფიქრა უცებ ანტოშკამ და სანუკვარი ზარდახშა გახსნა. ეს ხის ზარდახშა ბებიამ აჩუქა. მუქ სახურავზე უცნაური ჩუქურთმები იყო გამოყვანილი. ზარდახშაში დროებით ინახებოდა გულმოდგინედ დაკეცილი ალისფერი ყელსახვევი, პიონერის სამკერდე ნიშანი — ალის სამი ენა, რვეულის შუაგულიდან ამოხეული ფურცელი, ზედ რომ მსხვილი, გაკრული ხელით ეწერა: „მაპატიე!“ და ნიჟარების ყელსაბამი. ეს ნიჟარები აზოვის ზღვიდან, პიონერთა ბანაკიდან ჰქონდა წამოღებული. ყოველი ნიჟარა პაწაწინა, ოდნავ შეზნექილ მარაოს ჰგავდა. ანტოშკამ ყელსაბამი კისერზე ჩამო-

ეკიდა. მოვარდისფრო ნიჟარები ლამაზად გამოიკვეთა ლურჯ შალის სვიტრზე.

ანატოლი ვასილევიჩი ჩქარობდა. ანტოშკამ ერთი ჭიქა გაციებული ყავა გადაჰკრა, ბუტერბროდი კი საპურეში ხელსახოცს ქვეშ დამალა, რომ დედას არ დაენახა.

— მე მზადა ვარ!

და აი უკვე სამივენი მანქანაში ისხდნენ. მამა საჭეს მართავდა, ანტოშკა მის გვერდით მოკალათებულიყო, დედა კი უკან იჯდა, წინა საჯდომის რბილ ზურგს ნიკაპით დაყრდნობილი.

ქალაქგარეთ გავიდნენ.

— ახლა ფეხით წავიდეთ, — თქვა ანატოლი ვასილევიჩმა და მანქანა დაამუხრუჭა. ჯიბეებიდან ასანთი და სანთებელა ამოიღო და რადიომიმღების გვერდით ყუთში შეინახა, სიგარეტის ცარიელი კოლოფი გადააგდო.

— ჩანთიდან სარკე არ ამოიღო, პუდრი არ წაისვა — მზიანი დღეა, — გაიფრთხილა ელიზავეტა კარპოვნა, ოდნავ ჩაფიქრდა და მერე ხელი გაუწოდა: მომეცი სარკე და პუდრი.

ანტოშკა გაბრაზდა.

— ვითომ რატომ არ უნდა წაისვას დედამ პუდრი?

— იმიტომ რომ ბენზინთან მზის ათინათი არ მივუშვათ, — სერიოზულად უპასუხა ანატოლი ვასილევიჩმა. — აქ სიარულიც კი საფრთხილოა, შეიძლება ქუსლით ქვაზე ნაპერწკალი გაკვესო. ხომ ხედავ? — ხელით აჩვენა აგურის გრძელი ღობე.

ანტოშკამ მხოლოდ ახლა დაინახა კედლის მთელ სიგრძეზე უშველებელი ასოებით გაკეთებული წარწერები შვედურ, გერმანულ, ფინურ და რუსულ ენებზე: „ინატე სმოკა!“ „ნიხტ რაუხენ!“, „იკკე ტოპპაკოიტა!“, „ნუ მოსწევთ!“ ცეცხლსაშიშია!!!“

ანტოშკა ფრთხილად მიჰყვებოდა მამას რბილ გზაზე.

— უკვე ბაგირით აბამენ! — წამოიძახა ანატოლი ვასილევიჩმა და ნაბიჯს უმატა.

ნავმისადგომთან, რომელსაც ხმამაღალი ძახილით დასტრიალებდნენ თოლიები, გახურებული მუშაობა გაეჩაღებინათ.

აქ უკვე მოსულიყო საბჭოთა კონსული ვლადიმერ მირონოვიჩი, აქვე იყვნენ სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომლებიც. ყველანი დაძაბული ადევნებდნენ თვალს სატუმბავი სადგურისაკენ დინჯად მიმავალ უშველებელ ბრტყელ გემს, კიჩოზე დიდთავა ვერცხლისფერი თევზის მსგავსი შენობა რომ ედგა. ფლაგშტოკზე ალისფერი საბჭოთა დროშა ფრიალებდა.

ნავსადგურის მუშებმა მისადგომის კედელზე ქერელის მსხვილი, მრგვალი ბალიშები ჩაუშვეს. გემს ისეთი სიფრთხილით ეპყრობოდნენ, გეგონებოდათ ბროლისა არისო.

— დაკაწვრისა ეშინიათ? — ჰკითხა ანტოშკამ მამას.

— არა, დარტყმისაგან იცავენ, ნაპერწკალი რომ არ გაჩნდეს.

როგორც იქნა ტანკერი უძრავად დადგა სატუმბავ სადგურთან. მეზღვაურებმა მისადგომებზე ხის საბიჯელა გადაუშვეს და გემბანზე ვლადიმერ მირონოვიჩი ავიდა.

კაპიტანმა საბჭოთა კონსულს მოახსენა, რომ ტანკერმა მშვიდობიანად და-

ასრულა რეისი, რომ ეკიპაჟში ავადმყოფები არა ჰყავდათ, ტანკერი არ დაზიანებულა და შეკეთებას არ საჭიროებდა.

კონსულმა კაპიტანს ეკიპაჟის ნაპირზე გადასვლის წესი გააცნო. შემდეგ კაპიტანი მეგობრულად გადაეხვია ანატოლი ვასილევიჩს და უთხრა, თოთხმეტი ათასი ტონა „საქონელი“ მოვათრიეო.

ანტოშკამ დაინახა, როგორ გაიხარა მამამ, თითქოს რაღაც ძვირფასი საჩუქარი მიიღოო!

ანატოლი ვასილევიჩმა კაპიტანს და მის თანაშემწეებს თავისი ცოლშვილი გააცნო.

— თქვენ ახლა საბჭოთა ტერიტორიაზე ხართ,— გაელიმა კაპიტანს.— გთხოვთ, გვესტუმროთ.

ანატოლი ვასილევიჩმა ანტოშკას ხელი ჩაავლო, გემბანზე გაატარ-გამოატარა და ტანკერი დაათვალიერებინა, გზადაგზა უხსნიდა კიდეც.

ხმაურობდნენ ტუმბოები. ტანკერიდან ნავთობს სქელ მილებში — არტერიებში ექაჩებოდნენ და წვრილი მილებით უშვებდნენ უზარმაზარ ვერცხლისფერ ავზებში — ნავთობსაცავებში, რომლებსაც ტყის პირას ვეება ნაძვების ჩრდილი ჰფარავდა. მილებში მიედინებოდა ჩვენი მიწის მასულდგმულებელი სისხლი — ნავთობი, ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა რომ მოიპოვეს და აქ საბჭოთა მეზღვაურებმა ჩამოიტანეს, რათა შვედეთის ფაბრიკებისა და ქარხნებისათვის, ტრაქტორებისა და თვითმფრინავებისათვის, ავტომანქანებისა და მოტორიანი ნავებისათვის საკვები მიეცათ. სამაგიეროდ, შვედები ჩვენს ქვეყანაში გზავნიდნენ მანქანებს, დაზგებს, სამდინარო გემებს, ცნობილი შვედური ფოლადისაგან დამზადებულ ბურთულ-საკისრებს.

— კარგი საქმეა სახელმწიფოებს შორის ასეთი ვაჭრობა,— შენიშნა ანატოლი ვასილევიჩმა.

— კეთილი საქმეა.

და ანტოშკამ გაიფიქრა, რომ მამამისს სულაც არ ჰქონდა ცუდი და მოსაწყენი პროფესია.

კაპიტანი კონსულსა და ელიზავეტა კარპოვნას თავის მეურნეობას ათვალიერებინებდა.

— ახლა კაიუტ-კომპანიაში გთხოვთ, საუზმეზე,— შესთავაზა კაპიტანმა სტუმრებს.

ისინი ტრაპს აუყვნენ, გაიარეს ვიწრო დერეფანი და ფართო ოთახში შევიდნენ. კვადრატულ ილუმინატორებში შემოჭრილმა მზემ ნაირფრად ააბრჭყვიალა ჭიქები და ლანგრები.

— ამინდმა თუ შეგიწყოთ ხელი? ზღვა მშვიდი იყო? — იკითხა ანატოლი ვასილევიჩმა.

— ამინდი ჩინებული დაგვიდგა, მაგრამ ზღვაზე მოუსვენრად ვიყავით,— მოიღუშა კაპიტანი.— ბალტიის ზღვაზე საეჭვო რაღაც ხდება. შემხვედრი გემები მისალმებაზე არ გვპასუხობდნენ. არ სურდათ გაემჟღავნებინათ რომელი ქვეყნისანი იყვნენ. გემების განსაკუთრებით დიდი მოძრაობაა ღამით, გერმანიიდან ფინეთისაკენ. როგორც ჩანს გერმანელები რაღაცას აპირებენ.— კაპიტანმა ანტოშკას ფართოდ გახელილ თვალებს შეხედა და შეეცადა სწრაფად შეეცვალა საუბრის თემა.— რეისი ბრწყინვალედ ჩავატარეთ, საწვავი დავზოგეთ, დანიშნულ დროზე ადრე მოვედით.

გამომშვიდობებისას ვლადიმერ მირონოვიჩმა თქვა:

— ჩვენმა სრულუფლებიანმა დიპლომატიურმა წარმომადგენელმა, ალექსანდრა მიხაილოვნა კოლონტაიმ დამავალა, დღეს ვახტიდან თავისუფალი თქვენი ეკიპაჟის წევრები დავპატიჟო საბჭოთა კოლონიასთან მეგობრულ შეხვედრაზე.

— დიდი მადლობა.

სატუმბავი სადგურის ბაქანზე უკვე შვეულად დაკიდებული საბიჯელებით ჩამოვიდნენ. ტვირთისაგან განთავისუფლებული ტანკერი წყლიდან მაღლა იწევდა. მანომეტრებზე დაძაბული ისრები თრთოდნენ, ათასობით ტონა ამოტუმბულ ნავთობს ითვლიდნენ. შვედეთის მიწაზე მილებით — არტერიებით გარბოდა საბჭოთა ნავთობი და ხალხისათვის სინათლე და სითბო მიჰქონდა.

თეთრი ნიჟარა

— სანამ დრო გვაქვს, წავიდეთ, ჩვენი ახალი ბენზინის კოლონა ვნახოთ, — თქვა ანატოლი ვასილევიჩმა.

შარაზე გავიდნენ. ჯერ ბაღების მუქ სიმწვანეში ჩაფლულ მდიდრულ ვილებს ჩაუქროლეს, მერე მუშათა დიდ საავარაკო დაბას.

ანატოლი ვასილევიჩმა მანქანა დაამუხრუჭა, რომ ანტოშკას და ელიზავეტა კარპოვნას კარგად დაეთვალიერებინათ მუშათა აგარაკები. ყოველი აგარაკი გაზეთის ჯიხურზე ოდნავ მოზრდილი იყო და ირგვლივ პაწაწინა ბოსტანი ეკრა. საავარაკო დაბა ქონდრისკაცების ქალაქს ჰგავდა.

ანატოლი ვასილევიჩმა ხელი ჯიბეებზე მოიფათურა.

— როგორ დამავიწყდა სიგარეტის ყიდვა, უნდა მოვითმინო, დასახლებულ პუნქტამდე ჯერ კარგა დიდი მანძილია.

ანტოშკაც შეაწუხა ამ ამბავმა. თუმცა თამბაქოს სუნს ვერ იტანდა, უნდოდა ყველანი კმაყოფილი ყოფილიყვნენ, და მამასაც დაე, მოეწია, რაკი ასე იყო მიჩვეული.

საგზაო ნიშნის მიხედვით წინ გზა იტოტებოდა და ციცაბო აღმართი იწყებოდა. ანატოლი ვასილევიჩმა მანქანა დაამუხრუჭა, დიდ სარეკლამო ფართან შეაჩერა და საგზაო რუკა ამოიღო. ანტოშკა რეკლამის თვალირებას შეუდგა. უზარმაზარ წითელ წრეში თეთრი წრე იყო ჩახატული და შუაზე ეწერა: „სტანდარტ ოილ“. ეს ამერიკული ნავთობის კომპანიის რეკლამა იყო.

— პირდაპირ უნდა წავიდეთ, — თქვა ანატოლი ვასილევიჩმა და მანქანა ნახევრად დამშრალ პატარა მდინარეზე გადებულ ხიდისკენ მიუშვა.

მდინარის მეორე მხარეს, პატარა თეთრი სახლის გვერდით, ქოჩორა ცაცხვების ფონზე მოჩანდა ბენზინის წითელი კოლონა, და ზედ გვირგვინივით ედგა უშველებელი თეთრი ნიჟარა. სახლზე გაკრულ ცისფერ აბრაზე ეწერა: კაფე „სამოთხის კუთხე“.

— მართლაც რომ სამოთხეა, — თქვა იქაურობის სილამაზით აღტაცებულმა დედამ. — აქ ალბათ სიგარეტსაც ვიშოვით.

— მიმზიდველს ვერაფერს ვხედავ, — უკმაყოფილოდ აიჩეჩა მხრები ანატოლი ვასილევიჩმა, — მაგრამ სიგარეტს კი ვიყიდი.

ავტომანქანის ხმაურზე შენობიდან ლურჯ კომბინეზონიანი კაცი გამოვარდა, გულის ჯიბეზე თეთრი ნიჟარა ჰქონდა ამოქარგული.

— გამარჯობათ, ბატონებო! — გამოაღო მან მანქანის კარი. — შემოუხვიეთ ჩვენს კუთხეში, ნამგზავრი იქნებით, ერთი ჭიქა ყავა მიირთვით, მომაგრდებით, ამასობაში თქვენს მანქანასაც გავრეცხავთ და პირველი ხარისხის ბენზინსაც ჩაგისხამთ.

— გმადლობთ, მე მხოლოდ ერთი კოლოფი სიგარეტი „ნორდი“ მინდა, — მოკლედ მოუჭრა ანატოლი ვასილევიჩმა.

— გეტყობათ უცხოელები ბრძანდებით, — განაგრძო „სამოთხის კუთხის“ პატრონმა, — უნდა გაგაფრთხილოთ, კარგა დიდ მანძილზე ვერ იშოვნით რიგიან ბენზინს.

— სამი მილის შემდეგ საბჭოთა ბენზინის კოლონაა, — დიდმნიშვნელოვნად უთხრა ანატოლი ვასილევიჩმა და სიგარეტის ფასი გადაუხადა.

— ის უკვა აღარ მუშაობს, თანაც რუსული ბენზინით შორს ვერ წახვალთ.

ანატოლი ვასილევიჩი თითებით ქუდის ფარფლს შეეხო, კარი მოიჯახუნა და გაზი ჩართო.

— მე და ამ მუშას თითქმის ერთნაირი ფორმები გვაქვს — გაიცინა ანტოშკამ.

— სულაც არ არის ერთნაირი, — შეეპასუხა ანატოლი ვასილევიჩი. — შენი ფორმა წითელი პიონერული ყელსახვევია, იმას კი მკერდზე ნავთობის ვეშაპის, „შელის“ საფირმო ნიშანი აკერია.

„შელი“ და „სტანდარტი“ მამას კონკურენტები არიან, როგორ არ გესმის? — შენიშნა ელიზავეტა კარპოვნამ.

— თუ შეიძლება ამიხსენი, რატომ არ გიყვარს „შელი“ და „სტანდარტი“. თვითონ ამბობ, რომ ისინიც ნავთობპროდუქტებით ვაჭრობენ და შენც. ჰოდა, ხალხიც, ვისგანაც ისურვებს, იმისგან იყიდის. რატომღა გშურს მათი?

ანატოლი ვასილევიჩმა ცალყბად გაიცინა, ელიზავეტა კარპოვნა კი აღშფოთდა — როგორ მიუვიდა ჩემს ქალიშვილს ასეთი უნცაური აზრიო!

მამამ ოდნავ შეანელა სვლა.

— მშურს? არა, ეს შური არ არის. შეიძლება შეგშურდეს კარგისა, იმისი, ვინც პატივისცემის ღირსია. დიახ, მე მინდა, მეტი გაიყიდოს ჩვენი ბენზინი, ჩვენი ნავთი, ჩვენი ზეთები. ეს სარგებლობას მოგვიტანს, მაგრამ საქმე მარტო ეს როდა.

ანატოლი ვასილევიჩი თვალს არ აშორებდა გზას. ანტოშკა კი მამის სიტყვებიდან როგორღაც უცებ მიხვდა, რომ არც ვაჭრობა იყო იოლი ამბავი, როცა საქმე გქონდა მსოფლიო ვეშაპებთან, ომებით, მოსყიდვითა და მოტყუებით რომ დაიტაცეს ნავთობიანი მიწები და ნავთობის მსოფლიო ბაზრის ბატონ-პატრონები გახდნენ. „შელი“ და „სტანდარტი“ ნავთობის საბადოებს იტაცებდნენ, იპყრობდნენ ქვეყნებს, სადაც ეს საბადოები იყო განლაგებული. მონაწილეობდნენ ჩვენი ახალგაზრდა რესპუბლიკის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობებში, ოცნებობდნენ ხელში ჩაეგდოთ ჩვენი ნავთობის მარაგიც, და პირველად იგემეს დამარცხება. საბჭოთა რესპუბლიკამ მოიგერია ყველა მსოფლიო მტაცებლის იერიში, აღადგინა მეურნეობა და აი, მსოფლიო ბაზარზე გავიდა ჩვენი საბჭოთა „ნავთობსინდიკატი“. მას არ მიუტაცებია სხვისი ნავთობიანი მიწები, არ მოუწყვია სახელმწიფო გადატრიალებები, არ მოუსყიდია მთავრობები და მონებად არ უქცევია ადამიანები. კაპიტალისტები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ საბჭოთა კავშირს არ ჰქონოდა სხვა სახელმწიფოებთან ვაჭრობის საშუალება, მაგრამ

კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. საბჭოთა ვაჭრობის წარმომადგენლებს ცილს სწამებდნენ, აპატიმრებდნენ, მუხანათურად ხოცავდნენ კიდეც. მაგრამ საბჭოთა ადამიანების ხელით დამზადებული საქონელი თვითონვე მეტყველებდა თავის თავზე და საზღვარგარეთაც თანდათან დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა კავშირი კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის ვალდებულებას.

ანატოლი ვასილევიჩმა ბენზინსაზომს შეხედა, ისარი ნოლისაკენ იხრებოდა.

— ალბათ ბენზინის კოლონამდე ვერც მივაღწევთ, ერთი კილომეტრის ფეხით გავლა მოგვიწევს, ჯერჯერობით კი მანქანით განვაგრძოთ გზა.

მართლაც, ცოტახნის შემდეგ მოტორმა დაიფრუტუნა და მიყუჩდა.

მანქანა გზისპირას დატოვეს და ფეხით ტყეს გაუყვნენ. ტყის ხმაურს თანაბარი გუგუნი შეუერთდა, თითქოს სადღაც ახლოს მთვლემარე გოლიათი სუნთქავდა.

— ზღვა ხმაურობს, — თქვა ანატოლი ვასილევიჩმა. — ახლა უკვე ახლოსა ვართ.

მალე გამეჩხერებულ ხეებს შორის ზღვამ გაიელვა. ფეხი სულ უფრო ღრმად ეფლობოდა ქვიშაში. ანტოშკას აზოვის ზღვა გაახსენდა, სადაც ახლა ბავშვები ბანაობდნენ და ისევ გადაუქანდა გული.

გზის მახლობლად აყვავებული იასამნის ბუჩქებში, სახურავის კუთხე გამოჩნდა. ზედ წითელი მილი იყო აღმართული, გეგონებოდათ სახლი იასამნის დიდ თაიგულში ჩაუდგამთო.

— ეს რაღაა? — წამოიძახა შეწუხებულმა ანატოლი ვასილევიჩმა. — ჩვენი ბენზინის კოლონა რა იქნა?

მან ნაბიჯს უმატა. ელიზავეტა კარპოვნა და ანტოშკა ძლივს ეწეოდნენ.

სახლის კუთხეში შეუხვიეს. მოედანზე უსიცოცხლო სხეულივით ეგდო ბენზინის კოლონა, ქვეშ იასამნის ბუჩქი რომ მოჰყოლოდა. ფერდები დაჟეჟილი ჰქონდა, წითელი მინანქარი აცვენოდა და ქვიშაზე სისხლის ლაქებივით მოჩანდა. წაქცეული კოლონისკენ ბორბლის ფართო, აქერცლილი ნაკვალევი მოდიოდა. კოლონასთან ლურჯბერეტიანი ახალგაზრდა კაცი ჩაცუცქულიყო და სველი ნაჭრით გულმოდგინედ წმენდდა ფაშისტური სვასტიკებით აჭრელებულ მინანქარს. მან უცებ ვერც შენიშნა მისულები.

— შუადღე მშვიდობისა, ბატონო სვენსონ, — მიესალმა ანატოლი ვასილევიჩი, — ეს რა ამბავია?

სვენსონმა თავი ასწია და იცნო საბჭოთა გენერალური დირექტორი.

— ო, მშვიდობისა რა მოგახსენოთ ბატონო გენერალ-დირექტორო. უბედურება დაგვატყდა თავს. ეს „შელის“ და ჩვენი ფაშისტი ვაჟბატონების ნახელავია, თქვა მან და გზისკენ მუქარით გაიშვირა მუშტი.

ანატოლი ვასილევიჩმა ქუდი მოიხადა და შუბლი ცხვირსახოცით მოიწმინდა.

ანტოშკა შეშინებული უყურებდა რბევის ნაკვალევს: დაჟეჟილ ვედროებს, დამსხვრეულ შუშებს, გათელილ ყვავილებს.

სვენსონმა სტუმრები იასამნის ძირში სკამზე დასვა, ამოიოხრა და დაბნეულად დაიწყო მოყოლა.

— მუშაობა პირველივე დღიდან გამიჭირდა. მომდიოდა უსახელო წერილები. მემუქრებოდნენ და მოითხოვდნენ, კოლონა დახურე და გუდა-ნაბადი აიკა-

რიო. მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია — განა ცოტანი არიან ქვეყნად შურიანები? გასულ კვირას ადგილობრივ მეთევზეებს მივაკითხე, მათ მოტორიანი ნავები აქვთ: მივუტანე ჩვენი, უფრო სწორად თქვენი, საბჭოთა სატრაქტორო ნავთის ნიმუშები, ვთხოვე გამოეცადათ. ორი დღის შემდეგ მეთევზეები ერთმანეთს ასწრებდნენ, მოდიოდნენ და ნავთი მიჰქონდათ. გუშინწინ აქვე, ახლოს, საკონსერვო ქარხნის მშენებლობაზე მომუშავე შოფრებთან ვიყავი. ავუხსენი, რომ ხელსაყრელია საბჭოთა ბენზინით სიარული, რომ მოტორს საბჭოთა ბენზინი უყვარს და ამ ბენზინით ჯანმრთელი გულივით მუშაობს, ნაკლებად ხმაურობს და დიდხანს ძლებს. გუშინ საღამოს, როგორც ყოველთვის, აქაურობა დავკეტე და ძაღლი ავუშვი. მე და ჩემი ცოლი ვახშმად ვისხედით. ჩვენ ერთერთ ოთახში კაფეს გახსნაზე ვოცნებობდით და თან ვკამათობდით, რა დაგვერქმია კაფესთვის, რომელი გაზეთები გამოგვეწერა. დასაძინებლად გვიან დავწექით. საშინელმა გრუხუნმა გამაღვიძა. საწოლიდან წამოვხტი. რაც კი ხელთ მომხვდა, სწრაფად გადავიცვი და ერდოზე გამოვვარდი. ახლა ნათელი ღამეებია და ყველაფერი დღესავით ჩანს. ჩემი ნაგაზი ერდოს წინ ეგდო მკვდარი. ვხედავ, სატვირთო მანქანა უკუსვლით მიდის. დავედევნე, ვუყვირე: „შესდექ!“ მაგრამ მანქანა მობრუნდა, სწრაფად წავიდა და გაუჩინარდა. მანქანას ნომერი არ ჰქონდა. უკან დაბრუნებულს მთელი ჩვენი მეურნეობა აოხრებული დამხვდა. ბორბლების ნაკვალევი შემოვფარგლე, რომ პოლიციამ დაადგინოს ვისი მანქანა იყო. მაგრამ დარწმუნებული ვარ, არ იპოვნიან დამნაშავეს.

— ჰო-ო, — თქვა ანატოლი ვასილევიჩმა და თავზე ხშირი, გრუზა თმები აიწეწა. — რატომ გგონიათ, რომ ეს „შელის“ ნახელავია?

— სხვა არავინ იქნებოდა. ადრე ამ რაიონში მხოლოდ „შელი“ ვაჭრობდა, ყველანი — მეთევზეებიც და საკონსერვო ქარხნის შოფრებიც მასთან ასხამდნენ ბენზინს. ამას წინათ ჩემთან მოვიდა შელის ბენზინის კოლონის აგენტი, ბანდიტი და ფაშისტი, მას ამ არემარეში ყველა იცნობს, ლოყაც ნაჭრილობევით აქვს გადასერილი.

ახლა კი მიხვდა ანატოლი ვასილევიჩი რატომ გააფრთხილა „სამოთხის კუთხის“ მფლობელმა, საბჭოთა ბენზინის კოლონა არ მუშაობსო.

— მერე, მერე, მაინც რა უნდოდა თქვენთან?

— მკითხა, ვაჭრობა როგორ მიდისო და „შელთან“ გადასვლა შემომთავაზა, მითხრა, იქ უფრო მეტს გადაგიხდიან და თვითეული მუშტრის მოყვანაში განსაკუთრებულ ჯილდოსაც მოგცემენო. მე რა თქმა უნდა, უარით გავისტუმრე.

ანატოლი ვასილევიჩი ყურადღებით აკვირდებოდა სვენსონს. შვედი მარტო შეწუხებული კი არა, დარცხვენილიც იყო.

— ახლა ალბათ უარს იტყვით საბჭოთა ბენზინით ვაჭრობაზე, არა? — ჰკითხა ანატოლი ვასილევიჩმა. — „შელთან“ წახვალთ, იქ უფრო სიმშვიდეა. „შელის“ ბენზინის კოლონებს ჩვენგან არავითარი საფრთხე არ ელის.

— რას ბრძანებთ, ბატონო დირექტორო! თქვენ თუ არ მეტყვით უარს, საბჭოთა დოვლათის დაცვა რომ ვერ შევძელი, შემდგომშიც თქვენთან ვიმუშავებ — სვენსონმა ამოიოხრა. — აი, მხოლოდ ძაღლი მომიწამლეს. ახალი ძაღლი უნდა ვიყიდო, ოღონდ უფრო ავი და დაუნდობელი, ასეთი მიმნდობი აღარ გამომადგება.

— მაგაში ჩვენ დაგეხმარებით, — დაამშვიდა ანატოლი ვასილევიჩმა.

ბენზინის ჩასასხმელ სადგურს სატვირთო მანქანა მოადგა. ხნიერმა, ჯმუხმა შოფერმა მანქანის კარი გამოაღო და დაუსტვინა.

— ეს რა, ფაშისტებმა წაიმუშავეს?

— განა ხელწერაზე არ ეტყობა, — სვენსონმა დარბეული კოლონისკენ გადააქნია თავი... — სანამ მეურნეობას წესრიგში მოვიყვანთ, „შელთან" უნდა იარო. ოღონდ გახსოვდეს, საბჭოთა ბენზინით უფრო შორს წახვალ. მართალია რუსებს ისეთი გამჭვირვალე ბენზინი არა აქვთ, როგორც „შელს", სამაგიეროდ, მათ ბენზინს გოგირდი არ ურევია.

— საბჭოთა ბენზინს სისხლი არ ურევია, ესაა მთავარი, — მიუგო შოფერმა. შენ პირდაპირ რეზერვუარიდან ამომიქაჩე, აგერ საწყაოცა გაქვს, — შოფერმა კანისტრაზე მიუთითა. — სხვებსაც ნუ გააბრუნებ, სამუშაოს დამთავრების შემდეგ კი მოვალთ და გიშველით, ყველაფერს მოვაწესრიგებთ. საბჭოთა კოლონამ უნდა იმუშაოს.

სადგურთან შოფრებმა იწყეს მოსვლა. დარბეული მეურნეობის დანახვაზე ისინი ხმამაღლა გამოთქვამდნენ გულისწყრომას.

ანტოშკა და დედამისი ხელჩაკიდებულნი ისხდნენ სკამზე და მთელ საუბარს ისმენდნენ.

ჩაშლილი გასეირნება

ამინდს კარგი პირი უჩანდა. ანტოშკა დედ-მამასთან ერთად მიაბიჯებდა სტოკჰოლმის ჯერ კიდევ მძინარე, წყნარ ქუჩებში. გოგონა შესანიშნავ გუნებაზე იყო. მხარზე ჩამოკიდებული ჩანთით ახალთახალი საბანაო კოსტიუმი და რეზინის ქუდი მიჰქონდა. ბადეში კი ბურთი ქანაობდა.

ერთი თვის შემდეგ ის დედასთან ერთად მოსკოვში უნდა დაბრუნებულიყო. ასე გადაწყდა ოჯახურ საბჭოზე. „თორემ ანტოშკას აქ არ ჰყავს თანატოლები, არ დადის ნამდვილ სკოლაში და გაველურდება", — თქვა დედამ. მასაც მოენატრა ექიმის თეთრი ხალათი და თავისი საავადმყოფო. მამა ჯერჯერობით მარტო დარჩებოდა სტოკჰოლმში.

ქალაქს თითქოს ეძინა. კვირაობით ყველა მაღაზია დაკეტილი იყო. ქალაქგარეთ მიმავალ გზებზე კი ბოლო არ უჩანდა მხრებზე ზურგჩანთაგადაკიდებულ ველოსიპედისტთა უსასრულო მწკრივს. ხალხი ქალაქგარეთ, გრილი ტყეებისა და ტბის სანაპიროებისაკენ მიდიოდა დასასვენებლად.

კარლავეგენის ქუჩიდან ვილაგატანის ქუჩაზე გაუხვიეს.

ამ სისხამ დილით ვილაგატანის ქუჩა ძალზე გამოცოცხლებული იყო. აქ მდებარეობდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის სახლი და სადღესასწაულოდ მორთული საბჭოთა ადამიანები შვილებთან ერთად ამ სახლისაკენ მიდიოდნენ, სადაც შეკრება იყო დანიშნული. პატარებს თან მიჰქონდათ რეზინის გასაბერი ნიანგები, კუები, პეპლის საჭერი ბადეები. მამაკაცები ანკესებითა და სპინინგებით შეიარაღებულიყვნენ. ერთ მათგანს მკლავზე ვედრო ჩამოეკონწიალებინა, უხას მოსახარშად. ქალებს ბუტერბროდებით, კონსერვებითა და ლიმონათებით სავსე დაწნული კალათები მიჰქონდათ. საბჭოთა კოლონიას მხიარული ზეიმი ელოდა.

ვილაგატანზე მოთავსებულ საბჭოთა საელჩოს პატარა ორსართულიან სახლს ირგვლივ მაღალი ალვის ხეები აკრავს. შენობის ტრონტონზე მზის სხივებისაგან ბრწყინავს ოთხკუთხა სპილენძის ფირფიტა, ზედ ამოკვეთილია საბჭოთა კავშირის გერბი და წარწერა: „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სრულუფლებიანი დიპლომატიური წარმომადგენლობა“.

წარმომადგენლობის ჭიშკრის წინ, ტროტუარზე ადამიანი შვედეთის მიწაზეა, მაგრამ საკმარისია ერთი ნაბიჯი გადადგას, ჭიშკარს გადააბიჯოს და უკვე საბჭოთა მიწაზე აღმოჩნდება, სადაც საბჭოთა კანონები მოქმედებს, სადაც მიწევის და ნებართვის გარეშე არც უცხო პირს შეუძლია შესვლა. საბჭოთა მიწის ეს ნაგლეჯი განსაკუთრებით ძვირფასი და სათაყვანოა უცხოეთში. საელჩო თავისი ეზო-ბაღჩით ექსტერიტორიულია, ესე იგი ხელშეუხებელია, აქ თითქოს მზეც სხვანაირად ანათებს და ჰაერიც სხვანაირია...

საელჩოს ეზო საბჭოთა ადამიანებით აივსო. მეორე სართულის დახურული ფანჯრებიდან საბეჭდი მანქანის ხშირი კაკუნი ისმოდა. ეტყობოდა, ამ დილაადრიან საელჩოს სასწრაფო სამუშაო ჰქონდა. ალბათ ალექსანდრა მიხაილოვნა კოლონტაი, რომელიღაც მოხსენებით ბარათს კარნახობდა და ჩქარობდა მალე დაემთავრებინა საქმე, რათა ივნისის ამ შესანიშნავ დღეს საბჭოთა ხალხთან ერთად დაესვენა.

საელჩოს დამლაგებელი ანა ფიოდოროვნა ბავშვებს აჩუმებდა. „სუუ, წყნარად, ასე მთელ შვედეთს გააღვიძებთ! ნუ გგონიათ, რადგან ექსტერიტორიულ ეზოში ხართ, თქვენი ხმა ღობის იქით არ ისმისო“.

ფანჯარა, საიდანაც საწერი მანქანის კაკუნი ისმოდა, გაიღო და ალექსანდრა მიხაილოვნა კოლონტაიმ გამოიხედა.

— ამხანაგებო, გთხოვთ ჩემთან მისალებში ამოხვიდეთ ყველანი, ქალებიც და ბავშვებიც. — სრულუფლებიანი დიპლომატიური წარმომადგენლის ხმა რაღაც უცნაურად ჟღერდა: ჩვეულებრივ ალექსანდრა მიხაილოვნა ყველას ესალმებოდა, თვითეულ ბავშვს სახელით მიმართავდა, ეკითხებოდა, ყველანი კარგად გრძნობდნენ თავს ოჯახში თუ არა, ხომ არავინ იყო ცუდ გუნებაზე...

ყველანი მღელვარებით შეჰყურებდნენ სრულუფლებიანი დიპლომატიური წარმომადგენლის კაბინეტის მაღალ კარს.

ალექსანდრა მიხაილოვნა სწრაფი ნაბიჯით გამოვიდა.

ანტოშკამ შენიშნა, რომ ლურჯი თვალები დღეს ჩაშავებული ჰქონდა, ხელი ნერვიულად ათამაშებდა ლორნეტის ძეწკვს. ალექსანდრა მიხაილოვნას სამოცდაათი წელი უსრულდებოდა, მაგრამ ანტოშკა, ვისაც ოცდაათი წლის ქალებიც ძალზე ხნიერებად ეჩვენებოდა, მაინც არ თვლიდა მას ბებიად. ამ საშუალო სიმაღლის მომღიმარ ქალს, რაღაც განსაკუთრებული მომხიბვლელობა ჰქონდა მიმადლებული. იგი ანდამატივით იზიდავდა ბავშვებსაც და მოხუცებსაც, მამაცებსაც და ქალებსაც. „ალექსანდრა მიხაილოვნას ლენინური სკოლა აქვს გავლილი და ამიტომაც უყვარს ყველას“, — ამბობდა ელიზავეტა კარპოვნა. იგი ხშირად დადიოდა კოლონტაისთან, ხან როგორც ექიმი ისე აკითხავდა, გულს უსინჯავდა, წნევას უზომავდა, ხან კი იმიტომ რომ გულახდილად ესაუბრა მასთან.

მაგრამ ახლა ალექსანდრა მიხაილოვნა სულ სხვანაირი იყო — მკაცრი და ძლიერი — ანტოშკას იგი უფრო ამაღლებულიც კი მოეჩვენა.

კოლონტაი მაგიდასთან მივიდა და ზედ მძიმედ ჩამოეყრდნო. სკამი შესთავაზეს, მაგრამ თავი გააქნია და შეკრებილთ დინჯად მოავლო თავისი დიდრონი ლურჯი თვალები, შიგ რომ მღელვარება დასადგურებულიყო.

— ჩემო ძვირფასებო, — წამოიწყო მან და გაჩუმდა.

ელიზავეტა კარპოვნა მიხვდა, რომ ახლა ალექსანდრა მიხაილოვნა გულის შეტევას ებრძოდა. კისერი და ლოყები წითელი ლაქებით დაეფარა. ელიზავეტა კარპოვნამ მასთან მისვლა დააპირა, მაგრამ ალექსანდრა მიხაილოვნამ თავს სძლია, წელში გასწორდა და განაგრძო:

— ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენ სამშობლოს დიდი უბედურება დაატყდა თავს...

დარბაზში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ყურებმა წივილი დაიწყო.

— დღეს, გათენებისას, ფაშისტური გერმანია მუხანათურად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას. ბრძოლები გაჩაღდა მთელს ფრონტზე, ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე. გერმანელთა ავიაციამ დაბომბა ჩვენი აეროდრომები, ქალაქები და სოფლები. ჩვენმა ხალხმა პირველი მსხვერპლი გაიღო.

ანტოშკა მამას მიეკრა.

ყველანი თვალმოუშორებლად შეჰყურებდნენ თავიანთ სრულუფლებიან დიპლომატიურ წარმომადგენელს, სურდათ მისი სახის გამომეტყველებით, თითების მოძრაობით, ინტონაციით უფრო მეტი გაეგოთ, ვიდრე მან თქვა.

— დიახ, — განაგრძო ალექსანდრა მიხაილოვნამ, თითქოს იქ მყოფთა ფიქრს პასუხობდა, — ჩვენ გავუძლებთ, ჩვენ გავიმარჯვებთ — შეუძლებელია, არ გავიმარჯვოთ, მაგრამ ბრძოლა მძიმე იქნება და ჩვენი გამარჯვება ახლა დამოკიდებულია ყოველი საბჭოთა ადამიანის ძალღონის დაძაბვაზე.

ბავშვებმა უფროსების შეშფოთება იგრძეს და ატირდნენ.

შემდეგ სხვებმა წარმოთქვეს სიტყვები. ლაპარაკობდნენ მოკლედ და გულისწყრომით, აშრიალდა ქაღალდები. მამაკაცები მოლაპარაკებულებივით წერდნენ რაღაცას ბლოკნოტებში. ზოგი ფანჯრის რაფასთან მიმდგარიყო, ზოგს როიალზე გაეშალა ფურცელი, ზოგს უბრალოდ კედელზე აეფარებინა და ისე წერდა. მერე ამ ფურცლებს ალექსანდრა მიხაილოვნას აწვდიდნენ. ეს იყო განცხადებები, ადამიანები ფრონტზე გაგზავნას მოითხოვდნენ.

კოლონტაიმ ისინი ხელის მოძრაობით შეაჩერა.

— ჩვენ აქაც ფრონტზე ვართ და ჩვენი აქაური მუშაობა ძალზე სჭირდება ჩვენს სამშობლოს.

თავს დატეხილი უბედურებით შეშფოთებული ადამიანები ცდილობდნენ გარკვეულიყვნენ რაოდენ დიდი იყო საფრთხე ,ვინ იქნებოდა ამ ომში ჩვენი მეგობარი, ვინ ამოუდგებოდა მხარში ფაშისტურ გერმანიას ჩვენს წინააღმდეგ, საბრძოლველად.

ალექსანდრა მიხაილოვნამ ახსნა მდგომარეობა. შვედეთის დასავლეთელი მეზობელი ნორვეგია უკვე წელიწადნახევარია, გერმანელების ოკუპაციაში იყო. ნორვეგიის მეფე ხოკონ მეშვიდე და მთავრობა ინგლისში წავიდნენ ემიგრაციაში. გერმანელებმა ნორვეგიაში მოძებნეს სისხლისამართლის დამნაშავე, ავანტიურისტი კვისლინგი და „პრემიერ მინისტრად“ გახადეს. შვედეთის აღმოსავლელი მეზობელი ფინეთი, ალბათ გერმანიის მხარეს დაიჭერდა. შვედეთი კი თავის ძველ ნეიტრალიტეტის პოლიტიკას დაიცავდა, ესე იგი არცერთის მხარეზე არ ჩაებმებოდა ომში. შესძლებდა თუ არა გერმანია შვედეთის ოკუპირე-

ბას? ალბათ ვერა. ჰიტლერელებმა მთელი ძალები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გადაისროლეს და საეჭვო იყო, ახლა კიდევ ოცდაათი ზედმეტი დივიზია ჰყოლოდათ შვედეთის წინააღმდეგ. როგორ მოიქცეოდნენ ინგლისი და ამერიკა? ალბათ საბჭოთა კავშირის მეკავშირეები გახდებოდნენ. ინგლისს უკვე ორი წელია გერმანიასთან საომარი მდგომარეობა ჰქონდა. მისი ხალხი დიდად დაზარალდა ფაშისტური დაბომბვებისაგან.

— ქალაქში ახლა წარმოუდგენელი ხმები დაირხევა, — გააფრთხილა კოლონტაიმ დამსწრენი. — ბურჟუაზიული გაზეთები გაივსება ყალბი იმფორმაციებით. პანიკას ნუ მიეცემით, მეგობრებო, ღირსეულად გეჭიროთ თავი. მე ყოველდღე მოგაწვდით ინფორმაციას. უსმინეთ მოსკოვის რადიოს.

ალექსანდრა მიხაილოვნა თავისი კაბინეტისაკენ წავიდა. ხალხი არ დაშლილა.

ანტოშკას ყრუდ უცემდა გული. ომი საშინელებაა! მაგრამ უფროსებმა საფრთხის გაზვიადება იციან. ნუთუ არ ესმით, რომ წითელი არმია ახლა მრისხანე კედლად აღიმართება მტრის გზაზე. პიონერხელმძღვანელმა კოსტიამ რამდენჯერ აუხსნა ბავშვებს სკოლაში, რომ თუკი ფაშისტები შეეცდებიან თავიანთი ბილწი დინგი საბჭოთა ბოსტანში შემოყონ, ჩვენ მათ ისე ვუპასუხებთ, რომ მტვრად ვაქცევთო, და განა არა? აკი შეეცადა თოთხმეტი სახელმწიფო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის განადგურებას, მაგრამ არ გამოუვიდათ. მაშინ იარაღიც ცოტა გვქონდა და შეგნებაც გვაკლდა. ახლა კი ყოველი კომკავშირელი ჩაპაევი იქნება, იარაღი კი, რამდენიც გინდა იმდენი გვაქვს. ფაშისტებს რა აქვთ? არც საგმირო საქმეების ჩადენა შეუძლიათ და იარაღიც არ შეიძლება ჩვენზე მეტი ჰქონდეთ. ეს ფაქტია!

ტყუილად სწუხან ადამიანები. ანტოშკას მტკიცედ სჯერა, რომ წითელი არმია დასძლევს ჰიტლერულ ურდოებს და ძალიან მალეც. ხოლო გერმანელი მუშები უნდა აღსდგნენ და ისე აღგავონ ფაშიზმი, როგორც რუსმა მუშებმა აღგავეს ცარიზმი ოქტომბრის რევოლუციის დროს. ვინ იცის, იქნებ ბერლინში უკვე ბარიკადებზე იბრძვიან. გაივლის ერთი ან ორი კვირა და ჰიტლერი ბერლინის გასაღებს წითელი არმიის მთავარსარდალს ჩააბარებს. ძველადაც ხომ იყო ასეთი შემთხვევები. სხვა რომ არაფერი, ანტოშკას ისტორიაში მუდამ ხუთიანები ჰყავდა.

მაგრამ განა ალექსანდრა მიხაილოვნამ ანტოშკაზე ნაკლებად იცის ისტორია? მაშ რატომ ღელავს ასე? რატომ ამბობს, ომი მძიმე იქნებაო? რატომ აქვთ უფროსებს ასეთი მკაცრი და დაძაბული სახეები? იქნება საჭიროა ანტოშკამ მათ თავისი აზრი უთხრას? მაგრამ ვინ დაუგდებს ყურს ამ პატარა გოგოს?

სრულუფლებიანი დიპლომატიური წარმომადგენლობიდან ხალხი გვიან საღამოს წამოვიდა.

გაზეთის გამყიდველები გამყინავი ხმით გაჰკიოდნენ რუსეთში ჰიტლერელთა არმიის ძლევამოსილ ლაშქრობაზე. ხალხი საღამოს გაზეთებს იტაიტაცებდა.

ბრწყინავდა და ციმციმებდა რეკლამის კაშკაშა სინათლეები. რესტორნებიდან ჯაზის ხმა ისმოდა.

ღამის კარნახი

კვირა კვირას მისდევდა. უკვე სამი თვე გავიდა, ომს კი ბოლო არ უჩანდა. საბჭოთა რადიო ყოველდღე ერთსა და იმავეს იტყობინებოდა: „მოწინააღმდეგესთან ყველა ფრონტზე გააფთრებული ბრძოლები გრძელდებაო“. მაგრამ სად იყო ეს ფრონტი? ზოგიერთმა შვედურმა გაზეთმა გერმანელებს არაერთხელ ჩააბარა მოსკოვიც და ლენინგრადიც. ამას, რა თქმა უნდა, არავინ იჯერებდა. დღეს საბჭოთა საინფორმაციო ბიურო იტყობინებოდა, „ბრძოლები კიევის მიდამოებთან მიმდინარეობსო“. აი სადამდე მიაღწიეს ფრიცებმა! თურმე არც ისეთი ადვილი ყოფილა ეს ყველაფერი, როგორც პიონერხელმძღვანელი კოსტია ამბობდა. ანატოლი ვასილევიჩი ყოველდღე მიდიოდა სამსახურში, მაგრამ ორი-სამი საათის შემდეგ სახემოღუშული ბრუნდებოდა. შვედეთთან ვაჭრობა შეწყდა, საბჭოთა ნავთობ პროდუქტებით მოვაჭრე კოლონები ერთმანეთის მიყოლებით იხურებოდა.

ანტოშკა არ ასვენებდა მამას შეკითხვებით: რატომ იმარჯვებს ჰიტლერი, რატომ არ დაარტყამენ ჩვენები ისე, როგორც საჭიროა, რატომ არ აჯანყდნენ გერმანელი მუშები?

მამა მოთმინებით უხსნიდა: გერმანელები ჩვენს ქვეყანას მოულოდნელად დაესხნენ თავს, მათ მეტი იარაღი აქვთ. ევროპის ყველა ქვეყანა დაიპყრეს, ევროპის ყველა სამხედრო ქარხანა ჰიტლერული არმიისათვის მუშაობს. მართალია შვედეთი არ ომობს, მაგრამ მთელი მისი მადნეული გერმანიაში მიდის. ფაშისტურ გერმანიას ჰყავს მოკავშირეები: იტალია, ფინეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ესპანეთი. ამ ქვეყნების ჯარისკაცები ჰიტლერის განკარგულებაშია. ჩვენ კი გულახდილად რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ არა გვყავს ნამდვილი მოკავშირეები. ყველაზე ნამდვილი მოკავშირეები ყველა ქვეყნის მშრომელი ადამიანებია. ისინი უკვე იწყებენ ბრძოლას, მაგრამ საჭიროა დრო, რომ დაირაზმონ. ჩვენ მარტონი ვართ, ჩვენი საკუთარი ძალებით ვიბრძვით, გერმანელ მუშებს კი ვინ დარაზმავს საბრძოლველად? ამხანაგი ტელმანი, კომუნისტების უმეტესი ნაწილი, ფაშისტებს ციხეებში ჰყავთ გამომწყვდეული.

ელიზავეტა კარპოვნამ კარგად იცოდა ქმრის ხასიათი და ესმოდა, რას აპირებდა, როცა მოსკოვში ზედიზედ გზავნიდა დეპეშებს, ნება მომეცით წამოვიდეო.

ერთ დღეს ანატოლი ვასილევიჩი კარგ ხასიათზე დაბრუნდა სახლში. ცალი ხელი ანტოშკას გადახვია, მეორე დედამისს და თქვა, ბოლოსდაბოლოს მოსკოვში გამგზავრების ნებართვა მივიღეო.

— ჩვენ? — წამოიძახა სასოწარკვეთილმა ანტოშკამ.

— შენ და დედა ჯერჯერობით აქ დარჩებით. თვითმფრინავში ადგილის შოვნა ჭირს. პირველი შესაძლებლობისთანავე თქვენც წამოხვალთ...

მამა კუნაპეტ ღამეში გაფრინდა. ჯერ ინგლისში უნდა ჩასულიყო და მერე არავინ იცოდა, როგორ ჩააღწევდა მოსკოვამდე. ელიზავეტა კარპოვნა და ანტოშკა სულ შიშში ცხოვრობდნენ. სკოლაში მეცადინეობა გრძელდებოდა, მაგრამ ანტოშკა ძალისძალად სწავლობდა გაკვეთილებს, რომ დედასთვის არ ეწყენინებინა. ელიზავეტა კარპოვნა ქმრის ამბის მოლოდინში გახდა და გაიცრიცა. ოქტომბერში როგორც იქნა მოსკოვიდან მოვიდა ანატოლი ვასილევიჩის მოკლე დეპეშა: „მშვიდობიანად ჩავედი. გკოცნით“. ეს იყო და ეს.

საბჭოთა კავშირიდან წერილებისა და გაზეთების მიღება ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე შეწყდა. გერმანელები აცხობდნენ მოსკოვის რადიოს, გადაცემების მოსმენა მხოლოდ შუაღამისას შეიძლებოდა. საბჭოთა ადამიანებისათვის კი მეტისმეტად საჭირო იყო სცოდნოდათ სიმართლე, გაეგოთ როგორი მდგომარეობა იყო ფრონტებზე, როგორ ცხოვრობდა და იბრძოდა მშობლიური ქვეყანა.

ღამით საბჭოთა პრეს-ბიუროში ორ რადიომიმღებს რთავდნენ. საბჭოთა კოლონიის წევრები მორიგეობით იჭერდნენ მოსკოვის გადაცემებს და იწერდნენ საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებს. მერე ამ ცნობებს საბეჭდ მანქანაზე ამრავლებდნენ და მთელ დაწესებულებაში აკრავდნენ. შემდეგ დაიწყეს საბჭოთა ახალი ამბების ბიულეტენის გამოშვება, რომელსაც როტატორზე ბეჭდავდნენ. დაე, მარტო საბჭოთა ადამიანებს კი არა, შვედებსაც სცოდნოდათ სიმართლე ჩვენს ქვეყანაზე, სცოდნოდათ საბჭოთა წყაროებიდან და არა გერმანელების მონაჭორიდან. საბჭოთა სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ შვედურ და ინგლისურ ენებზე დაიწყო ბიულეტენის გამოშვება.

ინფორმაციის წყარო კი ერთი ჰქონდათ — რადიო.

დღეს ანტოშკა იყო ღამის მორიგე. მასთან ერთად სამხედრო ატაშე, ნიკოლაი პეტროვიჩი მორიგეობდა. ისინი სხვადასხვა ოთახებში დასხდებოდნენ, ერთსა და იმავე გადაცემებს ჩაიწერდნენ და მერე შეადარებდნენ.

ნიკოლაი პეტროვიჩი ოთახში ბოლთას სცემდა და განუწყვეტლივ აბოლებდა პაპიროსს, როგორც ყოველთვის ჩუმი და გულჩათხრობილი იყო. ანტოშკას, ცოტა არ იყოს, ეშინოდა კიდეც მისი.

ნიკოლაი პეტროვიჩი შვედეთში წითელი არმიის წარმომადგენელი იყო. ამიტომაც ჰქვიოდა მის თანამდებობას სამხედრო ატაშე. ჩვეულებრივ იგი სამოქალაქო ტანსაცმლით დადიოდა, მაგრამ ზოგჯერ წითელი არმიის პოლკოვნიკის ფორმითაც გამოჩნდებოდა ხოლმე. მკერდზე საბრძოლო წითელი დროშის ორდენი ებნია. ამ ორდენით სამოქალაქო ომში გმირული თავდადებისათვის დააჯილდოვეს. სამხედრო ფორმას მხოლოდ მაშინ იცვამდა, როცა შვედეთის თავდაცვის სამინისტროში, სამხედრო პარადზე ან შვედეთის არმიის მანევრებზე მიდიოდა. როდესაც საბჭოთა კავშირი სამხედრო მასალებს ყიდულობდა, მოლაპარაკებას სამხედრო ატაშე ატარებდა, იგი თვითონვე უწევდა მეთვალყურეობას, როგორ სრულდებოდა დაკვეთა. ნიკოლაი პეტროვიჩი კითხულობდა შვედურ სამხედრო ლიტერატურას, გაზეთებსა და ჟურნალებს, სწავლობდა შვედეთის არმიის ცხოვრებას. კოლონტაი სამხედრო საკითხებზე ყოველთვის მასთან თათბირობდა და ალბათ სწორედ ნიკოლაი პეტროვიჩმა გაიანგარიშა, რომ ჰიტლერელებს სულ მცირე ოცდაათი დივიზია მაინც დასჭირდებოდათ შვედეთის დასაპყრობად.

ნიკოლაი პეტროვიჩი მარტო ცხოვრობდა. ოჯახი ლენინგრადში ჰყავდა დატოვებული.

ანტოშკა იჯდა და განკარგულებას ელოდა, თავის მიტრიალებისა ეშინოდა. მის ზურგს უკან ნიკოლაი პეტროვიჩი მიმოდიოდა და განუწყვეტლივ აბოლებდა პაპიროსს.

— აბა, ახლა მოსკოვის ტალღაზე მოვმართოთ, — თქვა მან, ანტოშკას მიუჯდა და რადიომიმღების სახელურები გადაატრიალა. მოსკოვის ხმას ახშობდნენ.

— მაშ ასე, — თქვა ნიკოლაი პეტროვიჩმა, — ეცადე ჩამხშობებს ყური არ უგდო, მხოლოდ მოსკოვს უსმინე. კრემლის კურანტების შემდეგ დაიწყება გადაცემა რაიონული და საოლქო გაზეთებისათვის. თუ რაიმეს ვერ გაიგონებ, არ გაჩერდე, განაგრძე წერა. შემდეგ ორივე ჩანაწერს შევაერთებთ და რაიმე გამოვა. გასაგებია?

— დიახ, გასაგებია, — მიუგო ანტოშკამ, თუმცა არ სჯეროდა, რომ რაიმეს მოსმენას შესძლებდა.

ნიკოლაი პეტროვიჩი მეორე ოთახში გავიდა და კარი მიიხურა. ანტოშკა მარტო დარჩა ამ საოცარი ხმების ქაოსში.

ახლა კრემლის კურანტები დარეკავდნენ. მოსკოვის დროით თორმეტი საათი იყო.

გაისმა კრემლის კურანტების ხმა!

როცა მოსკოვში ცხოვრობ, მათი ხმა არც გესმის. მაგრამ სამშობლოდან მოშორებით, უცხოეთში, დედამიწის რომელ კუთხეშიც არ უნდა იყოს საბჭოთა ადამიანი, ყოველთვის, როცა კი მოსკოვის დრო თორმეტს უახლოვდება, რადიომიმღებს რთავს და დიდი მღელვარებით უცდის სამშობლოს ამ დინჯ და მშვიდ ხმას. უფრო მჭიდროდ იკეთებს ყურსაცვამებს, უსმენს დედა-სამშობლოს გულისცემას და იცის, რომ სწორედ მას აძლევს იგი ნიშანს, ახსენებს, რომ დიადი სამშობლოს შვილია, რომ სამშობლოს არ დავიწყებია, სჯერა მისი და იცის, რომ მოიხდის თავის წმინდა ვალს.

ანტოშკა იჯდა და სმენადაძაბული იცდიდა.

აგერ ისიც, დიდი, ძლიერი გულის ცემა... ავტომობილების საყვირები... კურანტების ნაზი გადაძახილი... სიჩუმე... და პლანეტას მოეფინა კრემლის საათის მტკიცე, დინჯი რეკვა. დედამიწაზე აჟღერდა კურანტების დიდებული ხმა. იგი ყოველ შემოკვრაზე უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

ანტოშკას სუნთქვა შეეკრა. მეთორმეტე დარტყმის შემდეგ ჩამხშობების ყმუილში გამოიჭრა დაღლილი, მაგრამ ძლიერი ადამიანის ხმა — მოსკოველი დიქტორის რბილი ბარიტონი.

„გამარჯობათ, ამხანაგებო!“ — გაიგონა ანტოშკამ.

— გამარჯობათ, ამხანაგო დიქტორო! — სიხარულით გამოეხმაურა ანტოშკა. „მოემზადეთ ჩასაწერად“.

— მზად ვარ! — უპასუხა ანტოშკამ. ქაღალდი მოიმარჯვა და წათლილი ფანქრები გაამწკრივა.

„ჩვიდმეტ ოქტომბერს მთელ ფრონტზე გრძელდებოდა შეუპოვარი ბრძოლები მოწინააღმდეგესთან... გერმანელ ფაშისტთა ჯარები ბრძოლებში ახალ-ახალ ნაწილებს აბამენ... გამხეცებული ფაშიზმის წინააღმდეგ მამაცურად და გაბედულად იბრძვიან საბჭოთა მფრინავები. მოსკოვის მახლობლად ჩამოგდებულია გერმანელების თექვსმეტი თვითმფრინავი...“

„გმირობისა და მამაცობის მაგალითებს უჩვენებდნენ არტილერისტები, ტანკისტები...“ — იწერდა ანტოშკა.

თვალწინ წარმოუდგა პარადი წითელ მოედანზე. აი ჩაიარეს სამხედრო აკადემიის მსმენელებმა, საბრძოლო მარში ვალსმა შეცვალა, თითქოს ცეკვა-ცეკვით მოდიან მხედრები. მოედანზე საზეიმო სიჩუმე ისადგურებს და უცებ სიჩუმეს დროშებით მორთული მოგუგუნე, კვამლში გახვეული ტანკები არღვე-

ვენ. მათ უკან მწვანე ქვემეხები მოგორავენ. მოედანი ბუღით ივსება, მაგრამ მას სწრაფად ფანტავს მაისის ქარი.

ომში კი ყველაფერი სხვანაირად იყო. ეს ესმოდა ანტოშკას. მაგრამ როგორ? როგორ იწვოდა ეს შეჯავშნული ურჩუხულები — ტანკები? როგორ ისროდნენ მწვანე ქვემეხები? ეს ანტოშკამ არ იცოდა.

„ოდესიდან საბჭოთა ჯარების ევაკუაცია დადგენილ ვადაში და სრულ წესრიგში დამთავრდა...“

„გააფთრებული ბრძოლებია...“

დიქტორი ქალაქის სახელს ასოებით გადმოსცემდა: „მარია, ოლგა, ჟენია, ანა, ივანე...“

მოსკოვის გადაცემა ყმუილმა და ღრჭიალმა დაახშო.

„წარმატებით მოქმედებენ პარტიზანული რაზმები... — ისევ გამოაღწია ქაოსიდან დიქტორის ხმამ. — წარმოების მუშები ერთი დაზგის ნაცვლად რამდენიმე დაზგაზე მუშაობენ, სცვლიან ფრონტზე წასულ ამხანაგებს... სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეები ჩვენს მრეწველობას ფრონტის დაკვეთების შესრულებაში ეხმარებიან. სწავლის ფრიადოსანი ვანია შარაფიევი ორნახევარ ნორმას ასრულებს...“

„ყოჩაღ, ვანია, — გაიფიქრა ანტოშკამ, — ყოჩაღ, ბიჭებო, მე კი ვერაფრით დავიკვეხნი“.

„... საბალხო არტისტმა გლიერმა დაწერა მარში „წითელი არმია“. კომპოზიტორმა ხაჩატურიანმა შექმნა სიმღერა კაპიტან გასტელოზე...“

ყველაფერი გამარჯვებისათვის კეთდებოდა.

„ქალები მამაკაცების პროფესიას ეუფლებიან...“

ყველაფერი გამარჯვებისათვის.

ანტოშკა სამშობლოს ახალ ამბებს იწერდა. ხვალ ეს ამბები ათასობით შვედს ეცოდინებოდა.

ანტოშკას თავის სიცოცხლეში ჯერ არცერთი კარნახი არ დაუწერია ასეთი მღელვარებითა და ყურადღებით. დიქტორმა დაამთავრა. დაცარიელებულ ეთერში ჩამხშობები ყმუოდნენ.

ნიკოლაი პეტროვიჩი შემოვიდა და რადიო გამორთო.

— მოდი ახლა შევადაროთ, მე რამდენიმე ადგილი გამოვტოვე.

კარმა გაიჭრიალა და ალექსანდრა მიხალიოვნას წკრიალა ხმა გაისმა:

— აბა, რა ქენით, ჩაიწერეთ?

— დიახ, ახლავე შევადარებთ.

— როგორ არის საქმეები? — იკითხა კოლონტაიმ.

— ძალიან კარგად! — წამოიძახა აგზნებულმა ანტოშკამ, — ჩვენებმა მოსკოვის მახლობლად თექვსმეტი თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ოდესა ევაკუირებულია სრულ წესრიგში...

ალექსანდრა მიხაილოვნა მოიღუშა და სამხედრო ატაშეს გადახედა.

ნიკოლაი პეტროვიჩმა თავი დააქნია.

— დიახ, სამწუხაროდ, ეს მართალია. ბრძოლები მოსკოვის მისადგომებთან მიმდინარეობს. ჩვენებმა ოდესა დატოვეს. გერმანელებმა შეტევა გააძლიერეს.

და ანტოშკა მიხვდა, რომ საქმე არცთუ ისე კარგად იყო.

მან დაინახა, რომ ალექსანდრა მიხაილოვნა და ნიკოლაი პეტროვიჩი ძალი-

ან ააღელვა იმ ცნობამ, რომ გერმანელებმა ოდესა აიღეს და ფრონტის ხაზი ახლა ზედ მოსკოვთან გადიოდა.

ნიკოლაი პეტროვიჩმა თქვა, ჩემი მანქანა სადარბაზოსთან დგას და ანტოშკას შეუძლია შინ წავიდესო. ცნობებს თვითონ შევადარებო.

ალექსანდრა მიხაილოვნამ ანტოშკას მადლობა გადაუხადა და დედასთან მოკითხვა დააბარა.

ელიზავეტა კარპოვნა ანტოშკას ვახშმად ელოდა, მაგრამ დაინახა თუ არა შვილი, მაშინვე მიხვდა, რომ კარგი ამბავი არ მოჰქონდა და ვახშამიც დაავიწყდა და ძილიც. დედა-შვილმა მთელი ღამე მოსკოვზე ლაპარაკში გაათენეს.

დედა დილიდან ღამემდე მუშაობდა: დილით სკოლაში მიდიოდა, შემდეგ კლინიკაში — პრაქტიკაზე, საღამოს კი — პრესბიუროში. ანტოშკა მთელ საოჯახო მეურნეობას უვლიდა და თან სასურსათო ბარათებსაც განაგებდა. ბარათები ბევრი ჰქონდათ, ისინი პაწია საფოსტო მარკებს ჰგავდნენ და ყურადღებით რომ არ ყოფილიყო, ვერც გაიგებდა, ისე დაჰკარგავდა. პურს ერთ სულზე დღეში ორას გრამს იძლეოდნენ, ხორცს თვეში — ოთხას გრამს, თვითეულ კვერცხზე ცალკე ბარათი იყო; გოგონა ბარათებს უნდა გაფრთხილებოდა და პროდუქტები ისეთი მომჭირნეობით ეხმარა, რომ ყოველდღე დაემზადებინა საუზმე, სადილი და ვახშამი.

თმისსამაგრიანი ბიჭი

ანტოშკამ სადილი მოამზადა, გაზქურა გამორთო, ჯამებში გამჭვირვალე, მომწვანო-მოვარდისფრო სქელი კისელი ჩამოასხა და სამზარეულოში ლინოლეუმს სველი ტილო მოუსვა:

ყველაფერი გაკეთებული ჰქონდა. ახლა რით გაერთო თავი? წიგნი წაეკითხა? არა, არ უნდოდა. გასეირნება სჯობდა.

ფანჯარასთან მივიდა და ეზოში გაიხედა.

მზით განათებული დიდი ოთხკუთხა ეზო თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა. დიდ საქვიშეში, გაზაფხულის მზის ქვეშ მოფუსფუსე პატარები თავიანთ ნაირფერ კომბინეზონებში ქონდრისკაცებს ჰგავდნენ. მოასფალტებულ ბილიკზე რამდენიმე გოგონა თოკზე ხტუნაობდა, ზოგი „კლასობანას“ თამაშობდა.

მაგრამ ანტოშკას ერთი ბიჭი აინტერესებდა. ის ყოველდღე ზუსტად სამ საათზე მოდიოდა, სკამს გადააჯდებოდა ხოლმე, რაღაცას რანდავდა, აწებებდა, ზომავდა. ახლაც იჯდა და ცალთვალმოჭუტული შურდულს ამოწმებდა. არც ფეხზე ადგომა ავიწყდებოდა, როცა გვერდით ჩავლილ უფროსებს ესალმებოდა. მისალმება კი სასაცილოდ იცოდა, ნიკაპს მკერდზე ირტყამდა და ამ დროს თმისსამაგრით დამაგრებული მისი ქერა ქოჩორი ყალყზე დგებოდა და ჩალის კონას ემსგავსებოდა.

იქვე ბიჭთან ახლოს თოჯინებთან თამაშით გართული ორი გოგონა იჯდა. ისინი განუწყვეტლივ ლაპარაკობდნენ, მაგრამ არასოდეს არ ელიმებოდათ, ეტყობოდა, რაღაც მოსაწყენ ამბებს ჰყვებოდნენ.

ერთი მათგანი, გამხდარი და შავთმიანი, სწრაფად ქსოვდა რაღაცას და გა-

მოძრობილ ჩხირით სულ ერთთავად კეფას იფხანდა. მეორე — გოლფებიანი, მუხლმაგარი გოგონა, კერავდა.

მათ რომ ხმამაღლა ელაპარაკნათ, ისე როგორც მოსკოვის ეზოებში იციან გოგონებმა, ანტოშკა საინტერესო საუბარს მოისმენდა.

გოგონები ერთმანეთს „თქვენობით“ ელაპარაკებოდნენ და გვარებით მიმართავდნენ. შავთმიან გოგონას „ფრუ კარლსონი“ ერქვა, მსუქანს კი „ფრუ სტრემი“. ორივენი საოჯახო საქმეებში ჩაფლულ ქალებს ბაძავდნენ.

უეცრად „ფრუ კარლსონს“ კარგა მაგრად წამოარტყა ვიღაცამ თავში და იგი მაშინვე იქცა უბრალო გოგონად, ევად, ხოლო „ფრუ სტრემი“ — ელზად.

ევას უკან იდგა სამუშაოდან დაბრუნებული მისი უფროსი და კლარა.

— ისევ პოლიტიკაზე ლაპარაკობთ? — მრისხანედ თქვა მან. — მამამ ხომ გითხრა, არამკითხე მოამბეობას თავი დაანებეო. სხვა სალაპარაკო ვერაფერი ნახეთ?

— კარგი, — მორჩილად თქვა ევამ, — აღარ ვილაპარაკებთ.

ანტოშკამ ოთახში გაიარ-გამოიარა, საათს დახედა. დედა ერთი საათის შემდეგ მოვიდოდა. ნუთუ ის, ანტოშკა, მთელი სიცოცხლე ასე უნდა მჯდარიყო ოთახში? არა, იგი ახლა ეზოში გავიდოდა, სუფთა ჰაერზე. განა ცოცხალ არსებას შეუძლია უჟანგბადოდ ყოფნა! რატომ ეშინია დედას, ანტოშკა აუცილებლად რაიმე ამბავში გაეხვევა და საბჭოთა კავშირ-შვედეთის ურთიერთობას გააფუჭებსო? გოგონას არც უფიქრია რაიმე ამბავში გარევა. მართალია, შარშან ზამთარში იყო ერთი შემთხვევა, როცა ანტოშკამ და დედამისმა ქუჩაში საღამოს გაზეთის დიდი პლაკატი დაინახეს: „მოსკვა ხა ფალიტ!“ „მოსკოვი დაეცა!“ ანტოშკამ კარგად იცოდა, რომ მოსკოვი ისევ მედგრად იდგა, ღამით თვითონ ჩაიწერა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობები: მამაცმა პანფილოველებმა გერმანელებს მოსკოვისაკენ გზა გადაუღობეს და გერმანელთა გეგმა, ხელში ჩაეგდოთ მოსკოვი, ჩაიფუშაო. ეს საღამოს გაზეთი უბრალოდ გერმანელთა ბუკის ხმას აჰყოლოდა. ანტოშკასათვის ყველაფერი ნათელი იყო, თვალებდაჭყეტილი ადამიანები კი იდგნენ, ვიშვიშებდნენ და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ: „რა გაეწყობა, ახლა რიგი ჩვენზეა. ჰიტლერი შეგვსანსლავსო“. ხალხი ღელავდა. ანტოშკას თვითონაც არ ახსოვს, როგორ მოხდა ყველაფერი. იგი გაზეთის ჯიხურს მივარდა, სადაც ქალებსა და კაცებს მოეყარათ თავი და იყვირა: „ხალხო, არ დაიჯეროთ, მოსკოვი არ დაცემულა! ჩვენი პანფილოველები საკადრისად გაუმასპინძლდნენ ჰიტლერელებს!“ დედამ ძლივს გამოათრია გოგონა. მხოლოდ ერთმა, ალბათ ფაშისტმა, დაიძახა: „მოსკოველი აგიტატორიო!“ — დანარჩენებმა კი შვებით ამოისუნთქეს და დაიშალნენ. რამდენიმე დღის შემდეგ კი ალბათ ყველანი მიხვდნენ, რომ რუსმა გოგონამ სიმართლე თქვა.

დედა ანტოშკას მთელი ღამე ჩასჩიჩინებდა, უხსნიდა, რომ თავისი საქციელით შეეძლო საბჭოთა კავშირ-შვედეთის ურთიერთობის გაფუჭება.

ანტოშკა პიონერია. მან ფიცი დადო, რომ ყოველთვის მზად იქნებოდა ლენინური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად, ახლა კი რა გამოდიოდა? ბრძოლა კი არა, ხალხისათვის სიმართლის თქმაც კი არ შეეძლო, უნდა გაჩუმებულიყო. არც პიონერული ყელსახვევის ტარების უფლება ჰქონდა. ვერც იმას იტყოდა, რომ დედა და მამა კომუნისტები იყვნენ. „ჩვენ კომუნისტებად ვრჩებით, — ცდილობდა დედა აეხსნა თავისი ჯიუტი ქალიშვილისათვის, — მაგრამ

რა საჭიროა უცნობებთან ამაზე ლაპარაკი, ხომ შეიძლება ბრალი დაგვდონ, რომ აქ კომუნისტური რევოლუციის მოსაწყობად ვართ ჩამოსული“.

მაგრამ ანტოშკა სულაც არა ფიქრობდა აქ რევოლუციის მოწყობას. დაე, ამაზე თვითონ შვედებს ემტვრიათ თავი. და მაინც ეს ყველაფერი უსამართლობად მიაჩნდა. საბჭოთა სრულუფლებიანი დიპლომატიური წარმომადგენლობა თავის ყოველდღიურ ბიულეტენებში აქვეყნებდა საბჭოთა ხალხის გმირობის ამბავს, რომ ყოველ შვედს სიმართლე სცოდნოდა. ანტოშკას კი სიტყვის დაძვრის უფლებაც არ ჰქონდა. კი ბატონო, ახლა ის თევზივით ჩაიგუბებდა წყალს, საცაა მოსკოვში, შინ უნდა დაბრუნებულიყო. და მაშინ თვითონ წავიდოდა ფრონტზე. ასე რომ დედას შეეძლო მშვიდად ყოფილიყო: ანტოშკა არავითარ დიპლომატიურ უსიამოვნებას არ მიაყენებდა. ის უბრალოდ ჟანგბადით ისუნთქებდა.

გოგონა ეზოში გავიდა და ჭიშკართან შეჩერდა.

ბავშვები ბლომად იყვნენ, მოზრდილებიც და პატარებიც, მაგრამ მათი ხმა თითქმის არ ისმოდა. ბავშვები თურმე ყველგან ერთნაირად თამაშობენ. მაინც როგორ მოალწია აქამდე მოსკოვის თამაშობებმა. მათზე ხომ არც გაზეთებში წერდნენ და არც რადიოთი გადასცემდნენ; მიუხედავად ამისა, ყველა აქაური ბავშვი თამაშობდა „სჩიტალოჩკას“, „კლასობანას“ და თოკზეც ხტუნავდნენ. მაგრამ ორფა თოკზე ხტუნვა არ იცოდნენ.

ანტოშკამ თმისსამაგრიან ბიჭუნას შეხედა. იგი ჩვეულებისამებრ დაუღალავად მუშაობდა. „როგორი მშრომელია!“ — გაიფიქრა ანტოშკამ.

ბიჭუნა თითქოს ვერაფერს ამჩნევდა, მაგრამ როგორც კი ანტოშკა ჭიშკარს მიეყრდნო და უსაქმობისაგან ნაწნავის ბოლოს დაუწყო დაწვნა, ბიჭუნა წამოდგა და თავაზიანად მიესალმა, ქოჩორი ყალყზე დაუდგა და დიდხანს ჰქონდა ასე.

ანტოშკას გაეცინა.

იქვე შორიახლოს სკამზე გოგონები ისხდნენ და სახლობანას თამაშობდნენ. გულახდილად რომ ითქვას, ანტოშკას ძალიან უნდოდა თოჯინების ნახვა, თამაშით კი, რა თქმა უნდა, არ ითამაშებდა. მის ასაკში სასაცილო იყო თოჯინებით თამაში. გოგონებმა ახლადმოსული შეამჩნიეს და ალბათ მასზე ალაპარაკდნენ. მერე ხელსაქმე კალათაში ჩააწყვეს, თოჯინები აიყვანეს და ანტოშკასთან მივიდნენ.

— ახალი ხარ? — ჰკითხა ელზამ.

— არა, მთელი ზამთარი ამ სახლში ვცხოვრობთ.

— რომელ ბინაში? — იკითხა ევამ.

— ნომერი შიუტონ (თექვსმეტი), — უპასუხა ანტოშკამ, თან შეეცადა, რაც შეიძლებოდა კარგად გამოეთქვა ეს უკულმართი „შიუ“.

ორივე გოგონამ გადაიხარხარა. მიხვდნენ, რომ ანტოშკა უცხოელი იყო.

— რა სასაცილოდ ლაპარაკობ შვედურად, — უთხრა ევამ. — ინგლისელი ხარ?

— არა, რუსი ვარ, საბჭოელი, — გამომწვევად უპასუხა გოგონების დაცინვით შეურაცხყოფილმა ანტოშკამ.

— რუსი! — წამოიძახეს გაოცებულმა გოგონებმა და ხარბად ჩააცქერდნენ ანტოშკას. — მოსკოვიდან?

— დიახ, მოსკოვიდან, — ღირსეულად უპასუხა მან. — მე ანტოშკას მეძახიან.

გოგონებმა კნიქსენი გააკეთეს და ხელი გაუწოდეს.

— ევა, — თქვა გამხდარმა შავთმიანმა გოგონამ.

— ელზა, — მედიდურად აუბა მხარი გოლფებიანმა გოგონამ და ანტოშკა თავიდან ფეხებამდე ჩაათვალიერა... — წითელი კაბა რატომ არ გაცვია?

ანტოშკას ლურჯი ქვედა კაბა და ცისფერი მოქსოვილი კოფთა ეცვა.

— წითელი ფერი არ მიხდება, ნაცრისფერი თვალები და ქერა თმა მაქვს.

— მაგრამ თქვენ ხომ ყველაფერი წითელი გაქვთ, — მხრები აიჩეჩა ელზამ. — მოსკოვი წითელია, მოედნები წითელი, სახლები წითელი. ჩვენ ეს მასწავლებელმა გვიამბო.

— ტყუილია! — მოიგერია ანტოშკამ. — ჩვენში მხოლოდ მთავარ მოედანს ჰქვია წითელი, რაც „ლამაზს“ ნიშნავს და მთელ ქალაქში მხოლოდ მოსკოვის საბჭოს შენობაა წითელი ფერის, დანარჩენი სახლები ისეთივეა, როგორც თქვენში.

— რა არის მოსკოვის საბჭო? — დაინტერესდა ევა.

— ეს... ეს... — დაიბნა ანტოშკა. — აი, როგორც თქვენი ქალაქის მუნიციპალიტეტი, ოღონდ სულ სხვანაირი. უკეთესი.

ანტოშკას დედის დარიგება გაახსენდა: როცა უცხო ქვეყანაში ცხოვრობ, არ უნდა თქვა: „ჩვენთან უკეთესია“, ან „თქვენთან ეს არ ვარგა“. თუ რამე მოგეწონება — შეაქე, თუ არ მოგეწონება — გაჩუმდიო. როცა სტუმრად მიდიხარ, ხომ არ ეუბნები დიასახლისს: „ჩვენ უფრო გემრიელ ღვეზელს ვაცხობთ, ან უფრო ლამაზი სავარძლები გვიდგასო“. მაგრამ ანტოშკა შვედეთში სტუმრად არ ჩასულა და არც მოსკოვის საბჭო იყო სავარძელი. არა, ანტოშკა დედას არ ეთანხმებოდა. მოსკოვში ყველა სახლი მოსკოვის საბჭოს ეკუთვნოდა, აქ კი კერძო სახლები იყო და ბინაში ხელფასის მესამედს იხდიდნენ. მეტი უსამართლობა გაგონილა?

— თქვენთან ომია? — ჰკითხა ევამ, სიჩუმე რომ დაერღვია.

— დიახ.

— კარგია, რომ აქ ცხოვრობ, — თქვა ელზამ. — მალე გერმანელები თქვენს ქვეყანას დაამარცხებენ და შენ ცოცხალი გადარჩები.

თავი შეიკავე, ანტოშკა! შეტრიალდი და წადი! ნუ გაამწვავებ საბჭოთა კავშირ-შვედეთის ურთიერთობას! მაგრამ ამ გონივრული განზრახვის აღსრულების ნაცვლად ანტოშკამ გაცხარებით წამოიძახა:

— თქვენ ისტორია ისწავლეთ?

— ვისწავლეთ. მერე რა? — გამომწვევად ჰკითხა ელზამ.

გარშემო მთელი ეზოს გოგო-ბიჭები შემოეხვივნენ, მხოლოდ პატარები განაგრძობდნენ სილაში თამაშს. თმისსამაგრიანმა ბიჭმაც მათკენ გადაინაცვლა და თან რანდვა განაგრძო.

— თუკი ისტორია გისწავლიათ, მაშინ გეცოდინებათ, რომ ნაპოლეონიც იკვეხნიდა, რუსეთს გავანადგურებო, მაგრამ ჩვენებმა ისეთი დღე აყარეს, რომ კუდამოძუებულმა მოკურცხლა.

— ფრანგები რუსეთის ყინვებს არ იყვნენ შეჩვეული, ისინი ყინვამ დასძლია. ასე გვითხრა მასწავლებელმა, — თქვა ელზამ.

ევამ დაუდასტურა.

— თქვენი კარლ მეთორმეტეც ყინვამ დაამარცხა? — არ ცხრებოდა ანტოშკა. — პოლტავის ბრძოლა ხომ ზაფხულში იყო? ასე არ არის? ჰიტლერიც ისე შევა ისტორიაში, როგორც თქვენი კარლ მეთორმეტე, მხოლოდ უფრო უარესად.

— მეც ასე ვფიქრობ, — თქვა ევამ.

— ხა! — წამოიძახა თმისსამაგრიანმა ბიჭმა.

ანტოშკამ მისკენ მიიხედა. ბიჭი რანდვას განაგრძობდა.

— დამენიძლავეთ, რომ ჰიტლერი გაიმარჯვებს და ძალიან მალეც, — თქვა ელზამ.

— ნუ ამბობ ასე! — შეეპასუხა ევა და გაჩუმდა.

მათ კლარა უახლოვდებოდა.

ევა ბავშვებს ამოეფარა და სახლისკენ მოკურცხლა.

— ანტოშკა! ანტოშკა! — მოისმა ზემოდან ჩუმი ხმა.

აღელვებულ დედას თავი ფანჯარაში გამოეყო და ანტოშკას რაღაცას ანიშნებდა.

მანანა

ციისფერი ბინდი ალიონზე ბაცდება, ფერმკრთალდება, მიდამოს თითქოს ნისლი ეფინება და რძისფერი ცის ფონზე თანდათან უფრო მკვეთრად ისახება ხეების შავი სილუეტები. ტყე ინაბება, ქარი ყუჩდება, ჩუმად არიან ფრინველებიც. მხოლოდ მთებს შორის ხეობაში ყრუდ ხმაურობს ჩანჩქერი და მიგრიალებს მთის მდინარე.

მზის შუქთან ერთად ტყის ხმებიც ცოცხლდება.

ამ სისხამ დილით ულაფი და პაპამისი სამუშაოზე მიეშურებოდნენ. პაპა მოკლე, ფრთხილი ნაბიჯით მიდიოდა, დილის სუსხისაგან მობუზული ულაფი უკან მისდევდა და თან ამთქნარებდა. ნამისაგან გადათეთრებულ ბალახზე ნაკვალევი რჩებოდა.

კლდის შვერილზე ნაძვი იდგა. ტოტები ჩანჩქერივით ჰქონდა მიწამდე დაშვებული. მთის ქარი მის წიწვებში დანავარდობდა. რაც კი თავი ახსოვდა მოხუცს, ნაძვი ყოველთვის ასე მძლედ, ასე მწვანედ და ცოცხლად გამოიყურებოდა. ეს იყო შუქურა ტყეში გზააბნეული ბიჭებისათვის, გარეული ბატებისათვის, ახლა რომ სამხრეთისაკენ მიფრინავდნენ. გეგონებოდათ, ზეცაც ამ ნაძვის კენწეროს ეყრდნობაო.

— შეხედე, — თქვა ბაბუამ — ფრიცებს ჩვენი შუქურაც დასჭირებიათ.

ულაფი ახლოს მივიდა, მიწიდან ამობურცულ მსხვილ ფესვზე დაღი იყო დასმული: „1274“.

ულაფმა დაუსტვინა. ასეთი ნაძვის წაქცევა მკრეხელობად ჩათვალა.

— ყავისფერმა უწმინდურობამ მთელი ნორვეგია მოიცვა, — აბუზღუნდა მოხუცი, — ციხეებითა და საკონცენტრაციო ბანაკებით წაბილწეს ჩვენი მიწა, ფიორდებში წყალი აამყრალეს თავიანთი ავაზაკური წყალქვეშა ნავებით; ჩვენს მიწაზე ყოველი ცოცხალი არსების მოსპობა სურთ. იმით სარგებლობენ, რომ ხეს არც სროლა შეუძლია, არც გაქცევა და არც მათი საზიზღარი ცხვირ-პირის დაჟეჟვა.

მოხუცმა რბილი ხავსის ბალიში მოგლიჯა, ერთი მუჭა გრილი შავი მიწა აიღო და ფესვს ფრთხილად დაადო ჭრილობაზე, საიდანაც ქარვასავით ფისი მოჟონავდა.

— უწინამც ხელები გამიხმეს, ვიდრე შენი თავი დავაჩაგვრინო ვინმეს,— თქვა მან.

ულაფმა ნაძვზე აცოცება დააპირა, კენწეროდან სამოც კილომეტრზე მოჩანდა მთები, ამ მთებიდან კი — შვედეთის მიწა.

პაპა კი აჩქარებდა. იგი საანძე ფიჭვთან შეჩერდა, მის მკვრივ ტანს ფართო გახეშეშებული ხელისგული შემოჰკრა. მერე მოიჩრდილა და ახედა, არჩევდა, რომელ მხარეზე გადაექცია ხე. ბოლოს ქამარში გარჭობილი ნაჯახი ამოიძრო და იმ მხარეს დააჩნია ღრმა ჭდე, საითაც ხე უნდა გადაექცია. ულაფი ამასობაში ხერხს იღებდა ბრეზენტის შალითიდან.

უკვე მეორე წელი იყო, რაც ულაფი ტყის გაკაფვაზე მუშაობდა.

პაპა ზურგით მიეყრდნო ხეს, ჩიბუხი დატენა, თან თვალს არ აშორებდა შვილიშვილს. როგორი მაღალია, ტანადი, ალბათ სიმაღლით უკვე მამას დაეწია. კიდევ გაიზრდება, ჯერ ხომ მხოლოდ თექვსმეტი წლისაა. ხასიათიც მამისა აქვს — ჯიუტია, თავისნათქვამა. პაპას ესმოდა, რომ შვილიშვილს მთებში, პარტიზანებთან მიუწევდა გული, მაგრამ ვერ გაუშვებდა, ვერა.

როცა გერმანელები ნორვეგიაში შეიჭრნენ, ულაფის მამა იარაღით ხელში იცავდა თავის მიწას, მერე კი ნორვეგიის ფლოტთან ერთად ინგლისში წავიდა და ატლანტიკაში დაიღუპა. უკანასკნელ წერილში იხვეწებოდა, პაპა ულაფს გაუფრთხილდესო. ულაფს დედაც გარდაეცვალა.

მოხუცმა იცის პარტიზანებთან მისასვლელი გზა, მაგრამ როგორც არ უნდა შეეხვეწოს შვილიშვილი, მაინც არ ეტყვის.

პაპამ და შვილიშვილმა ერთდროულად შეხედეს ერთმანეთს და ორივემ ძირს დახარა თვალები — ერთმანეთს ფიქრს მიუხვდნენ.

— აბა, აბა, დაუჩქარე, დახე ამას, ოცნება წამოიწყო! — უხეშად გასძახა პაპამ. ჩიბუხი ხეზე დაბერტყა, ჯიბეში ჩაიდო და ხერხს დაავლო ხელი.

პაპა ხერხავდა და თან მარჯვედ უყურებდა ხეს, რომ მისი უკანასკნელი ამოსუნთქვა არ გამოპარვოდა, როცა იგი რტოების რხევით ჯერ ნელა, მერე კი მოწყვეტით დაეშვებოდა დაბლა. ამ დროს ტყე კვნესოდა, ემშვიდობებოდა ხეს, შორს ისმოდა გუგუნი და ტკაცანი.

— განზე გადექი! — წამოიძახა პაპამ.

ორივემ სწრაფად მოაშორეს ხეს ხერხი და უკან გაიქცნენ. ძირს მოშორებული ხის ტანი ზედ გაცურდა, მიწაზე დაენარცხა და ქვეშ ნორჩი ხეები მოიყოლა. დამფრთხალი ჩიტები იქაურობას გაეცალნენ. მათ ძახილში ადამიანებისადმი საყვედური ისმოდა. შემდეგ ყოველთვის წუთიერი სიჩუმე ისადგურებდა— სიჩუმე მწუხარებისა, გულს რომ სევდით ავსებდა.

ფიჭვი მიწაზე დაენარცხა, მაგრამ ამჯერად სიჩუმე არ ჩამომდგარა. ეს რაღა იყო? პაპამ და შვილიშვილმა მაღლა აიხედეს. დაბლა, ზედ ტყის თავზე, თვითმფრინავი გუგუნებდა.

თვითმფრინავის ჩრდილმა ბუჩქებზე გადაირბინა და მოტორის გუგუნთან ერთად გაქრა, ხოლო ტყის თავზე, ცის ღიობში, სადაც ის-ის იყო ფიჭვის განიერი რტოები ირხეოდა, თეთრი ფრინველები აფარფატდნენ.

— ფურცლები! — წამოიძახა ულაფმა.

ჰაერის ნაკადმა ფურცლები განზე წაიღო, მხოლოდ ერთი დაეშვა დაბლა, დაბზრიალდა და ფიჭვის ტოტზე გაწვა.

ულაფმა ხის ლანჩიანი მძიმე ფეხსაცმელები გაიძრო, სწრაფად აძვრა ხეზე და ტოტი შეარხია. ფურცელი ჩამოვარდა და ნელა ჩაეშვა პაპას ხელებში.

— ჩქარა, ჩამოდი, ჩქარა! — ფურცელს აქნევდა პაპა. — გერმანიის მთავრობის მიმართვაა ნორვეგიის მოსახლეობისადმი! საკონცენტრაციო ბანაკიდან პატიმრები გაპარულან... რაკი ფურცლებს თვითმფრინავიდან ჰყრიან, ეტყობა, ერთი კი არა, ბევრნი არიან. თუ გერმანელებს მათ შეპყრობაში ვუშველით, დიდ ჯილდოს გვპირდებიან. ვინც ლტოლვილებს რაიმე დახმარებას გაუწევს, ადგილზევე დახვრეტენ. გესმის, ულაფ, ჩვენ შეგვიძლია პრემიერ-მინისტრ კვისლინგივით გავმდიდრდეთ: ფუი... დასწყევლოს ეშმაკმა! — გაბრაზებულმა პაპამ გადააფურთხა.

ულაფმა ფურცელი სწრაფად გადაიკითხა, დაჭმუჭნა და ბალახებში ფეხით გასრისა. მერე ხმაამოუღებლივ დასტაცა ხელი ხერხს, ნაჯახს და ქვებზე ხტუნვა-ხტუნვით თავქვე დაეშვა. პაპაც ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა შვილიშვილს.

ბებო ანა-ლიზა თხას წველიდა, როცა მინდორს თავზე თვითმფრინავმა გადაუარა. თხა აწრიალდა, თიკანი საცოდავად აპეტელდა. შვედეთის ამ სასაზღვრო ზონაში არცთუ ისე ხშირად ჩნდებოდნენ თვითმფრინავები. ბებომ რძიანი ტოლჩა დირეზე შემოდგა და თხისა და თიკნის ერთმანეთში გადახლართული თოკების გამოხსნას შეუდგა.

პაპამ და შვილიშვილმა სახლთან მიირბინეს.

რამდენიმე წუთის შემდეგ კი სამივენი ზურგჩანთებაკიდებულები ტყის სიღრმისკენ მიიჩქაროდნენ. სახლის კარი ღია დაეტოვებინათ. ბებოს წინაკართან გამოსაჩენ ადგილზე დაედგა რძიანი ტოლჩა.

ტყეში ისინი გაიფანტნენ და სხვადასხვა მხარეს წავიდნენ. პაპამ ზურგჩანთა მიწაზე დადო და ჯერ კიდევ გაუცვეთელი ფეხსაცმელები ამოიღო. ამ ფეხსაცმელებს მთელი თავისი სიცოცხლე ატარებდა, მაგრამ მხოლოდ მაშინ იცვამდა, როცა დიდ დღესასწაულებზე ან მეზობელი სოფლის ეკლესიაში მიდიოდა. ფეხსაცმელები ერთმანეთს ზონრებით გადაბა და ტოტზე ჩამოჰკიდა... ყველაზე გამოსაჩენ ადგილზე ჩამოკიდებული ფეხსაცმელები ნელა ქანაობდა და ნალებმიკრული ოთხკუთხა ცხვირებით ბრწყინავდა. პაპამ ზურგჩანთა ცოტა მოშორებით გადაიტანა და კნეკენბროდი, — გამხმარი პური ამოიღო, გაურანდავი ხის პატარ-პატარა ნაჭრებს რომ ჰგავდა. მერე თვითეულ ნაჭერს ჯვარედინად გადაუჭირა ანკესის მკედი და ხეების მორთვას შეუდგა. პური ისეთი ხმელი იყო, ფრინველები ვერაფერს დააკლებდნენ, მხოლოდ დამშეული ადამიანი თუ დაღრღნიდა.

ბებო ანა-ლიზაც რთავდა ხეებს: სად ჩვარში გახვეული ლორის ნაჭერი ჩამოჰკიდა, სად მოხარშული კარტოფილი ჩამოაცვა გამხმარ ტოტზე, ზოგან უბრალოდ სუფთა ჩვრები შემოდო ბუჩქებზე: ხომ შეიძლებოდა ვინმეს ჭრილობა ჰქონოდა, ან ფეხი გადაყვლეფოდა.

ულაფი ტყეში დარბოდა — ჰკიდებდა ასანთის კოლოფებს, ხეებზე გზის მაჩვენებელ ისრებს ჭრიდა, რასაც სიბნელეშიც კი გაარჩევდნენ და მიხვდებოდნენ, საით წასულიყვნენ. იმ ნაძვ-შუქურაზე ნამდვილი კომპასი ჩამოკიდა. კომპასი ძაფზე დაბზრიალდა და მინა ნაძვის ხის სათამაშოსავით აელვარდა მზის შუქზე. დაინახა თუ არა კომპასი, კაჭკაჭი უმალვე აფუსფუსდა. „ვერ წაიღებ, მაგრად არის დაბმული!“ ულაფმა კაჭკაჭს ნაძვის გირჩი ესროლა და ის იყო

თავქვე უნდა დაშვებულიყო, შინისაკენ, რომ ტყეში გამხმარი ტოტების ტკაცუნი გაისმა. „გერმანელები?“ — გაუელვა საშინელმა აზრმა და ტანში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა. „ყოველგვარი დახმარებისათვის ადგილზე დახვრეტა“, — გაახსენდა ფურცელზე დაწერილი სიტყვები და ლოდს უკან ჩაჯდა.

მოცვის ხშირი ბუჩქნარით დაფარულ ქვებზე ბორძიკით მოდიოდნენ ადამიანები. პირები ფართოდ დაეღოთ და მძიმედ სუნთქავდნენ. ისინი ექვსნი იყვნენ. ტანსაცმელი შემოფლეთოდათ. დაძაბული თვალები ფხიზლად იყურებოდნენ ირგვლივ. წვერმოშვებულები და თმააბურძგნულები შეუჩერებლად გლეჯდნენ ხეებიდან პურსა და კარტოფილს და უბეში მალავდნენ, ჭამისათვის არ ეცალათ.

წინ მაღალი კაცი მოუძღოდათ, გახუნებული, დახეული გიმნასტურა ეცვა და ძალზე კოჭლობდა მარჯვენა ფეხით. დანარჩენებს ხელით რაღაცას ანიშნებდა და ისინიც ხან ბუჩქებში ჩაცუცქდებოდნენ, ხან სწრაფად მიიწევდნენ წინ. ეტყობოდა, წინ მიმავალი კაცი მეთაური იყო.

„ლტოლვილები“, — მიხვდა ულაფი და ხმამაღლა დაუსტვინა. ადამიანები ისე დაფრთხნენ, თითქოს სტვენა კი არა, ტყვიამფრქვევის ხმა გაიგონესო.

ყმაწვილი საფარიდან გამოვიდა.

— ხალხო, მე თქვენიანი ვარ! — დაიძახა მან.

ლტოლვილები შეჯგუფდნენ, ულაფმა მათ თვალებში უნდობლობა ამოიკითხა.

— მე კვისლინგი არა ვარ, არა! — თავი გააქნია მან.

რაკი კვისლინგი არ იყო — პატიოსანი ადამიანი უნდა ყოფილიყო, არც ბოროტი და არც მოღალატე.

კოჭლმა ჯარისკაცმა ამხანაგებს ანიშნა, ადგილზე იდექითო, და თვითონ ულაფისაკენ წავიდა.

— ვეი ტილ სვერიგე! ვეი ტილ სვერიგე! — დაჟინებით იმეორებდა გაზეპირებულ ფრაზას („გზა შვედეთისაკენ, გზა შვედეთისაკენ!“).

ულაფმა აღმოსავლეთისაკენ მიუთითა: კოჭლი ჯარისკაცი თავისიანებისაკენ შებრუნდა, ზურგზე წითელი ზეთის საღებავით ჰქონდა გამოყვანილი ასოები: „ს. უ.“: „სოვიეტ უნიონ“ — „საბჭოთა კავშირი“. ეს ადამიანები საბჭოთა ტყვეები იყვნენ.

რუსები ჭაბუკს შემოეხვივნენ. ულაფმა გზის ახსნა დაიწყო, მაგრამ როგორ მიენიშნებინა ძლივს შესამჩნევი ბილიკი, რომელიც შეიძლებოდა სხვა ბილიკებში არეოდათ, ხელების მოძრაობით როგორ გაეგებინებინა, რომ მხოლოდ ჩანჩქერს ქვემოთ იყო ერთადერთი ადგილი, სადაც ფონს გავიდოდნენ. მან ზომ რუსული არ იცოდა.

ტყეს შორეული სროლის ექომ გადაუარა. მდევრები მოდიოდნენ. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, ახსნის დრო აღარ იყო. ულაფმა ხელით ანიშნა ტყვეებს, გამომყევითო. რუსები ფეხს არ იცვლიდნენ ადგილიდან. მერე კოჭლი ჯარისკაცი ბიჭს დააშტერდა და თავისიანებს რაღაც უთხრა. ჩარდა, დაუჯერა ყმაწვილს.

კვლავ გაისმა ავტომატის ჯერი. ცხადი იყო, გაცლას ვერ მოახერხებდნენ. უნდა დამალულიყვნენ და დაღამებამდე მოეცადათ, მაგრამ სად? ჯერ ულაფი და მერე რუსები ნაძვ-შუქურისკენ გაიქცნენ. ხესა და ფრიალო კლდის გამონაშვერს შორის ძველი ჩამოცვენილი ფოთლებით სავსე ორმო იყო, რომლის ირგვლივ მანანა ამოზრდილიყო. ულაფმა სწრაფად ამოყარა ფოთლები. ღრმა

ორმოში ხუთი კაცი მოთავსდა. ულაფმა კოჭლ ჯარისკაცთან ერთად ორმო ფოთლებით ამოავსო და ზედ მანანას ტოტები გადახლართა. ჭაბუკმა რუსს ნაძვზე მიუთითა: აძვერიო. რუსმა აფოფხება დაიწყო, ძლივს მიათრევდა ავადმყოფ ფეხს. მას ულაფიც მიჰყვა, ტოტს გადააჯდა, ცალი ხელით ხეს ჩაეჭიდა, მეორეთი ტოტები გადასწია და სათვალთვალო პუნქტი მოიწყო.

ტყიდან ველზე პაპა და ბებო ეშვებოდნენ. ორივეს ფიჩხი ჰქონდა ზურგზე წამოკიდებული. ანა-ლიზა მოუ ვენრად იყურებოდა გარშემო. „ეტყობა, ჩემს გამო ღელავს“, — გაიფიქრა ულაფმა.

მალე მთიდან ავტომატებმომარჯვებული გერმანელებიც დაეშვნენ. ერთ-ერთს მხარზე პაპას დატოვებული ფეხსაცმელები გადაეკიდებინა. იგი მოხუცს შეეხმიანა:

— დუ, გრეის, კომ ჰირ! (შენ ეი, ბებერო, აქ მოდი!).

პაპამ მხრებიდან ფიჩხის კონა ჩამოიღო, ყურზე ხელი მიიდო და თავი გააქნია, არ მესმისო. ჰიტლერელი რაღაცას ეკითხებოდა, პაპა მხრებს იჩეჩავდა — არაფერი ვიცი, არავინ დამინახავსო. მეორე ჰიტლერელი ზედ ნაძვ-შუქურასთან შეჩერდა, იმ ორმოს გვერდით, სადაც ლტოლვილები იმალებოდნენ.

ულაფი მალლიდან ხედავდა, როგორ ბრწყინავდა ავტომატის ლულა. გერმანელებმა მოხუცები სახლისაკენ წაიყვანეს. მოისმა სროლის ხმა.

ერდოზე ბებო ანა-ლიზა გამოვარდა, გრძელ ჭაღარა თმას ქარი უწეწავდა. მან მზერა მოავლო ველს, თვალებით შვილიშვილს ეძებდა. ულაფ მტკივნეულად იკბინა ტუჩზე, რომ არ დაეყვირა. მეორე გასროლასთან ერთად ველს ანა-ლიზას სასოწარკვეთილი კივილი გადაევლო. იგი ძირს დაეცა. ულაფი აკანკალებული ხელებით ჩააფრინდა ხორკლიან ხეს. ბოლჩებითა და კალათებით დატვირთული გერმანელები აჩქარებული ნაბიჯით გამოვიდნენ სახლიდან. ერთს თეთრი თიკანი მოეგდო მხარზე. ფრიცის ზურგს უკან უსიცოცხლოდ ქანაობდა პაწია რქებიანი თავი. გერმანელებმა შვედეთის საზღვრისკენ რამდენჯერმე ესროლეს ბუჩქნარს, ცოფმორეული მდინარის ნაპირს აუარ-ჩაუარეს და წავიდნენ.

ველზე მანანა ჩამუქდა, ბანდდებოდა. ველის თავზე ნაცრისფერი ნისლის ქულები აცურდა.

ულაფმა დამძიმებული თავი ასწია, ნელა დაუსტვინა და ძირს დაეშვა.

კოჭლი რუსი ჯარისკაცი ხიდან ჩამოვიდა, ულაფს მიუახლოვდა და მამაშვილურად ჩაიკრა გულში. ულაფმა ცრემლი დამალა და უკანასკნელად გახედა პაპამისის სახლს. ერდოსთან თეთრად მოჩანდა მიწაზე გაშხლართული ბებოს უსიცოცხლო სხეული, დაბმული თხა აქეთ-იქით აწყდებოდა და საცოდავად კიკინებდა.

— გამომყევით, — თქვა მან, — ტილ სვერიგე (შვედეთში).

ჭაობი ცოცვით გადაიარეს. მდელოზე, სქელ ნისლში მიიკვლევდნენ გზას. ულაფი ჩანჩქერის ხმის მიმართულებით მიდიოდა და უცებ ცივი წყლის სიოც იგრძნო. ახლა მარჯვნივ უნდა წასულიყვნენ. ულაფმა ხელი გაუწოდა რუსს, მან თავის ამხანაგს და ასე შექმნეს ცოცხალი ჯაჭვი. ბიჭი ყინულოვან წყალში შევიდა, ფეხით მოსინჯა წყლისგან მოსწორებული კლდის ზედაპირი და თან მაგრად ჩაეჭიდა კოჭლი ჯარისკაცის ხელს. ცოცხალი ჯაჭვი არ უნდა გაწყვეტილიყო. თუკი ვინმე წაიბორძიკებდა და ჩავარდებოდა, ამხანაგების ხელები ამოიყვანდნენ, ხელები რომ გათიშულიყო, დინება დაუნდობლად მიანარცხებდა მათ ქვებზე.

ულაფი გრძნობდა, როგორ მძიმდებოდა რუსის ხელი, ბიჭმა იცოდა, რომ ყინულოვან წყალში ფეხები უბუჟდება ადამიანს და ფსკერს ველარ გრძნობს, მაგრამ რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, კიდევ ოციოდე ნაბიჯი უნდა გადაედგათ, და აი ნაპირიც. ყველანი გავიდნენ. ახლა ციცაბო ქვის ფერდობზე უნდა ასულიყვნენ. იქ გადიოდა გზა, გერმანელთა სასაზღვრო დაცვა, რომ სდარაჯობდა.

გზის გადალმა საარვისო ზონაში თითქმის სამშვიდობოს იქნებოდნენ, იმის იქით კი — შვედეთი იყო.

ფერდობზე ავიდნენ თუ არა, გზისპირას გაწვნენ. დაძაბული სიჩუმე სროლის ხმამ დაარღვია. მას მოჰყვა შეძახილი: „ჰალტ, ჰალტ!“ პროჟექტორის შუქმა იფეთქა და მიწაზე დაიწყო ფათური. კოჭლი ჯარისკაცი წამოხტა, ულაფს ხელი ჩასჭიდა: „მომყევითო!“ — დაიძახა. სიცოცხლემდე დარჩენილი ორმოცდაათი ნაბიჯი სიკვდილის გზით უნდა გაერბინათ. კიდევ, კიდევ ცოტა! აკაკანდა ტყვიამფრქვევი. ულაფმა ხელი უშვა ჯარისკაცის ხელს, მწვავე ტკივილმა მხარი აუწვა. რუსმა ჯარისკაცმა ბიჭს ხელები იღლიებში ამოსდო და საარვისო ზონაზე გადაათრია. სროლა შეწყდა.

უცებ შავმა სილუეტმა გადაუღობათ გზა, ლტოლვილებს სახეზე ჯიბის ფარნის შუქმა გადაურბინა.

— ვემ ერ დეტ? (ვინ არის?) — იკითხა ვიღაცამ.

— თქვენიანები, მეგობრები! — ყველას მაგიერ უპასუხა ულაფმა.

ვიტრინასთან

დედა და ანტოშკა პრეს-ბიუროსკენ მიიჩქაროდნენ. ისინი ახლა ყოველ საღამოს დადიოდნენ სამუშაოდ.

ბაღი ხელჩაკიდებულებმა გადაიარეს.

შვედეთი არ ომობდა, მაგრამ საბრძოლო გარემოცვის გამო ომმა მაინც დააჩნია კვალი.

ქალები ტროტუარებზე ხის ფეხსაცმელებს მიაბაკუნებდნენ.

დედა-შვილი გაჩახჩახებულ კუნგსგატანზე გავიდნენ. ქუჩის გასწვრივ მახინჯი მისაბმელებით — გაზგენერატორებით დაუშნოებული მანქანები მირახრახებდა, სახურავებზე შეშა და ნახშირით სავსე ტომრები ეწყო.

შვედეთს არც საკუთარი ნავთობი გააჩნდა და არც საკუთარი ნახშირი. საზღვაო გზები ომის გამო იყო გადაკეტილი და ეს ქვეყანა ყოველდღიურად რამდენიმე ჰექტარ ტყეს წვავდა ქარხნებისა და ორთქლმავლების ღუმელებში, ავტომანქანების გაზგენერატორებში. ომი, თუმცა შვედეთი არ მონაწილეობდა ამ ომში, ცეცხლის ენით ლოკავდა დიდებულ ჩრდილიან ტყეებს და მათ ნაცვლად სტოვებდა შიშველ რიყის ქვებსა და უსიცოცხლო ძირკვებს.

და, როგორც წარსული, ომამდელი დროის ნიშანი, ნაირფერად ენთო რეკლამა. ქალაქის თავზე კი ცას დაეფჩინა თავისი შავი ხახა.

— ჩქარა, ჩქარა, ალბათ უკვე გველოდებიან, — აჩქარებდა დედა.

მაგრამ კვლავ ხალხის დინება გადაეღობათ გზაზე. გერმანიის ტურისტული ბიუროს ვიტრინასთან უამრავი ხალხი იდგა. მანქანები გაბმულად იძლეოდნენ სიგნალს და ფრთხილად მიიკვლევდნენ გზას შუა ქუჩაში. ტურისტული ბიუროს ვიტრინა განათებული იყო: ის ახლა აღარ თავაზობდა მოსულებს მხიარულ

მგზავრობას მესამე რაიხში, მისი ამოცანა იყო შვედი მოსახლეობის დაშინება. დაიწყო თუ არა ომი, ვიტრინაში თითქმის ყოველდღე იცვლებოდა ფაშისტური გერმანიის მიერ „დაპყრობილი“ ქვეყნების რუკები. პოლონეთის რუკას ცვლიდა დანიის, ნორვეგიის, ნიდერლანდების, ბელგიის, იუგოსლავიის, საფრანგეთის, საბერძნეთის რუკები. 1941 წლის 22 ივნისს კი ფანჯარაში გამოჩნდა საბჭოთა კავშირის ვეება რუკა. შავი ჩრდილი ყოველდღე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ინაცვლებდა და საბჭოთა კავშირის მნიშვნელოვან ტერიტორიას ფარავდა. მერე გათავხედებულმა ფრიცებმა თავიანთ ფანჯარაში მსოფლიოს რუკა გამოკიდეს და შავი ხაზებით ჩამუქებული ქვეყნები თავზარს სცემდა შვედეთის მოსახლეობას. შვედეთი პაწაწკინტელა კუნძულად გამოიყურებოდა. შავი ჩრდილი მოსკოვს მიუახლოვდა და იქ გაიყინა. ფაშისტური არმიის გააფთრებული შემოტევა დამთავრდა.

დამის საგუშაგო

ელიზავეტა კარპოვნამ და ანტოშკამ შორიდანვე შენიშნეს პრეს-ბიუროს შესასვლელთან გაჩერებული მანქანა. რადიატორზე წითელი ალამი იყო დამაგრებული და მაშინვე იცნეს ალექსანდრა მიხაილოვნას მანქანა. ისიც ჩამოსულიყო.

— რაღაც მოხდა, — აჩქარდა ელიზავეტა კარპოვნა. — ალექსანდრა მიხაილოვნა ამ საათებში ჩვეულებრივ თავის კაბინეტში მუშაობს.

სწრაფად ჩაირბინეს ციცაბო საფეხურები და ნახევარსარდაფში ჩავიდნენ, პრეს-ბიურო უკვე ხალხით იყო სავსე. მთელი საბჭოთა კოლონია შეკრებილიყო. აქ იყვნენ დიპლომატიური მუშაკებიც, დამლაგებლებიც, მემანქანე ქალებიც, სავაჭრო წარმომადგენლობის ინჟინრებიც, მორიგეობიდან თავისუფალი დაცვის მუშაკებიც. ყველანი სრულუფლებიან დიპლომატიურ წარმომადგენელს შემოხვეოდნენ. .

საბჭოთა კავშირიდან ფოსტა მოსულიყო და ალექსანდრა მიხაილოვნა თვითონ არიგებდა წერილებს. თითქმის ყველამ მიიღო ახლობლებისა და მეგობრების წერილები.

ელიზავეტა კარპოვნამაც მიიღო წერილი. ანტოშკამ დაინახა, როგორ აუთრთოლდა დედას ხელები, როცა კონვერტს ხსნიდა.

დედის მხარს მიყრდნობილი ანტოშკა ხარბად კითხულობდა მამის წერილს და ხედავდა, როგორ ეცემოდა ფურცელზე ცრემლები. დედა ტიროდა. წერილი სამი თვის წინ იყო დაწერილი.

— რამდენხანს უვლია ფოსტას. ნეტა ახლა სად არის, როგორ არის? — ამოიოხრა ელიზავეტა კარპოვნამ.

ანატოლი ვასილევიჩი იწერებოდა, რომ „თავისი სპეციალობით“ მიდიოდა ბრძოლაში, რომ მასზე არ ეჯავრათ, რომ მთელ ხალხს გამარჯვებისა სჯეროდა.

— რას ნიშნავს „თავის სპეციალობით მიდის ბრძოლაში?“—იკითხა ანტოშკამ. — მამა ხომ კომერსანტია.

დედამ მხრები აიჩეჩა.

— შეიძლება, ნავთობპროდუქტებით არმიის მოსამარაგებლად?

— მაშ რატომღა წერს „ბრძოლაშიო“?

— თვითონაც არ მესმის, — ოდნავ გასაგონი ხმით უპასუხა ელიზავეტა კარპოვნამ.

მაგრამ ანტოშკამ დედას თვალებზე შეატყო, რომ ის რაღაცას მიხვდა.

წერილის ბოლოში ანატოლი ვასილევიჩი იტყობინებოდა, სახლში შესვლისას, საფოსტო ყუთში ანტოშკას სახელზე მიღებული წერილები ვნახე და იმასაც ვაგზავნიო.

ელიზავეტა კარპოვნამ კონვერტი დაბერტყა და იქიდან სამკუთხა წერილი და ერთი პატარა ბარათი გამოვარდა.

ბარათი მისი ამხანაგის — ნატაშასი იყო.

ანტოშკამ ეშმაკურად დაკეცილი სამკუთხა წერილი გახსნა. ვისგან უნდა ყოფილიყო?

კითხულობდა და სულ უფრო მეტად უკვირდა:

„ძვირფასო ანტოშკა! სადა ხარ? მე ვიყავი მოსკოვში, დაგირეკე, მაგრამ არავინ მიპასუხა (შენი ტელეფონი და მისამართი ჯერ კიდევ მაშინ, ბანაკში უფროსი პიონერხელმძღვანელისაგან გავიგე, მაგრამ წერილის მოწერას ვერ ვბედავდი). მე ფრონტზე მივდივარ. საიდუმლოდ უნდა გითხრა, რომ ევაკუაციის დროს ბებიას გზიდან გამოვექეცი. დედა და მამა ფრონტზე არიან. მე შემრცხვა მცირეწლოვან ბავშვებსა და მოხუც ქალებთან ერთად წასვლა. ორი წელი მოვიმატე, დაბადების მოწმობაზე კი ვუთხარი, დავკარგე-მეთქი. და ეს მართალიც არის, მოწმობა დაკარგულია: თვითონ დავწვი, როცა ევაკუაციაში წასასვლელად ვემზადებოდი. მე ყოველთვის მახსოვხარ. იცოდე, ვიბრძოლებ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, და როცა ვაზნები გამომელევა, კბილებით დავღრღნი ფაშისტურ ქვეწარმავალს. შენ ალბათ წაიკითხე, რომ ჩვენი პიონერთა ბანაკი ჰიტლერელებმა ჩაიგდეს ხელში. ქვეწარმავლები! როცა ნაწილში მივალ, ჩემი საველე ფოსტის ნომერს გამოგიგზავნი. ხომ მომწერ წერილს? კარგი? აბა, კარგად იყავი! ვიტკა“.

მებუკე-ჯარისკაცის წერილზეც დაეცა ნათელი ცრემლი.

ოთახში ფურცლების შრიალი ისმოდა, ხანდახან კი ყრუ და მძიმე ამოოხვრა. ყველა თავის წერილში ჩაფლული, ახლა ყველა თავის სახლში, თავის საშობლოში იყო.

წერილი მხოლოდ ერთ კაცს არ მიუღია.

ეს იყო საბჭოთა კოლონიის ახალი წევრი სერგეი ივანოვიჩი, წითელი არმიის კაპიტანი. ის ნორვეგიის ტყვეთა ბანაკიდან გაიქცა შვედეთში აჯანყებულ საბჭოთა სამხედრო ტყვეებთან ერთად. ისინი საზღვარზე ნორვეგიელმა ჭაბუკმა ულაფმა გადმოიყვანა. სწორედ სერგეი ივანოვიჩის საწოლთან მორიგეობდა ღამღამობით ელიზავეტა კარპოვნა შვედეთის ჰოსპიტალში. ახლა ფეხის მოკვეთის შემდეგ გამოჯანსაღებული კაპიტანი პრეს-ბიუროში დაბინავდა და მონდომებით შეუდგა მუშაობას.

ღამღამობით სერგეი ივანოვიჩი რადიომიმღებთან იჯდა, იწერდა მოსკოვის გადაცემებს საოლქო და რაიონული გაზეთებისათვის და ცნობებში ხარბად ეძებდა იმ მეთაურებისა და წითელარმიელების ნაცნობ გვარებს, ვინც ბრძოლებში თავი გამოიჩინა. ყველაზე ძალიან ახარებდა გომელის ოლქში პარტიზანების მოქმედების ამბები, სადაც მისი ოჯახი იყო დარჩენილი.

სერგეი ივანოვიჩს პირისახე ხელებზე ჩამოეყრდნო, იჯდა და საბჭოთა სა-

ინფორმაციო ბიუროს ცნობებს კითხულობდა. დანარჩენები კი ისევ თავისიანების წერილებს ჩაჰკირკიტებდნენ.

მაგრამ უცებ ყველანი გაჩუმდნენ. ანტოშკამ თავი ასწია. ალექსანდრა მიხაილოვნას მკერდზე ანა ფიოდოროვნა მიეხუტებინა და ეფერებოდა.

— შვილი დაეღუპა ფრონტზე, — ჩურჩულით თქვა დედამ და მაგრად მოეხვია ანტოშკას.

ქალაღდების დასტებს უკან, კუთხეში, უხმოდ ტიროდა მარგარიტა ივანოვნა, სრულუფლებიანი დიპლომატიური წარმომადგენლობის თარჯიმანი. გერმანელებს კალინინში მისი დედა და და ჩამოეხრჩოთ.

შორეულ პატარა საბჭოთა კოლონიაშიც შეაღწია ომმა.

ალექსანდრა მიხაილოვნა თავის მახვილ მზერას არ აშორებდა იქ მყოფთ. იგი ხედავდა, რომ სასიხარულო ცნობა არავის მიუღია. უცხო ქვეყანაში მყოფთათვის განსაკუთრებით მძიმეა ახლობლების გაჭირვების, სამშობლოზე თავდატეხილი უბედურების გადატანა. მას გაახსენდა თავისი ემიგრაციის წლები პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ. მაშინ გაზეთებს რუსეთიდან რევოლუციონერ თანამებრძოლთა დაღუპვის საშინელი ამბები მოჰქონდა. ვლადიმერ ლენინი ყოველთვის ზრუნავდა, რომ ამ დროს ამხანაგები საქმით ყოფილიყვნენ დატვირთულნი.

დღეს, თვით ალექსანდრა მიხაილოვნამაც სამწუხარო ცნობა მიიღო: ლენინგრადის ბლოკადაში დაიღუპა მისი ახალგაზრდობის მეგობარი ქალი, მასთან შეზრდილი პარტიულ მუშაობასა და ბრძოლაში. მან წერილი საწერი მაგიდის უჯრის ყველაზე შორეულ კუთხეში გადამალა, საკუთარი ჯავრი გულში ჩაიმარხა, ცრემლები კი აღრჩობდა. კიდევ ერთი წუთიც და ყველაფერი, რაც ომის მძიმე, გაუთავებელ დღეებში დაუგროვდა, ცრემლად დაიღვრებოდა. ყველა თავის ფიქრს მისცემოდა.

— აბა, ძვირფასო ამხანაგებო, წერილები წაიკითხეთ, გუნებაში ახლობლებსაც შეხვდით, ახლა კი მუშაობას შევუდგეთ. მიღებულია ჩვენი მთავრობის ნოტა გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩადენილი ბოროტმოქმედების გამო. ეს მეტად მნიშვნელოვანი ნოტაა. ფაშისტების შემზარავი მხეცობის ამბავი ყველამ უნდა გაიგოს. დაე, ყოველი შვედი ჩაფიქრდეს, რა მოელის მის ოჯახს, მის სამშობლოს, თუკი შვედეთს ომში ჩაითრევენ. საბჭოთა დოკუმენტები კიდევ უფრო მეტ გულისწყრომას და სიძულვილს გამოიწვევს ყველა პატიოსანი ადამიანის გულში. საჭიროა სასწრაფოდ გადავბეჭდოთ და გასაგზავნად მოვამზადოთ ორასი ათასი ეგზემპლარი. სახლში მხოლოდ ისინი წავლენ, ვისაც გადაუდებელი საქმე აქვს ან გაკვეთილები არ უსწავლია, მაგალითად, ანტოშკა.

ანტოშკამ ხელი ასწია, თითქოს სკოლაში ყოფილიყოს.

— ნება მომეცით დავრჩე!

ალექსანდრა მიხაილოვნამ ელიზავეტა კარპოვნას შეხედა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

გადაუდებელი საქმეები არავის აღმოაჩნდა.

ალექსანდრა მიხაილოვნამ, ანა ფიოდოროვნას და მარგარიტა ივანოვნას ჩაჰკიდა ხელი.

— მეც მჭირდება თანაშემწეები, — თქვა მან, — თქვენ ჩემთან წამოხვალთ.

ყველა მიხვდა: ახლა სწორედ ანა ფიოდოროვნას და მარგარიტა ივანოვნას სჭირდებოდათ ალექსანდრა მიხაილოვნას დედობრივი მხარდაჭერა.

სერგეი ივანოვიჩი ხალხს სამუშაო ადგილებზე ანაწილებდა. ანტოშკა როტატორთან დააყენა, აუხსნა, როგორ უნდა დაემაგრებინა დოლზე საბეჭდ მანქანაზე გახვრეტილი, გასანთლული ქაღალდის ფურცელი.

როტატორები თანაბრად ტკაცუნობდნენ და დაბეჭდილ ქაღალდის ფურცლებს ისროდნენ. გახურებული მანქანის ზეთისა და სტამბის საღებავის სუნი დატრიალდა.

გრძელი მაგიდიდან კონვეიერის წესით კრეფდნენ ფურცლებს, შუაზე კეცავდნენ, კონვერტებში სდებდნენ, მისამართებს აწებებდნენ, დასტებად ჰკრავდნენ და ტომრებში ფუთავდნენ.

თანაბარ სამუშაო რიტმში ხმადაბალი მელოდია შეიპარა. ქალები ისე მღეროდნენ, პირს არც ხსნიდნენ და მერე, თითქოს კაშხალი გაირღვაო, ელიზავეტა კარპოვნას სუფთა, ზარივით ხმა გაისმა:

აყვავილდნენ ვაშლები და მსხლები,
მდინარეზე სხივთა ბადეს აფენს მზე,
გამოვიდა ნაპირზე კატუშა,
გამოვიდა ის ციცაბო ნაპირზე.

მაგიდაზე სწრაფად მოძრაობდნენ ხელები, დინჯად მიღელავდა სიმღერა.

ანტოშკას სიმღერამ ჟრუანტელი მოჰგვარა. რა მწყობრად, მარჯვედ მუშაობდნენ ხელები, სიმღერის ტაქტს აყოლილი! გულსაც ბაგაბუგი გაჰქონდა.

სიმღერას მორჩნენ. სერგეი ივანოვიჩმა იატაკზე ყავარჯნით დააკაკუნა, ნახევარსაათიანი შესვენება გამოაცხადა. მაგიდაზე ელექტროჩაიდანი გაჩნდა, ყველამ ამოაწყო ბუტერბროდები, აწკარუნდა ჭიქები.

შესვენება თხუთმეტ წუთში დაამთავრეს.

კვლავ აგუგუნდა და ატკაცუნდა როტატორები.

კვლავ გაისმა სიმღერა:

მიმდინარეობს სახალხო ომი,
წმინდათაწმინდა ომი...

თმისსამაგრიანი ბიჭი ალაპარაკდა

ანტოშკა სკოლიდან ველოსიპედით ბრუნდებოდა სახლში. ალტაცებისა და სიამაყისაგან გული მძლავრად უცემდა. ალბათ ყველა გამვლელმა, თვით პოლიციელმაც კი შეამჩნია, რომ ახალსა და ლამაზ ველოსიპედზე იჯდა. ანტოშკა ხუთი დღის წინ გახდა თოთხმეტი წლისა, სტუმრები არ ჰყოლიათ — ანტოშკამ უარი განაცხადა: არ უნდოდა უმამოდ აღენიშნა ეს დღე, მაგრამ დედამ ველოსიპედი აჩუქა. მართალია, შვედეთში ამ მანქანით ვერავის გააკვირვებ, ყველანი ველოსიპედებით დადიან: მუშები — სამუშაოდ, დიასახლისები — ბაზარში, მოხუცები — ეკლესიაში. ველოსიპედებზე გადამჯდარ ფანჯრების მწმენდავებს ზურგს უკან გრძელი დასაკეცი კიბე აქვთ დამაგრებული და ასე უვლიან მთელ ქალაქს, თან მხიარულ სიმღერას ღიღინებენ. საღამოობით, ბალზე მიმავალი მოდურ კაბებში გამოწყობილი ქალიშვილები შლეიფებს ვე-

ლოსიპედის უნაგირებზე ამაგრებენ, ხოლო აპრილსა და ოქტომბერში, როცა ბინებზე დადებული ხელშეკრულებების ვადები თავდება, ავეჯს ველოსიპედების მისაბმელებში აწყობენ და ისე გადააქვთ. ველოსიპედებით სასეირნოდ დადიან მთელი ოჯახები. საოჯახო მანქანა აღჭურვილია ორი უნაგირით, ორი წყვილი სატერფულით, სამი ბორბლით და ბავშვისათვის მოწყობილი საკარძლით.

მაგრამ ანტოშკას ახალი ველოსიპედები იშვიათად ხვდებოდა — ყველა უკვე ფერგადაცლილი და გაცვეთილი იყო, მისი „მანქანის“ მონიკელებულ ფერსოებზე კი მზის სხივები იმსხვრეოდა და, რა თქმა უნდა, შური და აღტაცება უნდა გამოეწვია.

ანტოშკა გულმოდგინედ იწევდა დაბლა ქვედატანს, შეხვეულ მუხლებს იფარავდა, რომ არავინ მიმხვდარიყო, რა ძვირად დაუჯდა ველოსიპედით სიარულის ხელოვნების დაუფლება.

გოგონა თვალს არ აშორებდა გზას და შუქნიშნებს, სულაც არ ეცალა ცისთვის შეეხედა და როცა გაზეთილსა და საბურავებისაგან დატკეპნილ გზაზე მსხვილმა წვეთებმა დაიწყეს ხტომა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ წვიმდა და ფეხები უფრო სწრაფად აამუშავა.

ეზოში რომ შევიდა, უკვე კარგა მაგრად ასხამდა. იგი ჩამოხტა, ველოსიპედი სადგომში დააყენა და წვიმისაგან გამუქებული პორტფელი საბარგულიდან ჩამოხსნა. ენანებოდა ველოსიპედის დატოვება, მაგრამ სახლში ხომ არ შეიტანდა, ველოსიპედი ყველას ეზოში ეყენა. თანაც ანტოშკას კლიტეც ჰქონდა, რომელსაც წინა ბორბალზე ადებდა. „შენს ველოსიპედს ვერავინ მოიპარავს, შეგიძლია მშვიდად იყო“, — არწმუნებდა დედა.

ეზოში მრგვალად გადმოხურულ სოკოს ბავშვები შეფარებოდნენ.

მალე კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა. გუბეები ბუშტებით დაიფარა. ანტოშკამ სოკოს ქვეშ შეყო თავი.

— აქ დაჯექი, — ჩაიჩოჩა ევამ სკამზე, — და ჩემი ნახევარი ძმა გაიცანი.

ყმაწვილი სკამიდან წამოდგა. მარცხენა ხელი შეხვეული ჰქონდა. მზემოკიდებულ სახეზე ქერა წარბები და ღრმად ჩამსხდარი მონაცრისფრო-ცისფერი თვალები შვენოდა.

— ულაფი, — გაეცნო ჭაბუკი.

ანტოშკამ ხელი გაუწოდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. პატარები ფეხებს იქნევდნენ და აღფრთოვანებულები უგდებდნენ ყურს წვიმის კაკუნს სახურავებზე. ანტოშკას მოუნდა ფეხსაცმლის გახდა, წვიმაში გავარდნა და გუბეებში ფეხშიშველა ტყაპუნი. მაგრამ ეს აზრი არცერთ ბავშვს არ მოსვლია.

— ჩვენი ულაფი ახლახანს მოვიდა ნორვეგიიდან, — ჩასჩურჩულა ევამ ანტოშკას. — ზედ საზღვარზე ფაშისტებმა კინაღამ მოკლეს, ტყვია ხელში მოხვდა.

ულაფმა ევას ჩამოჰკრა ხელი:

— გეყოფა ლაყბობა.

ევამ მხრები აიჩეჩა.

— რა, განა მართალს არ ვამბობ? ულაფი ჩემი ძმობილია.

— რატომ ძმობილი? — გაოცდა ანტოშკა.

— იმიტომ, რომ მამამისი და მამაჩემი რესპუბლიკურ ესპანეთში ერთად

იბრძოდნენ და იქ დაძმობილდნენ. მერე ულაფის მამა ატლანტიკაში ნორვეგიის გემზე დაიღუპა. მალე ალბათ ულაფიც გაფრინდება ინგლისში; ნორვეგიაში გერმანელებმა ბებია და პაპა მოუკლეს.

ანტოშკას გულზე სევდა შემოაწვა. რა უბრალოდ ითქმება — მოკლეს... სად არის ახლა მამამისი? როგორ ებრძვის ჰიტლერელებს „თავისი სპეციალობით?"

— დღეს კინოში ინგლისური სურათია „მთვარე ძირს იყურება". ხომ წამოხვალ ჩვენთან ერთად? — შესთავაზა ევამ.

ანტოშკამ მხრები აიჩეჩა.

— დედა თუ მომცემს ნებას, წამოვალ.

— რატომ არ უჩვენებენ აქ რუსულ ფილმებს? — იკითხა ულაფმა.

— შვედები კრძალავენ ჩვენი ფილმების ჩვენებას ომზე, მაგრამ ამ ფილმებს მაინც აჩვენებენ პრეს-ბიუროში. თუ გინდათ, მე მოგიტანთ მოსაწვევებს, — შესთავაზა ანტოშკამ.

— ტიუსენ ტაკ!* — უპასუხა ულაფმა. — მე ნორვეგიაში ვნახე ზოგიერთი თქვენი ფილმი, ძალიან მომეწონა.

— როდის მოასწარი? — ჰკითხა ევამ.

— იატაკქვეშეთის კინოში ვნახე...

წვიმა უცბად შეწყდა. გუბეებში მზე აინთო. სოკოსკენ თმისსამაგრიანი ბიჭი გამოემართა. იგი ფრთხილად უვლიდა გვერდს გუბეებს, თან ელზა მოჰყვებოდა და გაუჩერებლივ ეტიტინებოდა. ბიჭი თავაზიანად უღიმოდა. ისინი სოკოს ქვეშ შევიდნენ. ელზამ ძლივს შესამჩნევად დაიქნია თავი, მთელი მისი გარეგნობა იმაზე მეტყველებდა, რომ ახლა ევასათვის არ ეცალა. ბიჭმა თავაზიანად დაუკრა თავი დამხვდურებს, მოიცადა, სანამ ევა დაჯდებოდა და მერე თვითონაც ჩამოჯდა. „რა ლამაზი თვალები აქვს, — გაიფიქრა ანტოშკამ, — ნათელი და თან რაღაცნაირი ამოუცნობი". მას არასოდეს არ მოუსმენია ამ ბიჭის ლაპარაკი. იქნებ მუნჯი იყო?

— მუშას, ვინც მამაჩემის მეზობელ დაზგაზე მუშაობს, შვილი იქ დარჩა. გუშინ მთელი მათი საამქრო არ მუშაობდა. მაინც რაც არ უნდა იყოს ცოდვაა ხალხი, — მანჭვა-გრეხით თქვა ელზამ.

— „ულვენი" რუსებმა ჩაძირეს. მე ეს კარგად ვიცი.

ანტოშკა მოულოდნელობისაგან შეკრთა. ეს იმ თმისსამაგრიანმა ბიჭმა თქვა გერმანულნარევი, დამახინჯებული შვედური სიტყვები. გუშინ გაზეთები იტყობინებოდნენ, რომ შვედეთის წყლებში შვედეთის წყალქვეშა ნავი „ულვენი" ჩაძირესო. „ვინ ჩაძირა?" — კითხულობდნენ გაზეთები. „ვინ არის დამნაშავე მეზღვაურების დაღუპვაში? — კითხულობდნენ შვედები. — შესძლებენ კი ფსკერიდან ნავის ამოყვანას და ცოცხლად დამარხული ხალხის გადარჩენას?" და ამ ბიჭმა, რომელსაც გოგოს დაბრეცილი სამაგრი ეკეთა, გაბედა და თქვა, ნავი რუსებმა ჩაძირესო! ანტოშკამ ბიჭს გამომწვევად შეხედა.

— „ულვენი" რუსებმა კი არა, გერმანელებმა ჩაძირეს! — თქვა ულაფმა.

თმისსამაგრიანი ბიჭი ადგა, თვალები მოჭუტა და მკაფიოდ, დინჯად, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, განაგრძო.

— რუსებმა ჩაძირეს... ეს მე ვიცი... რუსები ევროპის ცივილიზაციას

---

* დიდი მადლობელი ვარ (ნორვეგიულად).

სპობენ... მათი სიმხეცე კუნგსგატანზე ვიტრინაში გამოფენილ ფოტოსურათზეა ალბეჭდილი.

— სტყუი! — გაბრაზდა ანტოშკა და ისიც წამოხტა სკამიდან. — ჰიტლერელებმა თავიანთი ნამოქმედარი გადაიღეს, ნუ გჯერათ მათი.

— ფოტოსურათი საბუთია, — განაგრძობდა ბიჭი. — ამის უარყოფა არავის შეუძლია.

„ეს ნამდვილი ფაშისტი ყოფილა!“ — ზიზღისაგან შეკრთა ანტოშკა.

— ჩვენ უარვყოფთ ამას, — გოგონამ ისე მოუჭირა ხელი სველ ნაწნავს, თითქოს ცდილობდა ამით შეეკავებინა თავი გააფთრებისაგან... — ნუ უჯერებთ მათ! საბჭოთა სახელმწიფომ ნოტა გამოსცა ფაშისტების მხეცობაზე. ნოტაში არის დოკუმენტები და ფოტოსურათები. ხალხის მოტყუებას ვერავინ შესძლებს. ჩვენ ეს ნოტა ორასი ათასი ცალი დავბეჭდეთ. ხვალ მთელ შვედეთს ეცოდინება, ვინ სჩადის ბოროტმოქმედებას.

თმისსამაგრიანი ბიჭი ანტოშკასკენ დაიძრა.

— დიახ, დიახ, ორასი ათასი დოკუმენტი დავაგზავნეთ მთელს შვედეთში. აბა, ერთი სცადეთ და უარყავით! ახლა უკვე ველარ მოატყუებთ ხალხს!

ბიჭმა თავისი სახე ანტოშკას მიუახლოვა. მათ თვალი თვალში გაუყარეს.

საიდან მოეჩვენა ანტოშკას, რომ ლამაზი თვალები ჰქონდა? აგერ არ უყურებს?! — არაფრისმთქმელი თვალები სიბრაზისაგან ლამის ბუდიდან გადმოსცვივდეს. ბიჭს დაცინვისაგან თხელი ტუჩები მოეღრიცა და ანტოშკას უცებ თითქოს ნესტარი დაასვესო:

— შენ რუსული ღორი არის!

„კბილებით დავღრღნი ფაშისტურ ქვეწარმავალს“, — ელვასავით გამოკრთა წერილის სტრიქონები.

ოჰ, არა!

ეს ანტოშკა კი არა, მისი ნაწნავი იყო, ირიბად რომ გაუტყლაშუნა არამზადას სახეზე, შემდეგ კი ფაშისტის ზურგზე და მხრებზე ანტოშკას პორტფელი ატყაპუნდა.

თმისსამაგრიანი ბიჭი დაიხარა, ჯიბიდან შურდული ამოიძრო და ის იყო ანტოშკას მოუღერა, რომ გოგონას ვიღაც გადაეფარა, ვიღაცა დაეცა და გოგონაც წააქცია. ევამ იკივლა.

როცა ანტოშკა ფეხზე წამოდგა, თმისსამაგრიანი ბიჭი ისე გარბოდა ეზოში, რომ გუბეებსაც ველარ ამჩნევდა. ევაც და პატარებიც უკვალოდ გამქრალიყვნენ. მხოლოდ ულაფი იდგა, მარცხენა მხარზე ხელი შემოეჭდო და სულს ძლივს ითქვამდა.

სადარბაზოებიდან უკვე უფროსები მოიჩქაროდნენ, მაგრამ ანტოშკამ ამჯობინა სწრაფად დამალულიყო სახლში.

მაგიდაზე დედის წერილი ელოდა. ელიზავეტა კარპოვნა წერდა, რომ საავადმყოფოში მიდიოდა და დილამდე იქ დარჩებოდა, რომ ანტოშკას გაკვეთილები დაემზადებინა, ევახშმა და ფეხი არსად გაედგა.

მომხდარმა ამბავმა ანტოშკა ცუდ ხასიათზე დააყენა. თავისი თავით უკმაყოფილების გრძნობა მოსვენებას არ აძლევდა. ალბათ საჭირო არ იყო ამ სამარცხვინო ჩხუბის წამოწყება. რაღაც შეეშალა, ცუდად მოიქცა, მაგრამ როგორ დარჩენილიყო გულგრილი, როგორ მოესმინა უხმოდ ეს ყოველივე. შენ რა, „გმირობა“ გამოიჩინე? სიტყვით გამათრახება ვერ შესძელი და ნაწნავი მოიშველიე! — საკუთარ თავს საყვედურობდა ანტოშკა, თან თბილი შხაპის ქვეშ იდგა და ცდილობდა კარგად ჩამოებანა თმა. — „ნამდვილი ბეცი ქათამი

ვარ, ეს საზიზღარი ფაშისტი, ეს ღვთის გლახა, ლამაზიც მეჩვენა, გმირადაც წარმოვიდგინე და მისი მხეცური დინგი კი ვერ დავინახე“.

ანტოშკამ რის ვაივაგლახით ისწავლა გაკვეთილები და სინდისის ქენჯნით დატანჯული, დასაძინებლად დაწვა.

ანტოშკას უსიამოვნო სიზმარივით მოაგონდება გუშინდელი დღე. „მაინც კარგად მოვიქეცი, რომ ფაშისტს ჭკუა ვასწავლე, — თავს იმშვიდებდა ანტოშკა. — დაე იცოდეს, რომ მისი მაინცდამაინც არავის ეშინია“.

სადგომიდან თითქმის ყველას გაეყვანა ველოსიპედი. ანტოშკამაც ჩამოხსნა თავისი, წინა ბორბალზე დადებული კლიტე მოხსნა და ის იყო ზედ უნდა შემჯდარიყო, რომ შენიშნა ორივე საბურავი დაშვებულიყო. ტუმბო ჩამოიღო, ხრახსაცობი მოხსნა და დაბერვას შეუდგა, მაგრამ კამერიდან ჰაერი ბრაზმორეული შიშინით გამოდიოდა და საბურავი ისევ იჩუტებოდა.

— ხა! — გაისმა უცებ ზემოდან.

ანტოშკამ თავი ასწია. მეორე სართულის ღია ფანჯრიდან თმისსამაგრიანი ის ტიპი გადმოყუდებულიყო. ქოჩორი ჯაგარივით ედგა ყალყზე, შუბლს ზემოთ. ანტოშკა შებრუნდა, ველოსიპედი სწრაფად დააყენა ადგილზე და ქუჩაში ისე გავარდა, რომ კინაღამ არ წააქცია ახალგაზრდა კაცი, რომელიც ის იყო ველოსიპედიდან გადმოხტა.

— ფერლოტ, — მოუბოდიშა ანტოშკამ და ტრამვაის გაჩერებისაკენ გაიქცა.

— ფრეკენ, შეჩერდით, ორიოდე სიტყვა მინდა გითხრათ.

ანტოშკამ ნაბიჯს უმატა. დედამ სასტიკად აუკრძალა ქუჩაში ვინმეს გაცნობა. ახალგაზრდა ველოსიპედით დაეწია, გვერდით გაჰყვა და დაიწყო მტკიცება:

— ფრეკენ, მე ცუდი არ მინდა. მომისმინეთ.

ანტოშკას არც გაუხედია მისკენ, თითქოს არაფერი ესმოდა...

ახალგაზრდა კაცი არ ეშვებოდა.

— იქნებ თქვენ მართალიც იყოთ, ფრეკენ, პირველ შემხვედრს არ უნდა ენდოთ. მაგრამ მე თქვენს ეზოში დავდივარ, ვიცი, რომ რუსი ხართ, მოსკოვიდან და ანტოჩკა გქვიათ.

ანტოშკას გაეცინა. „ანტოჩკა“ ძალიან სასაცილოდ ჟღერდა.

— როგორც იქნა გაგეცინათ, თუმცა აქ სასაცილო არაფერია. მეტად სამწუხარო ამბავი მოხდა. ფოსტამტში თქვენი საელჩოს ორასიათას პაკეტს ყადაღა დაადეს.

ანტოშკას სუნთქვა შეეკრა, იგი შეჩერდა და პირველად შეხედა ჭაბუკს. სადღაც ნანახი ჰყავდა. სქელი, ნაცრისფერი სვიტერითა და ბერეტით იგი ათასობით სხვა ახალგაზრდა მუშას ჰგავდა, თაფლისფერი თვალები მეგობრულად და დარცხვენითაც კი იმზირებოდნენ.

— ორასიათას ბარათს? მართალს ამბობთ?

— დიახ, ორასიათასს. მოსატყუარი არაფერი მაქვს. ფოსტამტში მტვირთავად ვმუშაობ. ჩვენ ყოველ დილას ვკითხულობთ საბჭოეთის ახალი ამბების ბიულეტენს, თქვენი არმია მედგრად იცავს თავის ქვეყანას. ჩვენც გვიცავს. ჩვენ ეს გვესმის. ამ დილას მივედით თუ არა სამუშაოზე, შეფმა გვითხრა: ყმაწვილებო, ეს ტომრები თავიანთ სისაძაგლით სარდაფში ჩაზიდეთო. ჩვენც რა უნდა გვექნა? რაც გვიბრძანეს, ის გავაკეთეთ. როცა შეფმა სარდაფი დაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო, მივხვდით, რომ ცუდად იყო საქმე. მერე ერთ-ერთმა ჩვენგანმა ყური მოჰკრა შეფისა და მისი თანაშემწის მსჯელობას, როგორ მოესპოთ ის პაკეტები, ისე რომ არავის გაეგო.

— ნუთუ ყოველივე ეს მართალია?

— დიახ, დიახ. ყველაფერი მართალია. და ეს სიმართლე ჯერჯერობით სარდაფში ჩაკეტეს, მერე კი ღუმელში დაწვას უპირებენ. ჰოდა, ჩვენმა უფროსმა ამხანაგმა თქვა: „საჭიროა ეს ამბავი საბჭოთა საელჩოში ვაცნობოთო“. ტელეფონით დარეკვა არ შეიძლება — საბჭოთა საელჩოს ტელეფონს უსმენენ, მისვლაც საზიფათოა, — ყველგან ჯაშუშები დაძრწიან. მაშინ მე ვთქვი, რუს ფრეკენს ვიცნობ, მას ანტოჩკა ჰქვია-მეთქი.

ამჯერად ანტოშკას აღარ გაუცინია.

— უფროსმა მითხრა: „მონახე ის გოგონა, ესე იგი ფრეკენი, და უთხარი, გააფრთხილოს ქალბატონი კოლონტაი, რომ პაკეტებს გერმანიის საელჩოს მოთხოვნით დაადეს ყადაღა“. ფაშისტებმა როგორღაც დაყნოსეს, რომ თქვენ აუარებელ პაკეტს აგზავნიდით და პროტესტი განაცხადეს. მაგრამ როგორ მოახერხეს გერმანელებმა ამის გაგება, ეს არ ვიცით. იქნება რომელიმე მათი მზვერავი შეიპარა თქვენს პრეს-ბიუროში?

ანტოშკამ სული ველარ მოითქვა, შიგ გულში მოხვდა ახალგაზრდა მუშის სიტყვები: „ვიღაც ჰიტლერელი მზვერავი შეიპარა თქვენს პრეს-ბიუროშიო!“ დიახ, ეს მან, ანტოშკამ გაანდო ფაშისტებს საიდუმლო? ის დაეხმარა ფაშისტებს! ის, საბჭოთა პიონერი!

გოგონა თითქოს გაქვავდა.

— ფრეკენი ცუდად გრძნობს თავს? — შეწუხდა ახალგაზრდა კაცი. — ფრეკენი ნებას დამრთავს, სახლამდე მივაცილო?

ანტოშკა დუმდა. თითქოს ქარბუქმა აუწეწა ფიქრები. ახლა უკვე ველარ გაიგებდნენ შვედები სიმართლეს, ფაშისტების მონაჭორს დაიჯერებდნენ. და ეს ყველაფერი ანტოშკას ბრალი იყო.

„ჩქარა, მხოლოდ ჩქარა!...“

იგი ადგილს მოსწყდა და მოკურცხლა.

მუშა ველოსიპედით წამოეწია გოგონას.

— ფრეკენ, ჩემი ველოსიპედი წაიღეთ. შორია, ვერ ირბენთ. მერე სადგომზე დატოვეთ ხულმეგორდენთან.

ანტოშკა ველოსიპედს მოახტა და გააქროლა.

(დასასრული შემდეგ ნომერში).